საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფილოსოფიის კათედრა

გიორგის ურიდია

მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1977

1 M
1 Ა
Უ 59

ნაშრომში განხილულია კატეგორიის ცნების, კატეგორიათა განსაზღვრების წესისა და დიალექტიკის ძირითადი ანუ წყვილადი კატეგორიების ცნებათა განსაზღვრების საკითხი. მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში კატეგორიათა შესახებ დადებითი მონაპოვრების საფუძველზე მოცემულია ზოგიერთი საკითხის ახლებურად გაშუქების ცდა.

У $\frac{10502}{М\ 607(03)-77}$ 193—77

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ყოველ მეცნიერებას აქვს თავისი უზოგადესი ცნებები — კატეგორიები. მაგ., ფიზიკის როგორც მეცნიერების კატეგორიებია: მასის, სინათლის, ელექტრობის, სითბოს, ენერგიისა და ა. შ.; ქიმიის კატეგორიებია: ელემენტის, ვალენტობის, ეკვივალენტობისა და ა. შ.; ბიოლოგიის კატეგორიებია: სიცოცხლის, სახის, მემკვიდრეობის, ასიმილაციის, დისიმილაციისა და ა. შ.; ესთეტიკის კატეგორიებია: მშვენიერების, ტრაგიკულის, კომიკურისა და ა. შ.; ეთიკის კატეგორიებია: სიკეთის, ბოროტების, ბედნიერების, მანკიერებისა და ა. შ.; პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებია: საქონლის, ღირებულების, ფულისა და ა. შ.: ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიებია: საზოგადოებრივი ყოფიერების, საზოგადოებრივი ცნობიერების, საწარმოო ძალების, წარმოებითი ურთიერთობის, ბაზისის, ზედნაშენისა და ა. შ.; მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიებია: მიზეზის, შედეგის, აუცილებლობის, შემთხვევითობის, შინაარსის, ფორმის, შესაძლებლობის, სინამდვილის, მოვლენის, არსებისა და ა. შ.

ყოველი ცნება, კატეგორია ზოგადია. არ არსებობს არაზოგადი ცნება, კატეგორია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კატეგორიები ზოგადობის მიხედვით ერთიმეორისაგან არ განსხვავდებიან. ზოგადობისა და მოქმედების სფეროს მიხედვით კატეგორიები შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: I. უზოგადესი; 2. ზოგადი; 3. კერძო ანუ სპეციფიკური.

უზოგადესი კატეგორია სინამდვილის ერთ რომელიმე ისეთ უზოგადეს მხარეს ასახავს, რომლის გარეშე სინამდვილის არც ერთი საგანი, არც ერთი მოვლენა არ არსებობს. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების: შინაარსის, ფორმის, მიზეზის, შედეგის, აუცილებლობის, შემთხვევითობის, შესაძლებლობის, სინამდვილის და სხვ., მოქმედების სფერო განუსაზღვრელია.

უზოგადესი კატეგორიებისაგან განსხვავებით, რომლებიც ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების, როგორც მთლიანის, უზოგადეს მხარეებს ასახავენ და რომელთა მოქმედების სფერო განუსაზღვრელია, ზოგადი კატეგორიები სინამდვილის გარკვეულ უზოგადეს მხარეებს ასახავენ და ამდენად მათი ასასახი სინამდვილის სფერო განსაზღვრულია; მაგალითად, საზოგადოებას, როგორც სინამდვილის გარკვეულ მოვლენას, თავისი საკუთარი ზოგადი კატეგორიები აქვს. კატეგორიები, რომლებიც საზოგადოებისათვის, როგორც ერთი მთლიანისათვის, ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში საერთოა; კატეგორიები, რომლებიც საზოგადოების არსებობის მთელ მანძილზე მოქმედებენ და საზოგადოებას, როგორც ერთი მთლიანის, განვითარების უზოგადეს მხარეებს ასახავენ, შემდეგია: საზოგადოებრივი ყოფიერების, საზოგადოებრივი ცნობიერების, საწარმოო ძალების, წარმოებითი ურთიერთობების, ბაზისის, ზედნაშენისა და სხვ. კატეგორიები. აღნიშნულ კატეგორიათა გარეშე არ არსებობს არცერთი საზოგადოება. ისინი საზოგადოების განვითარების ყველა ფორმაციისათვის საკალდებულოა. რამდენადაც აღნიშნული კატეგორიები საზოგადოების უზოგადესი მხარის გამომხატველია, ამდენად ისინი საზოგადოების უზოგადესი კატეგორიებიც არიან, მაგრამ უზოგადესი საზოგადოების მიმართ და არა საერთოდ ბუნების, საზოგადოების და აზროვნების, როგორც მთლიანის მიმართ.

გარდა უზოგადესი და ზოგადი კატეგორიებისა არსებობს კერძო ანუ სპეციფიკური კატეგორიებიც. სპეციფიკურია ისეთი კატეგორიები, რომლებიც ასახავენ გარკვეული კლასის, ჯგუფის მოვლენათა უზოგადეს მხარეს, ან კლასის, ჯგუფის მოვლენათა განვითარების უზოგადეს მხარეს; ისინი ბუნების ან საზოგადოების, ან აზროვნების რომელიმე უზოგადეს მხარეს ასახავენ. მაგ., საზოგადოებას, გარდა იმ ზოგადი კატეგორიებისა, რომლებიც საზოგადოების განვითარების მთელ მანძილზე მოქმედებენ, მის უზოგადეს მხარეს ასახავენ, აქვს კერძო ანუ სპეციფიკური კატეგორიებიც. სპეციფიკურია საზოგადოების ისეთი კატეგორიები, რომლებიც რამდენიმე ფორმაციისათვის დამახასიათებელ უზოგადეს მხარეს ასახავენ და მოქმედებენ ამ ფორმაციებში. მაგ., ღირებულების, საქონლის, კლასის, სახელმწიფოსა და ა. შ. კატეგორიები. სპეციფიკურია აგრეთვე კატეგორიები, რომლებიც მოქმედებენ მხოლოდ ამა თუ იმ ერთ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში, ამ უკანასკნელის არსე-

ბობის მთელ მანძილზე. საზოგადოების ასეთი სპეციფიკური კატეგორიები იქნებიან: სამუშაო ძალა, როგორც საქონელი, კაპიტალი. ზედმეტი ღირებულება, მოგების საშუალო ფორმა (ეს კატეგორიები გამოხატავენ მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაციის წარმოებითს ურთიერთობას) და სხვ.

დიალექტიკური მატერიალიზმი, აღიარებს რა კატეგორიათა ობიექტურობას, კატეგორიების სუბიექტური გაგების წინააღმდეგია; მაგრამ იგი წინააღმდეგია ისეთი გაგებისაც, რომელიც კატეგორიათა ობიექტურად, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობას ცნობს. ობიექტურობა საერთო ნიშანია ყველა კატეგორიისათვის.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ კატეგორიების, როგორც ცნებების, ობიექტურობა და ამ ცნებათა შესაბამისი სინამდვილის ობიექტურად არსებობა. მაგალითად, მიზეზი, შედეგი, ფორმა, შინაარსი, შემთხვევითობა, აუცილებლობა და ა. შ. — ობიექტურად არსებულია; ისინი ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ, ხოლო მიზეზის, შედეგის, ფორმის, შინაარსის, შემთხვევითობის, აუცილებლობის და ა. შ. კატეგორიები მათ ასახავენ. მიზეზი, შედეგი, ფორმა, შინაარსი. შემთხვევითობა, აუცილებლობა და ა. შ. ობიექტურად არსებობენ, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მათ ამსახველ ცნებებზე, კატეგორიებზე. მიზეზის, შედეგის, ფორმის, შინაარსის, შემთხვევითობის, აუცილებლობის და ა. შ. კატეგორიები ობიექტურია, მაგრამ ამ შემთხვევაში ობიექტურობა ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობას არ ნიშნავს. კატეგორიათა ობიექტურობა მათი შინაარსის ჩვენი ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლობას ნიშნავს. კატეგორიათა ობიექტურობა მათი შესაბამისი ასასახი სინამდვილითაა განპირობებული. ვ. ი. ლენინის თქმით, მაგალითად, „ჩვენი ცნებები დროისა და სივრცისა ობიექტურად რეალურ სივრცესა და დროს ასახავენ“. ამ რეალურად არსებულ დროისა და სივრცის ობიექტურად არსებობითაა განპირობებული მათი შესაბამისი დროისა და სივრცის კატეგორიათა ობიექტურობაც. ასევე ითქმის სხვა კატეგორიათა შესახებაც. მაგალითად, ვ. ი. ლენინი ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ხაზგასმით მიუთითებს იმაზე. რომ მატერიალიზმისათვის აუცილებელია მიზეზისა და შედეგის ობიექტურად არსებობის აღიარება და შემდეგ ამ ობიექტურად

არსებული მიზეზისა და შედეგის დაახლოებით სწორი ასახვა ადამიანის მიერ მიზეზისა და შედეგის კატეგორიებით.

წინამდებარე ნაშრომში არსებითად ყურადღება გამახვილებულია კატეგორიის ცნების, კატეგორიათა განსაზღვრების წესისა და ცალკეულ კატეგორიათა განსაზღვრების საკითხებზე. ნაშრომში არ ეიხილავთ წყვილად კატეგორიებთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს.

კატეგორიის ცნებისა და კატეგორიათა განსაზღვრების წესის შესახებ

I. კატეგორიის ცნების განსაზღვრებისა და უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესები განსხვავებულია. მათი განუსხვავებლობა აზრთა გაუგებრობას ქმნის. მაგალითად, მიუთითებენ კატეგორიის ცნების განსაზღვრის ერთ-ერთ სიძნელეზე — რომ კატეგორიის ცნების განსაზღვრა შეუძლებელია უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესის საშუალებით. განსაზღვრების აღნიშნული წესი გულისხმობს ცნებათა მოცულობით ვანსხვავებულობას, მაშინ, როდესაც კატეგორიის ცნების სფეროში მოცულობითი განსხვავებულობა გამორიცხულია (მიზეზის, შედეგის, არსებისა და სხვ. კატეგორიათა განსაზღვრა უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით შეუძლებელია). აქ, როგორც ჩანს, ერთმანეთშია არეული კატეგორიის ცნებისა და ცალკეულ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესები.

კატეგორიის ცნების ანუ კატეგორიის განსაზღვრების წესი და ცალკეულ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან ისე, როგორც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კატეგორიის ცნება და ცალკეული ფილოსოფიური კატეგორიები. ფლოსოფიური კატეგორია მრავალია, მრავალია უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიაც. უზოგადესი კატეგორიები, რომლებიც სინამდვილის უზოგადეს მხარეებს გამოთქვამენ, ისევე მრავალია, როგორც თვით სინამდვილის უზოგადესი მხარეები. მაგრამ კატეგორიის ცნება ერთია. ის, თუ რა არის კატეგორია, არის კატეგორიის ცნება ანუ კატეგორიის კატეგორია. ამ უკანასკნელის განსაზღვრების წესი განსხვავდება კატეგორიათა განსაზღვრების წესისაგან. კატეგორიის ცნების განსაზღვრა — კატეგორია არის უზოგადესი ცნება —შესრულებულია უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით. აღნიშნულ განსაზღვრებაში კატეგორიის გვარია ცნება. კატეგორია ცნების სახეა.

ყოველი კატეგორია არის ცნება, მაგრამ არა ყოველი ცნება, არამედ მხოლოდ ზოგიერთი ცნებაა კატეგორია. აქედან მხოლოდ ზოგიერთი ცნებაა ფილოსოფიური კატეგორია. კიდევ უფრო ზუსტად — მხოლოდ ზოგიერთი ფილოსოფიური კატეგორიაა უზოგადესი. ამ უკანასკნელის მიხედვით ვამბობთ, რომ კატეგორია არის უზოგადესი ცნება. მხოლოდ მას აქვს უზოგადესი ზოგადობა აბსოლუტური უზოგადესობის მნიშვნელობით. კატეგორიის განსაზღვრებაში სწორედ ეს აბსოლუტური უზოგადესობაა სპეციფიკური ნიშანი. სპეციფიკური ნიშნით — აბსოლუტური უზოგადესობით — ხასიათდება უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები და არა საერთოდ ფილოსოფიური კატეგორიები. არ შეიძლება ზოგადი დებულების სახით ითქვას, რომ ყოველი ფილოსოფიური კატეგორია აბსოლუტურად უზოგადესია. გარდა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიებისა, არის ისეთი ფილოსოფიური კატეგორიებიც, რომლებსაც მათზე უზოგადესი გვარი გააჩნიათ. მაგალითად, ასახვის, ჰეშმარიტების და სხვ. კატეგორიები ფილოსოფიური კატეგორიებია, მაგრამ არა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები. უდავოა, რომ ჰეშმარიტება ფილოსოფიური კატეგორიაა. მაგრამ მას უფრო უზოგადესი გვარი გააჩნია. ფაქტია, რომ ფილოსოფიური კატეგორიები მოცულობით ზოგადობის მხრივ ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. აქედან გამომდინარე მცდარია მტკიცება: ყველა ფილოსოფიური კატეგორია უზოგადესია და არც ერთ ფილოსოფიურ კატეგორიას არა აქვს მასზე უფრო უზოგადესი გვარი. ზოგადობით უზოგადესობა აბსოლუტური მნიშვნელობით ყველა უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიას განასხვავებს სხვა კატეგორიათა უზოგადესობისაგან. ამიტომაც კატეგორიის ცნების ცნობილი განსაზღვრება — კატეგორია არის უზოგადესი ცნება — უშუალოდ ეხება არა უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს, არამედ კატეგორიის ცნებას. რა თქმა უნდა, ყოველი კატეგორია ზოგადია. კატეგორიის ზოგადობა კი უზოგადესი ზოგადობაა, მაგრამ ეს უზოგადესი ზოგადობაც შეფარდებითი მნიშვნელობისაა; მაგალითად, სინამდვილის მხოლოდ რომელიმე ერთი სფეროს გამომხატველ კატეგორიებზე ვამბობთ, რომ ისინი უზოგადესია. ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიები უზოგადესია გარკვეული სინამდვილის მიმართ; ასევე გარკვეული სინამდვილის მიმართ უზოგადესია პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებიც, ყოველ მეცნიერებას აქვს თავისი კატეგორია, რომელიც მის სფეროშია უზოგადესი, მაგრამ კონკრეტულ მეცნიერებათა არც ერთი კატეგორია და თვით მრავალი ფილოსოფიური კატეგორიაც

არ არის უზოგადესი აბსოლუტური მნიშვნელობით. უზოგადესის ცნება აბსოლუტური უზოგადესობის გარეშე არ არის უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა შესატყვისი. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ განსაზღვრება —კატეგორია არის უზოგადესი ცნება — გამოადგება როგორც ფილოსოფიის, ასევე ყველა სხვა მეცნიერების კატეგორიას. ამიტომაც არისტოტელეს მიერ მოცემული აღნიშნული განსაზღვრება ვერ აჩვენებს უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა ბუნებას. მართალია, მიუთითებენ იმაზე, რომ არისტოტელეს კატეგორიის აღნიშნულ განსაზღვრებაში ესმოდა მხოლოდ ფილოსოფიური კატეგორიებიო. მაგრამ ეს მოცემულ განსაზღვრებაში არ ჩანს და თანაც ცნობილია, რომ, არისტოტელე თავის „კატეგორიებში" ჩამოთვლის ათ კატეგორიას, რომელთაგან ზოგიერთი სრულიადაც არ არის ფილოსოფიური და მით უმეტეს უზოგადესი ფილოსოფიური. ამდენად, კატეგორიის ცნების განსაზღვრება — კატეგორია არის უზოგადესი ცნება — სწორია და მისაღები საერთოდ კატეგორიებისათვის, მაგრამ იგი ვერ აჩვენებს უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა სპეციფიკურობას და მათ მიმართებას ასასახ ობიექტთან. ამიტომაც საჭიროა მისი განსაზღვრა ამ მიმართებითაც, სხვაგვარად — ასასახ ობიექტთან მიმართებაში ნაჩვენები უნდა იქნეს, თუ რა არის ის სპეციფიკური, რაც უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს განასხვავებს ყველა სხვა კატეგორიისაგან.

1. ფილოსოფიურ ლიტერატურაში უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ძირითადი განსაზღვრებანი შემდეგია: კატეგორია არის ისეთი ცნება, რომელშიც ასახულია მატერიალური სამყაროს (ობიექტური სამყაროს, საგანთა და მოვლენათა) უზოგადესი თვისებები, კავშირები; კატეგორია არის ცნება, რომელშიაც ასახულია სინამდვილის კანონზომიერების უზოგადესი, უძირითადესი ობიექტური მიმართებანი და კავშირები; მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები არის უზოგადესი კავშირების ასახვა; ფილოსოფიური კატეგორიები — ეს ყველაზე ზოგადი ცნებებია ბუნებისა და საზოგადოების შესახებ, რომლებიც ასახავენ მატერიალური სამყაროს ყველა საგნისა და მოვლენის ზოგად და არსებით ნიშნებსა და კავშირებს; მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები არის მატერიალური სამყაროს არსებითი კავშირების ასახვა. ამ განსაზღვრებათა ირგვლივ თავსდება თითქმის ყველა სხვა განსაზღვრება.

აღნიშნული განსაზღვრებანი მიუთითებენ, რომ კატეგორია არის ისეთი ცნება, რომელშიც ასახულია მატერიალური სამყაროს

უზოგადესი კავშირები, არსებითი კავშირები და სხვ. ისინი სწორია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მითითებულია კატეგორიაზე, როგორც სინამდვილის ასახვაზე, მაგრამ, ჩვენი აზრით, არც ერთი მათგანი არ არის უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნების განსაზღვრა მის შესაბამის ასასახ ობიექტთან მიმართებაში.

2. საკითხის ნათელსაყოფად აღნიშნული განსაზღვრებებიდან პირველ რიგში განვიხილოთ უკანასკნელი — მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები მატერიალური სამყაროს არსებითი კავშირების ასახვაა. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნების ასეთი განსაზღვრა ლოგიკურ შეცდომას ემყარება, განსასაზღვრი ობიექტი სხვა ობიექტითაა შეცვლილი. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნების განსაზღვრების ნაცვლად უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა კავშირის ცნებაა განსაზღვრული. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიისა და კატეგორიათა კავშირის ცნებები კი ორი, ერთიმეორისაგან განსხვავებული, ცნებაა. ამიტომაც ამ განსაზღვრებაში არაფერია ნათქვამი თვით უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნებაზე. ამავე დროს იგი ფაქტიურად არც უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა კავშირის ცნების განსაზღვრაა. გარდა ამისა, აღნიშნული განსაზღვრება ვერ აკმაყოფილებს განსაზღვრების ერთ-ერთ ძირითად პირობას — გამიჯნოს განსასაზღვრი ცნება სხვა ცნებისაგან მისი ობიექტის თავისებურებების ჩვენების გზით. პირველ რიგში ეს ვლინდება იმაში, რომ აღნიშნულ განსაზღვრებაში უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა კავშირის ცნება არაა გამიჯნული ზოგად და კერძო კატეგორიათა კავშირის ცნებისაგან. ზოგად და კერძო კატეგორიათა კავშირებიც ხომ არსებითი კავშირების ასახვაა. მეორე —მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა კავშირის ცნება არაა გამიჯნული მეცნიერებათა კანონების, როგორც არსებითი კავშირების ასახვისაგან. თუ ვიტყვით, რომ მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა კავშირები, კანონები არის არსებითი კავშირების ასახვა, მაშინ გამოდის, რომ მეცნიერებათა კანონები არაარსებითი კავშირების ასახვაა. ხოლო, თუ მეცნიერებათა კანონებიც არსებითი კავშირების ასახვაა (რაც უდავოდ ასეა), მაშინ არავითარი განსხვავება არ ყოფილა მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიებსა და მეცნიერებათა კანონებს შორის. არის თუ არა, მართლაც, ყველა მეცნიერების კანონები არსებითი კავშირის ასახვა? რა თქმა უნდა, არის. მეცნიერება, იქნება იგი დიალექტიკური მატერიალიზმი, თუ სხვა კონკრეტული მეცნიერება, არაარსებითი კავშირებით არაა და-

ინტერესებული. ყველა მეცნიერების კანონი არსებითი კავშირების ასახვაა და მას არსებითი კავშირები აინტერესებს.

მაშასადამე, მატერიალისტურ დიალექტიკის კატეგორიათა კავშირებში ასახული არსებითი კავშირები და მეცნიერებათა კანონებში ასახული არსებითი კავშირები ა რ ს ე ბ ი თ ო ბ ი ს მხრივ ერთნაირი ნიშანთვისების არიან. სწორედ იმის გამო, რომ არა მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა კავშირები, არამედ ყოველი მეცნიერების კანონები არსებითი კავშირების ასახვაა, კატეგორიის აღნიშნული განსაზღვრება ვერ გვაძლევს განსასაზღვრი ცნების ობიექტის გამიჯვნას სხვა ცნების ობიექტისაგან.

3. განსაზღვრება — მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები სინამდვილის უზოგადესი კავშირების ასახვაა, ერთი მიმართებით თავიდან გვაცილებს ზემოაღნიშნული განსაზღვრების ნაკლოვანებებს. ასეთ განსაზღვრებაში ნაჩვენებია უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა კავშირებში ასახულის განსხვავება ზოგად და კერძო კატეგორიათა კავშირებში ასახულისაგან. ამ განსაზღვრებაში მართებულად ესმება ხაზი იმას, რომ მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა კავშირები ყოველგვარი არსებითი კავშირის ასახვა კი არ არის, არამედ უზოგადესი კავშირების ასახვაა. მაგრამ საკითხავია, განსაზღვრება — მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები სინამდვილის უზოგადესი კავშირის ასახვაა — არის თუ არა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების ცნების განსაზღვრა მის შესაბამის ობიექტთან კავშირში? რა თქმა უნდა, არა. აქაც ფაქტიურად უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა კავშირის ცნებაა განსაზღვრული, მის შესაბამის ობიექტზეა მითითებული და არა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნება ობიექტთან მისი მიმართებით. უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა კავშირის ცნების მიმართ აღნიშნული განსაზღვრება უდავოდ მართებულია და მისაღები. მატერიალისტური დიალექტიკის პოლარულად დაპირისპირებულ კატეგორიებში, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში, მართლაც სინამდვილის უზოგადესი კავშირებია ასახული.

4. განსაზღვრა — კატეგორია არის ისეთი ცნება, რომელშიც ასახულია მატერიალური სამყაროს უზოგადესი კავშირები. კანონები — უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს, როგორც ცნებებს, არ ეხება. მატერიალისტური დიალექტიკის ცალკეულ კატეგორიებში არ არის ასახული მატერიალური სამყაროს კანონები. მიზეზის, შედეგის, შინაარსის, ფორმის, არსების, მოვლენის, შესაძლებლობის, სინამდვილისა და სხვა უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგო-

რიებში არ არის ასახული კავშირის კანონები. მიზეზი და შედეგი, შინაარსი და ფორმა..., მართალია, ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი, მაგრამ არც მიზეზი და არც შედეგი, არც შინაარსი და არც ფორმა, ცალცალკე აღებული, არ წარმოადგენენ მოვლენათა კავშირის კანონებს. სამყაროს კავშირები, კანონები, კატეგორია როგორც ცნებაში კი არა, კატეგორიათა კავშირშია ასახული, რომელიც მსჯელობითაა გამოთქმული; წყვილ კატეგორიათა შესაბამისი მხარეების აუცილებელი კავშირების კანონები მსჯელობით გამოითქმება. ეს საკითხი მოითხოვს კანონისა და კატეგორიის დამოკიდებულების მოკლე დახასიათებას.

კანონისა და კატეგორიის ცნებას როგორც განსხვავებული, ასევე მსგავსი ნიშნები ახასიათებს. კანონისა და კატეგორიის ცნებას ერთიმეორისაგან განასხვავებს მათ მიერ ასასახ მხარეთა განსხვავებულობა. კატეგორია კანონისაგან განსხვავებით სინამდვილის განსხვავებულ მხარეს ასახავს, ხოლო კანონი — კატეგორიისაგან განსხვავებულ მხარეს. მაშასადამე, ამ განსხვავებულ ცნებათა განსხვავებულობის საფუძველი თვით ასასახ მხარეთა განსხვავებულობაშია. კატეგორია სინამდვილის ერთ რომელიმე მხარეს ასახავს. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია (კატეგორიები) კი სინამდვილის ერთ უზოგადეს მხარეს ასახავს, კანონი კი არ არის სინამდვილის ერთი რომელიმე მხარის ასახვა. კანონში ყოველთვის ასახულია განსხვავებულ მხარეთა კავშირი; კანონში ყოველთვის კავშირი, მიმართებაა ასახული. „კანონი არის მიმართება". კანონი არის აუცილებელი, არსებითი კავშირების ზოგადობის ფორმა. კატეგორია არ არის განსხვავებულ მხარეთა კავშირების ასახვა. კატეგორია, როგორც ცნება, არ ასახავს განსხვავებულთა კავშირებს და აქედან გამომდინარე თვით კანონს. მაგალითად, მიზეზის, შედეგის, შინაარსის, ფორმის და სხვ. ცალკეულ კატეგორიებში, როგორც ვთქვით, არავითარი კავშირი არ არის ასახული. აღნიშნული კატეგორიები, როგორც ცნებები, როცა მსჯელობის ფორმაში გვეძლევა, მაშინ არის არსებითი კავშირების, კანონების ასახვაც, მაგალითად, მიზეზისა და შედეგის აუცილებელი კავშირი — მიზეზი განსაზღვრავს შედეგს, შინაარსისა და ფორმის აუცილებელი კავშირი — შინაარსი განსაზღვრავს ფორმას და სხვ., მსჯელობებია. ამ მსჯელობაში ასახულია აუცილებელი კავშირების კანონები. მიზეზისა და შედეგის აუცილებელი კავშირი მიზეზი განსაზღვრავს შედეგს, შინაარსისა და ფორმის აუცილებელი კავშირი შინაარსი განსაზღვრავს ფორმას, — კანონია, რაც გამოითქმის მსჯელობით და არა კატეგორიით,

როგორც ცნებით. ამიტომაც არ უნდა გავაიგივოთ კატეგორია, როგორც ცნებით გამოთქმული, მსჯელობით გამოთქმულთან. ამგვარად, შინაარსის კატეგორია, ფორმის კატეგორია არავითარ კანონს არ ასახავს, თუმცა კატეგორიაა; რაც შეეხება შინაარსისა და ფორმის აუცილებელ კავშირს, იგი სინამდვილის ერთ-ერთი უზოგადესი კავშირია. ეს უზოგადესი კავშირი ამ სინამდვილის კანონიცაა. შინაარსი განსაზღვრავს ფორმას — სინამდვილის უზოგადესი კანონია. ეს კანონი ასახულია შინაარსისა და ფორმის კატეგორიების კავშირში და გამოთქმულია მსჯელობით.

შეიძლება შეგვედავონ — კანონის კატეგორია აბა რას ასახავს, თუ არა კავშირს? რა თქმა უნდა, კანონის კატეგორია კავშირის ასახვაა, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს თვით კანონის კატეგორიის სპეციფიკურობის მაჩვენებელია, კ ა ნ ო ნ ი ს როგორც კატეგორიის და არა კ ა ტ ე გ ო რ ი ი ს ა. მეორე, კანონის კატეგორია განსხვავდება მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიებისაგან. განმასხვავებელ ნიშნად საკმარისია დავასახელოთ, რომ კანონის კატეგორია არ არის თანაფარდობითი, წყვილადი კატეგორია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეცდომად მიიჩნევენ შეხედულებას — შინაარსი განსაზღვრავს ფორმას კანონია. შეცდომის არგუმენტად მიუთითებენ, რომ კანონი ისევე არ არის მსჯელობა, როგორც არ არის და არც შეიძლება იყოს იგი ცნება ან კატეგორია. მართალია, ყოველი კანონი მსჯელობით გამოითქმის, მაგრამ ამის გამო მსჯელობა კანონად არ იქცევაო. ასეთი არგუმენტი, ჩვენი აზრით, მიზანს ვერ აღწევს. როცა ვამბობთ —მიზეზი განსაზღვრავს შედეგს, კანონია, ეს კანონი მისი შესაბამისი მსჯელობით გამოითქმის და არა ცალ-ცალკე აღებული მიზეზისა და შედეგის კატეგორიით. შემდეგ, კანონი არ არის მსჯელობა (ცნება, კატეგორია) და კანონი არ გამოითქმის ცნებით, ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული აზრია. რაც მთავარია, საეჭვოა ვინმე ამკვნიდეს, რომ რადგან ყოველი კანონი მსჯელობით გამოითქმის, ამიტომ ყოველი მსჯელობა კანონს გამოთქვამს, ან იმის გამო, რომ ყოველი კანონი მსჯელობით გამოითქმის, **მსჯელობა კანონად იქცევა**. ყოველი მსჯელობა არ გამოთქვამს კანონს და არც ერთი მსჯელობა არ იქცევა კანონად, კანონი გამოითქმის მსჯელობით. ზოგიერთი მსჯელობა გამოთქვამს კანონს.

მაშასადამე, ასასახი მხარისა და შინაარსის მიხედვით კანონი და კატეგორია ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. სინამდვილის ერთი

მხარე და სინამდვილის განსხვავებულ მხარეთა კავშირი განსხვავებული ფორმითაა არსებული. მეცნიერებათა კანონებში ასახული, კატეგორიებში ასახულისაგან განსხვავებით, მსჯელობის ფორმაში გამოითქმება. კატეგორიაში ასახული ყოველთვის ცნების ფორმაშია გამოთქმული. ამიტომაც არის იგი ცნების და არა მსჯელობის გარკვეული სახე. ასეთი განსხვავება კანონსა და კატეგორიას შორის იმაზე მიუთითებს, რომ არ შეიძლება ცალკეული კატეგორიის არევა კატეგორიათა კავშირის ცნებასთან, რომელიც, როგორც კანონი, მსჯელობით გამოითქმის. ყოველივე ამის გამო ცდება ის, ვინც ამბობს. კატეგორია კანონის ასახვაა, ან ყოველი კატეგორია კანონია. ცალკეული კატეგორიები რომ კანონს არ ასახავენ და არც კანონს წარმოადგენენ, ეს გარკვევით ჩანს ისეთ უზოგადეს კატეგორიებში, როგორიცაა რაოდენობრიობისა და თვისობრიობის კატეგორიები. ეს კატეგორიები ერთიმეორისაგან აუცილებელი კავშირის გარეშე არავითარი კანონის ასახვას არ წარმოადგენენ. ისინი, როგორც კატეგორიები, ასახავენ სინამდვილის ერთ უზოგადეს მხარეს — სინამდვილის რაოდენობრივ და თვისობრივ მხარეს. მაგრამ რაოდენობრიობა და თვისობრიობა, როგორც კატეგორია ჯერ კიდევ არ არის კანონის ასახვა. მხოლოდ მათი აუცილებელი კავშირია დიალექტიკის ერთ-ერთი უზოგადესი კანონის ასახვა.

ცალკეულ კატეგორიებში კანონი არ არის ასახული, ისინი კანონს არ წარმოადგენენ. ეს კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს შემთხვევითობის კატეგორიაში, რომელიც სინამდვილის ერთ უზოგადეს მხარეს ასახავს, მაგრამ თვითონ არც კანონს ასახავს და არც კანონს წარმოადგენს.

ეს ერთი ფაქტიც საკმარისი იქნებოდა იმ ზოგადი დებულების უარსაყოფად, რომ თითქოს კატეგორია კანონს ასახავს ან კანონია. აქედან გამომდინარე მცდარია ის შეხედულება, რომელიც მიიჩნევს, რომ არავითარი განსხვავება არ არის კანონსა და კატეგორიას შორის. ამ უკანასკნელთ გააჩნიათ ზოგიერთი საერთო ნიშანი, მაგრამ აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, თითქოს კატეგორია და კანონი იგივეობრივი იყოს, რომ ყოველი კატეგორია კანონს გამოთქვამდეს. რამდენადაც კატეგორიით და კატეგორიათა კავშირით სხვადასხვა რამ არის ასახული, რამდენადაც კატეგორიათა კავშირში ასახული ყოველთვის მსჯელობით გამოითქმება, ხოლო კატეგორიაში ასახული, კატეგორია როგორც ცნებით, ამდენად მათ შორის ლოგიკური განსხვავებულობაც არის. უფრო ზუსტად: ლოგიკურის თვალსაზრისით კატეგორიასა და კანონს შორის განსხვავე-

ბულია გამოთქმის ფორმა: კატეგორიაში ასახული ყოველთვის ცნების ფორმით, ხოლო მეცნიერების კანონში ასახული მსჯელობის ფორმით გამოითქმის. ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ უ ზ ო გ ა დ ე ს ი ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი ა რ ა ს ა ხ ა ვ ე ნ უ ზ ო გ ა დ ე ს ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს კ ა ნ ო ნ ე ბ ს, უ ზ ო გ ა დ ე ს ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს კ ა ნ ო ნ ე ბ ი ა ს ა ხ უ ლ ი ა უ ზ ო გ ა დ ე ს ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ კ ა ტ ე გ ო რ ი ა თ ა კ ა ვ შ ი რ ში.

5. კატეგორიათა ზემოდასახელებული განსაზღვრებანი, სახელდობრ: კატეგორია არის ისეთი ცნება, რომელშიც ასახულია მატერიალური სამყაროს უზოგადესი თვისებები, კავშირები; მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები არის მატერიალური სამყაროს არსებითი კავშირების, უზოგადესი კავშირების ასახვა; ფილოსოფიური კატეგორიები—ეს ყველაზე ზოგადი ცნებებია ბუნებისა და საზოგადოების შესახებ, რომლებიც ასახავენ მატერიალური სამყაროს ყველა საგნისა და მოვლენის ზოგად და არსებით ნიშნებს და კავშირებს — ზოგიერთის აზრით, ზუსტად არისტოტელისეული განსაზღვრებაა, ოღონდ სხვა სიტყვებით გადმოცემული. სინამდვილეში კი, დასახელებული განსაზღვრებებიდან არცერთი ოდნავადაც არ ემსგავსება არისტოტელეს განსაზღვრებას. არისტოტელეს მიერ მოცემული განსაზღვრება — კატეგორია არის უზოგადესი ცნება, თვით კატეგორიის ცნების განსაზღვრებაა, ხოლო ჩამოთვლილ განსაზღვრებებში, აშკარად განსაზღვრულია კატეგორიის ცნების მაგივრად კატეგორიათა კავშირის ცნება. ე. ი. ისინი სრულიად განსხვავებული ცნებებია და მათი გაიგივება არ შეიძლება.

II. თითოეულ კატეგორიაში მეცნიერებათა საგნის შესაბამისი მხარეებია ასახული. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები სინამდვილის უზოგადეს მხარეებს ასახავენ. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია ეწოდება ისეთ ცნებას, რომელშიც ასახულია სამყაროს, როგორც მთლიანის, უზოგადესი მხარე.

1. მეცნიერებათა კატეგორიების განსხვავებულობის საფუძველი თვით ამ მეცნიერებათა საგნის განსხვავებაში უნდა ვეძიოთ. სხვაგვარად, მეცნიერებათა კატეგორიებს ერთმანეთისაგან განასხვავებს თვით მეცნიერებათა საგანი. განსხვავებულ მეცნიერებათა საგანი განსხვავებულ მეცნიერებათა კატეგორიებს ქმნის. ცალკეულ მეცნიერებათა კატეგორიები თვით ამ მეცნიერებათა საგნის უზოგადესი მხარეების გამოთქმული ცნებებია. ამ დებულების დასაბუთება ცხადყოფს კატეგორიათა განსხვავებულობას მეცნიერებათა საგნის მიხედვით. მაგალითისათვის მივმართოთ ისეთ საზოგადოებრივ

მეცნიერებებს, როგორიცაა ისტორიული მატერიალიზმი და პოლიტიკური ეკონომია. აღნიშნულ მეცნიერებათა ობიექტია საზოგადოება, საზოგადოებრივი მოვლენები, მაგრამ ამ ერთ ობიექტში — საზოგადოებაში მათი საგანი განსხვავებულია. ეს განსხვავებული საგანი ქმნის განსხვავებულ მეცნიერებებს, განსხვავებულ მეცნიერებათა კატეგორიებს.

საზოგადოებრივ მეცნიერებებს, რომლებიც ერთმანეთისაგან თავიანთი საგნით განსხვავდებიან, განსხვავებული და თავიანთი საგნის შესაბამისი კატეგორიები აქვთ. მაგალითად, ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიები ასახავენ მხოლოდ საზოგადოების, როგორც მთლიანის, უზოგადეს მხარეებს და არა სამყაროს, როგორც მთლიანის უზოგადეს მხარეებს. მაგალითად, ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიები: საზოგადოებრივი ყოფიერების, საზოგადოებრივი ცნობიერების, ბაზისის, ზედნაშენისა და სხვა, სამყაროს, როგორც მთლიანის, უზოგადეს მხარეებს კი არა, სინამდვილის ერთი ნაწილის — საზოგადოების უზოგადეს მხარეებს ასახავენ. ამიტომაც ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიები უზოგადესია სინამდვილის მხოლოდ ერთი განსაზღვრული სფეროს, და არა მთელი სინამდვილის მიმართ.

პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიები საზოგადოების უზოგადეს მხარეებს კი არ ასახავენ, არამედ საზოგადოების ერთ-ერთი სფეროს უზოგადეს მხარეს. სახელდობრ, პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებში ასახულია საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობათა უზოგადესი მხარეები. კ. მარქსი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიები მხოლოდ წარმოებით ურთიერთობათა თეორიული გამოხატულებანი არიან. თქმა იმისა, რომ პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიები მხოლოდ წარმოებით ურთიერთობათა თეორიული გამოხატულებაა, ცხადად მიუთითებს, რომ ისინი საერთოდ საზოგადოების უზოგადეს მხარეებს კი არ გამოხატავენ, არამედ საზოგადოების წარმოებით ურთიერთობათა უზოგადეს მხარეებს; მეორე, აღნიშნული განსაზღვრებით გარკვევითაა ნაჩვენები პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიათა სპეციფიკურობა, განსხვავებით საერთოდ კატეგორიებისაგან. სწორედ ასევე, საერთოდ კატეგორიისაგან განსხვავებით, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებსაც აქვთ მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანი.

2. თუ კონკრეტულ მეცნიერებათა კატეგორიებში მათი საგნის შესაბამისად ასახულია ან მხოლოდ ბუნების, ან მხოლოდ საზოგა-

დოების, ან მხოლოდ აზროვნების უზოგადესი მხარეები, ან კონკრეტულ მეცნიერებათა კატეგორიებში ასახულია ბუნების ან საზოგადოების რომელიმე სფეროს უზოგადესი მხარეები, ამათგან განსხვავებით უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში ასახულია სამყაროს, როგორც მთლიანის, ანუ მთელი სინამდვილის უზოგადესი მხარეები.

უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში ასახულია სამყაროს, როგორც მთლიანის, ერთი რომელიმე უზოგადესი მხარე. მაგალითად, მიზეზის, შედეგის, შინაარსის, ფორმისა და ა. შ. უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში ასახულია სამყაროს, სინამდვილის არა რომელიმე ერთი სფეროს უზოგადესი მხარეები, არამედ სამყაროს, როგორც მთლიანის, უზოგადესი მხარეები. არსებითი განსხვავება უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებსა და ზოგად, კერძოობით კატეგორიებს შორის ის არის, რომ ეს უკანასკნელნი ვერ ასახავენ სამყაროს უზოგადეს მხარეებს, რომლებიც აბსოლუტურად უზოგადესი მხარეებია. ეს აბსოლუტურად უზოგადესი მხარეებია ასახული აბსოლუტურად უზოგადეს ანუ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში.

თითოეულ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიაში ის უზოგადესი მხარეა ასახული, რომელიც სამყაროს, როგორც მთლიანის, ყველა სფეროს ეხება. მაგალითად, შინაარსის კატეგორია ასახავს იმ უზოგადეს მხარეს, რომ ყოველი საგნის, მოვლენის ერთი უზოგადესი მხარე შინაარსია; შინაარსის გარეშე არ არსებობს არც ერთი საგანი, მოვლენა; ფორმის კატეგორია ასახავს იმ უზოგადეს მხარეს, რომლის გარეშე არ არსებობს არცერთი საგანი, მოვლენა; ფორმა არის ყოველი საგნის, მოვლენის ერთი უზოგადესი მხარე. არსების კატეგორია ასახავს სინამდვილის იმ უზოგადეს მხარეს, რომ ყოველ საგანს, ყოველ მოვლენას, როგორიც არ უნდა იყოს იგი, გააჩნია ერთი უზოგადესი მხარე, არსება. იგივე ითქმის ყველა უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიაზე, რომლებიც სინამდვილეს ასახავენ მხოლოდ ერთი მხრით: შინაარსის კატეგორია შინაარსის მხრით, ფორმის კატეგორია ფორმის მხრით და ა. შ. ამგვარად, უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები სამყაროს, როგორც მთლიანის, უზოგადესი მხარეების ასახვაა.

უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები, როგორც ვთქვით, არის აბსოლუტურად უზოგადესი ცნებები. ამ ნიშნით კატეგორიათა ეს ჯგუფი განსხვავებულია ყველა სხვა კატეგორიისაგან. ამის გამოც მტკიცება, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიე-

ბისათვის საერთოდ დამახასიათებელია უზოგადესობა (უზოგადესობა გაგებულია აბსოლუტური მნიშვნელობით), არ არის მართებული, ვინაიდან არის მრავალი ფილოსოფიური კატეგორია, რომელიც აბსოლუტურად უზოგადესი არ არის; მაგალითად, ასახვა, ჰეშმარიტება და სხვ.

უზოგადესის ცნება აბსოლუტურად უზოგადესის მნიშვნელობით არის მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა დამახასიათებელი ნიშანი. ამიტომაც ეს ნიშანი არ ვრცელდება კატეგორიათა სხვა ჯგუფებზე, იქნება იგი კერძო მეცნიერებათა თუ ზოგიერთი ფილოსოფიური კატეგორიაც. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, არ არის მართებული, რომ აბსოლუტური უზოგადესობის ნიშანი კერძო (სპეციალურ) მეცნიერებათა კატეგორიების მიმართაც ძალაშია და ამიტომ იგი ვერ იქნება საკმაო საფუძველი ფილოსოფიის კატეგორიათა სპეციფიკის დაფუძნებისათვის. მაგალითად, მითითებულია: მათემატიკაში წერტილის, ხაზის, რიცხვის; ფიზიკაში მასის, ენერგიის ცნებები უზოგადესი ცნებებია, რომლებიც მიეწერება სინამდვილის ყოველ გარკვეულობას და უზოგადესობის (უზოგადესობა აქ გულისხმობს აბსოლუტურ უზოგადესობას, ვინაიდან იგი ეხება სინამდვილის ყოველ გარკვეულობას) ნიშანი კერძო მეცნიერებათა კატეგორიების მიმართაც ძალაშია, რის გამოც იგი არ არის სპეციფიკური მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიებისათვისო. ნუთუ, მათემატიკისა და ფიზიკის დასახელებული კატეგორიები (ცნებები) მიეწერება სინამდვილის ყოველ გარკვეულობას, მხარეს? რა თქმა უნდა, არა! წერტილის, ხაზის, რიცხვის, მასის, ენერგიის ცნებები სრულიად არ მიეწერება ისეთ გარკვეულობებს როგორიცაა საზოგადოება, აზროვნება. აღნიშნული ცნებები მხოლოდ ბუნების გარკვეული მხარეების ასახვას წარმოადგენენ და მხოლოდ მას შიეწერებიან, ამიტომაც როგორი ბუნებისაც უნდა იყოს მათემატიკისა და ტექნიკის ცნებები, ისინი სრულიადაც არ არიან უზოგადესი აბსოლუტური მნიშვნელობის. ყოველივე ამის გამო მცდარია მტკიცება — აბსოლუტური უზოგადესობით ხასიათდება მათემატიკისა და ფიზიკის ზოგიერთი კატეგორია და იგი არ გამოდგება სპეციფიკურ ნიშნად მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების განსასხვავებლად საერთოდ კატეგორიებისაგან.

III. პოლარული დაპირისპირებულობა (ურთიერთდაპირისპირებულობა), როგორც უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესი: 1. უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები გან-

სხვავდებიან ზოგადი და კერძო კატეგორიებისაგან. ყველა კერძო და ზოგადი კატეგორია გვარეობითია. ამიტომ ისინი სახეგვარეობითს დამოკიდებულებაში არიან ერთიმეორესთან. ამგვარი ბუნებით არ ხასიათდებიან უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები. იმის გამო, რომ ზოგადსა და კერძო კატეგორიებს რამდენიმე ნიშანი აქვთ და ამ ნიშანთა სიმრავლის საფუძველზე ერთიმეორესთან სახეგვარეობითს დამოკიდებულებაში არიან, მათთვის გამოსადეგია უახლოესი გვარისა და სახეობრივი (სპეციფიკური) განსხვავებულობის საშუალებით განსაზღვრება. მაგრამ ყოველი ცნება ამ წესით არ განისაზღვრება. ამ წესით არ განისაზღვრება ცნებები, რომლებსაც არა აქვთ გვარი, ცნებები, რომლებსაც გვარი არა აქვთ, მხოლოდ და მხოლოდ უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები არიან, მხოლოდ ისინი ხასიათდებიან ერთი უზოგადესი ნიშნით; თითოეული უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია ხასიათდება ერთი უზოგადესი ნიშნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ამ კატეგორიებს რამდენიმე ნიშანი აღმოაჩნდებოდა, მაშინ ერთი მათგანი გვარი იქნებოდა, რაც თვით კატეგორიათა ბუნების უარყოფაა. მაგრამ, მეორე მხრივ, არც იმის მტკიცებაა სწორი, რომ თითქოს კატეგორიებს საერთოდ არა აქვთ ერთზე მეტი ნიშანი და არც გვარი გააჩნიათ. ზოგადი და კერძო კატეგორიები ერთზე მეტი ნიშნით ხასიათდებიან და, ამდენად, გვარიც აქვთ. ის ცნებები, რომლებიც გვარით არ ხასიათდებიან და მხოლოდ ერთი უზოგადესი ნიშანი აქვთ, უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიებია. მიზეზის, შედეგის, შინაარსის, ფორმის, აუცილებლობის, შემთხვევითობისა და სხვ. უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს ერთი უზოგადესი ნიშანი აქვთ. ნამდვილად გაგებული მხოლოდ ერთი შინაარსი, ერთი ფორმა, ერთი აუცილებლობა... არსებობს. იმის გამო, რომ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს ერთი უზოგადესი ნიშანი აქვთ და გვარი არ გააჩნიათ, განსაზღვრების განსხვავებული წესი გააჩნიათ, ვიდრე მრავალი ნიშნისა და გვარის მქონე ცნება — კატეგორიებს. მათ (უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს) განსაზღვრების საკუთარი, მათი ბუნებისათვის მისაღები, განსაზღვრების წესი აქვთ.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში აღიარებულად ითვლებოდა განუსაზღვრელი ცნებების არსებობა. ასეთად თვლიდნენ ცნებებს, რომლებიც არ არიან ერთიმეორესთან სახე-გვარეობითს დამოკიდებულებაში. უფრო ზუსტად განუსაზღვრელად მიაჩნიათ ცნებები, რომლებსაც გვარი არა აქვთ და არ შეიძლება სახეობრივი განსხვავებულობა მოვუძებნოთ. ასეთად აღიარებულია უზოგადესი და

ერთეული ცნებები. მაგალითად, არისტოტელე განუსაზღვრელ ცნებათა ჯგუფს მიაკუთვნებდა ყველა უმაღლეს გვარეობითს ცნებას, ე. ი. კატეგორიებს. უმაღლესი გვარეობითი ცნებები შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სხვებზე გამოითქვას, თვითონ მათზე კი არაფერი გამოითქმის. განუსაზღვრელია, არისტოტელეს აზრით, აგრეთვე ერთეული, ინდივიდუალური ცნებებიც[1]. ერთეულ ცნებათა მიმართ, არსებითად, ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული პლატონს. განსაზღვრება შეიძლება იმისა, რაც რთულია, რაშიც არის სხვადასხვაობა. მარტივის განსაზღვრება შეუძლებელია. რაც ერთია და დაუნაწილებელი, მისი შემეცნება და განსაზღვრება შეუძლებელია[2].

ახალი დროის ფილოსოფიაში საკითხი, თუ რომელი ცნება განისაზღვრება და რომელი არა, სპეციალურად განიხილა ლოკმა. იგი აღნიშნავს: რამდენადაც მე ვიცი, დღემდე არავის არ მიუქცევია ყურადღება, თუ რომელი სიტყვა (ცნება) შეიძლება განისაზღვროს და რომელი არა; ეს კი არის მიზეზი დიდი დავისა და ბუნდოვანი მსჯელობებისა. ერთნი ისეთ ცნებათა განსაზღვრებას მოითხოვენ, რომლებიც საერთოდ არ შეიძლება განისაზღვროს, ხოლო მეორენი უფრო ზოგადი სიტყვის ახსნის საშუალებით და მისი შემოსაზღვრით კმაყოფილდებიან. ლოკის აზრით, ყველა ცნება არ განისაზღვრება; ყველა ცნება რომ განსაზღვრებას ემორჩილებოდეს, მაშინ ეს პროცესი უსასრულობამდე მივიდოდა. თუ ტერმინი ერთი განსაზღვრებისა მუდამ საჭიროა განვსაზღვროთ მეორეთი, მაშინ ბოლოს და ბოლოს, კითხულობს ლოკი, სად უნდა გავჩერებულიყავით? ამიტომაც იდეებისა და სიტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარე ნაჩვენები იქნება, რატომ შეიძლება ზოგიერთი სახელწოდება განისაზღვროს და ზოგიერთი არა. განუსაზღვრელია მარტივი იდეები და მეცნიერებათა ე. წ. ამოსავალი ცნებები. მარტივი იდეები არ შეიძლება განისაზღვროს. ისინი არ ექვემდებარებიან განსაზღვრებას. ლოკი გარკვევით მიუთითებს, თუ რატომ არ განისაზღვრებიან უ მ ა ღ ლ ე ს ი გ ვ ა რ ე ო ბ ი თ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი. აღნიშნული ტერმინები, კატეგორიები თავიანთი შინაარსით მარტივ ტერმინთა კლასს, ანუ მარტივ იდეებს მიეკუთვნებიან. განსასაზღვრი ტერმინი არა მხოლოდ მოცულობით არის ზოგადი, არამედ შინაარ-

---

[1] ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე, მეტაფიზიკა, თბ., 1964, გვ. 177.
[2] П л а т о н, Теэтет, М., 1936, стр. 157 и др.

სითაც უნდა იყოს რთული. ტერმინი, რომლის შინაარსი შედგება მხოლოდ ერთი ნაწილისაგან, მარტივია. უმაღლესი გვარეობითი ცნებები შინაარსით მარტივია, განსაზღვრება კი ნიშნავს დაშლას; ამიტომაც „მარტივი იდეების სახელები არ შეიძლება განისაზღვრონ". მიზეზი ამისა ის არის, რომ განსაზღვრების განსხვავებული ტერმინები განსხვავებულ იდეებს აღნიშნავენ და ამიტომ ყველა ისინი ერთად ვერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოადგენენ იდეას, რომელიც საერთოდ არ იქნებოდა შედგენილი. აი, ამიტომ განსაზღვრებას (რომელიც არაფერია, თუ არა ერთი სიტყვის მნიშვნელობის მითითება სხვა რამდენიმე სიტყვის საშუალებით, რომელნიც არ აღნიშნავენ ერთსა და იმავეს) არა აქვს ადგილი მარტივ იდეებთან[3]. მარტივ ტერმინთა კლასს, ანუ მარტივ იდეებს, მიეკუთვნება არა მხოლოდ უმაღლესი გვარის ცნებები, ე. ი. კატეგორიები, ანაამედ ყველა ის ტერმინიც, რომელიც გამოხატულია ჩვენი მარტივი გრძნობებით ან შთაბეჭდილებებით. ასეთია ტერმინები: მოძრაობა, ფერი, სიწითლე, სითეთრე და ა. შ. ლოკი თავისი აზრის დასასაბუთებლად იხილავს დასახელებულ ცნებებს და გვიჩვენებს ამ ტერმინის განსაზღვრებებს, წარმოდგენილს სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლის მიერ, თან მიუთითებს, რომ არცერთი მათგანი სინამდვილეში არავითარ განსაზღვრებას არ წარმოადგენს. მაგ., სქოლასტიკური განსაზღვრება — „მოქმედება ძალის მქონეა, რამდენადაც ის, ძალაშია"; ადამიანის აზროვნების ჩიხში გამომწყვდევაა. შედარებით უკეთესია მდგომარეობა, — ამბობს ლოკი, — ახლანდელ ფილოსოფიაშია როცა მარტივ იდეებს განსაზღვრავენ მათი მიზეზის ახსნით ან რომელიმე სხვა გზით. ატომისტები განსაზღვრავენ მოძრაობას, როგორც „ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებას". აქ ერთი სინონიმი შეცვლილია მეორით. ვინაიდან „გადაადგილება" სხვა არაფერია, თუ არა მოძრაობა. ატომისტებისათვის რომ ეკითხათ, რა არის „გადაადგილება", სხვაგვარად ვერც განსაზღვრავდნენ. თქმა იმისა, რომ „გადაადგილება არის მოძრაობა ერთი ადგილიდან მეორეზე" არ არის უკეთესი გამოთქმაზე — „მოძრაობა არის გადაადგილება". ასეთი განსაზღვრებანი თარგმანია, სადაც გვაქვს ორი სიტყვა ერთი და იმავე მნიშვნელობისა და ერთი შეცვლილია მეორით, მაგრამ ისინი განსაზღვრებები არ არიან. მარტივი იდეის „სინათლის" პერიპატეტული განსაზღვრება — სინათლე არის გამჭვირვალობის

---

[3] Д. Локк, Избр. философ. произв., т. I, М., 1960, ср. 420—421.

მოქმედება, რამდენადაც ის არის გამჭვირვალობა, ეს უფრო მეტი უაზრობაა, ამბობს ლოკი, ვიდრე მოძრაობის ზემოაღნიშნული განსაზღვრება.

ლოკის მიერ განხილული განსაზღვრებანი მოძრაობისა და სინათლისა, რომლებიც ეკუთვნით სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლებს, მართლაც, კრიტიკას იმსახურებენ, რამდენადაც, როგორც განსაზღვრებანი, ისინი არ აკმაყოფილებენ განსაზღვრების მოთხოვნას. ლოკის სამართლიანი მითითებით, მაგალითად, განსაზღვრება „მოძრაობა არის გადაადგილება", არის ლექსიკონის ტიპის, ამიტომ მოძრაობის, როგორც ცნების (მარტივი იდეის), განსაზღვრებისათვის გამოუსადეგარი; მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ცნება მოძრაობა საერთოდ არ განისაზღვრებოდეს. მართალია, ლოკი თავისი აზრის დასასაბუთებლად მარტივი იდეების განუსაზღვრელობის შესახებ მარტივ იდეათა ისეთ განსაზღვრებებს იხილავს, რომ ისინი, მართლაც, არ არიან განსაზღვრებანი და ამით კიდევ უფრო ამაგრებს თავის დებულებას, მაგრამ ყოველივე ეს საერთოდ მარტივ იდეათა განსაზღვრების შეუძლებლობას ვერ ასაბუთებს. ლოკის მიერ მარტივ იდეებად წოდებული ერთი რიგის ცნებები, რომლებიც უმაღლესი გვარის ცნებებია, შინაარსით, მართლაც, მარტივია; უფრო ზუსტად, ისინი მარტივია იმიტომ, რომ მათ შინაარსში ერთი უზოგადესი ნიშანია და არა რამდენიმე. თუმცა ეს ფაქტი მათი განსაზღვრების შეუძლებლობას ვერ ასაბუთებს. ისინი, რა თქმა უნდა, არ განისაზღვრებიან უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით, რომელიც ცნებაში მრავალ ნიშანს გულისხმობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ მათთვის არ იყოს განსაზღვრების რაიმე წესი. უმაღლესი გვარის ცნებებს, ანუ უზოგადეს კატეგორიებს, განსაზღვრების საკუთარი წესი აქვთ.

რაც შეეხება იმ მეტად გავრცელებულ შეხედულებას, რომლის მიხედვით ერთეული ცნებები არ განისაზღვრებიან იმის გამო, რომ მათ არ შეიძლება სახეობრივი განსხვავებულობა მოვუძებნოთ, არსებითად ემყარება შემდეგ არგუმენტს — მათი განსაზღვრება არ შეიძლება უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით. უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით რომ ყველა ცნების განსაზღვრა შეუძლებელია, ეს მართალია, მაგრამ არ არის სწორი, თითქოს ერთეული ცნებები ამის გამო არ განისაზღვრებოდნენ საერთოდ. მცდარია მტკიცება საერთოდ ინდივიდუალური ცნებების განუსაზღვრელობისა. თუ დავუშვებთ, რომ ერთეულ ცნებათა განსაზღვრა შეუძლებელია, მაშინ ეს უფლებას

მოგვცემდა დაგვესკვნა — მატერიალური სამყაროს უამრავი ნივთის შესახებ ცნებითი ცოდნა არ გვქონია.

ძირითადი არგუმენტი საერთოდ, ერთეულ ცნებათა განსაზღვრების შეუძლებლობის შესახებ წამოყენებული, შემდეგი სახისაა: ერთეულ ცნებებს შეიძლება მოვუძებნოთ უახლოესი გვარი, მაგრამ შეუძლებელია მათთვის სპეციფიკური ნიშნის დადგენა; სპეციფიკურ ნიშანთა დადგენის სიძნელეს ან შეუძლებლობას იწვევს უამრავი სპეციფიკური ნიშნის არსებობა. ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ცნებაში ასახულ სპეციფიკურ ნიშანთა სიმრავლე არა თუ სიძნელეს იწვევს, არამედ, პირიქით, საშუალებას იძლევა იმისას, რომ ამ სპეციფიკური ნიშნებიდან ძირითად ნიშანთა საფუძველზე განსასაზღვრი ცნება განვასხვაოთ სხვა ცნებებისაგან. უამრავი სპეციფიკური ნიშნის არსებობა განსაზღვრების სასარგებლოდ ლაპარაკობს და არა საწინააღმდეგოდ.

ერთეული ცნება ასახავს თავის ობიექტს მთლიანობაში. ცნების ობიექტი უამრავი ნიშნის მქონეა, მაგრამ ცნების შინაარსი, როგორი ინდივიდუალურიც უნდა იყოს ცნების ობიექტი, სპეციფიკური და არასპეციფიკური, განმასხვავებელი და არაგანმასხვავებელი ნიშნებით ხასიათდება. სხვაგვარად: როგორი ერთეულიც უნდა იყოს ცნება, მასში ყოველთვის ასახულია მისი ობიექტის რთული მთლიანობა, რომელიც განმასხვავებელი ნიშნით ხასიათდება, ამიტომაც ეს განმასხვავებელი ნიშანი სპეციფიკურ განმასხვავებელ ნიშნებზე მითითების სრულ შესაძლებლობას იძლევა.

ერთეულ ცნებათა განსაზღვრების საწინააღმდეგოა შემდეგი სახით ფორმულირებული არგუმენტიც: ერთეული ცნებები არ განისაზღვრებიან უახლოესი გვარითა და ს ა ხ ე ო ბ რ ი ვ ი განსხვავებულობის წესით; არ განისაზღვრებიან, ვინაიდან მათ არა აქვთ სახეობრივი განსხვავებულობა. სახეობრივი განსხვავებულობა მას შეიძლება ჰქონდეს, რასაც მოცულობა აქვს, ერთეული ცნებები კი მოცულობის გარეშეა. ასეთი არგუმენტის საწინააღმდეგოდ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთეული ცნებები, მართალია, არ განისაზღვრებიან უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობით, ანუ უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი საერთოდ განუსაზღვრელია. ერთეული ცნებები განისაზღვრებიან განსაზღვრების სხვა წესებით; მაგალითად, ნიშანთა ჩამოთვლით განსაზღვრება, დესკრიპციით განსაზღვრება და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთეულ ცნებათა განუსაზღვრე-

ლობის შესახებ წამოყენებული არგუმენტები ფაქტიურად ეყრდნობა მათი უახლოესი გვარისა და სახეობრივი (სპეციფიკური) განსხვავებულობის წესით განსაზღვრების შეუძლებლობას. ერთეული ცნებები რომ არ განისაზღვრებიან აღნიშნული წესით, ეს არ არის საბუთი მათი საერთოდ განუსაზღვრელობისა.

აქვე რამდენიმე სიტყვით აღვნიშნავთ მეცნიერებათა ე. წ. ამოსავალი ცნებების განუსაზღვრელობის შესახებ. განუსაზღვრელად ითვლებოდა და ითვლება მეცნიერებათა მრავალი ამოსავალი ცნება. ამოსავალი, მარტივი ცნებების განუსაზღვრელობის დასაბუთება განსაზღვრების მოთხოვნებს ეწინააღმდეგება. ეს ცნებები, უდავოდ, განსაზღვრებითაა შესრულებული. თუ მარტივი ცნება ცნებაა. მაშინ შეუძლებელია იგი განსაზღვრების გარეშე იქნეს მიღებული. ცნება ხომ განსაზღვრების გარეშე არ არის ცნება, იგი განსაზღვრებით დგინდება და ამიტომ შეუძლებელია, ამოსავალ, მარტივ ცნებებს განსაზღვრება არ სჭირდებოდეს. სხვა საკითხია, რომ ესა თუ ის ცნება, კატეგორია ამა თუ იმ თეორიაში განსაზღვრების გარეშე შემოდის. ეს სრულიად არ მიუთითებს ამოსავალი, მარტივი ცნებების საერთოდ განუსაზღვრელობაზე.

ფილოსოფიისა და ლოგიკის ისტორიაში მრავალჯერ გამოთქმულა აზრი, რომ ცნებები, რომლებსაც გვარი არა აქვთ, არ განისაზღვრებიან უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით[4]. მარქსისტულ ლიტერატურაში პირველად ვ. ი. ლენინმა მიუ-

---

[4] ახალი დროის ფილოსოფიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი სპინოზა სუბსტანციის ცნების განსაზღვრებისას უარყოფს უახლოესი გვარითა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით მის განსაზღვრას. სუბსტანციის სპინოზასეული განსაზღვრება აშკარად ეწინააღმდეგებოდა განსაზღვრების ტრადიციულ წესს — უახლოესი გვარითა და სახეობრივი განსხვავებულობით განსაზღვრების წესს. ამან კი სუბსტანციის განსაზღვრებაზე ეჭვი და გაუგებრობა გამოიწვია. თუ სუბსტანციას სპინოზა განსაზღვრავდა ისე, რომ მას გვარის ქვეშ მოათავსებდა, მაშინ ასეთი განსაზღვრებით იგი არ იქნებოდა სუბსტანცია — სუბსტანცია, როგორც დაუბოლოებელი, განუსაზღვრელი, თავის თავის მიზეზი და ყოველივე სხვა მოვლენის საფუძველი. თუ სუბსტანციის ცნება მასზე უფრო უზოგადესი გვარის ცნების ქვეშ მოთავსდებოდა. მაშინ იგი არ გამოდგებოდა სუბსტანციის ცნებად, ვინაიდან იგი გარკვეულ საზღვრებში იქნებოდა მოქცეული. სუბსტანციას კი არა აქვს საზღვარი, იგი უსაზღვროა, ამიტომაც სუბსტანციის გამომხატველ ცნებასაც არ შეიძლება გვარი ჰქონდეს. სუბსტანციას იმიტომ ეწოდება სუბსტანცია, რომ იგი რაიმე გვარში არ თავსდება. ამიტომაც სუბსტანცია არ შეიძლება განსაზღვრული იქნეს უახლოესი გვარითა და სახეობრივი განსხვავებულობით. იმის გამო, რომ განსხზღვრების ეს წესი სუბსტანციის განსაზღვრებისათვის გამოუსადეგარია, სპინოზა მას აკრიტიკებს კიდევაც. ფილოსოფო-

თითა, რომ უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრა—სახელდობრ, მატერიისა და ცნობიერების კატეგორიის განსაზღვრა, არ შეიძლება უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის წესის საშუალებით. უზოგადესი ფილოსოფიურ კატეგორიები ისეთი ცნებებია, რომ ისინი არ შეიძლება მოთავსებული იქნენ უფრო ფართო ცნებების ქვეშ, სახელდობრ, უახლოეს გვარში.

2. უზოგადესი ფილოსოფიურ კატეგორიებისათვის დამახასიათებელი ლოგიკური ნიშანი, რითაც უნდა შესრულდეს მათი განსაზღვრება, არის ამ კატეგორიათა პოლარულობა, წყვილადი კატეგორიების პოლარული დაპირისპირებულობა. პოლარული დაპირისპირებულობით ხასიათდება ორი წყვილი კატეგორია და არა საერთოდ ყოველი ორი კატეგორია. პოლარული დაპირისპირებულობის ნიშანი არ არის შემთხვევითი და გარეგანი. იგი თვით ამ წყვილ კატეგორიათა ბუნებიდან გამომდინარეა, ამიტომ მათთვის შინაგანი და აუცილებელია, წყვილ კატეგორიათა პოლარული დაპირისპირება, როგორც წესი, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა ნიშანია. პოლარულად დაპირისპირებული კატეგორიები ერთიმეორეს აუცილებლობით მოითხოვენ: შინაარსის კატეგორია აუცილებლად მოითხოვს ფორმის კატეგორიას, ხოლო ფორმის კატეგორია — შინაარსის კატეგორიას: მიზეზის კატეგორია შედეგის კატეგორიას მოითხოვს, ხოლო შედეგისა — მიზეზის კატეგორიას და ა. შ. მსგავსად იმისა, როგორც ორი ცნების ლოგიკური დამოკიდებულების (სახე—გვარობით ცნებებს შორის) და არა ყოველი ორი ცნების დამოკიდებულების საფუძველზე, შესაძლებელია უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით ცნების განსაზღვრა, სწორედ ასევე უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში განსაზღვრება შესაძლებელი ხდება ორ პოლარულად დაპირისპირებულ ცნებათა საშუალებით. მაშასადამე, განსაზღვრების წესი იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვრება სრულდება წყვილ კატეგორიათა დაპირისპირებულობის საშუალებით. თითოეული კატეგორია განისაზღვრება მეორე, მის შესაბამის წყვილ კატეგორიასთან პოლარული დაპირისპირების საშუა-

---

სები დარწმუნებულნი არიან, წერს იგი, რომ სწორი განსაზღვრებისათვის აუცილებელია გვარისა და სახის განსხვავებულობის მითითება. მართალია, ამას ყველა ლოგიკოსი ეთანხმება, მაგრამ არ ვიცი, კითხულობს სპინოზა, ამას საიდან იღებენ ისინი. ყოველ შემთხვევაში, თუ ეს ასე იქნება, მაშინ შეუძლებელია სუბსტანციის განსაზღვრება. ამიტომაც საჭიროა განსაზღვრების სხვა წესის მიღება, რომელიც თანხმობში იქნება ჭეშმარიტ ლოგიკასთან.

ლებით. კატეგორიათა განსაზღვრების ეს წესი თვით უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა ბუნებითაა განპირობებული.

უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებში განსაზღვრული ცნებები სახე-გვარობით კავშირზე კი არ მიუთითებს, ვინაიდან ასეთი კავშირი მათ არა აქვთ, არამედ განსასაზღვრთა საპირისპირო მხარეზე. ამიტომაც განსაზღვრება სრულდება დაპირისპირების საშუალებით. მაგალითად, მიზეზის ცნების განსაზღვრა შედეგის ცნებასთან დაპირისპირებით უნდა შესრულდეს და შედეგისა მიზეზის ცნებასთან დაპირისპირებით. შინაარსის ცნების განსაზღვრა ფორმის ცნებასთან დაპირისპირებით უნდა შესრულდეს და ფორმისა შინაარსის ცნებასთან დაპირისპირებით. ასევე ითქმის ეს სხვა უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებზეც.

არ არის მართებული აზრი, რომ კატეგორიათა განსაზღვრება უნდა შესრულდეს იმის მიხედვით, თუ რომელი კატეგორია რომელს უსწრებს: უფრო ზუსტად, რომელია პირველადი და რომელი მეორადი. კატეგორიათა მიმართ საკითხის ასე დასმა უმართებულოა. ჯერ ერთი, რაც მთავარია, კატეგორიები ხომ ცნებებია, ხოლო ცნების სფეროში, სადაც დროულობის მომენტი გამორიცხულია, არ უნდა დაისვას საკითხი რომელიმე ცნების, კატეგორიის მის წყვილ კატეგორიასთან მიმართებაში პირველადობა-მეორადობის შესახებ. თქმა იმისა, რომ მატერიის კატეგორია პირველადია, ცნობიერების კატეგორია მეორადი, ჩვენი აზრით, ისევე არაა მართებული, როგორც თქმა — აუცილებლობის კატეგორია პირველადია, შემთხვევითობის მეორადი, არსების კატეგორია პირველადია, მოვლენის მეორადი და ა. შ. კატეგორიათა სისტემა, როგორც გარკვეული სახის ცნებათა სისტემა, დროულობით არ ხასიათდება, ხოლო ცნება პირველადობა — მეორადობისა აუცილებლობით ხასიათდება დროულობის ნიშნით. მატერიის კატეგორია, როგორც ცნება, წინ არ უსწრებს ცნობიერების კატეგორიას, როგორც ცნებას, ხოლო ცნობიერების კატეგორიის უკან კი არ არის მატერიის კატეგორია, როგორც ცნება. რეალურ სინამდვილეში მატერია წინ უსწრებს ცნობიერებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მატერიის კატეგორიის ცნება წინ უსწრებს ცნობიერების კატეგორიის ცნებას. რეალურ სინამდვილეში მამა წინ უსწრებს შვილს, მოსკოვი თბილისის ჩრდილოეთითაა, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ცნება „მამა“ წინ უსწრებს ცნება „შვილს“, ცნება „მოსკოვი“ ჩრდილოეთითაა ცნებასთან „თბილისი“. ამიტომაც ის, რაც დროულობის ნიშნით ხასიათდება, დროულობის გარეშე არ არის, იგი არ

ეხება დროულობის გარეშე არსებულს, ცნებას, როგორც ლოგიკურს. მეორე, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა წყვილებში პირველადობა—მეორადობას თუ განსაზღვრების ხერხად მივიჩნევდით, თითოეული კატეგორიის შესაბამის სინამდვილეზე მაინც ვერ გავავრცელებდით. ამ წესით შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ზოგიერთი წყვილი კატეგორიის შესაბამისი სინამდვილის პირველადობა—მეორადობის ჩვენება. მაგალითად მატერია და ცნობიერება. მიზეზი და შედეგი; ხოლო კატეგორიათა სხვა წყვილების შესაბამის სინამდვილეზე ვერ ვიტყვით იმას, რომ ერთი პირველადია, მეორე—მეორადი. მაგ., თქმა იმისა, რომ აუცილებლობა პირველადია, შეშთხვევითობა—მეორადი; არსება პირველადია, მოვლენა მეორადი, იქნება იმის აღიარება, რომ ჯერ იყო აუცილებლობა, მერე—შეშთხვევითობა, ჯერ იყო არსება, მერე — მოვლენა და ა. შ. პირველადობა — მეორადობა, წარმოშობის მიხედვით გაგებულ, ამ კატეგორიათა შესაბამისი სინამდვილის განსაზღვრებად არ გამოდგება. იგი, თუ მას განსაზღვრების წესად ჩავთვლიდ, მხოლოდ მატერიასა და ცნობიერებას, მიზეზსა და შედეგს შეიძლება გამოადგეს, ვინაიდან როგორც მატერია ასევე მიზეზი დროში წინ უსწრებს მათს საპირისპიროს — ცნობიერებასა და შედეგს. მაგრამ ამის თქმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვა წყვილ კატეგორიათა შესაბამის სინამდვილეზე არ შეიძლება. ამიტომაც არ იქნებოდა სწორი, რომ ის, რაც უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა ზოგიერთი წყვილის შესაბამისი სინამდვილისთვისაა დამახასიათებელი, მთელ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა წყვილის შესაბამის სინამდვილეზე გავავრცელოთ. ამიტომ იგი მისაღებიც რომ იყოს განსაზღვრების წესად, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა მიმართ მაინც ნაკლოვანი იქნებოდა, როგორც განსაზღვრების წესი. ნაკლოვანი იმიტომ, რომ იგი განსაზღვრულ კატეგორიათა, რომელთა განსაზღვრების წესადაა იგი აღიარებული, მხოლოდ ნაწილს დააკმაყოფილებდა.

სინამდვილეში კი, როგორც სხვა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები, ასევე მატერიისა და ცნობიერების კატეგორია განისაზღვრება მათი დაპირისპირების საშუალებით. ვ. ი. ლენინის მიერ მატერიის ცნების განსაზღვრა ცნობიერებასთან დაპირისპირებითაა შესრულებული. მატერიის ცნების განსაზღვრისას ამ ცნების ძირითადი ნიშანი დაპირისპირებულია მეორე მის საპირისპირო ცნებასთან — ცნობიერებასთან. მატერიის ცნების განსაზღვრა, რომელიც მისი წყვილი მოპირდაპირე ცნების — ცნობიერების ცნებასთანაა დაპირისპირებული, ამ დაპირისპირების საფუძველზე იმის აღიარე-

ბაში მდგომარეობს, რომ მატერია პირველადია და ცნობიერება მეორადი, ვ. ი. ლენინმა მატერიის სწორედ ასეთი განსაზღვრება მოგვცა.

იყო და არის შეხედულება როგორც საერთოდ უზოგადეს ცნებებზე, ხოლო განსაკუთრებით მატერიის ცნებაზე, რომ მისი განსაზღვრა ლოგიკური ხერხით სრულიად შეუძლებელია. ეს არგუმენტი მრავალგვარია, მაგრამ ჩვენთვის აქ საინტერესოა ის, რომელიც ამტკიცებს: მატერიის განსაზღვრა შეუძლებელია იმიტომ, რომ მატერიის განსაზღვრა ნიშნავს მისი საპირისპიროს დაშვებას; ისეთი სინამდვილის დაშვებას, რომელიც მას დაუპირისპირდებოდა, ამიტომაც მატერიის განსაზღვრება მის უარყოფასაც წარმოადგენს და უარისმყოფელი ისევე არსებობს, როგორც უარყოფილი. მაგრამ მარქსისტული ფილოსოფიის თანახმად არავითარი სხვა სინამდვილე, რომელსაც მატერიის უარყოფა შეეძლოს, არ არსებობს. ეს არგუმენტი მცდარია. მატერიას რომ მისი საპირისპირო სინამდვილე არ ჰქონდეს, მაშინ, მართლაც, შეუძლებელი იქნებოდა მისი განსაზღვრა. მაგრამ ფაქტია და მარქსისტული ფილოსოფია აღიარებს, რომ გარდა მატერიალური სინამდვილისა არსებობს იდეალური სინამდვილე, ცნობიერება. მატერიის ცნება სწორედ ცნობიერების ცნებასთან დაპირისპირებითაა განსაზღვრული. ეს ნიშნავს იმას, რომ მატერიის ცნება უდავოდ ხასიათდება უარყოფის მომენტით, იმით, რაც მას განსაზღვრავს. განსაზღვრებაში განსასაზღვრი ცნების გამიჯვნა, გამოყოფა სხვა ცნებისაგან არის უარყოფის მომენტი, რასაც ყოველი განსაზღვრება შეიცავს.

უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა აღნიშნული წესით განსაზღვრების საწინააღმდეგო არგუმენტად თუ ვინმე წამოაყენებს იმას, რომ იგი ტავტოლოგიაა განსაზღვრებაში, ვუპასუხებდით, რომ აღნიშნული წესით განსაზღვრებაში ტავტოლოგია იმ შემთხვევაში იქნება, როცა საპირისპირო, პოლარულად დაპირისპირებული მხარეები იგივეობრივი შინაარსისაა. მაგალითად, არსების კატეგორია არსებისადმია დაპირისპირებული, შინაარსისა — შინაარსისადმი და ა. შ. სინამდვილეში, პოლარულად დაპირისპირებულ კატეგორიებში დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთისაგან განსხვავებულია თავისი შინაარსით. განსხვავებულ შინაარსთა დაპირისპირებულობა გვაქვს და არა იგივეობრივის, რის გამოც ტავტოლოგია განსაზღვრებაში გამორიცხულია.

IV. უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების წესად პოლარული დაპირისპირებულობის შენარჩუნების საწინააღმდეგოდ

რამდენიმე არგუმენტი იქნა წამოყენებული. განვიხილავთ ძირითადს.

1. კატეგორიის განსაზღვრება შეუძლებელია მათი ურთიერთდაპირისპირების (პოლარიზაციის) გარეშე — ეს ცხადია, მაგრამ კატეგორიის განსაზღვრების წესის მხოლოდ ამ მომენტზე დაყენანა შეცდომაა, რადგან კატეგორიის განსაზღვრების წესის ამ მომენტში გარკვეულად ნეგატური მომენტია დომინანტური და გარკვეულ აზრით უარყოფითი დიალექტიკის საფუძველზე ვრჩებით. აქ არსებითად ადგილი აქვს დაპირისპირების აუცილებლობის ჩვენებას და შედეგი უარყოფითი რჩება, რადგანაც დგინდება კატეგორიათა ურთიერთგანსხვავებული შინაარსი, მაგრამ არა თვით მოცემული კატეგორიის ლოგიკური განსაზღერულობის მომენტები, რომლებიც უნდა შეადგენდნენ მის განსაკუთრებულ შინაარსს, მაშინ როცა დადებითი დიალექტიკა ნიშნავს წინააღმდეგობის აუცილებლობიდან მათი ერთიანობის დასაბუთებამდე ასვლას. ამ არგუმენტის გაბათილება უხდებათ მისსავე დამცველებს: პირველი, როცა ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერებიდან“ არსისა და არაარსის კატეგორიათა ანალიზისას მითითებულია: კატეგორიათა ურთიერთდაპირისპირებით ხდება კატეგორიის შ ი ნ ა ა რ ს ი ს გ ა მ ო მ ჟ ღ ა ვ ნ ე ბ ა, გ ა მ ო ვ ლ ე ნ ა და ამ მიმართების საფუძველზე კატეგორიათა ურთიერთგანსაზღვრებასთან გვაქვს საქმე, რის მაგალითად გამოდგება მარქსისტული ფილოსოფიის ყველა კატეგორიაო. თუ ეს ასეა (ეს კი ნამდვილად ასეა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების მიმართ), მაშინ პოლარიზაციის (ურთიერთდაპირისპირების) წესით დგინდება დადებითი და არა ნეგატური შინაარსი, დადებითი, ვინაიდან კატეგორიის შინაარსის გამომჟღავნება ხდება. რაც მთავარია, თურმე „ამის მაგალითად გამოდგება მარქსისტული ფილოსოფიის ყველა კ ა ტ ე გ ო - რ ი ა“. შემდეგ, პოლარიზაციის წესით კატეგორიათა განსაზღვრებისას უარყოფითი დიალექტიკის საფეხურზე კი არ ვრჩებით, არამედ დადებით დიალექტიკასთან გვაქვს საქმე, რასაც თვით ამ წესის სახელწოდება მიუთითებს. პოლარიზაციის წესის მიხედვით საქმე გვაქვს პოლარიზაციული დაპირისპირებასთან, ურთიერთდაპირისპირებასთან, ე. ი. დაპირისპირებათა ერთიანობასთან, რაშიც დადებითი დიალექტიკა დგინდება. განსაზღვრების აღნიშნული წესით უარყოფითი დიალექტიკა იმ შემთხვევაში გვექნებოდა, რომ მხოლოდ წინაღმდეგობის, დაპირისპირების აუცილებლობის ჩვენება იყოს აღიარებული. მეორე, როცა მითითებულია: ვ. ი. ლენინი პირდაპირ აღნიშნავს, რომ კატეგორიათა ურთიერთდაპირისპირების მეთოდით ყველა კატეგორია კი არ განისაზღვრება, არამედ მხოლოდ ისეთნი,

რომლებიც დაპირისპირებულნი არიან ძირითადი გნოსეოლოგიური საკითხების ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში სავსებით მართებულია მატერიისა და ცნობიერების კატეგორიების განსაზღვრება, როგორც გნოსეოლოგიურად დაპირისპირებული კატეგორიებისა. მაშასადამე, ასეთი მოსაზრებით, მართალია, ყველა ფილოსოფიური კატეგორია არა, მაგრამ მატერიისა და ცნობიერების კატეგორიები სავსებით მართებულადაა განსაზღვრული პორალური დაპირისპირებულობის ანუ ურთიერთდაპირისპირებულობის წესით, ვსვამთ კითხვას: თუ პოლარიზაციის წესით მხოლოდ „უარყოფითი დიალექტიკის საფუძველზე ვრჩებით", ე. ი. კატეგორიის ნეგატური და არა დადებითი შინაარსი დგინდება, მაშინ ლენინის მიერ მატერიისა და ცნობიერების კატეგორიები როგორ არის დადებითი შინაარსით განსაზღვრული? თუ მათშიაც ნეგატური შინაარსია დადგენილი? რა თქმა უნდა, დადებითი შინაარსია დადგენილი და არა უარყოფითი. ამაზედაც მითითებულია „ურთიერთდაპირისპირების მეთოდით... სავსებით მართებულია მატერიისა და ცნობიერების კატეგორიების განსაზღვრება". მაშასადამე, პოლარული დაპირისპირებულობის წესით მატერიისა და ცნობიერების კატეგორიის განსაზღვრება არავითარ უარყოფით დიალექტიკას არ ქმნის. ასევე ითქმის სინამდვილეში ყველა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის შესახებ.

2. პოლარიზაციის წესით კატეგორიათა განსაზღვრების მოსაზრების იმანენტური ნაკლი კატეგორიათა თანაფარდობისა და კატეგორიის ბუნების მომენტთა შინაგანი ფარდობითობის აღრევაში მდგომარეობს. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს განსხვავებულ კატეგორიათა წყვილადობასთან, რომლებიც ობიექტურად ურთიერთგანპირობებული, მაგრამ სინამდვილის განსხვავებულ, დაპირისპირებულ მხარეთა ასახვას წარმოადგენენ; მეორე შემთხვევაში კი მხედველობაში უნდა გვქონდეს ერთი გარკვეული კატეგორიის ლოგიკური განსაზღვრულობის მომენტის თანაფარდობა, რომელიც წარმოადგენს სინამდვილის ერთი გარკვეული მხარის მრავალგანსაზღვრულობათა მოსაზრებას ადამიანის ცნობიერებაში. ამასთანავე ლოგიკური თვალსაზრისით, ერთი კატეგორიის მეორესთან დაპირისპირება ორივეს განსაზღვრულობათა ცოდნას გულისხმობს წინასწარ, რომლის გარეშე თვით ეს დაპირისპირება ჩანს გაუმართლებელი. ამის შემდეგ კი კატეგორიის განსაზღვრების წესის ძიება ნაგვიანევ ოპერაციას წარმოადგენს, რადგან იგი წინასწარ უნდა გვქონოდა მოხმარებული. ასეთი მოსაზრებიდან გარკვევით ჩანს, რომ პირველ და მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს განსხვავებული შინაარსის მქონე კატეგორიებ-

თან. მტკიცება—ლოგიკური თვალსაზრისით, ერთი კატეგორიის მეორესთან დაპირისპირება ორივეს განსაზღვრულობათა ცოდნაა წინასწარ გულისხმობს, რომლის გარეშე თვით ეს დაპირისპირება გაუმართლებელი ჩანს, შცდარი აზრია. წყვილად კატეგორიათა შინაარსის ცოდნის საფუძველზე კი არ დგინდება მათი პოლარული დაპირისპირებლობა, არამედ, პირიქით, პოლარული დაპირისპირებულობის საფუძველზე დგინდება წყვილად კატეგორიათა შინაარსის შესახებ გარკვეული ცოდნა. შემდეგ, რაც მთავარია, ზემოთ აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, კატეგორიათა პოლარული დაპირისპირებულობა გაგებულია როგორც გარეგანი და შემთხვევითი. პოლარულ დაპირისპირებულობას იმიტომ კი არ ვიღებთ განსაზღვრების წესად, რომ დაპირისპირებულ კატეგორიათა შესახებ წინასწარ გვაქვს ცოდნა და, რამდენადაც განსხვავებულია ისინი, მერე ვუპირისპირებთ ერთმანეთს. სინამდვილეში ხდება პირიქით. რამდენადაც წყვილად კატეგორიათა პოლარული დაპირისპირებულობა შინაგანი და აუცილებელი ბუნებისაა, ამდენად დგინდება მათი შინაარსის განსხვავებულობა.

შემდეგ, ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული შეხედულების დამცველნიც ეთანხმებიან ზოგიერთი კატეგორიის განსაზღვრებას პოლარული დაპირისპირებულობის წესით. მაგალითად, მატერიისა და ცნობიერების კატეგორიას, მაგრამ ნუთუ ამ კეტეგორიების შინაარსი ვიცით წინასწარ და მერე ვახდენთ პოლარულ დაპირისპირებულობას თუ ამ დაპირისპირებულობაში დგინდება შინაარსი?

3. კატეგორიის იმანენტური შინაარსი ვერ დგინდება კატეგორიათა მხოლოდ პოლარიზაციის მეშვეობით. რადგან დაპირისპირება კატეგორიათა ურთიერთდაპირისპირებულ შინაარსს დაადგენს, მაგრამ არა თვით მოცემული კატეგორიის გარკვეულობის შინაარსს. ამაზე უნდა ვუპასუხოთ, რომ აქ სწორედ ურთიერთდაპირისპირებული შინაარსის დადგენა ხდება, რითაც მოცემული კატეგორიების შინაარსი დგინდება და არა საერთოდ დაპირისპირებული შინაარსები. თუ კატეგორიათა ურთიერთდაპირისპირებით ხდება „კატეგორიის შინაარსის გამომჟღავნება", მაშინ სწორედ წყვილად კატეგორიათა შინაარსის გამომჟღავნება არის დაპირისპირებულ კატეგორიათა დადებითი შინაარსიც. მაგალითად, შემთხვევითობა განისაზღვრება აუცილებლობის კატეგორიით. შემთხვევითობა არის აუცილებლობის არსებობის ფორმა. აქ სწორედ მოცემული კატეგორიის

იმანენტური შინაარსია დადგენილი და, რაც მთავარია, ეს შინაარსი დადებით ფორმაშია გამომჟღავნებული და არა უარყოფითში.

4. ზოგჯერ კატეგორიის განსაზღვრების პოლარიზაციული წესის მომხრეები იმოწმებენ „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმიდან“ ადგილს, სადაც ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს ბოგდანოვს კატეგორიათა განსაზღვრების წესის გაგების საკითხში. ეს ადგილი სინამდვილეში ამტკიცებს არა იმას, რომ ვ. ი. ლენინი **კატეგორიათა განსაზღვრების პოლარიზაციული წესის მომხრე იყოს,** არამედ იმას, რომ იგი სასტიკი წინააღმდეგია უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის მიხედვით ცნების განსაზღვრების წესის აბსოლუტიზაციისა. ვ. ი. ლენინი პირდაპირ აღნიშნავს, რომ კატეგორიათა ურთიერთდაპირისპირების მეთოდით **ყველა კატეგორია კი არ განისაზღვრება,** არამედ მხოლოდ ისეთნი, რომლებიც დაპირისპირებული არიან ძირითადი გნოსეოლოგიური საკითხის ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში **სავსებით მართებულია მატერიისა და ცნობიერების კატეგორიების განსაზღვრება,** როგორც გნოსეოლოგიურად დაპირისპირებული კატეგორიებისა, მაგრამ წინააღმდეგობის, იგივეობის, უარყოფისა და ა. შ. კატეგორიების განსაზღვრება მათი გნოსეოლოგიის ძირითადი საკითხების ფარგლებში დაპირისპირების მეშვეობით არ არის მოხერხებული და ასეთი უმართებულო დებულების ვ. ი. ლენინისათვის მიკუთვნება შეცდომაა. პირველ რიგში დავაკვირდეთ ხაზგასმულ წინადადებებს. ისინი ერთიმეორის საწინააღმდეგო და გამომრიცხველია. ერთ შემთხვევაში გარკვევითაა თქმული, რომ ვ. ი. ლენინი არ არის მომხრე კატეგორიათა განსაზღვრებისა პოლარიზაციის წესის საშუალებით, ხოლო მეორე შემთხვევაში ასევე გარკვევითაა თქმული შემდეგი — ვ. ი. ლენინი პირდაპირ აღნიშნავს, რომ კატეგორიათა ურთიერთდაპირისპირების მეთოდით ყველა კატეგორია კი არ განისაზღვრება, არამედ სავსებით მართებულია მატერიისა და ცნობიერების კატეგორიის განსაზღვრება. ჩვენთვის აქ მითითებული წინააღმდეგობის ჩვენება კი არ არის მთავარი, არამედ პასუხის გაცემა იმაზე, თუ როგორ წყდება საკითხი წინააღმდეგობის, იგივეობის, უარყოფის... კატეგორიების განსაზღვრებისა და რას ნიშნავს უმართებულო დებულების ლენინისათვის მიკუთვნება. ჯერ ერთი, წინააღმდეგობის, იგივეობის, უარყოფის კატეგორიები პოლარულად დაპირისპირებული კატეგორიებია. იგივეობა დაპირისპირებულია განსხვავებასთან, უარყოფა დაპირისპირებულია ჰოყოფასთან და ა. შ. მეორე, ყოველი კატეგორია მოცემულია გნოსეოლოგიის ფარგლებში, რამდენადაც ისინი შემეცნების საფეხურებია, საკვანძო

პუნქტებია. ამდენად ენციკლოპედიურად ყოველი წყვილადი კატეგორია დაპირისპირებულია. ესესნი, რაც მთავარია, წინააღმდეგობის, იგივეობის, უარყოფის კატეგორიები **ლოგიკურის კატეგორიებია** და არა ლოგიკური კატეგორიები, რაც ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამ განსხვავებულობას თვით ამ კატეგორიათა განსხვავებულობაც ცხადყოფს. ლოგიკური კატეგორიები ისეთი ფილოსოფიური კატეგორიებია, რომლებსაც მასზე უფრო ფართო მოცულობის ცნებები არა აქვთ. ხოლო ლოგიკურის კატეგორიები მასზე უფრო ფართო ცნებების მქონეა. ამიტომაც ლოგიკური კატეგორიები მოცულობით უფრო ფართოა, ვიდრე ლოგიკურის კატეგორიები. სწორედ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გაუთვალისწინებლობაა გაუგებრობის მიზეზი.

კატეგორია, როგორც ვთქვით, უზოგადესი ცნებაა, რომელსაც არც გვარი გააჩნია და არც სახე, მაგრამ ასეთია მხოლოდ უზოგადესი ფილოსოფიური ლოგიკური კატეგორიები და არა ლოგიკურის კატეგორიები. ლოგიკურის კატეგორიები ნაკლები მოცულობისაა. ამიტომაც გვარიც გააჩნიათ. მართალია, საერთოდ ფილოსოფიური კატეგორიები ლოგიკურია და ამდენად ლოგიკურის კატეგორიებიც ლოგიკურია, მაგრამ მათ შორის აშკარაა მოცულობითი განსხვავებულობა, ამიტომაც მიუღებელია მტკიცება იმისა, რომ ყველა ფილოსოფიური კატეგორია უზოგადესი ცნებაა, რომელსაც მათზე უფრო უზოგადესი გვარი არ გააჩნია. ყველა ფილოსოფიური კატეგორიის მიმართ ვერ ვიტყვით, რომ იგი გვარის გარეშეა. მაგალითად, ლოგიკურის ისეთი კატეგორიები, როგორიცაა ჭეშმარიტება, ცნება, მსჯელობა და სხვა, ფილოსოფიური კატეგორიებია. მაგრამ ისეთი ფილოსოფიური კატეგორიები, რომლებსაც მასზე უფრო უზოგადესი გვარი აქვთ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმაზეც უნდა მივუთითოთ, რომ ლოგიკურ და ლოგიკურის კატეგორიებს სხვა ნიშნებითაც განასხვავებენ ერთიმეორისაგან. „ლოგიკური კატეგორია ისეთი კატეგორიაა, რომლის უარყოფა არის სხვა კატეგორია; უკეთ: რომლის უარყოფა გვაძლევს სხვას, სხვა კატეგორიის აუცილებლობას, მაგალითად, რაოდენობის კატეგორიის უარყოფა აღარაა რაოდენობა... ლოგიკურის კატეგორია კი არის ისეთი კატეგორია, რომლის უარყოფა მასვე ადგენს. ლოგიკურის უარყოფა შეუძლებელია იმ აზრით, რომ ლოგიკურის კატეგორის უარყოფისას მასვე მოვიხმართ აუცილობლობით. მაგალითად..., ცნების უარყოფა არის ცნება,

მსჯელობის უარყოფა მსჯელობაა"[5]. აქ გარკვევითაა ნაჩვენები აღნიშნულ კატეგორიათა განსხვავებული ბუნება, მაგრამ ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ასევე გარკვევით ვხვდებით ისეთ შემთხვევასაც, როცა ლოგიკური და ლოგიკურის კატეგორიების აღნიშნული განსხვავებულობა იგნორირებულია. მაგალითად, ვხვდებით შემდეგი სახის მტკიცებას: კატეგორიის უარყოფა გარკვეულად კვლავ მას ემყარება და ამტკიცებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კატეგორია თავისი ბუნებით ლოგიკურად რეფლექსური ხასიათისაა, ამიტომაც იგი თვითუარყოფით განსაზღვრულ გარკვეულობას წარმოადგენს, რომლის უარყოფა მასვე ემყარება და ამტკიცებს. ასეთი მტკიცება მცდარია. ზემოთ მივუთითეთ, რომ ყოველი კატეგორიის უარყოფა კი არ არის მისივე დასაბუთება, არამედ მხოლოდ ლოგიკურის კატეგორიების უარყოფაა შეუძლებელი, ვინაიდან მისივე უარყოფა მასვე ასაბუთებს, ცნების უარყოფა ცნებით უნდა შესრულდეს. მაგრამ მატერიის კატეგორიის უარყოფა, არ არის მატერიის ცნება და არც მატერიის ცნებით სრულდება. დასახელებულ მცდარ შეხედულებას რომ მხედველობაში აქვს საერთოდ კატეგორია, სახელდობრ, ლოგიკური კატეგორია და არა ლოგიკურის კატეგორია, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბ. რასელი, რომელიც უარყოფს კატეგორიის ტრადიციულ მნიშვნელობას ფილოსოფიაში, სუბსტანციის კატეგორიას წმინდა უაზრობად თვლის. სწორედ ამას უპირისპირდება აზრი, რომ ლოგიკურად კატეგორიის უარყოფა კვლავ კატეგორიას ემყარება და საქმე ეხება მისი ამა თუ იმ ხერხით დაფუძნებასო. საერთოდ და კერძოდ ბ. რასელის წინააღმდეგ ასეთი არგუმენტი უმართებულოა. სუბსტანციის კატეგორიის უარყოფა კვლავ მას არც ემყარება და არც ამტკიცებს.

V. არსებობს შეხედულება და საკმარისად გავრცელებულიც, რომ კატეგორიის განსაზღვრება ხრის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში. ეს არის მიჩნეული კატეგორიის განსაზღვრების ხერხად ანუ წესად. ფილოსოფიური კატეგორიების, კერძოდ, უზოგადესი თანაფარდობითი ფილოსოფიური კატეგორიების ასეთი წესით განსაზღვრებას მრავალი ნაკლი აქვს, რის გამოც, ჩვენი აზრით, იგი მიუღებელია დიალექტიკური მატერიალიზმის უზოგადესი კატეგორიებისათვის.

წესი — კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონა-

---

[5] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დიალექტიკური ლოგიკა, თბ., 1965, გვ. 52—53.

ხვა კატეგორიათა სისტემაში, ჰეგელიდან მოდის. ჰეგელის შემდეგ მას კატეგორიის მრავალი მკვლევარი იმეორებს იმის მიუხედავად, თუ რომელი ფილოსოფიური სისტემის წარმომადგენელია თვითონ.

კატეგორიის განსაზღვრების აღნიშნული წესი მხოლოდ ჰეგელის სისტემაში ჰპოვებს გამართლებას, სხვა ფილოსოფიურ სისტემაში, კერძოდ დიალექტიკურ მატერიალიზმში, კი იგი ა რ ს ებ ი თ ა დ მ ი უ ღ ებ ელ ი ა. კატეგორიის განსაზღვრების დასახელებული წესი ჰეგელის სისტემაში იმიტომაც პოულობს გამართლებას, რომ იგი დასრულებული, დახშული სისტემაა, სადაც დასაწყისი და დასასრული კატეგორიები მოცემულია. მართალია, ჰეგელი აკრიტიკებდა არისტოტელესა და კანტს იმის გამო, რომ მათ კატეგორიათა რიცხვი განსაზღვრესო, მაგრამ ფაქტიურად აქამდე მივიდა თვითონაც თავისივე სისტემის გამო. ჰეგელის სისტემის შიგნით კატეგორიების რიცხვი განსაზღვრულია. განსაზღვრულია მათი ადგილი და შინაარსიც. ამის გამოც თითოეული კატეგორიის შინაარსი განსაზღვრულია იმ ადგილის მიხედვით, რომელიც მას უკავია კატეგორიათა სისტემის დასაწყის და ბოლო კატეგორიებს შორის. სწორედ კატეგორიათა მხოლოდ და მხოლოდ ასეთი დახშული სისტემის საფუძველზე ხდება შესაძლებელი, რომ კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში, ანუ, სხვაგვარად, კატეგორიის შინაარსის განსაზღვრება არის მისი ადგილის ჩვენება, ხოლო მისი ადგილის ჩვენება მისი შინაარსის განსაზღვრებაა. კატეგორიათა ასეთი სისტემის აგება იმაზე მიუთითებს, რომ კატეგორიათა განსაზღვრების წესი — კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში—ემყარება კატეგორიათა წრისებურ სისტემას, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოვლად შეუძლებელია კატეგორიათა სისტემაში გაირკვეს ამა თუ იმ კატეგორიის ადგილი და ამით განისაზღვროს მისი შინაარსი. სწორედ ამიტომ ვამბობთ — კატეგორიის განსაზღვრების აღნიშნული წესი მხოლოდ და მხოლოდ ჰეგელის დასრულებულ სისტემაში გამოდგება, მაგრამ იგი აბსოლუტურად გამოუსადეგარია ღია სისტემაში. დიალექტიკური მატერიალიზმი კი ღია სისტემაა, ამის გამო კატეგორიათა სისტემაც ღიაა და შემეცნების განვითარების მიხედვით კატეგორიები, როგორც შემეცნების საკვანძო პუნქტები ან საფეხურები, განუსაზღვრელია. ყოველივე ამის გამო, ჩვენი აზრით, ღია ფილოსოფიური სისტემა ვერ მიიღებს კატეგორიათა განსაზღვრების იმ წესს, რომელიც მხოლოდ დახშულ სისტემაში შეიძლება გამოდგეს.

გარდა აღნიშნულისა, კატეგორიის განსაზღვრების დასახელებული წესი თავისივე მოთხოვნის საფუძველზე იმ არსებითი ნაკლის მქონეა, რომ იგი არაფერს სპეციფიკურს არ ადგენს ცალკეული კატეგორიის მიმართ. აღნიშნული წესით ფაქტიურად არცერთი ცალკეული კატეგორიის განსაზღვრება არ არის მოცემული. იგი არაფერს ამბობს, თუ რა არის მიზეზის, შედეგის, არსების, მოვლენის, შინაარსის, ფორმის და სხვა კატეგორიების შინაარსი, რა არის თითოეული მათგანის არსება, რითაც ერთი კატეგორია განსხვავდება სხვა კატეგორიებისაგან. შეიძლება ითქვას, რომ კატეგორიათა განსაზღვრების წესს არ ევალება ცალკეული კატეგორიის შინაარსის დადგენა, იგი იმაზე მიუთითებს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს კატეგორიები, მაგრამ განსაზღვრების დასახელებული წესი უდავოდ გულისხმობს თითოეული კატეგორის ადგილის მონახვას კატეგორიათა სისტემაში და ამით მისი შინაარსის განსაზღვრებას, თუმცა ამ თავის მოთხოვნას ფაქტიურად ვერ ასრულებს, რის გამოც იგი როგორც განსაზღვრების წესი ლოგიკური ასპექტითაც ნაკლოვანია.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთის მტკიცებით წესი კატეგორიის განსაზღვრება არის მისთვის ადგილის მიჩნევა კატეგორიათა სისტემაში, არა მხოლოდ ფილოსოფიური კატეგორიების მიმართ მოიხმარება, არამედ საერთოდ კატეგორიების, კერძოდ ეკონომიური კატეგორიების მიმართაც. ასეთი მტკიცება ემყარება იმ აზრს, რომ ეკონომიურ კატეგორიებში მოხმარებული უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობით განსაზღვრების წესი ეკონომიური კატეგორიებისათვის მიჩნეულია, როგორც დასაწყისი, ხოლო ამ კატეგორიების საბოლოო, სრული განსაზღვრება ნიშნავს რომელიმე ეკონომიური კატეგორიის ადგილის დადგენას ეკონომიურ კატეგორიათა სისტემაში. ეს აზრი გამოთქმულია ასე: ყოველი ეკონომიური კატეგორიის განსაზღვრა თავდაპირველად უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის მისედვით ხდება. მაგრამ ფორმალური ლოგიკის მიერ შემუშავებული განსაზღვრების ამ წესში ეკონომიური კატეგორიები ვერ თავსდება. ამიტომ აუცილებელია კატეგორიათა დიალექტიკური განსაზღვრა, მისი დადგენა მისივე უარყოფის გზით, რომელიმე კატეგორიის ადგილის დადგენა ეკონომიურ კატეგორიათა სისტემაში. ასეთი მოსაზრების შესახებ პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ თუ ყოველი ეკონომიური კატეგორიის განსაზღვრა თავდაპირველად უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის დადგენით ხდება, მაშინ საკითხავია —განსაზღვრების ამ წესში რატომ ვერ თავსდება ეკონომიური კა-

ტეგორიები? შემდეგ, თუ აღნიშნული წესით ერთხელ განისაზღვრება ყველა ეკონომიური კატეგორია, მაშინ რა საჭიროა იმავე ეკონომიურ კატეგორიათა ხელახლა განსაზღვრა?

ჩვენი აზრით, ეკონომიური კატეგორიები, სრულიად ბუნებრივად არიან განსაზღვრულნი უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით ანუ ხერხით. განსაზღვრების აღნიშნული წესი გამოიყენება იმ ცნებათა და კატეგორიათა მიმართ, რომლებიც ერთიმეორესთან სახეგვარეობითს დამოკიდებულებაში არიან. ეკონომიური კატეგორიები სწორედ ასეთ მიმართებაში არიან ერთიმეორესთან.

ვ. ი. ლენინმა გარკვევით მიუთითა, რომ უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრება ერთ-ერთი აუცილებელი წესია. ვ. ი. ლენინი, მხედველობაში აქვს რა გვარეობითი ცნებები და კატეგორიები. განსასაზღვრი ცნებისათვის აუცილებლად თვლის მასზე უფრო უზოგადეს გვარში მოთავსებას და უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსასაზღვრი ცნების განსაზღვრებას. ვ. ი. ლენინი გვარეობითი ცნებისა და კატეგორიათა მიმართ განსაზღვრების წესზე დასმულ კითხვაზე უპასუხებს: „რას ნიშნავს „განსაზღვრება"? ეს ნიშნავს უწინარეს ყოვლისა ამა თუ იმ ცნების მიყენებას მეორე უფრო ფართო ცნებისადმი. მაგალითად, როცა მე განვსაზღვრავ: ვირი ცხოველია-მეთქი, ცნებას „ვირი" უფრო ფართო ცნებას მივუყენებ[6]. მაშასადამე, გვარეობითს ცნებათა სწორი განსაზღვრება იწყება გვარის მითითებით, გვარის მითითების გარეშე, უფრო ზუსტად, უახლოესი გვარის მითითების გარეშე შეუძლებელია გვარეობითს ცნებათა და კატეგორიათა განსაზღვრა. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ გვარეობითი ცნება, კატეგორია, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა განსასაზღვრ საგანთა ჯგუფისათვის დავადგინოთ უახლოესი გვარეობითი ცნება. ამ გვარეობითს ცნებაში უნდა იქნეს შემოტანილი განსასაზღვრი ცნება. განსასაზღვრი ცნება (საგანთა) ნაკლები მოცულობის ნიშანს ასახავს, ვიდრე გვარეობითი ცნება და ამიტომაც განსასაზღვრი ცნება შედის, როგორც სახე, გვარეობითი ცნების მოცულობაში. გვარეობითი ცნების ნიშანი განსასაზღვრი საგნის ყველა სახეზე ვრცელდება. მაშასადამე, გვარეობითი ცნება მიუთითებს იმ ნიშანზე, რომელიც მოცემული გვარის ყველა საგნი-

---

[6] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ 14, თბ., 1950, გვ. 177.

სათვის ზოგადია. მაგრამ აქ არ მთავრდება განსაზღვრება. განსაზღვრებაში აუცილებელია წარმოდგენილი იქნეს ის არსებითი ნიშანიც, რომელიც საგანთა მოცემულ ჯგუფს საგანთა მეორე ჯგუფისაგან განასხვავებს და მოცემულ გვარს მიეკუთვნება. ასეთი ნიშანი სახეობითი განსხვავება იქნება. მაშასადამე, გვარეობითი ცნების განსაზღვრებაში მითითებულა, როგორც ზოგადი. ასევე განსასაზღვრ საგანთა და მოვლენათა სპეციფიკური ნიშანიც. ამგვარად, უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავების ნიშანთა აღნიშვნით მივიღებთ გვარეობითს ცნებათა განსაზღვრას. განსაზღვრება უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსაზღვრების წესით საგანთა და მოვლენათა შესახებ ცნების ცხადი და ზუსტი განსაზღვრების საშუალებაა. იმისათვის, რომ გამოვთქვათ ზუსტი აზრი ამა თუ იმ საგანზე, მოვლენაზე, საჭიროა ცხადად, ზუსტად განვასხვაოთ იგი სხვა საგნებისა და მოვლენებისაგან. ასეთი ე. ი. უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის ჩვენებით მივიღებთ ცნების განსაზღვრებას, სადაც ზუსტად გამოიყოფა განსასაზღვრი საგანი, მოვლენა სხვა საგნებისა და მოვლენებისაგან.

კ. მარქსის თქმით, განსაზღვრებაში აუცილებელია, რომ განსაზღვრების დროს მივუთითოთ არა მარტო განსასაზღვრი ცნების გვარეობითს ნიშანზე, არამედ უნდა ვუჩვენოთ საგნის, მოვლენის ის სპეციფიკური ნიშანიც, რომლითაც ის სხვა მოვლენისაგან განსხვავდება. კ. მარქსი ჰეგელს აკრიტიკებს იმის გამო, რომ მან ნამდვილი არსება მხოლოდ ზოგადში (გვარში) დაინახა[7]. მარქსის თქმით, განსაზღვრებისათვის არა კმარა მხოლოდ გვარეობითი ნიშნის მითითება. მოვლენის ახსნა მოითხოვს ამ მოვლენის სპეციფიკური ნიშნის ჩვენებას. ახსნა, რომელშიაც არ არის მითითებული differenzien specifica, არ არის ახსნა.

მრავალი ზოგადი, კერძოობითი კატეგორიისა და ჩვეულებრივი ცნების განსაზღვრებისათვის უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრება წარმოადგენს ერთ-ერთ საშუალებას. ზოგადი, კერძოობითი კატეგორია და მრავალი ცნება ამ ხერხითაა განსაზღვრული. ამის დასაბუთებას წარმოადგენს როგორც ბუნებისმეცნიერებათა, ასევე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროდან აღებული ცნებები, კატეგორიები. ამავე აზრის დადასტურებაა მოცემული მარქსიზმის კლასიკოსების მიერ ცალკეულ კატეგორიათა განსაზღვრებაში.

---

[7] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. II, М., 1955, стр. 63—64.

კ. მარქსი „კაპიტალში“ პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიათა, ცნებათა განსაზღვრებისას უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავების წესს გამოიყენებს. მაგალითად, „კაპიტალში“ საქონლის, როგორც კაპიტალისტური საზოგადოების უჯრედის, განსაზღვრება ამ წესითაა შესრულებული, „საქონელი უწინარეს ყოველისა გარეგანი საგანი, ნივთია (უახლოესი გვარი), რომელიც თავის თვისებებით ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს“[8] (სახეობრივი განსხვავებულობა). ასევე შრომის საშუალება განსაზღვრულია, როგორც „ნივთიან კომპლექსი ნივთებისა (უახლოესი გვარი), რომელთაც მუშა თავისსა და შრომის საგანს შორის ათავსებს და რომელშიც მისთვის ამ საგანზე მისი ზემოქმედების გადამტანის როლს ასრულებს“[9] (სახეობრივი განსხვავებულობა).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დასახელებული წესით განისაზღვრებიან არა მარტო ჩვეულებრივი ცნებები, არამედ კატეგორიებიც, რომლებიც ერთიმეორესთან სახე—გვარეობითს დამოკიდებულებაში არიან. კატეგორია, რომელიც სინამდვილის რომელიმე მხარის ასახვას წარმოადგენს, არ გამორიცხავს თვითონ კატეგორიებს შორის (გარდა უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიებისა) სახე — გვარეობითი კავშირის არსებობას. პოლიტიკური ეკონომიის ისეთი კატეგორიები, როგორიცაა ფული, საქონელი, კაპიტალი სახე-გვარეობითს ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან. ფული კაპიტალის მიმართ გვარია, ხოლო კაპიტალი — ფულის მიმართ სახე. თვითონ ფულის კატეგორია საქონლის კატეგორიის სახეა. კაპიტალის უახლოესი გვარია ფული, ფულის უახლოესი გვარი — საქონელი. ამიტომაც აღნიშნული კატეგორიებისათვის უცხოსა და მიუღებელს არ წარმოადგენს უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით განსაზღვრება.

კ. მარქსის მიერ წარმოების კატეგორიის განსაზღვრა: „ყოველი წარმოება არის ბუნების საგნების მითვისება ინდივიდის მიერ გარკვეული საზოგადოებრივი ფორმის შიგნით და ამ ფორმის მეშვეობით“[10] არის უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით შესრულებული განსაზღვრება.

---

[8] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 49.

[9] იქვე, გვ. 229.

[10] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 262.

ბაზისის კატეგორია — ბაზისი არის საზოგადოების ეკონომიკური წყობა მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე — აღნიშნული წესითაა განსაზღვრული. ამ განსაზღვრებაში უახლოესი გვარია — საზოგადოების ეკონომიკური წყობა, სახეობრივი განსხვავებულობა — მისი განვითარება ამა თუ იმ ეტაპზე. თვით ცნება საზოგადოების ეკონომიკური წყობა—შეიძლება აგრეთვე განსაზღვრული იქნეს მასზე უფრო უზოგადესი ცნებით — საწარმოო ძალებითა და წარმოებით ურთიერთობათა საშუალებით. აქ ჩანს, რომ ამ კატეგორიებს აქვთ გვარი ე. ი. სახე — გვარეობითს დამოკიდებულებაში არიან ერთიმეორესთან.

ყველა ზემოდასახელებული მაგალითი ცნების განსაზღვრებისა თავისი ლოგიკური აგებულებით სრულიად ერთგვაროვანია; სახელდობრ, მითითებულია, ნაჩვენებია განსასაზღვრი ცნების უახლოესი გვარი და სახეობრივი განსხვავებულობა. უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესითაა განსაზღვრული ბუნებისმეცნიერების ცნებები, კატეგორიები.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ მარქსიზმის კლასიკოსების მიერ მოცემული განსაზღვრებები ისეთი ცნებებისა, კატეგორიებისა, რომლებიც ზემოთ იყო აღნიშნული, შეუძლებელია უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით იყოს განსაზღვრული. თუმცა ზოგიერთი იმასაც აღიარებს, რომ სახე-გვარეობითი დამოკიდებულება არის აღნიშნული ცნებებს შორის. სხვაგვარად, ზოგიერთი არ უარყოფს აღნიშნულ ცნებებში სახე—გვარეობითს დამოკიდებულებას, მაგრამ მიუთითებენ, რომ მარქსიზმის კლასიკოსების მიერ ზემოდასახელებულ ცნებათა განსაზღვრა ეყრდნობა დიალექტიკურ მეთოდს, ხოლო განსაზღვრების აღნიშნული წესი — მეტაფიზიკურ მეთოდსო. საკითხის ასე დაყენება და გადაწყვეტა აშკარად ლაპარაკობს არა განსაზღვრების აღნიშნული წესის მიუღებლობაზე, არამედ განსაზღვრების წესის ორი, პრინციპულად ერთიმეორისაგან განსხვავებულ, გაგებაზე. მართლაც, მიუღებელია, უკუსაგდებია უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრების საფუძველზე მიღწეული ცნების მეტაფიზიკური გაგება. მეტაფიზიკურად ინტერპრეტირებული ცნებები განსასაზღვრ ცნებათა განვითარებას უარყოფს, სახე — გვარეობითს ცნებათა უცვლელობას ემყარება. სახესა და გვარს შორის არ ცნობს არავითარი ერთეულისა და ზოგადის დამოკიდებულებას. ამგვარად გაგებულმა ცნებამ, ცნობილია, თუ რა უარყოფითი როლი შეასრულა ცნების თეორიის ის-

ტორიაში. ამიტომაც უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით დადგენილი ცნების მეტაფიზიკური ინტერპრეტაცია, მართლაც, უცხოა და მიუღებელი დიალექტიკური ეაგებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებში მოცემულ ცნებათა და კატეგორიათა განსაზღვრებანი უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით, ყოველთვის გაგებულია დიალექტიკურად. მეტაფიზიკური პრინციპით გაგებული ცნების კრიტიკის საუკეთესო ნიმუშს იძლევა მარქსი ეკონომიურ კატეგორიათა ანალიზის დროს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მარქსის მიერ რიკარდოს კრიტიკა. რიკარდო, ამბობს მარქსი, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის მუდმივსა და ცვალებად კაპიტალში არევის გამო, უდიდეს შეცდომებს უშვებს და ნამდვილად გამოკვლევის სრულიად მცდარი საფუძვლიდან გამოდის: „1) რამდენადაც სამუშაო ძალაზე დახარჯული კაპიტალღირებულების ნაწილი საბრუნავი კაპიტალის რუბრიკაში მოექცევა, იგი შემცდარად ავითარებს თვით საბრუნავი კაპიტალის განსაზღვრას და შემცდარად არკვევს განსაკუთრებით იმ პირობებს, რომელთა მეოხებით შრომაზე დახარჯული კაპიტალის ნაწილი ამ რუბრიკაში ხვდება; 2) არეულია ერთმანეთში ის განსაზღვრა, რომლის თანახმად შრომაზე დახარჯული ნაწილი კაპიტალისა ცვალებადი კაპიტალია, და ის განსაზღვრა, რომლის თანახმად იგი წინააღმდეგ ძირითადი კაპიტალისა საბრუნავი კაპიტალია.

იმთავითვე ცხადია, რომ სამუშაო ძალაზე დახარჯული კაპიტალის განსაზღვრა, როგორც საბრუნავი ანუ დენადი კაპიტალისა, მეორადი განსაზღვრაა, რომელშიც გამქრალია მისი differenzia specipica წარმოების პროცესში, რადგან ამ განსაზღვრებაში, ერთის მხრივ, შრომაზე და ნედლეულზე და სხვა დახარჯული კაპიტალები ტოლფასოვანნი არიან; რუბრიკას, რომელიც მუდმივი კაპიტალის ერთ ნაწილს აიგივებს ცვალებად კაპიტალთან, არაფერი აქვს საერთო ცვალებადი კაპიტალის dillernzla spezipica-სთან მუდმივი კაპიტალისაგან განსხვავებით"[11].

უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესის შესახებ ზემოთ თქმული სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ იგი საერთოდ განსაზღვრების წინაშე მდგარ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, ე. ი. აღნიშნული წესით შესაძლებელია ყველა ცნების,

---

[11] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, თბ., 1957, გვ. 278—279.

კატეგორიის განსაზღვრა, კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ უახლესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით ყოველად შეუძლებელია მეცნიერების ყველა ცნების განსაზღვრა. იგი, როგორც განსაზღვრების წესი, გამოიყენება მეცნიერებაში მოცემული ზოგიერთი ცნების, კატეგორიის მიმართ, რომლებიც ერთიმეორესთან სახე—გვარეობით მიმართებაში არიან, თუმცა ასეთი ცნებები, კატეგორიები მრავალია და ამათ რიცხვს ეკუთვნის ძირითადი, უმთავრესი ეკონომიური ცნებებიც და კატეგორიებიც.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით ეკონომიური კატეგორიების განსაზღვრება ამ კატეგორიების როგორც დასაწყისი, ასევე საბოლოო განსაზღვრებაცაა. ზედმეტია მტკიცება, თითქოს წესი — კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მიჩნევა კატეგორიათა სისტემაში — იძლეოდეს განსასაზღვრი კატეგორიის შინაარსის დადგენას. ასეთი წესით, როგორც უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა მიმართ აღვნიშნეთ, განსასაზღვრი კატეგორიის არავითარი შინაარსი არ დგინდება. იგი არავითარ სპეციფიკურს არ ადგენს ცალკეული ეკონომიური კატეგორიების მიმართ. აღნიშნული წესით არ დგინდება, თუ რა არის საქონლის, ფულის და სხვ. კატეგორიათა შინაარსი, არსება. ხოლო უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრებისას იგი უდავოდ გულისხმობს სახე-გვარის განსაზღვრებაში ცნებისათვის გარკვეული ადგილის მიჩნევას.

VI. განსაზღვრების ე. წ. დიალექტიკურ-ლოგიკური წესის შესახებ. საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი — ცნების (მათ შორის კატეგორიის) განსაზღვრების ორი, ერთიმეორისაგან განსხვავებული, წესი არსებობს: დიალექტიკურ-ლოგიკური და ფორმალურ-ლოგიკური. ამ შემთხვევაში, ჩვენი მიზნის შესაბამისად, ყურადღებას მხოლოდ საკითხის ერთ მხარეზე გავამახვილებთ: სახელდობრ, რა ესმით განსაზღვრების დიალექტიკურ-ლოგიკური წესის ქვეშ. ამ მხრივ აღსანიშნავია ბ. კედროვისა[12] და ვ. მალცევის[13] მოსაზრებანი.

---

[12] Б. М. Кедров. Оперирование научными понятиями в диалектической и формальной логике (В книге: «Диалектика и логика, формы мышления»). М., 1961.

[13] В. И. Мальцев. Очерк по диалектической логике. М., 1964.

ბ. კედროვი აღნიშნავს, რომ განსაზღვრების თეორიაში ორი განსხვავებული ხერხი, წესია დაპირისპირებული: ფორმალური და არაფორმალური. უკანასკნელს მიეკუთვნება ის წესები, რომლითაც სარგებლობს დიალექტიკური ლოგიკა. არაფორმალური, შინაარსიანი განსაზღვრება დიალექტიკური ლოგიკის შესწავლის საგანია. დიალექტიკური ლოგიკის ყურადღების ცენტრშია ზოგადლოგიკური წესების დამუშავება. ბ. კედროვის აზრით, დიალექტიკურ-ლოგიკური წესებია: 1. მიმართებითი განსაზღვრება 2. გენეზისური განსაზღვრება, 3. დაპირისპირებულობით განსაზღვრება 4. ზოგადისა და ერთეულის მიმართებით განსაზღვრება, 5. კანონით განსაზღვრება.

მიმართებითი განსაზღვრება გულისხმობს განსასაზღვრი საგნის ყოველმხრივ განხილვას. დიალექტიკა წინააღმდეგია რომელიმე ერთი მხრით განიხილოს ცნებათა შორის მიმართება. თვით განსაზღვრება სხვა არაფერია, თუ არა ცნებებს შორის ამა თუ იმ მიმართების გახსნა, რაშიც თვით საგანთა შორის მიმართებაა ასახული. რაც მეტია ეს მიმართება, მით მეტად შეიძლება მოცემული ცნების განსაზღვრა. უაღრესად ფართო ცნებები, როგორიცაა მატერია და ცნობიერება, ერთიმეორესთან მიმართებით განისაზღვრებიან. მათი მიმართება ერთიმეორესთან თავისი არსებით არის მათივე განსაზღვრება. ორ გნოსეოლოგიურ ცნებას შორის მიმართება, რომელშიც მათი შინაარსია გახსნილი, ისეთივე მიმართებაა, როგორც მიმართება პირველადსა და მეორადს შორის.

ბ. კედროვი გენეზისურ განსაზღვრებას, როგორც დიალექტიკური განსაზღვრების წესს, ახასიათებს ასე: დიალექტიკა მოძღვრებაა განვითარებაზე—ეს მისი, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი განსაზღვრებაა. განვითარება სხვა არაფერია, თუ არა საგანთა კავშირი დროში, ე. ი. თანმიმდევრული კავშირი ისტორიული წარმოშობის მიხედვით. ამიტომაც განსაზღვრების განხილვა, როგორც გასაანალიზებელ ცნებებს შორის მიმართების გახსნა, ზოგადი სახით თავისშივე მოიცავს გენეზისური თვალსაზრისით განხილვას. გენეზისური განსაზღვრების მაგალითად მოყვანილია ვ. ი. ლენინის მიერ იმპერიალიზმის ცნების განსაზღვრა.

დიალექტიკურ ლოგიკაში გამოყენებული განსაზღვრების შემდეგი წესი არის განსაზღვრება დაპირისპირებულობით, რომელსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიალექტიკაში, კერძოდ კატეგორიებზე მოძღვრებაში. დიალექტიკის ე. წ. წყვილი კატეგორიები სხვაგვარად არ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს, თუ არა ყოველი წყვილი კატეგორიის შინაგანი დაპირისპირებულობით.

ბ. კედროვი ეხება რა ზოგადისა და ერთეულის მიმართების წესით განსაზღვრებას, აღნიშნავს: ზოგადი არის გვარეობითი ნიშანი, სახეობრივი განსხვავებულობა (სპეციფიკური) კი ის, რაც მოცემულ კლასში შემოდის. ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, ამბობს კედროვი, როგორ შეიძლება და როგორ უნდა გავხსნათ ზოგადისა და ერთეულის დიალექტიკა ყოველ უმარტივეს მსჯელობაში, მაგალითად, „ცუგა არის ძაღლი", „ივანე არის ადამიანი", „ხის ფოთოლი მწვანეა". აღნიშნული წესი უფრო მეტად ეხება განსაზღვრებას, რომელიც აგებულია ისეთ ლოგიკურ საფუძველზე, როგორიცაა მაგალითად „ვირი არის ცხოველი, რომელიღაც სახეობრივი ნიშნების მქონე".

განსაზღვრების წესი — კ ა ნ ო ნ ი თ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა — კედროვის მიერ განხილულია უფრო ზედმიწევნით და უამრავი კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე. კანონით განსაზღვრება არის ზოგადისა და ერთეულის მიმართებით განსაზღვრების კერძო შემთხვევა, კანონი გამოდის, როგორც საყოველთაო, რომლის საშუალებით განისაზღვრება ცნება, რომელშიც ასახულია ცალკეული საგნები ან მოვლენები, დაქვემდებარებული მოცემულ კანონს, როგორც საყოველთაოს.

კანონით განსაზღვრება, კედროვის თქმით, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ნიმუში თანაფარდობით ცნებათა განსაზღვრებისა, კერძოდ დაპირისპირებულობით განსაზღვრებისა. ასევე განსაზღვრება „გვარისა და სახის" მიმართებით შეიძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც კანონით განსაზღვრების შემცველი. კანონით განსაზღვრება ძალის მქონეა არა მხოლოდ ბუნებისმეცნიერების სფეროში, არამედ სხვა მეცნიერებაშიაც, მათ შორის ფილოსოფიაშიც. ენგელსის მიერ დიალექტიკის განსაზღვრება — დიალექტიკა არის მეცნიერება ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი მოძრაობის უზოგადესი კანონების შესახებ, „დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნების, ადამიანთა საზოგადოების და აზროვნების მოძრაობისა და განვითარების ზოგადი კანონების შესახებ", ასევე ლენინის მიერ „ფილოსოფიურ რვეულებში" დიალექტიკის განსაზღვრა: „მოკლედ, დიალექტიკა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მოძღვრება დაპირისპირებულობათა ერთიანობაზე", არის მეცნიერული ცნების კანონით განსაზღვრების მაგალითი.

ყველა მეცნიერული ცნების განსაზღვრება არ შეიძლება დაყვანილი იქნეს კანონით განსაზღვრებაზე; იგი, როგორც წესი, ეხება არა ყველა ზოგად ცნებას, არამედ თითოეული მეცნიერებისათვის

ბხოლოდ ძირითადს. ფუნდამენტურს, იმ კატეგორიებს, რომლებიც სხვაგვარად არ შეიძლება განისაზღვრონ, თუ არა მხოლოდ მოცემული მეცნიერების კანონების შინაარსის გახსნით.

კანონით განსაზღვრების შესახებ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ბ. კედროვის თქმით, „გვარსა და სახეს შორის დამოკიდებულება იმ ფორმაშიც კი, როგორც იგი ფორმულირებულია ფორმალურ ლოგიკაში, ზოგადისა და ერთეულის დამოკიდებულებას ასახავს". ეს მართებული აზრია. ასევე, მისი თქმით, გვარეობითი ნიშანი საერთოა მოცემული კლასის (გვარის) ყველა წევრისათვის, ხოლო სახეობრივი, განმასხვავებელი — სპეციფიკური.

თითოეული, ცალკეული ელემენტი (სახე), რომელიც მოცემულ კლასში შემოდის, განსაკუთრებულია. შემდეგ—„ზოგადისა და ერთეულის მიმართებით განსაზღვრების კერძო შემთხვევა არის... კანონით განსაზღვრება". „კანონით განსაზღვრება წარმოადგენს თვითონ ზოგადისა და კერძოს მიმართებით განსაზღვრების კერძო შემთხვევას". მაშასადამე, თუ გვარსა და სახეს შორის დამოკიდებულება არის კერძოსა და ზოგადს შორის დამოკიდებულების ასახვა, ხოლო ზოგადისა და კერძოს მიმართებით განსაზღვრების კერძო შემთხვევა არის კანონით განსაზღვრება, მაშინ ეს იმ დასკვნის უფლებას იძლევა, რომ კანონით განსაზღვრება არის კერძო შემთხვევა გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრებისა. აქედან გამომდინარე იგი განსაზღვრების დამოუკიდებელი წესი კი არ არის, გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრების „კერძო შემთხვევაა".

რაც შეეხება ზოგადისა და ერთეულის მიმართებით განსაზღვრებას, იგი თვითონ არის გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობით განსაზღვრება. გვარი მოცემული კლასის (გვარის) ყველა წევრისათვის ზოგადია, ხოლო სახე მოცემულ კლასში მყოფი ყველა წევრისათვის — სპეციფიკური (კედროვი); თუ ეს ასეა (ეს კი ნამდვილად ასეა), მაშინ რა საჭიროა ზოგადისა და ერთეულის მიმართებით განსაზღვრების აღიარება განსაზღვრების დამოუკიდებელ ხერხად. ზოგადისა და ერთეულის მიმართებით განსაზღვრება რომ ნამდვილად უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრებაა, ამას ადასტურებს თვით კედროვის მიერ მოყვანილი მაგალითები: „ვირი არის ცხოველი, რომელიღაც სახეობრივი ნიშნების მქონე". ეს ხომ ის მაგალითია, რომლის შე-

სახებ ვ. ი. ლენინი შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ წერს: რომ განვსაზღვროთ ცნება (სახე—გვარობის წესით ბ. უ.), ეს ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, ამა თუ იმ ცნების მიყენებას უფრო ფართო ცნებისადმი. ყოველივე ამის გამო ზოგადისა და ერთეულის დამოკიდებულებით განსაზღვრება იმ ნიშან-თვისებით და მაგალითებით, რაც მ. კედროვის მიერ არის მოყვანილი, ნამდვილად იგივეა, რაც განსაზღვრება უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობის წესით.

რაც შეეხება განსაზღვრებას დაპირისპირებულობით, იგი ნამდვილად განსაზღვრების დამოუკიდებელი წესია. კედროვი მართებულად მიუთითებს, რომ „დიალექტიკის ე. წ. წყვილი კატეგორიები სხვაგვარად არ შეიძლება განსაზღვრული იქნეს, თუ არა ყოველი წყვილი კატეგორიის შინაგანი დაპირისპირებულობით“.

ვ. მალცევმა ცნების განსაზღვრებას უძღვნა სპეციალური სტატია „ცნების განსაზღვრების პრობლემა დიალექტიკურ ლოგიკაში“, რომელიც შეტანილია მისსავე წიგნში „ნარკვევი დიალექტიკურ ლოგიკაში“. ლოგიკაში განსაზღვრების აღიარებული წესები (უახლოესი გვარით და სპეციფიკური განსხვავებულობით, გენეზისური განსაზღვრება) დიალექტიკური განსაზღვრებისათვის ვ. მალცევის მიერ მიჩნეულია მიუღებლად. ამიტომაც იგი აღიარებს და განიხილავს დიალექტიკური განსაზღვრების ოთხ ძირითად ტიპს.

დიალექტიკური განსაზღვრების პირველი ტიპია საფუძვლისა და მისი განვითარების ახალი საფეხურის მითითებით განსაზღვრება. ასეთი განსაზღვრების ერთ-ერთ მაგალითად დასახელებულია ვ. ი. ლენინის მიერ იმპერიალიზმის განსაზღვრა. ერთი შეხედვით, ამბობს მალცევი, ეს განსაზღვრება მიეკუთვნება გვარითა და სახეობრივი განსხვავებულობით განსაზღვრებას, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ამ განსაზღვრებაში მოცემულია ობიექტის განსაზღვრება, ამიტომაც განსაზღვრების ტიპი „საფუძვლისა და მისი განვითარების ახალი საფეხურის მითითებით განსაზღვრება“ ობიექტის განვითარების ახალ უმაღლეს სტადიას ასახავს. იმპერიალიზმის კაპიტალიზმთან დამოკიდებულება არ არის სახე—გვარეობითი. აქ ორი განსხვავებული საფეხურის დამოკიდებულება გვაქვს, სადაც პირველი საფეხური მეორის განვითარების ბაზაა. მეორე მხრივ, კაპიტალიზმის ჩარჩოებში იმპერიალიზმი არის განვითარებული, თვისებრივად ახალი საფეხური. იმპერიალზმის გასაზღვრება მაგალითია განსაზღვრების ახალი სახისა. მალცევი წერს განსაზღვრების განხილული მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მოცემულ

შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის ჩვეულებრივ განსაზღვრებებთან, არამედ განსაზღვრების ახალ ტიპთან, რომელიც ობიექტის განვითარების, ამ განვითარებაში განსაზღვრული. საფეხურების გამომხატველია.

განსაზღვრების მეორე ტიპია „ნიშნებში წინააღმდეგობის გამოთქმით განსაზღვრება". ამ განსაზღვრების მაგალითად მოყვანილია ვ. ი. ლენინის მიერ „დიად თაოსნობაში" კლასების განსაზღვრება. ამ განსაზღვრებაში, ამბობს მალცევი, ასახულია განსასაზღვრი ობიექტის — კლასების წინააღმდეგობა. მახვილი გაკეთებულია განსხვავებულობაზე, ძირეულ დაპირისპირებულობებზე, რომლებიც არსებობენ ანტაგონისტურ კლასებს შორის და წარმოადგენენ კლასების არსებობის პირობას. შემდეგ კლასების თითოეული ნიშანი დახასიათებულია, როგორც ობიექტის დაპირისპირებული მხარეების ამსახველი. განსაზღვრების ამ ტიპზე მალცევი წერს: კლასების ლენინური განსაზღვრების შინაარსის მსგავსი განხილვა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს განსაზღვრების განსაკუთრებული სახე, რომელიც გვიხსნის ასახული ობიექტის წინააღმდეგობრივ ხასიათს.

კლასების განსაზღვრება, მალცევის თქმით, ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის ხერხით განსაზღვრებად. მაგრამ ამ განსაზღვრების ანალიზი იმას ნათელყოფს. რომ იგი არსებითად განსხვავებულია ჩვეულებრივი ტიპისაგან. მართალია, „ადამიანთა დიდი ჯგუფი" გვარეობითი ცნების ადგილზეა, მაგრამ იგი თავისი არსებით არ არის ასეთი, გვარეულობითი ცნება სახის ზოგად ნიშანს გამოხატავს, რომელიც მოცემულ გვარეობით ცნებას აკმაყოფილებს. განხილულ განსაზღვრებაში კი ცნება „ადამიანთა დიდი ჯგუფი" მოცემული „სახის" ელემენტების ზოგიერთ საერთო ნიშანს გამოხატავს.

განსაზღვრების მესამე გვარად აღიარებულია „უაღრესად ფართო ცნებათა მიმართებით განსაზღვრება". უაღრესად ფართო ცნებებს მიეკუთვნება მატერიისა და ცნობიერების ცნებები. გნოსეოლოგია ამ ცნებათა იქით არ მიდის, ამიტომაც იგი არ შეიძლება ჩვეულებრივ განსაზღვრულ იქნეს უახლოეს გვარსა და სახეობრივ განსხვავებულობაზე მითითებით. მათი განსაზღვრება შეიძლება მხოლოდ მათსავე შორის მიმართების დადგენით, იმის მითითებით, რომ მატერია პირველადია და ცნობიერება მეორადი. განხილულია ვ. ი. ლენინის მიერ მატერიისა და ცნობიერების ცნებების განსაზღვრებები. აღნიშნულია, რომ მატერია და ცნობიერება არ შეიძლე-

ბა მოთავსდეს უფრო ფართო ცნებების ქვეშ. გაკრიტიკებულია ბოგდანოვი, რომელიც შეეცადა მატერიის ცნება „ცდის“ ცნებაში მოეთავსებინა. მისთვის დაექვემდებარებინა. განსაზღვრების ამ ტიპია დასკვნით ნაწილში ნათქვამია: განსაზღვრების ამ განსაკუთრებულ ტიპს — უაღრესად ფართო ცნებათა მიმართებით განსაზღვრებას — დიდი მნიშვნელობა აქვს იდეალისტურ-ეკლექტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლაში.

განსაზღვრების მეოთხე ტიპად განხილულია განსაზღვრება ცნებით „მატერიის არსებობის ფორმა, საშუალება“. ასეთია მოძრაობის („მოძრაობა მატერიის არსებობის ფორმაა“), სივრცისა და დროის („სივრცე და დრო ყოველგვარი არსებობის ძირითადი ფორმებია“) განსაზღვრებები. აღნიშნულია, რომ ამ ტიპის განსაზღვრება ხაზს უსვამს ღრმა შინაგან კავშირს განსასაზღვრსა და განმსაზღვრელს, შორის, მათს ატრიბუტულ დამოკიდებულებას. ცნება „მატერიის არსებობის საშუალება“ მოძრაობასთან, დროსა და სივრცესთან მიმართებაში არ არის გვარეობითი.

ვ. მალცევის აზრით, დიალექტიკური განსაზღვრების ტიპების შესწავლა, რაც ფორმალური ლოგიკის ჩარჩოებს სცილდება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური ამოცანაა. ასეთია მალცევის შეხედულების ძირითადი აზრი დიალექტიკურ-ლოგიკური განსაზღვრების ძირითადი ტიპების შესახებ. რა შეიძლება ითქვას განსაზღვრების ასეთი ტიპების შესახებ? უპირველეს ყოვლისა, არავითარი ასეთი „დიალექტიკური განსაზღვრების ძირითადი ტიპები“ არ არსებობს. განსაზღვრების წესები (ხერხები) არ იყოფა დიალექტიკურ და ფორმალურ ლოგიკურ წესებად. განსაზღვრება ლოგიკური ოპერაციაა და მას აქვს თავისი წესები. ამიტომაც, როგორც არ არის სწორი ცნების, კატეგორიის ობიექტის დაყოფა განსაზღვრების ფორმალურ და დიალექტიკურ ლოგიკურ სფეროებად (ბ. კედროვი), ასევე არ არის სწორი განსაზღვრების წესების დაყოფა ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკური განსაზღვრების წესებად. ის ფაქტი, რომ ურთიერთდაპირისპირებულობის წესით განსაზღვრება მატერიალისტური დიალექტიკის წყვილად კატეგორიათა სფეროში მოიხმარება, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამის გამო განსაზღვრების დასახელებული წესი დიალექტიკურ-ლოგიკური განსაზღვრების წესია.

რაც შეეხება განსაზღვრების ცალკეულ ტიპებს, რომლებიც დიალექტიკური განსაზღვრების ტიპებად არიან მიჩნეულნი, უნდა ითქვას შემდეგი: განსაზღვრების პირველი ტიპი სინამდვილეში უახ-

ლოესი გვარისა და სპეციფიკური (სახეობრივი) განსხვავებულობის განსაზღვრების ტიპია. ვ. ი. ლენინის მიერ იმპერიალიზმის ცნების განსაზღვრება სწორედ გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობის წესით არის შესრულებული. ხოლო განსაზღვრების მეორე ტიპი, რომელიც ფორმულირებულია სახელწოდებით: ნიშნებში წინააღმდეგობის გამოთქმით განსაზღვრება, ნამდვილად არ არის განსაზღვრების არავითარი ახალი ტიპი. ის, რაც ვ. მალცევს განსაზღვრების ახალ ტიპად მიაჩნია, სინამდვილეში ეხება არა განსაზღვრების წესის განსაკუთრებულობას, მის ახალ ტიპად ფორმულირებას, არაშენ თვით განსასაზღვრ საგანს, სახელდობრ, „კლასებს". ვ. ი. ლენინის მიერ „კლასების" ცნების განსაზღვრება საუკეთესო ნიმუშია უახლოესი გვარისა სპეციფიკური განსხვავებულობის წესით განსაზღვრების.

დიალექტიკური განსაზღვრების მესამე სახე—განსაზღვრება უაღრესად ფართო ცნებათა მიმართებებით, შეიძლება განსაზღვრების წესად იქნეს მიჩნეული კატეგორიათა მიმართაც. მაგრამ ამის გამო იგი დიალექტიკური განსაზღვრების წესი კი არ იქნება. არამედ კატეგორიათა, ცნებათა განსაზღვრების მრავალი წესიდან ერთ-ერთი. საკითხავია აღნიშნული წესი ნუთუ მხოლოდ ორი უაღრესად ფართო კატეგორიის განსაზღვრების წესია? ასეთი კითხვა ლოგიკურია, ვინაიდან ვ. მალცევი განსაზღვრების აღნიშნულ წესს უქვემდებარებს მხოლოდ მატერიისა და ცნობიერების კატეგორიებს და არცერთი სხვა კატეგორიის შესახებ არაფერს ამბობს, განისაზღვრებიან თუ არა დასახელებული წესით.

განსაზღვრების მეოთხე ტიპი — განსაზღვრება ცნებითი მატერიის არსებობის ფორმა, საშუალება — ნამდვილად არ არის განსაზღვრების არავითარი ტიპი. განსაზღვრების ეს „ტიპი" მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მოძრაობა, დრო და სივრცე მატერიის არსებობის ფორმებია. მაგრამ, ჯერ-ერთი, აქ მხოლოდ განსასაზღვრ ობიექტზეა მითითებული და არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორ განისაზღვრებიან ამ ობიექტის შესაბამისი კატეგორიები; მეორე—აღნიშნული წესით განისაზღვრება მოძრაობის, დროისა და სივრცის ფორმები მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ისინი მატერიის არსებობის ფორმები არიან. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ამბობს მათი ერთიმეორისაგან განსხვავებულობაზე, რისი ჩვენებაც აუცილებელია განსაზღვრებისათვის.

VII. ცნების შინაარსისა და განსაზღვრების დამოკიდებულება.

უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის ცნებისა და კატეგო-

რიათა განსაზღვრების წესის განხილვის შემდეგ საჭიროა შევეხოთ ცნების შინაარსისა და განსაზღვრების დამოკიდებულების საკითხს. რომლის გარკვევა წინასწარ ერთ-ერთი საკითხის, სახელდობრ. საგნის შესახებ ცოდნისა და საგნის შესახებ ცნების დამოკიდებულების გარკვევას მოითხოვს.

საგანი, მოვლენა არა თუ რთული, არამედ უმარტივესიც, უამრავი თვისებით, ნიშნით ხასიათდება. საგნის, მოვლენის მრავალ თვისებასა და ნიშანზე ადამიანს გააჩნია ცოდნა, ხოლო მრავალს კიდევ ყოველდღიური პრაქტიკის საფუძველზე შეიმეცნებს, უფრო ღრმად სწვდება საგნისათვის, მოვლენისათვის დამახასიათებელ მხარეებს, კავშირებს, მიმართებებს. ადამიანი საგანზე, მოვლენაზე, მათ თვისებებსა და კავშირებზე, მიმართებებზე აგროვებს უამრავ ცოდნას. ქმნის ცოდნის სისტემას. ისეთი საგანი, როგორიცაა ბუნება, უამრავი მიმართებით, ნიშნით ხასიათდება. უძველესი დროიდან დღემდე მის შესახებ არსებობდა და არსებობს უდიდესი ცოდნა, რომელსაც ადამიანები გამოცდილებათა საფუძველზე დღითიდღე ამდიდრებენ. ადამიანები ასევე სწავლობენ საზოგადოებრივ მოვლენებს. სულ უფრო და უფრო ღრმად შეიმეცნებენ მისი განვითარების კანონზომიერებას, საზოგადოების ზოგად და სპეციფიკურ კანონებს. მაგალითად, კაპიტალიზმზე, რომელიც უამრავი თვისებით, მიმართებით ხასიათდება, ჯერ კიდევ მარქსამდე არსებობდა უდიდესი ცოდნა, კ. მარქსმა კი კაპიტალიზმი, როგორც გარკვეული საზოგადოებრივი საგანი, მოვლენა აიღო კვლევის ობიექტად, შექმნა ცოდნის სისტემა კაპიტალიზმზე; მიუძღვნა მას მრავალტომიანი გამოკვლევა „კაპიტალი". ამ გამოკვლევათა საფუძველზე თვით კაპიტალიზმის აუცილებელი დაღუპვის გზაც აჩვენა. იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის უამრავი ახალი თვისება, ნიშანი იქნა შეცნობილი. იმპერიალიზმიც, როგორც გარკვეული საგანი, უამრავი ახალი თვისებით, მხარით, მიმართებით ხასიათდება. მის ნიშანთა რაოდენობა უსაზღვროდ დიდია ამ საგანზე. ე. ი. იმპერიალიზმზე. მხოლოდ ვ. ი. ლენინის გამოკვლევებით, განსაკუთრებით წიგნით „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია", უდიდესი ცოდნა ჩამოყალიბდა სისტემად. ასევე ითქმის ყველა სხვა საგანზეც, ე. ი. ყოველი საგანი უამრავი თვისებით, ნიშნით ხასიათდება, მასზე გარკვეული დროის განმავლობაში ცოდნა გროვდება, რაც დროთა მანძილზე კიდევ უფრო ღრმავდება. მაგ., ისეთი უმცირესი ნაწილაკიც კი, როგორიცაა ატომი, უამრავი თვისების მქონეა და მასზე ცოდნა უფროდა უფრო იზრდება. მაშასადამე, საგანზე

ცოდნა ეს არის ცოდნა მის მრავალ თვისებაზე, მიმართებაზე. თვით თვისებებს, მიმართებებს მრავალმხრიობა ახასიათებს და მათზე ცოდნა სულ უფრო ფართოვდება. ამის შემდეგ დაისმის კითხვა: საგნის შესახებ ცოდნა და ამავე საგნის ცნება ტოლია თუ განსხვავებული? რა თქმა უნდა, განსხვავებული. საგნის „ცოდნა“ და „ცნება“, უდავოდ, განსხვავებული შინაარსის ცნებებია. მათი გაიგივება ყოვლად შეუძლებელია და, თუ გავაიგივებთ, მაშინ შეცდომას დავუშვებთ. მცდარი იქნება დაშვება იმისა, რომ იგივეობრივია: ბუნების შესახებ ცოდნა და ბუნების შესახებ ცნება; საზოგადოების შესახებ ცოდნა და საზოგადოების შესახებ ცნება; ატომის შესახებ ცოდნა და ატომის შესახებ ცნება. რა თქმა უნდა, ასევე მცდარი იქნება დაშვება იმისა, რომ კაპიტალიზმის შესახებ ცოდნა და კაპიტალიზმის შესახებ ცნება იგივეობრივია. ან იმპერიალიზმის შესახებ ცნება და იმპერიალიზმის შესახებ ცოდნა იგივეობრივია. არც ბუნების, არც საზოგადოების, არც ატომის, არც კაპიტალიზსა და არც იმპერიალიზმის ცნებაში არ შემოდის და არც შეიძლება შემოდიოდეს ყველა იმ ნიშნის ცოდნა, რომლებიც ბუნების, საზოგადოების, ატომის, კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის შესახებ არსებობს. კ. მარქსის მიერ კაპიტალიზმის, ხოლო ვ. ი. ლენინის მიერ იმპერიალიზმის შესახებ თავიანთ გამოკვლევებში გადმოცემული ცოდნა არ არის კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის შესახებ ცნებების შინაარსის ტოლი. უფრო ზუსტად, კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნის ცოდნა არასდროს არ შემოდის კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ცნების შინაარსში. აქედან დასკვნა — საგნის შესახებ ცოდნა და იმავე საგნის ცნება არ არის იგივეობრივი არც შინაარსობრივად და არც მოცულობით. ამას თვით ცნების განსაზღვრებაც ადასტურებს. საგნის შესახებ ცოდნა უფრო მდიდარია, მრავალმნიშვნელოვანია, ვიდრე ამ საგნის ცნება. საგნის შესახებ არსებულ ცოდნას, როგორც სისტემას, მოეთხოვება საგნის ყოველმხრივი განხილვა, საგნის შესახებ სრულყოფილი ცოდნა. ცოდნა ისეთი, რომელშიც ასახული იქნება საგნის ყველა მხარე, კავშირი, მიმართება, თვისება, სადაც საგანი განხილული იქნება მის განვითარებაში, ცვლილებაში და ა. შ. ამას ვერ მოვთხოვთ ცნებას. საგნის შესახებ ცოდნამ მთლიანობაში ნამდვილად უნდა აჩვენოს საგნის შეცნობილი თვისებების, მხარეების, მიმართებების კავშირები, მათი ცვლილება და განვითარება. ამ ყოველმხრივობის ჩვენების გარეშე საგნის შესახებ ცოდნა არ იქნება სრულყოფილი. მაგრამ იმას, რასაც საგნის შესახებ ცოდნას მის

მთლიანობაში, როგორც საგნის შესახებ ცოდნის გარკვეულ სისტემას. მოკთხოვდით, ვერ გადმოგეცანთ ამ საგნის ცნების მიმართ. ამ. ერომაც არ მიგვაჩნია მართებულად ის მოსაზრება, თითქოს ცნებამ უნდა აჩვენოს საგნის, მოვლენის ყველა თვისება, მხარე, მიმართება, საგნის, მოვლენის ცვლილება — განვითარება მის მთლიანობაში. ასეთი საგნის ყველა თვისების, მიმართების მაჩვენებელი ცნება ნამდვილად არ არსებობს. არცერთ ცნებას, ცალკე აღებულს, არასდროს არ შეუძლია საგნის ყველა თვისების, მიმართების ჩვენება. უფრო ზუსტად, ცნებას, როგორიც არ უნდა იყოს იგი, არასდროს არ შეუძლია საგნის ყველა თვისება, მიმართება, მისი მთელი განვითარება და ცვლილება ყოველმხრივ ასახოს.

საკითხის ასე გადაწყვეტასთან დაკავშირებით პასუხი უნდა გავცეთ კითხვას: როგორ უნდა გავიგოთ დიალექტიკური ლოგიკისადმი წამოყენებული მოთხოვნა, რომ იგი ვალდებულია იხილავდეს საგანს, მის თვისებებსა და მიმართებებს ცვლილება-განვითარებაში, ყოველმხრივობაში? საგნის ყველა მხარის, კავშირის, მიმართების ცვლილება — განვითარების ცოდნა ნამდვილად არის შესაცნობისადმი დიალექტიკური მიდგომა და ცოდნის დიალექტიკური ახსნა, მაგრამ ნუთუ შეუძლია ასეთი ცოდნის მოცემა რომელიმე ცალკე აღებულ ცნებას? რა თქმა უნდა, არა! ასეთი ცოდნის მოცემის შესაძლებლობა არ თავსდება არცერთი ცნების საზღვრებში. იგი ყოველგვარი ცნების, მით უმეტეს ყოველგვარი განსაზღვრების, გარეთ დგას, ყოველგვარი ცნების საზღვრების გარეშეა. ზემოაღნიშნული მოთხოვნა დიალექტიკური ლოგიკისადმი, უდავოდ, ეხება მხოლოდ და მხოლოდ საგნის შესახებ არსებულ ცოდნას. ცოდნის, როგორც გარკვეული სისტემის, წინაშე ასეთი მოთხოვნა აუცილებელია.

არსებობს შეხედულება, მეტად გავრცელებული, რომ განსაზღვრებაში აუცილებელია მითითებული იქნეს ცნების შინაარსის ყველა ნიშანი. განსაზღვრება უნდა აჩვენებდეს ცნებაში ასახული საგნის ნიშნებს, ცნების შინაარსს მთლიანად. ამას მოითხოვს თვითონ განსაზღვრების წესი, თვითონ განსაზღვრება. უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავებულობით განსაზღვრების წესი მოითხოვს განსაზღვრებაში ცნების ყველა ნიშნის სრული სახით ჩვენებას. ეს წესი ცდილობს, უახლოესი გვარისა და სახეობრივი განსხვავებულობა გააერთიანოს იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს ცნებაში ასახული ყველა ნიშნის განსაზღვრებაში ჩვენების მოთხოვნა. ამ მიზნის განხორციელებას ძირითადად ემსახურება უახლოე-

სი გვარის ცნების შემოტანა განსაზღვრებაში. განსაზღვრება ცნებაში ასახული საგნის ნიშნებზე მითითებაა. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცნებაში ასახულ ყველა ნიშანზე იქნება მითითებული. თუ განსაზღვრებაში ცნების ნიშნები არ იქნება მთლიანად მოცემული, მაშინ მიუღწეველი დარჩება განსაზღვრების მიზნები. ცნების შინაარსსა და განსაზღვრებას შორის უნდა იყოს იგივეობრივი დამოკიდებულება. ამ ძირითად აზრს მკვლევრები განსხვავებულად გამოთქვამენ. მაგ., „განსაზღვრებაში უნდა იყოს ცნების შინაარსის ყველა არსებითი ელემენტი ან ცნების ობიექტის ყველა არსებითი ნიშანი“. „ცნების განსაზღვრება დაიყვანება ცნების შინაარსზე“, „ცნების განსაზღვრება არის ცნების ნიშანთა ამომწურავი ჩამოთვლა, ე. ი. მისი შინაარსის ჩვენება“, „ცნების განსაზღვრება ეწოდება ამ ცნების შინაარსის შემქმნელ ნიშანთა სრულ მითითებას“, „ნამდვილად განსაზღვრებაში ჩვენ მივუთითებთ ცნების ყველა ნიშანს, გარდა ე. წ. წარმოებული ნიშნებისა, რომლებიც როგორც წესი არ არის მითითებული განსაზღვრებაში, მაგრამ შესაძლებელია მივუთითოთ კიდევაც“.

აღნიშნულ შეხედულებათა საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ განსაზღვრებაში არაა საჭირო ყველა ის ნიშანი იყოს ნაჩვენები, რომლებიც ცნებაშია ასახული. ცნებაში ასახული ყველა ნიშნის ჩვენება უდავოდ მოუხერხებელია განსაზღვრებისათვის. ცნებათა უმრავლესობა ისეთ მრავალ ნიშანს მოიცავს, რომ მათი სრული, მთლიანი სახით ჩვენება არავითარ განსაზღვრებას არ შეუძლია. განსაზღვრებები არსებითად კმაყოფილდებიან მხოლოდ ზოგიერთი ნიშნის ჩვენებით. ეს ზოგიერთი ნიშანი უნდა იყოს არსებითი, სპეციფიკური. განსაზღვრებაში ხშირად შესაძლებელია ისიც, რომ ცნების შინაარსის ცალკეული მხარე იყოს წარმოდგენილი და ამ მხრივ დახასიათდეს განსასაზღვრი საგანი, რომლის ნიშანი ცნებაშია ასახული.

თუ ვინმე აღნიშნავს, რომ არის ისეთი განსაზღვრებები, სადაც ცნების შინაარსი მთლიანად არის ნაჩვენები, მათ წინააღმდეგ შეგვიძლია ვთქვათ: შესაძლებელია, მართლაც, განსაზღვრებაში ცნების რამდენიმე ძირითადი ნიშანი იყოს დასახელებული, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ განსაზღვრებაში ცნების შინაარსის ყველა ნიშანია მოცემული, რომ განსაზღვრებაში ნაჩვენები ძირითადი ნიშნები ემთხვეოდეს განსასაზღვრი ცნების შინაარსს. მაგ., ვ. ი. ლენინის მიერ კლასების ცნების განსაზღვრებაში ოთხი ძირითადი ნიშანია დასახელებული. ეს იმაზე მიუთითებს, რომ

„კლასების“ ცნების განსაზღვრებაში ცნების შინაარსის ძირითადი ნიშნებია დასახელებული. მაგრამ თუ კითხვას დავსვამდით — ამ ძირითადი ნიშნების გარდა სხვა ნიშნები იგულისხმება თუ არა აღნიშნული ცნების შინაარსში? ვუპასუხებდით დადებითად—„კლასების“ ცნების შინაარსი მხოლოდ ოთხი ნიშნით არ ამოიწურება. ამაზე, ჯერ ერთი, თვით განსაზღვრებაში დასახელებული „კლასების“ ცნების ძირითადი ნიშნებიც მეტყველებს. აღნიშნულ განსაზღვრებაში განსასაზღვრი ცნების შინაარსის ძირითადი ნიშნებია დასახელებული და არა ამ ცნების ყველა ნიშანი.

განსაზღვრება თავისი მიზნის მისაღწევად — განსასაზღვრი ცნების გასამიჯნავად სხვა ცნებისაგან არასდროს საჭიროებს ცნების შინაარსის ყველა ნიშნის ჩვენებას. იგი ამ მიზანს აღწევს ზოგიერთი ნიშნის ჩვენებითაც. რა თქმა უნდა, განსაზღვრება პირველ რიგში აჩვენებს ცნების შინაარსის არსებით, სპეციფიკურ ნიშნებს, მაგრამ იგი ვერასდროს აჩვენებს განსასაზღვრი ცნების შინაარსის ყველა ნიშანს. განსაზღვრებაში ამ უკანასკნელის მოთხოვნა (ცნების შინაარსის ყველა ნიშნის ჩვენება) თვითონ განსაზღვრებას გახდიდა ზედმეტს. განსაზღვრება დაემთხვეოდა, იგივეობრივი გახდებოდა თვითონ ცნების შინაარსისა. ცნების მთელი შინაარსი ტოლი იქნებოდა განსაზღვრებაში ნაჩვენები ცნების შინაარსისა. თვით განსაზღვრება კი იქნებოდა განსასაზღვრი ცნების ობიექტის შესახებ ცნებაში ასახულ ნიშანთა ტოლი. სწორედ ასეთი ტოლობის გამო განსაზღვრება გახდებოდა ზედმეტი. უფრო ზუსტად, იმის მტკიცება, რომ ცნების განსაზღვრება არის ცნების ნიშანთა ამომწურავი ჩამოთვლა, ჩვენება, ნიშნავს ცნების შინაარსისა და განსაზღვრების გაიგივებას. ამ გაიგივებით კი ზედმეტი ხდება თვით განსაზღვრება. ცნების შინაარსსა და განსაზღვრებას შორის იგივეობის ნიშნის დასმა არის მიზეზი განსაზღვრებაზე მეტისმეტად გავრცელებული ორი არასწორი შეხედულებისა: ერთი—განსაზღვრება (ყოველი განსაზღვრება) არის მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრება. მეორე—ყოველი განსაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ ანალიზურია. განსაზღვრება ახალს არაფერს იძლევა, იგი მხოლოდ იმას შლის, რაც უკვე ცნებაში იგულისხმება. ამგვარად, ცნების შინაარსსა და განსაზღვრებას შორის იგივეობის ნიშნის დასმას უდავოდ მივყავართ აღნიშნულ, არასწორ დასკვნამდე.

ცნების შინაარსსა და განსაზღვრებას შორის იგივეობის საწინააღმდეგოდ ლოგიკურ ლიტერატურაში წამოყენებულია არგუმენტი, რომელიც მათ შორის განსხვავებას ასაბუთებს, მაგრამ ამ და-

საბუთების გზა არასწორია, რადგანაც ცნების შინაარსსა და განსაზღვრებას შორის განსხვავება დასაბუთებულია ცნების შინაარსის გაიგივების საფუძველზე საგნის შესახებ ცოდნასთან. ვინც ასეთი გაიგივებით განსაზღვრებასა და ცნების შინაარსის განსხვავებულობის მტკიცებას შეეცდება, იგი ლოგიკურ შეცდომას უშვებს, ნაცვლად იმისა, რომ განასხვავოს ცნების შინაარსი და განსაზღვრება. ასხვავებს საგანზე ცოდნასა და განსაზღვრებას. ამით წინასწარ აიგივებს იმას, რისი გაიგივებაც სინამდვილეში შეუძლებელია. საგნის შესახებ ცნების საგნის შესახებ ცოდნასთან გაიგივების შემდეგ ადვილად ხერხდება განმასხვავებელი ნიშნების მოძებნა განსაზღვრებასა და ცნების შინაარსს შორის, რომელიც სინამდვილეში საგნის შესახებ ცოდნასთანაა გაიგივებული და ამ უკანასკნელის საფუძველზეა განსხვავება დადგენილი. ზემოთ ვაჩვენეთ, რომ საგნის შესახებ ცოდნა და საგნის შესახებ ცნება ერთიმეორისაგან განსხვავებულია, მათი გაიგივება შეცდომაა, მაგრამ შეცდომაა ისიც. თუ საგნის შესახებ ცნებას საგნის შესახებ ცოდნასთან გაიგივების საფუძველზე განსაზღვრების მათგან განსხვავებულობას ვასაბუთებთ. ასეთი შეცდომა ნამდვილად გვხვდება. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ცნების შინაარსში შემოდის საგნის შესახებ მთელი ცოდნა, რომელშიც ასახულია ყველა მისი მხარე, კავშირი, მიმართება. საგნის მოძრაობა, განვითარება და წინააღმდეგობა. ასე დახასიათებული ცნების შინაარსი, მართლაც, საგნის შესახებ ცოდნასთანაა გაიგივებული და ასეთი „ცნების" განსაზღვრება განსხვავდება თავისი შინაარსით განსაზღვრებისაგან. ასეთი „ცნების შინაარსი", როგორც აღვნიშნეთ, არასდროს არ არის მთლიანად მოცემული განსაზღვრებაში. განსაზღვრებას, მართლაც, არასდროს არ შეუძლია საგნის ყველა ნიშანი აჩვენოს, მოიცვას მოვლენათა ყოველმხრივი კავშირები მის სრულ განვითარებაში. საგნის ნიშნები უსაზღვროდ მრავალია. მას არა თუ განსაზღვრება და ცნება, არამედ ვერც საგნის შესახებ ცოდნა აჩვენებს იმ აზრით, რომ იგი ამოუწურავია. განსაზღვრების ამოცანა არ არის საგნის ყველა ნიშანზე მითითება. აშკარა განსხვავებულობა საგნის შესახებ ცოდნასა და განსაზღვრებას შორის არ უნდა იყოს დავის ობიექტი. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი არასწორი გზით ასხვავებს განსაზღვრებას ცნების შინაარსისაგან. სადავოს წარმოადგენს საკითხი: განსაზღვრებაში მითითებულია თუ არა ყველა იმ ნიშანზე, რომლებიც განსასაზღვრ ცნებაშია ასახული. ამაშია განსხვავებულ აზრთა წინააღმდეგობა.

განსაზღვრებას რომ არ შეუძლია ცნების შინაარსი აჩვენოს მთლიანად, ამას ისიც ადასტურებს, რომ საგანზე ან საგანთა კლასზე ცნების შინაარსი შეიძლება განსხვავებული განსაზღვრებებით გამოითქვას. ეს იმას ცხადყოფს, რომ განსაზღვრება ცნების რომელიმე ერთ ნიშანს ან ნიშანთა ჯგუფს აჩვენებს, მაგრამ განსასაზღვრი ცნების შინაარსს მაინც ვერ გამოთქვამს მთლიანად. განსაზღვრებას რომ განსასაზღვრი ცნების შინაარსის მთელი მოცულობით გამოთქმა შეეძლოს, ანუ განსაზღვრება და ცნების შინაარსი იგივეობრივი იყოს, ერთიმეორეს ემთხვეოდეს, მაშინ განსაზღვრებამ ერთი და იგივე ტერმინის შინაარსი სხვადასხვა სახით კი არ უნდა გამოხატოს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ე რ თ ი თ, მაგრამ ეს სინამდვილეში არცერთი ცნების განსაზღვრების დროს ასე არ ხდება.

ერთი და იგივე ცნების შესახებ განსხვავებული განსაზღვრებანი უფრო მეტად არა მხოლოდ განსხვავებული ძალისანი არიან (ე. ი. განსასაზღვრი ცნების შინაარსს განსხვავებული არსებითი ნიშნები გამოთქვამენ), არამედ ხშირად ერთი და იმავე ცნების განსხვავებული განსაზღვრებები არიან, რომლებიც მოცემული ცნების შინაარსის აუცილებელ და სავალდებულო ნიშნებს გამოხატავენ. ამას ადასტურებენ ენის, პარალელოგრამის, ოთხკუთხედის და სხვ. განსაზღვრებანი. აღნიშნულ ცნებათა განსაზღვრებას არასდროს შეუძლია ცნების შინაარსში მოცემული ყველა ნიშანი გვიჩვენოს. ფაქტია, არის ისეთი ცნებებიც, რომელთა შინაარსში შემავალი ყველა ელემენტის მითითება განსაზღვრებაში არასდროს შეიძლება მოხერხდეს ლოგიკური თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ნამდვილი რიცხვის ცნების მრავალი, ერთიმეორისაგან განსხვავებული განსაზღვრება არსებობს. ერთ-ერთი განსაზღვრება ნამდვილი რიცხვის ცნებისა მის უსასრულობასთან კავშირში ასეთია: ნამდვილი რიცხვი არის რაციონალურ რიცხვთა სიმრავლის განაკვეთის ქვედა კლასი. ამ განსაზღვრებაში ნამდვილი რიცხვი განსაზღვრულია, როგორც რაციონალური რიცხვისაგან შედგენილი გარკვეული სახის სიმრავლე. აქ განსაზღვრება შესრულებულია ისე, რომ ნამდვილი რიცხვის ცნების შინაარსის ყველა ნიშნის ჩვენება ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ლოგიკურად უნაკლო განსაზღვრებაა და განსაზღვრების წინაშე მდგარ მოთხოვნას აკმაყოფილებს.

განსაზღვრებაში ცნების შინაარსის ჩვენებას მთლიანად ვერც ის ახერხებს, ვინც ამას მოითხოვს ცნების განსაზღვრებაში. მართალია, განსაზღვრებაში ცნების შინაარსის ყველა ნიშნის ჩამოთვ-

ლას მოითხოვენ, მაგრამ. როცა თვითონ განსაზღვრავენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა: სამკუთხედი. კვადრატი და ა. შ., ყველა ნიშანს კი არ მიუთითებენ, არამედ ზოგიერთს. მაგ.. ზოგიერთი მოითხოვს განსაზღვრებაში ყველა ზოგადი ნიშნის ჩამოთვლას, სადაც არაარსებითი ნიშნებიც უნდა იყოს ნაგულისხმევი, „განსასაზღვრი ცნების ყველა ნიშნის სრული ჩამოთვლით", მაგრამ კვადრატის ცნებას განსაზღვრავენ ასე: „კვადრატი ეწოდება სწორკუთხედს, რომელსაც აქვს ტოლი მხარეები". ამ განსაზღვრებაში კვადრატის ცნების მხოლოდ ერთი ნიშანია მითითებული, მაშინ, როცა თანახმად მათი მოთხოვნისა, განსაზღვრებაში ცნების შინაარსის ყველა ნიშანი უნდა იყოს მითითებული.

თუ დავუშვებდით და სწორად ჩავთვლიდით იმ მტკიცებას, რომ განსაზღვრებამ უნდა აჩვენოს ცნების შინაარსის ყველა ნიშანი (მხედველობაში რომ არ მიგვეღო აქედან გამომდინარე ერთი ისეთი შედეგი, რომ იგი მიდის დასკვნამდე: ყველა განსაზღვრება ანალიზურია), მაშინ მეცნიერებათა ძიერ მიღებული რეალური განსაზღვრება თითქმის არცერთი არ უნდა ჩაგვეთვალა მართებულად, ვინაიდან ვერც ერთი განსაზღვრება, რომელიც მეცნიერებათა სფეროშია შესრულებული, აღნიშნულ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე უნდა ითქვას, მსჯელობა ცნების შინაარსისა და განსაზღვრების დამოკიდებულებაზე შემდეგი დასკვნის უფლებას გვაძლევს: განსაზღვრებაში მითითებულია, ჩამოთვლილია განსასაზღვრი ცნების შინაარსის მეტი თუ ნაკლები რაოდენობის ნიშნები. მაგრამ არასდროს არ არის ცნების შინაარსის ნიშანთა მთლიანი გადმოცემა. ცნების შინაარსი ნიშანთა რაოდენობით არასდროს ემთხვევა განსაზღვრებას. განსასაზღვრი ცნება ერთმა ან რამდენიმე ნიშანმა შეიძლება განასხვავოს სხვა ცნებისაგან.

ცნების შინაარსისა და განსაზღვრების მიმართებასთან დაკავშირებით განხილული უნდა იქნეს — განსაზღვრება ცნების შინაარსთან დამოკიდებულებაში უსასრულო რეგრესშია თუ გარკვეული საზღვრების მქონეა? კითხვაზე: ამოწურავს თუ არა რომელიმე ერთი განსაზღვრება ცნების შინაარსს, დადებითი პასუხი არ იქნებოდა მართებული (მიზეზი ამისა ნაჩვენები იყო ზემოთ). აქვე ჩნდება მეორე კითხვა: ამგვარ გადაწყვეტას ხომ არ მივყავართ მეორე უკიდურესობამდე, სახელდობრ, ცნების განსაზღვრება ხომ არ

გადადის უსასრულო რეგრესში? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი მცდარი იქნებოდა.

არსებობს შეხედულება, რომლის თანახმადაც ცნების განსაზღვრება უსასრულო რეგრესამდე მიდის. ასეთი მოსაზრება განსაზღვრების შესახებ არ არის ახალი. იგი სხვადასხვა ვარიანტით გადმოიცემოდა. მაგრამ თავისი არსებით ერთი იყო. ასეთი შეხედულების ერთ-ერთი სახეობა, სადაც ძველთან ერთად ახალიც არის დამატებული, ასეთია: ლოგიკური რეგრესი არსად არ იჩენს თავს ისე ნათლად, როგორც განსაზღვრებაში. განსაზღვრებას უსასრულო რეგრესში მივყავართ, რადგან ერთი ცნების განსაზღვრება სხვა ცნებას მოითხოვს და ასე უსასრულოდ. განსაზღვრებისას ცნების განსაზღვრებისათვის გვჭირდება სხვა უფრო მარტივი ცნება. მის განსაზღვრებასთან შედარებით უფრო პრიმიტიული და ა. შ. როდესაც არ ხერხდება მთელი ამ განსაზღვრებების სისტემის ციკლირება, მაშინ ვღებულობთ უსასრულო რეგრესს, რომლის თავიდან აცილება იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მას სადმე შევწყვეტთ და ნამდვილ ცნებებს უკანასკნელ ცნებებად გამოვაცხადებთ, რომლებიც არ განისაზღვრებიან და წარმოადგენენ ამოსავალ წერტილს[14].

შეხედულება, რომელიც ამტკიცებს — ცნების განსაზღვრება მიდის უსასრულო რეგრესამდე — არ არის სწორი: ცნების განსაზღვრება, როგორც ცნების შინაარსის დადგენა, თვითონ ერთი ცნების საზღვრებშია; იგი არ სცილდება ცნების შინაარსის საზღვრებს. ამის გამოც ცნების შინაარსის ნიშნების გაშლა არ შეიძლება უსასრულო იყოს. მართალია, ცნებას მრავალი ნიშანი გააჩნია (მათ შორის არსებითიც შეიძლება მრავალი იყოს) და მათ რომელიმე ერთი განსაზღვრება ვერ ამოწურავს (შეიძლება იგი რამდენიმე განსაზღვრებითაც ვერ ამოიწუროს, რომლებშიც განსასაზღვრი ცნების შინაარსის სხვადასხვა ნიშანი იქნება დახასიათებული). მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს რომელიმე ცნების შინაარსის ამოწურვა შეუძლებელი იყოს განსაზღვრებათა მთელი ჯგუფით და ამის გამო განსაზღვრება უსასრულო რეგრესამდე მიდიოდეს. ის, რომ ერთი ცნების შინაარსი შეიძლება გადმოცემული იქნეს სხვადასხვა განსაზღვრებით, ერთი და იმავე ცნების შინაარსი სხვადასხვაგვარი განსაზღვრებით გამოითქმის, ერთი მხრივ, იმას ცხადყოფს, რომ რო-

---

[14] A. I. Wittenberg, Vom Denken in Begriffen, 1957, s. 179.

მელიმე ერთ განსაზღვრებას არ შეუძლია ცნების შინაარსის სრული სახით წარმოდგენა. მეორე მხრივ, რამდენიმე განსაზღვრება, რომლებიც ცნების შინაარსის სხვადასხვა ნიშანს გადმოგვცემენ, დადასტურებაა იმისა, რომ ცნების შინაარსის ამოწურვა, მისი სრული გადმოცემა შესაძლებელია. ამის გამოც განსაზღვრება არ არის უსასრულო რეგრესამდე მისვლა. სხვაგვარად, ერთი ცნების შინაარსზე რამდენიმე განსაზღვრება, რომლებშიც ამავე ცნების შინაარსის სხვადასხვა ნიშანს გადმოგვცემს, საბოლოოდ არის ამ ცნების შინაარსის ნიშანთა ამომწურავი გადმოცემა. სხვაა, რომ ერთ განსაზღვრებას არ შეუძლია განსასაზღვრი ცნების შინაარსის ამოწურვა და სხვაა, რომ რამდენიმე განსაზღვრება ერთი ცნების მიმართ განსასაზღვრი ცნების შინაარსს ამოწურავს.

განსხვავებული უნდა იქნეს ერთიმეორესაგან სხვადასხვა ცნების შინაარსის გაშლა განსხვავებულ განსაზღვრებებში და ერთი და იმავე ცნების შინაარსის სხვადასხვა განსაზღვრებით გადმოცემა. თუ ამ უკანასკნელს გავაიგივებდით პირველთან, მაშინ, მართლაც, შეიძლება ცნების განსაზღვრება მივიჩნიოთ უსასრულო რეგრესამდე მისვლად. განსხვავებულ ცნებათა შინაარსის გაშლა, რამდენი განსაზღვრებითაც არ უნდა იყოს იგი გადმოცემული, უსასრულობაში სვლას გვიჩვენებს. მართალია, გარკვეული სასრულობა მასაც შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ თავისი ხასიათით იგი ერთგვარ უსასრულო ბუნების მქონედ შეიძლება მივიჩნიოთ. მაგალითად, თუ ავიღებთ ასეთი სახის ცნებათა განსაზღვრებას: ადამიანი, ცხოველი, ორგანული ბუნება, ბუნება და ა. შ., ერთიმეორის განსაზღვრებისათვის განსხვავებული სახის ცნებებს მოითხოვს. მაგრამ საკითხავია, ასეთი სახის ცნებათა განსაზღვრება არის ერთი ცნების შინაარსის განსაზღვრება რამდენიმე განსაზღვრებით, თუ იგი იქნება სხვადასხვა ცნების განსაზღვრება განსხვავებული განსაზღვრებებით? რა თქმა უნდა, ასეთი განსაზღვრება სწორედ არის სხვადასხვა სახის და არა ერთი და იმავე ცნების შინაარსის განსახვავებული განსაზღვრება, სადაც ერთი და იმავე ცნების შინაარსი განსხვავებულად შეიძლება იყოს გადმოცემული. აღნიშნულ ცნებათა მიმართ თუ განსაზღვრებებს შევასრულებდით, მაშინ აქ წარმოდგენილი იქნებოდა განსხვავებული სახის ცნებების შინაარსი. სხვადასხვა ცნების შინაარსის განსხვავებული განსაზღვრებების ერთი ცნების შინაარსის განსხვავებულ განსაზღვრებებთან გაიგივება შეცდომაა. სწორედ ასეთი შეცდომა ბადებს შეხედულებას — განსაზღვრებას მივუყავართ უსა-

სრულო რეგრესამდე. ის ფაქტი, რომ განსხვავებული ცნებები არსებობს, თანაც უსასრულო რაოდენობით, ამ განსხვავებულ ცნებებს კი განსხვავებული შინაარსი აქვს, არ ასაბუთებს იმას, რომ რომელიმე ცალკეული ცნების შინაარსი, როგორი ნიშნებითაც არ უნდა ხასიათდებოდეს იგი, არ შეიძლება გადმოიცეს რამდენიმე განსაზღვრებით.

VIII. უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა ე. წ. სუბორდინაციის საკითხის შესახებ. წყვილად კატეგორიებში ლოგიკური დამოკიდებულების ცნების გარკვევისას უნდა ამოვდიოდეთ მხოლოდ და მხოლოდ კატეგორიის, როგორც ლოგიკური ცნებების, ბუნებიდან. კატეგორიათა, როგორც ცნებების, დამოკიდებულების გარკვევა უნდა იყოს მიზანი. ამიტომაც ყოველი სხვაგვარი ცდა მცდარად უნდა ჩაითვალოს. კატეგორიათა სისტემის პრინციპის ძიება ობიექტურ სინამდვილეში გაუმართლებელია. იგი კატეგორიათა ონტოლოგიზირებამდე მიდის. კატეგორიათა სისტემა უნდა აიგოს ლოგიკური პრინციპით. კატეგორიები ცნებებია. ამიტომაც მათ შორის (წყვილად უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის) დამოკიდებულება კატეგორიების, როგორც ცნებების, დამოკიდებულებას ნიშნავს.

ლოგიკური დამოკიდებულების მხრივ უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიებისათვის, როგორც აღვნიშნეთ, დამახასიათებელია პოლარულობა, ურთიერთდაპირისპირებულობა. ურთიერთდაპირისპირებულობა არის მათთვის აუცილებლობით დამახასიათებელი ლოგიკური დამოკიდებულება. უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიათა ლოგიკური პრინციპია მათი ურთიერთდაპირისპირებულობა (პოლარულობა). ურთიერთდაპირისპირებულობა ამავე დროს არის მათი (წყვილადი კატეგორიების) კოორდინაციაც.

უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის არ არის არც მოცულობითი და არც შინაარსისეული დაქვემდებარება (სუბორდინაცია). ფაქტია, რომ მოცულობით განსხვავებულ ცნებებს შორის არსებობს დაქვემდებარება. მაგალითად, ცხოველის ცნებას ექვემდებარება ადამიანის ცნება; ერთი გვარია და მეორე სახე. მაგრამ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის ასეთი დამოკიდებულება არ არსებობს. იმის გამო, რომ უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები გვარეობითს ცნებებს არ გულისხმობენ, ისინი არ იმყოფებიან ერთიმეორესთან მოცულობითს დამო-

კიდებულებაში, ერთი კატეგორია არასდროს არ იქვემდებარებს მეორეს მოცულობით. ამიტომაც ცდება, ვინც ცდილობს აჩვენოს უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის მოცულობითი დაქვემდებარების არსებობა.

მტკიცება იმისა, რომ უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემაში რომელიმე ერთი კატეგორია არის ყველაზე ფართო (მაგ., მიზეზის კატეგორია უფრო ფართოა, ვიდრე არსებისა, არსებისა უფრო ფართოა, ვიდრე შინაარსისა და ა. შ.), უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა ბუნების მცდარი გაგებაა. მოცულობითი განზოგადების მიხედვით უდავოდ მივიდოდით ერთადერთ უზოგადეს გვარეობის ცნებამდე, რომელსაც მასზე უფრო უზოგადესი გვარი არ ექნებოდა. ასეთი უზოგადესი გვარი თუ რომელიმე ერთი კატეგორია იქნებოდა, ამით ხელში შეგვრჩებოდა მხოლოდ ერთი უზოგადესი კატეგორია. ამიტომაც მოცულობითი დაქვემდებარება, რომელიც უდავოდ სახე—გვარეობითს დამოკიდებულებას გულისხმობს, არ არის უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა შორის.

უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის არ არის არც შინაარსისეული დაქვემდებარება. კატეგორიების, როგორც ცნებების სფეროში უმართებულოა მტკიცება, რომ ერთი კატეგორია შინაარსით იქვემდებარებს მეორეს; მაგალითად აუცილებლობის კატეგორია, როგორც ცნება, იქვემდებარებს არსების კატეგორიას, როგორც ცნებას, ან პირიქით: შინაარსის კატეგორია როგორც ცნება, იქვემდებარებს მიზეზის, აუცილებლობის და სხვ. კატეგორიებს ან პირიქით. კატეგორიებს, როგორც ცნებებს, შორის ასეთი დაქვემდებარება არ არის.

კატეგორიათა სუბორდინაციის საკითხს თუ ფილოსოფიის ისტორიის ასპექტით გადავავლებთ თვალს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ არისტოტელე ათ კატეგორიას, რომელთაც „კატეგორიებში" ჩამოთვლის, საფუძვლად არსების კატეგორიას უდებს. არსების კატეგორიას უქვემდებარებს ყველა სხვა კატეგორიას. არსება არის პირველი ყოველგვარი თვალსაზრისით: ცნებითაც, შემეცნებითაც და დროითაც. არსების, როგორც ქვემდებარის, გარკვეულ მხარეებს გამოთქვამენ სხვა კატეგორიები.

კატეგორიათა დაქვემდებარების თავისებურ გაგებას იძლევა კანტი, რომელმაც თორმეტით განსაზღვრა კატეგორიათა რიცხვი და იგი ოთხ ჯგუფად დაყო. ეს წარმოადგენს კატეგორიათა შორის გარ-

გარკვეული კავშირის საფუძველზე კატეგორიათა დაქვემდებარების შექმნის ცდას. კანტთან ძირითადია რაოდენობის, თვისებრიობის, მიმართებისა და მოდალობის კატეგორიები. თითოეული მათგანი თავისთავში აერთიანებს სამ დამოუკიდებელ კატეგორიას. მაგ., რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ო ბ ი ს კ ა ტ ე გ ო რ ი ა: ერთიანობა, სიმრავლე, სავსეობა; მ ო დ ა ლ ო ბ ი ს კ ა ტ ე გ ო რ ი ა: შესაძლებლობა, არსებობა, აუცილებლობა: ასევეა ორი დანარჩენი ძირითადი კატეგორიაც. ცალკეული ჯგუფის შიგნით კატეგორიები გაერთიანებულია ორის მესამესთან სინთეზის პრინციპით; მესამე კატეგორია წინა ორი კატეგორიის სინთეზია. კანტის მოძღვრებაში კატეგორიაზე აშკარაა კატეგორიათა კლასიფიკაციის ერთიანი პრინციპი — სამმაგობა, თუმცა კანტთან სინთეზის ეს პრინციპი სრულიად დაუსაბუთებელია. ამავე დროს, რაც მთავარია, თორმეტი კატეგორიის აღიარება, ოთხის ძირითადად მიჩნევა არავითარ ობიექტურ კანონზომიერებას არ ემყარება. არავითარი კავშირი არ არის აგრეთვე კატეგორიათა კლასებსა და ჯგუფებს შორის.

ჰეგელთან კატეგორიათა სუბორდინაცია წარმოდგენილია, როგორც კატეგორიების ერთიმეორისაგან გამომდინარეობა, გამოყვანა. ტრიადა (სამმაგობა) წარმოადგენს კატეგორიათა სისტემის აგების პრინციპს. აქ არაფერს ვამბობთ ჰეგელის იდეალისტურ მოძღვრებაზე კატეგორიათა შესახებ, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ სუბორდინაციის მისი პრინციპი არსებითად მიუღებელია მარქსისტული ფილოსოფიისათვის. ამიტომაც მცდარად მიგვაჩნია ის მოსაზრება, თითქოს ჰეგელის მოძღვრებაში იყოს რაციონალური მარცვალი კატეგორიათა ს უ ბ ო რ დ ი ნ ა ც ი ი ს ს ა კ ი თ ხ შ ი. ამის აშკარა გამოვლინება ჩანს უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ რამდენიმე სპეციალურ ნაშრომში.

ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში კატეგორიათა სისტემის შექმნისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სუბორდინაციას სუბსუმციის თვალსაზრისით. კატეგორიათა სისტემისათვის აუცილებლად თვლიან კატეგორიათა ერთიმეორისადმი დაქვემდებარებას. ამ მიზნის განხორციელებისათვის კატეგორიათა სუბორდინაციის განსხვავებული ვარიანტებია. ერთი ნაწილი კატეგორიათა სუბორდინაციას აფუძნებს სუბსტანციურობაზე, ატრიბუტულობასა და რელატურობაზე; მეორე — სპირალური სუბორდინაციის პრინციპზე; მესამე—ცოდნის, შემეცნების განვითარების პრინციპზე. ყველა ვარიანტი არსებითად ერთ პრინციპს ემყარება — სახელდობრ

კატეგორიების ერთიმეორისაგან გამომდინარეობას და ამის საფუძველზე სისტემის შექმნას.

კატეგორიათა სუბორდინაცია სუბსტანციური, ატრიბუტული და რელატური პრინციპით განხილულია ვ. პ. ტუგარინოვის შრომაში „დიალექტიკური მატერიალიზმის თანაფარდობითი კატეგორიები"[15]. აქ კატეგორიათა ასეთი დაყოფის საფუძვლად აღებულია საგანთა, თვისებათა და მიმართებათა ასახვა. სუბსტანციური კატეგორიები ასახავენ საგნებს, სუბსტრატებს, ატრიბუტულები — საგანთა თვისებებს, რელატური კატეგორიები — მიმართებებს. საგანი იქვემდებარებს თვისებას, ანუ თვისება სუბორდინირებულია საგნის მიერ; მიმართებაც ექვემდებარება საგანს. სუბსტანციურ კატეგორიათა ჯგუფს მიეკუთვნება ბუნება, ყოფიერება, მატერია, მოვლენა: ატრიბუტულს — საგანთა თვისებების გამომხატველი კატეგორიები: მოძრაობა, დრო, სივრცე, ცნობიერება, აზროვნება. რელატიურს — თვისებრიობა, რაოდენობა, საფუძველი, არსება, შინაარსი, ფორმა, აუცილებლობა — შემთხვევითობა, შესაძლებლობა — სინამდვილე, კანონი, ჭეშმარიტება.

სუბსტანციური კატეგორიებიდან დაქვემდებარება წარმოდგენილია შემდეგი სახით: ბუნება—ყოფიერება—მატერია—მოვლენა. ბუნებას ექვემდებარება ყველაფერი, სამყაროში ყველა მოვლენა არის ბუნების ნაწილი, მომენტი, ანუ მისი განვითარების საფეხური. ბუნების ცნება არის დასაწყისი და უაღრესად ფართო მარქსისტულ ფილოსოფიაში. ყოფიერებისა და მატერიის ცნებები არიან ბუნების გარკვეულობანი. ყოფიერების ცნება იგივეობრივია არსებობის ცნებისა. ბუნების არსებობას აქვს ორი ფორმა: მატერიალური და იდეალური. ყოფიერება არის ბუნების გარეგანი გარკვეულობა. მატერია არის შინაგანი გარკვეულობა, განსაზღვრულობა. მატერიის ცნება აღნიშნავს ბუნების არსებას. ბუნების ცნება და მატერიის ცნებები ერთიმეორესთან სუბორდინაციულ კავშირშია.

ატრიბუტულ კატეგორიებში სუბორდინაცია წარმოდგენილია ასე: მოძრაობა — ცვლილება — განვითარება; სივრცე — დრო; ობიექტური — სუბიექტური, ცნობიერება — აზროვნება. მაშასადამე, ატრიბუტულ კატეგორიებში სუბორდინაცია იწყება მოძრაობით და მთავრდება ცნობიერება—აზროვნებით. მოძრაობის, ცვალება-

---

[15] В. П. Тугаринов. Соотношение категории диалектического материализма, Л., 1958

დობისა და განვითარების სუბორდინაცია ასეთია: მოძრაობა ძირიოადი კატეგორიაა. მოძრაობა არის საფუძველი ამ კატეგორიებისა. ცვალებადობა და განვითარება არის გარკვეული მხარე, საფეხური მოძრაობისა. ცვალებადობა არის მოძრაობის განვითარების ერთი საფეხური, განვითარება კი მოძრაობის განვითარების უფრო მაღალი საფეხურია.

სუბორდინაცია ცნობიერებასა და აზროვნებას შორის ასეთია: აზროვნება არის ცნობიერების ნაწილი. იდეის ცნება უფრო ვიწროა, ვიდრე აზრისა. ტუგარინოვის თქმით, აქ სუბორდინაცია მოცემულია მასში, რომ უფართოესი ცნება — ეს არის ცნობიერების ცნება. აზროვნება არის ცნობიერების ნაწილი. მისი კერძო შემთხვევა. კერძო ფორმა, ხოლო იდეა არის აზრის კერძო შემთხვევა.

რელატიურ კატეგორიებში სუბორდინაცია ორგვარი სახისაა: პირველი, თითოეული ჯგუფის შიგნით; მეორე, ზემოდან ქვემოთ, ერთი წყვილიდან მეორე წყვილისაკენ, ე. ი. რელატიურ კატეგორიათა მთელი ჯგუფის სუბორდინაცია მთლიანობაში. კატეგორიათა ამ ჯგუფის დალაგება, მისი თქმით, უნდა მოხდეს კატეგორიათა შინაარსის მიხედვით, ნაკლებად რთულიდან მეტად რთულისაკენ, ე. ი. შეზეცნების გაღრმავების ხარისხის მიხედვით. გარდა ამისა, თითოეულ კატეგორიაში მოცემულია უახლოეს კატეგორიათა ჯგუფთან კავშირი. რელატიურ კატეგორიათა ჯგუფი დალაგებულია შემდეგი სახით: თვისებრიობა — რაოდენობა — თანდათანობა — ნახტომი — საფუძველი—არსება—გამოვლინება. შინაარსი—ფორმა, ზოგადი — განსაკუთრებული — ერთეული, იგივეობა — ერთიანობა — განსხვავება — დაპირისპირებულობა —წინააღმდეგობა — კონფლიქტი; მიზეზობრიობა — აუცილებლობა — შემთხვევითობა — შესაძლებლობა — ალბათობა — სინამდვილე; აუცილებლობა — მიზანდასახულობა — მიზანი, თავისუფლება; კანონი — კანონზომიერება; ჭეშმარიტება: ობიექტური — შეფარდებითი, აბსოლუტური.

აღნიშნული რელატიური კატეგორიები დაყოფილია ჯგუფებად. პირველი ჯგუფია: თვისებრიობა — რაოდენობა — თანდათანობა — ნახტომი. ესენი ასახავენ სინამდვილის მოვლენათა ყველაზე ელემენტარულ მიმართებებს და ვერ ასახავენ მოვლენათა შინაგან სტრუქტურას. მოვლენათა შინაგან სტრუქტურას ასახავენ მხოლოდ მეორე —მესამე ჯგუფის კატეგორიები, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლის, არსების, მოვლენის, შინაარსის, ფორმის. კიდევ უფრო ღრმად ასახავენ სინამდვილეს მეოთხე ჯგუფის კატეგორიები: ზოგადი, განსა-

კეთრებული, ერთეული. ამ ჯგუფის კატეგორიები გამოხატავენ არა მხოლოდ მოვლენათა შინაგან სტრუქტურას, არამედ მოვლენათა მთელი ჯგუფის მიმართებებსაც. მეხუთე ჯგუფის კატეგორიები (იგივეობა, ერთიანობა, განსხვავება, დაპირისპირებულობა, წინააღმდეგობა, კონფლიქტი) კიდევ უფრო ღრმად ასახავენ სინამდვილეს, ვინაიდან ისინი თვით არსებისათვის დამახასიათებელ მიმართებებს ხსნიან, ხსნიან იმ ზოგადს, რაც მოვლენებს შორის საერთოა.

კატეგორიათა სუბორდინაციაზე სპირალური პრინციპების მიხედვით ვ. ბიბლერს აქვს სპეციალური გამოკვლევა „დიალექტიკური ლოგიკის კატეგორიათა სისტემის შესახებ"[16].

კატეგორიათა სპირალური სუბორდინაციის ძირითადი წრე ღასახელებულ ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგი სახით: კატეგორიათა პირველი წრეა მატერიალური სამყაროს, როგორც ერთიანი, მთლიანი კანონზომიერების ამხსნელი. მატერიალური სამყარო და მისი არსებობის ძირითადი ფორმები — მოძრაობა, სივრცე, დრო ამ წრეში გამოდიან როგორც შემეცნების უშუალო წანამძღვარები.

მეორე წრე მოიცავს კატეგორიებს, რომლებიც ხსნიან საგანთა გარკვეულობებს, მათ ურთიერთდამოკიდებულებებს. ასეთი კატეგორიებია: ნიზეზი და შედეგი, თვისება, ნიშანი, თვისებრიობა, რაოდენობა, პირობა და ა. შ.

მესამე წრე კატეგორიებისა ხსნიან საგანს, როგორც პროცესს, აქ შემოდიან კატეგორიები: არსება, არსებობა, მოვლენა, შემთხვევითობა, აუცილებლობა, ფორმა.

მეოთხე წრე მოიცავს კატეგორიებს, რომლებიც ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობასა და მათს მიზნებში შემოდის. ასეთი კატეგორიებია: შესაძლებლობა და სინამდვილე, მიზანი, საშუალება, აუცილებლობა და თავისუფლება.

ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორია კი, წერს ბიბლერი, მონაწილეობს შემეცნების ყველა წრეში. ეს კატეგორიებია: მოძრაობა, წინააღმდეგობა, კანონი, კანონზომიერება. ბიბლერის აზრით, კატეგორიათა სისტემა გამოხატავს აზრის მოძრაობას აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ.

ბიბლერის თქმით, თუ კატეგორიათა პირველი წრე ასახავს სამყაროს მატერიალურ მთლიანობას და ამით ცალკეული მატერიალური საგნების შემეცნების პირობებს ფორმულირებას უკეთებს, კა-

---

16 В. С. Библер. О системе категорий диалектической логики, Сталинабад, 1958

ტეგორიათა მეორე, მესამე და მეოთხე წრე ხსნის კონკრეტული მატერიალური საგნების თანმიმდევრული, უფრო და უფრო ღრმა შემეცნების პროცესს. ზემომითითებულ წრეთა მიხედვით განხილულია ცალკეული კატეგორიები, დახასიათებულია მათი თავისებურებანი; დასაწყის კატეგორიად მიჩნეულია მატერიალური სამყარო, ხოლო დასასრულ კატეგორიად თავისუფლება.

ზემოთ აღვნიშნეთ, არის კიდევ შეხედულება, რომლის მიხედვით კატეგორიათა სუბორდინაცია უნდა გაკეთდეს შემეცნების მნიშვნელობის თვალსაზრისით, ცოდნის განვითარების მიხედვით, უფრო ზუსტად, კატეგორიათა სიღრმისეული თანამიმდევრობის, უფრო შინაარსიანობის მიხედვით. სიღრმისეული თანამიმდევრობის მიხედვით კატეგორიათა ერთი რიგი საგანთა და მოვლენათა არსებას უფრო ღრმად ასახავს, ვიდრე მეორე; ეს კი შესაძლებლობას იძლევა კატეგორიები დავალაგოთ გარკვეული თანამიმდევრობით, რომელიც ჩვენი ცოდნის განვითარების შესაბამისი იქნებაო. მაგალითად, თუ ავიღებთ კატეგორიათა თანამიმდევრობას: თვისებრიობა, შინაარსი, არსება, ადვილად შეიძლება დავინახოთ, რომ წინა კატეგორიებიდან უკანასკნელზე გადასვლისას გვაქვს შემეცნების გაღრმავება. სუბორდინაცია აქ შეიძლება ინტერპრეტირებული იქნეს შემდეგი სახით: თვისებრიობა გადადის შინაარსში, შინაარსი — არსებაში.

ამავე შეხედულების ზოგიერთი სხვა წარმომადგენლის მიერ სუბორდინაცია ნაჩვენებია ასე: ბუნება — ყოფიერება, მატერია — მოვლენა, საგანი — მიმართება — თვისება — შინაარსი — კანონზომიერება — საფუძველი — განვითარება — წინააღმდეგობა.

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, კატეგორიათა სისტემის აგება უნდა ემყარებოდეს დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობას. მაგალითად, ვ. კოპნინი „კატეგორიათა სისტემის აგების პრინციპებში"[17] თვლის, რომ კატეგორიათა სისტემის აგებისათვის ამოსავალია ობიექტური სინამდვილის მოვლენათა ურთიერთკავშირი. ბუნების სისტემა განსაზღვრავს კატეგორიების სისტემას, კატეგორიათა სისტემა საჭიროა იმიტომ, რომ თვით სამყარო არის სისტემა, მოვლენათა კანონზომიერი ურთიერთკავშირი.

კატეგორიათა სისტემის აგებისათვის საჭიროა გარკვეული პრინციპებიდან ამოსვლა. ეს პრინციპებია: დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პრინციპი. ეს იმას ნიშნავს, რომ

---

[17] П. В. Копнин, Философские идеи В. И. Ленина и логика, М., 1969, стр. 102—111.

კატეგორიათა შორის დამოკიდებულება არ შეიძლება განვიხილოთ ისე, რომ მხედველობაში მივიღოთ ან მხოლოდ ონტოლოგიური, ან მხოლოდ გნოსეოლოგიური მომენტები, აუცილებლად უნდა ავაგოთ ისეთი სისტემა, სადაც კატეგორიებში ონტოლოგიურისა და გნოსეოლოგიურის ერთიანობა იქნება მოცემული.

კატეგორიათა სისტემის აგებისათვის უმნიშვნელოვანესი მეთოდური პრინციპია ლოგიკურისა და ისტორიულის ერთიანობა, შემეცნების პროცესის ანალიზიდან ამოსვლა, მარტივიდან რთულისაკენ, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლა.

პ. კოპნინი დასახელებული პრინციპების საფუძველზე იძლევა კატეგორიათა სისტემის აგების ცდას, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან. კატეგორიათა სისტემის პირველ ნაწილში დიალექტიკური მატერიალიზმის ის კატეგორიები შემოდიან, რომლებიც ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით წარმოიშობიან. ეს კატეგორიებია: ურთიერთკავშირი, ურთიერთზემოქმედება, მოძრაობა, განვითარება, სივრცე და დრო, ასახვა, აზროვნება.

მეორე ნაწილი შედგება კატეგორიებისაგან, რომლებიც გამოთქვამენ როგორც ბუნებას, ასევე საზოგადოებასაც, მაგრამ თავის მხრივ ასახავენ ბუნებისა და საზოგადოების უზოგადეს კანონებს როგორც ძირითადს, ასევე არა ძირითადს. ეს კატეგორიებია შემდეგი: მთელი და ნაწილი, ერთეული, განსაკუთრებული, ზოგადი, მიზანი და საშუალება, არსება და მოვლენა, ფორმა და შინაარსი, კანონი, აუცილებლობა და შემთხვევითობა, შესაძლებლობა და სინამდვილე, რაოდენობა და თვისებრიობა, ერთიანობა და წინააღმდეგობა, უარყოფა და უარყოფის უარყოფა.

მესამე ნაწილი მოიცავს დიალექტიკის იმ კატეგორიებს, რომლებიც უშუალოდ შემეცნების პროცესს ასახავენ. კატეგორიათა ეს ნაწილი არის წინა ორი ნაწილის ლოგიკური გაგრძელება, კონკრეტიზაცია და შემდგომი განვითარება. აქ შემოდის შემდეგი კატეგორიები: ჭეშმარიტება, პრაქტიკა, თავისუფლება და აუცილებლობა, სუბიექტი და ობიექტი, ემპირიული და თეორიული, ანალიზი და სინთეზი, ლოგიკური და ისტორიული, აბსტრაქტული და კონკრეტული, შეფარდებითი და აბსოლუტური, აზროვნების ფორმები (მსჯელობა, ცნება, დასკვნა, თეორია, ჰიპოთეზი, იდეა).

აქ წარმოდგენილი კატეგორიების სამივე ნაწილის, ჯგუფის შესახებ პ. კოპნინი აღნიშნავს, რომ არც ერთი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ან მხოლოდ ლოგიკურის, ან მხოლოდ ონტოლოგი-

ურის კატეგორიები. ყველა ჯგუფის ყველა კატეგორიას აქვს ობიექტური შინაარსი, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ასახავს ობიექტურ სამყაროს.

დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პრინციპზე კატეგორიათა სისტემის აგებას გვთავაზობს ა. მინასიანიც თავის სტატიაში, „დიალექტიკის კატეგორიათა სუბორდინაციის შესახებ"[18]. აქაც მოცემულია ცდა კატეგორიათა სისტემის აგებისა, რომელიც სამი ჯგუფის კატეგორიებისაგან შედგება. პირველი ჯგუფის კატეგორიები დიალექტიკის კანონებს გამოთქვამენ, მეორე ჯგუფისა შემეცნების პროცესს, ხოლო მესამე ჯგუფის კატეგორიებში გამოთქმულია დიალექტიკური ლოგიკის შინაარსი.

დიალექტიკის კანონის გამომთქმელი კატეგორიებია: მატერია და ცნობიერება, სამყაროს ერთიანობა და მისი მოვლენათა მრავალფეროვნება, მთელი და ნაწილი, მთელი და მისი თვისებები, სისტემა და ელემენტი, მოძრაობა და უძრაობა, სივრცე და დრო, მარადიული და წარმავალი, ულასასრულო და სასრული, ერთიანობა და დაპირისპირებულობა. იგივეობა და განსხვავება, რაოდენობა და თვისებრივობა. ზომა და ნახტომი, უარყოფა და უარყოფის უარყოფა, მოვლენა და არსება, კანონი და მოვლენა, შინაგანი და გარეგანი, შინაარსი და ფორმა, აუცილებლობა და შემთხვევითობა. მიზეზი და შედეგი. შესაძლებლობა და სინამდვილე და ა. შ.

შემეცნების პროცესის გამომთქმელი კატეგორიებია: პრაქტიკა და სულიერი მოღვაწეობა, ემპირიული და რაციონალური, ანალოგია და ინფორმაცია, მოდელი და აზრი, ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია, აბსტრაქტული და კონკრეტული, ისტორიული და ლოგიკური, ჭეშმარიტება და შეცდომა, ჭეშმარიტება და ალბათობა, შეფარდებითი და აბსოლუტური, თავისუფლება და აუცილებლობა, მეცნიერება და პრაქტიკა.

დიალექტიკური ლოგიკის შინაარსის გამომთქმელი კატეგორიებია: აზროვნება და ენა, განსჯა და გონება, ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკური ლოგიკა, ცნება და მსჯელობა, დასკვნა და ახალი ცოდნა, ჰიპოთეზა და თეორია, განხილვის ობიექტურობა, წმინდა სახით განხილვა, განხილვის ყოველმხრივობა და კონკრეტულობა, განხილვა განვითარებაში, პრაქტიკა და ჭეშმარიტება.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ფილოსოფიურ ლიტერატურაში

---

[18] Л. М. Минасян. О субординации категорий диалектики, в книге «Диалектика и логика научного познания», М., 1959.

კატეგორიათა სისტემის აგების ცდას ეხვდებით დიალექტიკის კანონების საფუძველზეც. ზოგიერთის მტკიცებით, კატეგორიათა სისტემის აგებისათვის საჭიროა დიალექტიკის სამივე ძირითადი კანონიდან ამოსვლა, ზოგიერთი კი ამოსავალ პრინციპად მიიჩნევს უარყოფის უარყოფის კანონს, ან დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონს. მაგალითად, მ. როზენტალის აზრით, კატეგორიათა სისტემის აგებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონეა უარყოფის უარყოფის კანონი. აღნიშნული კანონიდან, მისი აზრით, კატეგორიათა სისტემის აგებისათვის გამომდინარეობს ორი მოთხოვნა: პირველი, ცნების მოძრაობა მარტივიდან რთულისაკენ, რომელიც უარყოფის დიალექტიკური ხასიათითაა განპირობებული. და მეორე, ცნების მოძრაობა წარმოდგენილი უნდა იქნეს, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობის მიმართულების, სადაც მოძრაობა მიმდინარეობს ამოსავალი წერტილიდან წინ და უკანდაბრუნებით, „სპირალურად" უახლოვდება დასაწყისს[19].

ა. შეპტულინი თავის გამოკვლევებში კატეგორიათა სისტემის აგებისათვის ამოსავალ კატეგორიებად მიიჩნევს მატერიის, ცნობიერებისა და პრაქტიკის კატეგორიებს. ამ სამი კატეგორიიდან გამოყავს სხვა ფილოსოფიური კატეგორიები. დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიათა სისტემის აგების პრინციპებად მიჩნეულია: კატეგორიები, როგორც შემეცნების განვითარების საფეხურები და დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პრინციპი[20].

რა შეიძლება ითქვას საერთო შენიშვნის სახით ზემოთ აღნიშნული სუბორდინაციის, კატეგორიათა ერთიმეორისადმი დაქვემდებარების შესახებ? პირველი, კატეგორიათა ერთიმეორისადმი დაქვემდებარება მაგ., თვისებრივობიდან შინაარსის გამოყვანა, შინაარსიდან — აუცილებლობისა, აუცილებლობიდან — არსებისა, არსებიდან — წინააღმდეგობისა; ან არსებიდან შინაარსის გამოყვანა, შინაარსიდან აუცილებლობისა და ა. შ., სხვა ფორმითაც, არ უნდა იყოს მართებული. დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიათა ასეთი დალაგება უდავოდ ხელოვნურია. სწორედ ამ ხელოვნურობის, სუბიექტურობის, გამო შესაძლებელი ხდება კატეგორიათა ერთიმეო-

---

[19] М. М. Розенталь, Принципы диалектической логики, М., 1960, стр. 162—166

[20] А. П. Шептулин, Системы категорий диалектики, М., 1967; его же, Категории диалектики, М., 1971.

რისაგან სრულიად თვითნებური გამოყვანა, რასაც მიმართავდა ჰეგელი, თუმცა ეს დასაშვები იყო იმდენად, რამდენადაც მისთვის თვით ეს კატეგორიები რეალურად არსებობდა: მაგრამ ვერც ჰეგელმა მოახერხა ამ კატეგორიათა ერთიმეორისაგან გამოყვანა, რის გამოც, როგორც ცნობილია, აქაც გადასვლები ხელოვნურ, ნაძალადევ ხასიათს ატარებს. შეიძლება ითქვას, ჰეგელი ამას ვერ აკეთებდა იმიტომ, რომ მასთან კატეგორიათა გამოყვანას საფუძვლად ედვა აზრის, იდეის სფერო და არა მატერიალური სინამდვილე; ჩვენ კითხვას დავსვამდით: მართლაც მატერიალურ სინამდვილეში არის კი ისე, რომ თვისობრიობისაგან გამოვიყვანოთ არსება, არსებისაგან — აუცილებლობა, აუცილებლობისაგან — მიზეზი... რა თქმა უნდა, არა. სინამდვილეში არავითარი ასეთი გამოყვანა არ არსებობს.

მეორე, კატეგორიათა სუბორდინაციის მომხრეები, ჩვენი აზრით, უდავოდ ცდებიან, როცა კატეგორიათა ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელ ნიშანს — სუბორდინაციას, საერთოდ ყველა კატეგორიის მიმართ ავრცელებენ. ფაქტია, არსებობს კატეგორიები — ფილოსოფიური და არაფილოსოფიური, რომლებიც ერთიმეორესთან სუბორდინაციულ დამოკიდებულებაში არიან, მაგრამ ამავე დროს ყველა ეს კატეგორია ერთიმეორესთან სახისა და გვარის დამოკიდებულებაშიც არის. მაგრამ ამ ნიშნით არ ხასიათდება უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიები. ამიტომაც ამ კატეგორიათა სუბორდინაციის პრინციპის მომხრეები ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ მხოლოდ და მხოლოდ სახისა და გვარის მიმართებაში არსებული კატეგორიების სუბორდინაციას იძლევიან და არა უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიურ კატეგორიათა სუბორდინაციას. მეორე მხრივ, სუბორდინაციის პრინციპი სრულიად დასაშვებია, მაგალითად, პოლიტიკური ეკონომიისა და სხვა მეცნიერებათა კატეგორიებისაც. მაგრამ საერთოდ კატეგორიათა მიმართ სუბორდინაცია ვერ პოულობს გამართლებას, ვინაიდან ამ პრინციპს არ ექვემდებარება ყველა კატეგორია, სახელდობრ, უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიები.

მესამე, არ უნდა იყოს მართალი ისიც, რომ კატეგორიები თითქოს შეიძლება დალაგდეს მათი შემეცნებითი მნიშვნელობით: სიღრმისეული თანმიმდევრობის, უფრო შინაარსიანობის მიხედვით. ასეთი დალაგება აზრს მოკლებულია. ნუთუ მატერიის კატეგორია ნაკლებ შინაარსიანია, ვიდრე არსებისა, ან თვისებრიობისა, ხოლო თვით მოძრაობა ნაკლებ შინაარსიანია, ვიდრე კატეგორიები შინაარ-

ნისა, არსებისა, არსებისა უფრო შინაარსიანია, ვიდრე აუცილებლობისა, ხოლო ეს უკანასკნელი უფრო ნაკლები შინაარსიანია, ვიდრე კანონისა და ა. შ. კატეგორიათა ასეთი დალაგება ნაკლებ შინაარსიანობისა და მეტად შინაარსიანობის მიხედვით კატეგორიათა ნამდვილად ხელოვნური დალაგებაა.

მეოთხე, ისევ საერთო შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ცდა კატეგორიათა ამგვარი სუბორდინაციისა, ფაქტიურად კატეგორიათა სუბორდინაცია კი არ არის, არამედ რეალური სინამდვილის სუბორდინაციის ცდაა. ამრიგად, სრულიად განხეა დატოვებული კატეგორიათა სუბორდინაციის საკითხი. სუბორდინაციის ზემოაღნიშნული შეხედულების მომხრეები ეყრდნობიან იმას, რომ რეალურ სინამდვილეში არის თითქოს რომელიმე ერთი დასაწყისი კატეგორია, რომელსაც შემდეგ თანდათანობით ექვემდებარება სხვა კატეგორიები. აღიარებენ რა რეალურ სინამდვილეში ასეთ სუბორდინაციას, მას აიგივებენ კატეგორიათა სუბორდინაციასთან. მართლაც, რომ დავუშვათ, რეალურ სინამდვილეში ასეთი სუბორდინაცია არსებობს, მაინც ყოვლად შეუძლებელია მისი გაიგივება კატეგორიათა სფეროში დასაშვებ სუბორდინაციასთან. სუბორდინაციის ზემოაღნიშნული შეხედულების დამცველები კი სინამდვილეში ასეთ გაიგივებას ახდენენ; ეს იქიდანაც ჩანს, რომ ყოველთვის: მიზეზს, აუცილებლობას, შინაარსს, ფორმას, არსებას... კატეგორიებს უწოდებენ. მაშინ როცა არცერთი მათგანი კატეგორია არ არის, არამედ სინამდვილის უზოგადესი მხარეებია. კატეგორიები ხომ სინამდვილის ასახვაა, ცნებებია, ამდენად ისინი არ არიან მათ მიერ ასახული სინამდვილის იგივეობრივი, სინამდვილის უზოგადესი მხარეების ამსახველი ცნებებია უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიები. მიზეზი, შედეგი, ფორმა, შინაარსი კი არ არის კატეგორია, არამედ სინამდვილის ამ მხარეების ამსახველი ცნებები იქმნებიან შესაბამისი კატეგორიები. სწორედ ამ ცნებათა — კატეგორიათა დამოკიდებულება უნდა გვქონდეს მიზანდასახული და არა სინამდვილის უზოგადეს მხარეთა სუბორდინაციის ჩვენება. სხვაგვარად — კატეგორიათა სუბორდინაციის დაშვების დროს უნდა ამოვდიოდეთ კატეგორიის, როგორც ცნების, ლოგიკურის ბუნებიდან. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების, როგორც ლოგიკური ცნებების, ბუნება გამორიცხავს ერთი კატეგორიიდან მეორის, მეორისაგან — მესამის და ა. შ. გამოყვანას. არსების ცნებისაგან არ გამოიყვანება შინაარსის ცნება, შინაარსის ცნებისაგან —

მიზეზისა, მიზეზის ცნებისაგან — შესაძლებლობისა და სინამდვილის ცნებები და ა. შ.

მეხუთე. ასევე საერთო შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ საკითხის დასმა — ესა და ეს კატეგორია დასაწყისია, ესა და ეს დასასრული, უდავოდ მცდარია, წმინდა სუბიექტურია. გარდა ამისა, საკითხის ასე დასმა ფაქტიურად ნიშნავს კატეგორიათა რაოდენობის განსაზღვრას, რაც, ავრეთვე უდავოდ მცდარია. არისტოტელეს ამ შეცდომაზე ჯერ კიდევ კანტმა მიუთითა, თუმცა იგივე შეცდომა დაუშვა თვითონაც, როცა მსჯელობათა თორმეტი ფორმის საფუძველზე თორმეტი კატეგორია ჩამოთვლა და დასვა წერტილი.

მეექვსე, მცდარია მოსაზრებაც, რომლის მიხედვით კატეგორიათა ნაწილი მიჩნეულია ონტოლოგიურად, ხოლო ნაწილი გნოსეოლოგიურად. ასეთი დაყოფა საერთოდ მიუღებელია ასახვისა და, მით უმეტეს, დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიისათვის. კატეგორიების, როგორც ცნებების, ობიექტურად არსებულად მიჩნევა მხოლოდ ობიექტური იდეალიზმის წარმომადგენლებისთვისსაა დამახასიათებელი. ჰეგელს სწორედ ასე ჰქონდა წარმოდგენილი კატეგორიები. კატეგორიები ხომ სინამდვილის ამსახველი ცნებებია. ყველა კატეგორია ხომ ცნებაა, მაშ როგორ შეიძლება ცნებათა ნაწილი გნოსეოლოგიური იყოს და ნაწილი ონტოლოგიური. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ცნებათა ნაწილი ობიექტურად, რეალურ სინამდვილეში არსებობს ჩვენი ცნობიერებებისაგან დამოუკიდებლად. ეს სხვა არაფერია, თუ არა ობიექტურ იდეალისტური ან ვულგარულ მატერიალისტური შეხედულება.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში ამ უკანასკნელ პერიოდში გავრცელდა ეს მცდარი აზრი. სპეციალურ გამოკვლევაც იწერება სახელწოდებით „ონტოლოგიურ კატეგორიათა სისტემა"[21], სადაც კატეგორიები მატერიის, დროის, სივრცისა და სხვა აღიარებულია ობიექტურად არსებულად. მართალია, ობიექტურად არსებობს დრო, სივრცე, არსება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მათი ამსახველი ცნებები (კატეგორიები) ობიექტურად არსებობდეს. დიალექტიკური მატერიალიზმი, მართალია, აღიარებს კატეგორიათა ობიექტურობას და წინააღმდეგია კატეგორიების სუბიექტური გაგებისა, მაგრამ იგი წინააღმდეგია კატეგორიათა ისეთი გაგებისაც,

---

[21] Е. С. Кузьмин, Система онтологических категорий, Иркутск, 1958.

რომელიც კატეგორიათა ობიექტურად არსებობას ცნობს. დიალექტიკური მატერიალიზმი კატეგორიათა ობიექტურობას აღიარებს და არა კატეგორიათა ობიექტურად არსებობას. ვ. ი. ლენინის თქმით; „ჩვენი ცნებები დროისა და სივრცისა ობიექტურ რეალურ სივრცეს და დროს ასახავენ", მაგრამ დრო და სივრცე, როგორც კატეგორიები ობიექტურად კი არ არსებობს. ობიექტურად არსებობა და ობიექტური განსხვავებული მნიშვნელობისაა.

სხვა საკითხია, რომ არსებობს მატერიალური სინამდვილის ამსახველი ცნება — კატეგორიები და იდეალურის, როგორც გარკვეული მოვლენის ამსახველი ცნება — კატეგორიები. ამ აზრით და მხოლოდ ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ არის მატერიალურ სინამდვილისა და გნოსეოლოგიურის გამომთქმელი კატეგორიები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნაწილი კატეგორიებისა ობიექტურად არსებულია, ონტოლოგიურია, ე. ი. ონტოლოგიურ კატეგორიათა სისტემა არსებობს, და ნაწილი გნოსეოლოგიური. კატეგორია, როგორც ცნება, სინამდვილის რომელი მხარის ამსახველიც უნდა იყოს, გნოსეოლოგიურია.

მართალია, არსებობს განსხვავება სინამდვილის მატერიალური ანუ ონტოლოგიური მხარის ამსახველ კატეგორიებსა და გნოსეოლოგიური მხარის გამომთქმელ კატეგორიებს შორის და ამდენად უნდა ითქვას და ვამბობთ კიდევაც — ნაწილი კატეგორიებისა არის ონტოლოგიური მხარის გამოთქმა, ხოლო ნაწილი გნოსეოლოგიურისა. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ არსებობს ონტოლოგიური და გნოსეოლოგიურ კატეგორიები. სულ სხვა გამოთქმაა ონტოლოგიურის გამომთქმელი კატეგორიები და სულ სხვა — ონტოლოგიურად არსებული კატეგორიები. არცერთი კატეგორია არ არის ონტოლოგიური, ონტოლოგიურად არსებული, ყველა კატეგორია გნოსეოლოგიურია.

უზოგადეს წყვილად ფილოსოფიურ კატეგორიათა მიმართ არც ის იქნებოდა მართებული, თუ ვიტყოდით, რომ ისინი ონტოლოგიურის კატეგორიებია და არა გნოსეოლოგიურის გამომთქმელი. უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიები მთელი სინამდვილის უზოგადესი მხარის გამომთქმელი კატეგორიებია. თუ იმას ვიტყოდით, რომ არსება, შინაარსი, ფორმა და ა. შ. ონტოლოგიის კატეგორიებია და არა გნოსეოლოგიისა, მაშინ ისინი არ ყოფილან უზოგადესი კატეგორიები, ვინაიდან სინამდვილის ერთი სფერო ამ კატეგორიათა გარეთ რჩება. ამით აღნიშნულ კატეგორიებს ვუკარგავთ უზოგადესობას და მთელი სინამდვილის უზოგადესი კატეგო-

რიების ნაცვლად ამ სინამდვილის ერთი სფეროს (მატერიალურის) კატეგორიად ვხდით, რაც სინამდვილეში ასე არ არის. უზოგადესი წყვილადი ფილოსოფიური კატეგორიები არც მხოლოდ ონტოლოგიურისა და არც მხოლოდ გნოსეოლოგიურის კატეგორიებია, არამედ სინამდვილის ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური მხარისა მათს მთლიანობაში.

მეორე მხრივ, საერთოდ ფილოსოფიურ კატეგორიებზე არც იმის თქმა იქნებოდა მართებული, რომ არცერთი არ შეიძლება განვიხილოთ ან მხოლოდ ონტოლოგიურის, ან მხოლოდ გნოსეოლოგიურის კატეგორიებად. თუ არა მხოლოდ გნოსეოლოგიურის, აბა რისი კატეგორიაა ჭეშმარიტება, აზროვნება და მისი ფორმები, რომ არაფერი ვთქვათ მრავალ სხვა კატეგორიაზე? ის, რომ „ყველა ჯგუფის ყველა კატეგორიას აქვს ობიექტური შინაარსი" (პ. კოპნინი), სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამის გამო ჭეშმარიტება, ცნება გნოსეოლოგიურის კატეგორიები არ არიან, არამედ ისინი ონტოლოგიურისა და გნოსეოლოგიურის კატეგორიები არიან მთლიანობაში. ყოველი ცნება, კატეგორია ობიექტური შინაარსის მქონეა, მაგრამ ამ ობიექტურ შინაარსს არაფერი აქვს საერთო ონტოლოგიასთან.

კატეგორიათა სისტემის აგების ცდების ზემოაღნიშნული მოსაზრების შესახებ საერთო შენიშვნების გარდა ზოგიერთ მათგანზე შეიძლება ცალკე შევჩერდეთ: ვ. ტუგარინოვის მიერ კატეგორიათა დაყოფა სამ ჯგუფად: სუბსტანციურ, ატრიბუტულ, რელატიურ ჯგუფებად—არ არის ზუსტი საკლასიფიკაციო ნიშანი კატეგორიებისათვის. ცნების გაყოფის ერთ-ერთი წესია, რომ გაყოფის წევრები ერთმანეთს გამორიცხავენ, ხოლო კატეგორიათა სისტემის აგების მოცემულ შემთხვევაში ეს ასე არ ხდება. სწორედ ამიტომ ატრიბუტული კატეგორიებისა (მოძრაობა, ცვლილება, განვითარება, დრო, სივრცე) და რელატიური კატეგორიების ნაწილი (რაოდენობა, თვისებრიობა, ნახტომი, არსება, მოვლენა, დაპირისპირებულობა, წინააღმდეგობა, აუცილებლობა, შემთხვევითობა, შინაარსი, ფორმა) მთელი თავისი არსებით მიეკუთვნება სუბსტანციურ კატეგორიათა ჯგუფს, ვინაიდან დასახელებული კატეგორიები ისე ეხებიან საგნებს, როგორც მათ თვისებებსა და მიმართებებს.

იგივე ითქმის არსებითად ვ. ბიბლერისა და პ. კოპნინის მიერ მოცემულ კატეგორიათა კლასიფიკაციის შესახებაც. მაგალითად, ვ. ბიბლერის მიერ კატეგორიათა დაყოფა ოთხ ჯგუფად, ხოლო პ. კოპნინის მიერ სამ ჯგუფად არაზუსტია, ვინაიდან ორივე შემთხვევაში კატეგორიათა ჯგუფები ერთიმეორეს არ გამორიცხავენ

მთლიანად. სწორედ ამიტომ ვ. ბიბლერთან კატეგორიათა მეორე წრე, რომელიც გამოთქვამს საგანთა გარკვეულობებს, და მესამე წრიდან კატეგორიები, რომლებიც გამოთქვამენ სამყაროს, საგნებს როგორც პროცესს, თავისი არსებით მიეკუთვნებიან პირველი წრის კატეგორიებს, რომლებიც გამოთქვამენ ყოფიერებას, მატერიას.

პ. კოპნინი და ა. მინასიანი, როგორც აღვნიშნეთ, კატეგორიათა სისტემის აგების ცდას იძლევიან დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პრინციპით. ამ პრინციპის საფუძველზე კოპნინთან მესამე ჯგუფის კატეგორიები წინა ორი ჯგუფის ლოგიკური გაგრძელება და კონკრეტიზაციაა. თუ ეს ასეა, მაშინ მესამე ჯგუფში არ უნდა იყოს პრაქტიკის, სუბიექტისა და ობიექტის კატეგორიები. ასევე კატეგორიათა პირველ ჯგუფში არ უნდა იყოს აზროვნების კატეგორია. კატეგორიები ხომ შემეცნების საკვანძო პუნქტებია, შემეცნების განვითარების საფეხურებია.

რაც შეეხება ა. მინასიანს, იგი ხელოვნურად აჯგუფებს კატეგორიებს—ამის შედეგია ის, რომ მეორე და მესამე ჯგუფის რამდენიმე კატეგორია (პრაქტიკის. ჭეშმარიტების), ერთიმეორის განმეორებაა. შემდეგ, თუ არსებობს დიალექტიკური ლოგიკა, როგორც ლოგიკის მეცნიერება, მაშინ დიალექტიკური ლოგიკის შინაარსის გამომთქმელ კატეგორიათა ჯგუფში რატომ უნდა იყოს ენის კატეგორია. ასევე კატეგორიათა ამ ჯგუფში ან დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპის მიხედვით საერთოდ კატეგორიათა სისტემაში რატომ უნდა იყოს განსჯის კატეგორია. ცნობილია, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი შემეცნების ლოგიკურ საფეხურს არ ჰყოფს განსჯისეულ და გონებისეულ კატეგორიებად. შემდეგ. ინდუქცია და დედუქცია, ანალიზი და სინთეზი უნდა იყოს არა შემეცნების გამოთქმულ კატეგორიათა ჯგუფში, არამედ ლოგიკის შინაარსის გამომთქმელ კატეგორიათა ჯგუფში, იქნება ის დიალექტიკური თუ ფორმალური ლოგიკა[22].

მიზეზისა და შედეგის კატეგორიები

1. მიზეზისა და შედეგის განსაზღვრების საკითხი.

ყოველი ცნებისა და მათ შორის მიზეზისა და შედეგის ცნებების, როგორც კატეგორიების, განსაზღვრების საკითხი რთულია. მაგ-

---

[22] კატეგორიათა სისტემის აგების ცდის მრავალი მოსაზრების კრიტიკა მოცემულია ა. პ. შეპტულინის შრომებში: «Система категорий диалектики», М., 1967 მ ი ს ი ვ ე, Категории диалектики, М., 1971.

რამ განსაზღვრების, უფრო მეტიც, ზუსტი განსაზღვრების გარეშე მათი მოხმარება მნიშვნელობას მოკლებულია. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც უნდა იქნეს ზუსტად ნაჩვენები — თუ რა გვესმის მიზეზისა და შედეგის ცნებების ქვეშ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი შინაარსიანი კამათი გადაიქცევა სიტყვათა უბრალო დავად.

განსაკუთრებულ სიძნელეს აწყდება მიზეზის ცნების განსაზღვრება. შედეგის ცნება კი ძირითადად თითქმის ერთნაირადაა განსაზღვრული და მიღებულიც. მიზეზის ცნების განსაზღვრების წინაშე მდგარი სიძნელეები სხვადასხვაგვარია. უპირველეს ყოვლისა, სიძნელეს იწვევს თვით საკითხი, თუ რას უნდა აღნიშნავდეს მიზეზის ცნება, რა უნდა ვიგულისხმოთ მიზეზის ცნების ქვეშ; სხვაგვარად, რა არის ის ობიექტი, რომლითაც მიზეზი გამოითქმება. მაგალითად, საგანი, მოვლენა, მოქმედება, ძალა თუ კიდევ სხვა რაიმე? ყოველივე ამის და სხვა მიზეზების გამოც მიზეზის ცნების მეტად განსხვავებული განსაზღვრებები გვხვდება ფილოსოფიურ ლიტერატურაში.

მიზეზის ცნების გავრცელებულ განსაზღვრებათა შორის არის შემდეგი განსაზღვრებანი: „მოვლენას, რომელიც მეორე მოვლენას იწვევს, მიზეზი ეწოდება"; „ის მოვლენა, რომელიც იწვევს რომელიმე ახალ მოვლენას, მიზეზი ეწოდება"; „მიზეზი ეწოდება აუცილებელი პირობების სრულ ერთობლიობას"; „მიზეზი არის ის, რაც საკმარისია შედეგის წარმოშობისათვის"; „სრული მიზეზი არის პირობების ერთობლიობა, რომელიც საკმარისია შედეგის წარმოშობისათვის"; „მიზეზი არის მთლიანი ჯამი დადებითი და უარყოფითი პირობებისა, ერთად აღებული". არის ასეთი განსაზღვრებანიც: „მიზეზი არის ის, რაც მოქმედებს, რაც აქტიურია, რაც იწვევს შედეგს": „მიზეზი ეწოდება შედეგის გამომწვევების შემქმნელ და მისთვის არსებობის მიმნიჭებელ მოვლენათა რიგს". მიზეზის ეს ორი უკანასკნელი განსაზღვრება არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა არის თვითონ მიზეზი. ერთში მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ მიზეზი მოქმედია, აქტიურია. მართალია, ეს ნიშნები მიზეზის დამახასიათებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მხოლოდ მიზეზის ნიშნებია. მაგალითად, შინაარსიც აქტიურია, მოქმედია, მაგრამ ამის გამო იგი არაა მიზეზი. ამიტომაც, ის რაც მოქმედია, აქტიურია, ყოველთვის როდია მიზეზი. რაც შეეხება მეორე განსაზღვრებას, აქ არ ჩანს მიზეზის ცნების არცერთი დამახასიათებელი ნიშანი გარდა „გამოწვევისა". დანარჩენ განსაზღვრებათა ერთი ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, ემყარება იმ ფაქტს, რომ მიზეზი არის აუცილებელი პირობების სრული ერთობლიობა. მიზეზის ცნების ასეთი განსაზღვ-

რება გვხვდება როგორც ფილოსოფიის ისტორიის ასპექტით, ასევე საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯ. ს. მილის შეხედულება, რომლის სხვადასხვა ვარიანტს წარმოადგენს შემდგომში არსებული ყველა ის განსაზღვრება, სადაც მიზეზად მიჩნეულია აუცილებელი პირობების სრული ერთობლიობა. აღნიშნულ საკითხზე მილის აზრთა მსვლელობა ასეთია: მიზეზის ცნებაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება გარემოება ან გარემოებათა ჯგუფი, რომელიც დროში წინ უსწრებს იმას, რაც მის შედეგად არის აღიარებული. მაგრამ მხოლოდ დროში წინ მსვლელობა სრულიად არ არის საკმარისი პირველი მოვლენის მეორის მიზეზად აღიარებისათვის. მიზეზი ეწოდება მუდმივად წინამავალ ფაქტს მუდმივად მომდევნო ფაქტისაგან. მუდმივობასთან ერთად იგი უნდა ხასიათდებოდეს უცვლელად დაკავშირებულობით. მაგრამ არც უცვლელობაა მიზეზობრივი დამოკიდებულების უკანასკნელი დამახასიათებელი ნიშანი. მიზეზი თავის შემადგენლობით მრავალი გარემოების ერთობლიობაა. ამიტომაც მიზეზში იგულისხმება წინამავალთა მთელი ერთობლიობა, თუმცა სხვაგვარად მიზეზი ეწოდება მხოლოდ რომელიმე ერთს ამ წინამავალთაგან. ამაზე კი დაფუძნებულია განსხვავება მიზეზის მეცნიერულ და პოპულარულ ცნებას შორის. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერულში იგულისხმება აუცილებელი პირობების ყველა ერთობლიობა, ხოლო პოპულარულში ერთი რომელიმე გარემოება. მიზეზი ამ სიტყვის მეცნიერული მნიშვნელობით არის აუცილებელი პირობების სრული ერთობლიობა. ნამდვილ მიზეზს შეადგენს წინამავალი ფაქტების ერთობლიობა და არავითარ შემთხვევაში უფლება არ გვაქვს ერთ მათგანს მეორის გარეშე ეუწოდოთ მიზეზი. ფილოსოფიურად რომ ვთქვათ, მიზეზი არის ერთად აღებული დადებითი და უარყოფითი პირობების მთლიანი ჯამი. დადებითია პირობა, რომელიც უნდა იყოს; უარყოფითია, რომელიც არ უნდა არსებობდეს, რომ ადგილი ჰქონდეს რაიმეს წარმოშობას. მიზეზი არის მოვლენათა მხოლოდ დადებითი პირობების ერთობლიობა. მიზეზის ცნებაში შემოდის აუცილებლობისა და უდავობის ცნებები. აქედან გამომდინარე, მიზეზი არის მოვლენათა ისეთი ერთიანობა, რომელთა სახეზე ყოფნისას აუცილებლივ იწყება ან წარმოიშობა რომელიმე ახალი მოვლენა. ამგვარად, მილის აზრით, რომ ვაღიაროთ რაიმე მოვლენის მიზეზად, ნიშნავს, ვამტკიცოთ: 1. რომ იგი წინ უსწრებს დროში თავისი შედეგის წარმოშობას, 2. რომ ის წინ უსწრებს მას აუცილებლად და უდავოდ და 3. რომ ის არის სრული ერთობლიო-

ბა ყველა პირობისა, რომელიც აუცილებელია შედეგის წარმოშობისათვის. მაშასადამე, მილის მიერ მიზეზის ცნების განსაზღვრებაში, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმულია ის, რომ მიზეზი არის აუცილებელი პირობების სრული ერთობლიობა. მიზეზის ცნების ასეთი განსაზღვრებით ფაქტიურად მიზეზი და პირობა გაიგივებულია, მაშინ, როცა მათ შორის დიდი განსხვავებაა. პირობათა ერთობლიობის არსებობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რომ აუცილებლობით წარმოიშვას ესა თუ ის შედეგი. პირობა მხოლოდ შედეგის წარმოშობისათვის ქმნის რეალიზაციის შესაძლებლობას, მაგრამ ეს შესაძლებლობა სინანდვილედ მხოლოდ მაშინ ვარდაიქმნება, როცა მიზეზი იწყებს მოქმედებას. როგორც მხოლოდ პირობათა ერთობლიობა არ არის კმარისი იმისათვის, რომ აუცილებლობით წარმოიშვას ესა თუ ის შედეგი, არამედ შესაბამისი მიზეზების მოქმედებაა აუცილებელი, ასევე შედეგის წარმოშობისათვის აუცილებელია მისი მიზეზის შესაბამის პირობებთან ერთად მოქმედება.

გარდა აღნიშნულისა, ყველაზე უფრო მთავარი ის არის, რომ მილის მიერ მიზეზის ცნების განსაზღვრებაში მიზეზი არის „აუცილებელი პირობების სრული ერთობლიობა". მაგრამ კითხვა ისმის: შესაძლებელია თუ არა ასეთი რამის განხორციელება პრაქტიკულად ან თეორიულადაც? მიზეზის მილისებური განსაზღვრების თანახმად, რომელიმე მოვლენის მიზეზის დადგენა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნაშნავს ყველა იმ დადებითი და უარყოფითი პირობის ჩვენებას, რომელიც საკმარისი იქნება შედეგის წარმოშობისათვის. მაგრამ ასეთი რამის მიღწევა შეუძლებელია, ვინაიდან რომელიმე მოვლენის გამომწვევი თუნდაც მილიონამდე პირობის ცოდნაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ამ მოვლენის გამომწვევ ყველა პირობათა ერთობლიობა ვიცით და მეტის ცოდნა შეუძლებელია. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიზეზის ცნებაში მოხმარებული აუცილებლობა კრებადობის ხასიათისაა. იგი მხოლოდ ერთეულზე დაყრდნობით მიიღება. მიზეზობრივ აუცილებლობას მხოლოდ და მხოლოდ ერთეულებთან აქვს საქმე. ამ პრინციპით კი არა თუ აუცილებელი პირობების სრული ერთობლიობის დადგენაა შესაძლებელი, არამედ მიზეზობრიობის ერთეული შემთხვევების უამრავი ვარიანტის განხილვაც ვერ მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ ამა და ამ მიზეზის ყველა ვარიანტი ამოწურულია და ამიტომაც ესა და ეს მიზეზი აუცილებლად გამოიწვევს მოცემულ შედეგს.

მიზეზის ცნების ზემოთ დასახელებულ განსაზღვრებათა ერთ ნაწილში ყველგან აღნიშნულია, რომ მიზეზი არის მოელენა, რომე-

ლიც მეორე მოვლენას იწვევს. ასეთი განსაზღვრება, როგორც მიზეზის ცნების განსაზღვრება, არ არის მკაცრი ლოგიკური. მართალია, მოვლენა რომ იყოს მიზეზი, მან უნდა გამოიწვიოს მეორე მოვლენა, მაგრამ მიზეზი მხოლოდ ისეთი მოვლენაა, რომელიც აუცილებლობით იწვევს მეორე მოვლენას. ამიტომაც რომელიმე მოვლენა მეორე მოვლენის მიზეზად მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ იგი აუცილებლობით იწვევს მათ. ამავე დროს ზემოთ აღნიშნული განსაზღვრება ნაკლოვანია სხვა მხრივაც — მასში მხოლოდ იმაზეა მითითებული, რომ მიზეზია ის მოვლენა, რომელიც იწვევს მეორეს, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორია გამოწვევის შემდეგ მიზეზის მიმართება შედეგთან.

მიზეზის ცნების განსაზღვრების დროს მიუთითებენ იმაზე, რომ მიზეზი არ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს როგორც „მოვლენა", არამედ იგი არის „საგანი". არის ისეთი შეხედულებაც, რომელიც ამტკიცებს, განსაზღვრება არ შეიძლება არც როგორც მოვლენის და არც როგორც საგნის. არამედ იგი არის მოქმედება. როცა აღნიშნავენ, რომ მიზეზი არ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს, როგორც მოვლენა, არგუმენტად მოყავთ ის, რომ ასეთი განსაზღვრების თანახმად ყოველი მოვლენის მიზეზი არის მის გარეშე, სხვა მოვლენაში. რასაც მივყევართ შინაგანი მიზეზების უარყოფამდეო. ასეთ შემთხვევაში მოვლენა ვიწრო მნიშვნელობითაა გაგებული. სინამდვილეში კი ტერმინი „მოვლენა" მოხმარებულია და მოიხმარება არა მხოლოდ საგნის, სხეულის მნიშვნელობით, არამედ ყოველივე იმის აღსანიშნავად, რაც არსებულია. ამ აზრით მოვლენაა როგორც საგანი, ასევე მოქმედება და ძალაც. ამიტომაც, ჩვენი აზრით, მიზეზის ცნების განსაზღვრებაში მიზეზის, როგორც მოვლენის, განსაზღვრება უფრო სრულყოფს საქმის ვითარების ახსნას. რაც შეეხება შედეგის განსაზღვრების საკითხს, აქ თითქმის აზრთა განსხვავებულობა არაარსებობს.

კითხვებზე — რა არის მიზეზი? რა არის შედეგი? უპასუხებთ: მოვლენას, რომელიც მეორე მოვლენას აუცილებლობით იწვევს მიზეზი ეწოდება. ხოლო მეორე მოვლენას, რომელიც აუცილებლობითაა გამოწვეული, შედეგი ქვია.

II. **მიზეზობრივი კავშირის არსებითი ნიშნები.** ყოველ მოვლენას აქვს თავისი მიზეზი. არ არსებობს უმიზეზო მოვლენა. მეორე მხრივ, არ არის მიზეზი, რომელიც არ იწვევდეს რაიმე გარკვეულ შედეგს. მიზეზი გულისხმობს შედეგს და შედეგი მიზეზს. ისინი

ურთიერთკავშირში არიან და ამიტომ შეუძლებელია მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა. „მიზეზის შეწყვეტით მისი მოქმედებაც წყდება". ყოველი შედეგი თავის მიზეზს გულისხმობს და ამ მიზეზის ძალით არის მოქმედებაში. ამიტომაც შედეგი შეუძლებელია ისე, რომ მას თან არ ახლდეს მიზეზი. შესაძლებელია, რომ მიზეზი უშუალოდ არ ჩანდეს შედეგში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ შედეგი უმიზეზო იყოს, შესაძლებელია შეგვხვდეს ისეთი მოვლენა, რომლის მიზეზი არ ვიცით, თუმცა იგი უდავოდ არსებობს.

წინაალმდეგ ზემო აღნიშნული შეხედულებისა, მეტაფიზიკოსისათვის მიზეზი და შედეგი შესაძლებელია მოცემული იქნეს ან მხოლოდ მიზეზის, ან მხოლოდ შედეგის სახით. მეტაფიზიკოსი, რომელიც უარყოფს მოვლენათა ურთიერთკავშირს, მიზეზსა და შედეგს ერთიმეორისაგან გამორიცხულად განიხილავს. მეტაფიზიკოსისათვის მიზეზი ყოველთვის ერთ მხარეზეა და შედეგი მეორეზე. მისთვის მიზეზი და შედეგი უცვლელია.

მიზეზი და შედეგი აუცილებლობით კავშირში არიან ერთიმეორესთან და ამ კავშირს ეწოდება მიზეზობრივი კავშირი. მიზეზისა და შედეგის კავშირი — მიზეზობრიობა გარკვეული არსებითი ნიშნებით ხასიათდება.

მიზეზობრიობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია მიზეზ-შედეგის დროული კავშირი. დროში არსებობა მიზეზ—შედეგობრივი მიმართების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. ყოველი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დროში თანმიმდევარი კავშირია. მიზეზი წინ უსწრებს შედეგს; თუმცა არის საწინააღმდეგო შეხედულებაც, რომელიც ამტკიცებს მიზეზისა და შედეგის ერთდროულობას. მიზეზ-შედეგობრივი კავშირის საილუსტრაციოდ მოვიყვან ორიოდე მაგალითს: ზღვის ძლიერი ღელვის გამო გემი დაიღუპა. ხიროსიმაში ატომური აფეთქების შედეგად მიღებული რადიაციის გამო ადამიანები დაიღუპნენ. ორივე მაგალითის შემთხვევაში მიზეზი დროში წინ უსწრებს შედეგს. ზღვის ღელვა წინ უსწრებს გემის დაღუპვას და ხიროსიმაში ატომური აფეთქება, როგორც მიზეზი, წინ უსწრებს იქ ადამიანთა დაღუპვას. მიზეზისა და შედეგის კავშირის დროში თანმიმდევრობიდან გამოდის, რომ მიზეზი ყოველთვის წინამავლობს, წინ უსწრებს თავის შედეგს. ამას არც იდეალიზმის წარმომადგენელი იუმი უარყოფდა. იგი მიზეზ-შედეგის კავშირის აუცილებელ მომენტად დროში მიზეზის გასწრებას თვლიდა. მაგრამ იუმთან მიზეზობრიობის ცნების შინაარსი დაყვანილია მოვლენათა თანმიმდევრობაზე დროში, რაც უდავოდ მცდარია. მართალია, იუმი

იმასაც ამბობს, რომ ყველა დროში თანმიმდევარ მოვლენებზე ვერ ვიტყვით, რომ ისინი მიზეზობრივ კავშირში არიან, მაგალითად, ფანჯრიდან გადავიხედეთ და კოშკი დაინგრა, ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით ფანჯრიდან გადახედვა იყო კოშკის დანგრევის მიზეზი, მაგრამ იუმი იმასაც ამბობს, თუ ხშირად ფანჯრიდან გადახედვას მოჰყვა ხშირად კოშკის დანგრევა, მაშინ ვიტყვით, ფანჯრიდან გადახედვა იყო კოშკის დანგრევის მიზეზი, იუმის სიტყვით ხშირი თანმიმდევრობის ნიადაგზე გვიჩნდება მიზეზობრიობის იდეა.

მიზეზობრიობის ცნების შემოფარგვლა მხოლოდ და მხოლოდ მოვლენათა დროში თანმიმდევრობით მცდარია. სინამდვილეში ორი მოვლენის დროში თანმიმდევრობა არ არის მიზეზობრივი კავშირის ერთადერთი ნიშანი. მართალია, იგი აუცილებელი ნიშანია მიზეზობრიობისათვის, მაგრამ არა საკმარისი. მოვლენათა თანმიმდევრობა დროში არ გამოხატავს მოვლენათა შორის არსებულ არსებით კავშირებს. თანმიმდევრობა დროში ისეთ საგნებსა და მოვლენებს ახასიათებს, რომლებიც სრულიად სხვადასხვა ბუნების არიან და ერთიმეორესთან არაფითარი მიზეზ—შედეგობრივი კავშირი არა აქვთ. ამიტომაც ზოგადი დებულების სახით უნდა ითქვას, რომ მიზეზობრიობისათვის აუცილებელი დროითი დაკავშირებულობა მიზეზსა და შედეგს შორის სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ დროში თანმიმდევრულობა, ყოველთვის მიზეზ-შედეგის კავშირია. მართალია, ყოველი მიზეზ-შედეგის კავშირი დროში თანმიმდევრული კავშირია, მაგრამ დროში ყოველი თანმიმდევრულობა, სრულიადაც არ არის მიზეზ—შედეგობრივი კავშირი. მიზეზობრიობა, მართალია, დროული კავშირის გარეშე არ არის, ის მიზეზობრივი კავშირის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. მაგრამ მხოლოდ დროულობის ნიშანი თავისი არასაკმარისობისა გამო არ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამდგენი.

მიზეზ-შედეგის კავშირის მხოლოდ დროში არსებობით შემოფარგვლა არამეცნიერულ გაგებას უახლოვდება, რის გამოც იგი შეცდომების წყარო ხდება. მაგ., ლოგიკური შეცდომის „ამის შემდეგ, მაშასადამე, ამის მიზეზით", ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ორი მოვლენის დროში უბრალო თანმიმდევრობა ჩათვლილია ამ მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობად. ხშირად მსჯელობენ ასე: დღეს ქარი ქრის იმიტომ, რომ გუშინ მზის ჩასვლისას ცა გაწითლებული იყო: მაშასადამე, ცის გაწითლებასა და მეორე დღეს ქარს შორის მიზეზობრივი კავშირია დამყარებული.

სინამდვილეში კი ცის სიწითლე არ არის ქარის მიზეზი. მათ შორის არავითარი მიზეზობრივი კავშირი არ არის.

მოვლენათა უბრალო დროული თანმიმდევრობიდან მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოყვანა ცრუმორწმუნეობის საფუძველია. ცრუმორწმუნე ადამიანის წინაშე თუ ორი მოვლენა ერთიმეორის შემდეგ მოხდა, იგი ამ მოვლენების გარეგნულ ნიშანთა საფუძველზე მათს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ასკვნის. მაგ., თუ ცრუმორწმუნე სტუდენტს კატამ გზა გადაუკვეთა და ამის შემდეგ მან გამოცდა ვერ ჩააბარა, იგი გააკეთებს დასკვნას — კატის მიერ გზის გადაკვეთა არის ცუდი ნიშნის მიღების მიზეზი. თუმცა ამ ორ ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებულ მოვლენას შორის არავითარი შინაგანი კავშირი არ არის. მათ შორის მხოლოდ დროში უბრალო თანმიმდევრობაა.

ამჩნევენ რა იმ ნაკლს, რომ მოვლენათა მხოლოდ დროში თანმიმდევრობა საკმარისი არ არის მიზეზობრიობის ასახსნელად, დროულობას უმატებენ ნიშანს — მუდმივი, განმეორებადი, უცვლელი წინამავლობა. თუ ერთი მოვლენა მეორე მოვლენას მუდმივად, უცვლელად წინამავლობს, მაშინ მათ შორის უდავოდ არის მიზეზ-შედეგის კავშირიო. ის მოვლენა, რომელიც მუდმივად წინამავლობს მეორეს, არის მიზეზი, ხოლო ის, რომელიც მუდმივად თან მოსდევს მას, არის შედეგიო. ასეთი შეხედულების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ მხოლოდ მუდმივი, განმეორებადი, უცვლელი წინამავლობა ერთი მოვლენისა მეორისადმი ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ შორის მიზეზ—შედეგობრივი კავშირის არსებობას. მაგ., შემოდგომას ზამთარი მოსდევს მუდმივად, განმეორებით, უცვლელად; ახალგაზრდობას მოხუცებულობა მოსდევს მუდმივად, უცვლელად. მაგრამ არავინ იტყვის იმას, რომ ზამთრის მიზეზია შემოდგომა და მოხუცებულობის მიზეზია ახალგაზრდობა.

მიზეზ-შედეგის კავშირი, მართალია, ხასიათდება დროულობაში არსებობის ნიშნით, მაგრამ იგი არ არის საკმარისი ამ კავშირის ნამდვილი ბუნების გასაგებად. მიზეზობრივობის უმნიშვნელოვანესი ნიშანია მიზეზ—შედეგის კავშირის აუცილებლობითი ხასიათი. მიზეზ-შედეგის კავშირი აუცილებლობითი ხასიათისაა.

მიზეზ-შედეგის კავშირის აუცილებლობითი ხასიათის ცხადსაყოფად საჭიროა მიზეზის განსხვავებული ბუნება იქნეს განხილული. მიზეზი ორგვარია: შინაგანი და გარეგანი.

ყოველი საგანი, მოვლენა, თუ ისინი ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში არიან, ეს კავშირი ან შინაგანი, ან გარეგანი

მიზეზ-შედეგის ხასიათის იქნება. როგორც ვთქვით, ყოველ საგანს, მოვლენას თავისი მიზეზი აქვს, რომ უმიზეზო მოვლენები არ არსებობს. მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს ის ცალმხრივი და უკიდურესი დეტერმინისტული აზრი, რომ მხოლოდ აუცილებლობა არსებობს და შემთხვევითობა სრულიად გამორიცხულია. თუ ყოველ მოვლენას თავისი მიზეზი აქვს, თუ უმიზეზო მოვლენები არ არსებობენ, მაშინ რატომ არსებობს შემთხვევითობაც და არა მხოლოდ აუცილებლობა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ შინაგანი და გარეგანი მიზეზების აღიარებით. მხოლოდ შინაგანი, ან მხოლოდ გარეგანი მიზეზების დაშვება ორივე შეცდომა იქნება; თუ მხოლოდ შინაგან მიზეზებს ვაღიარებთ და გარეგან მიზეზებს სრულიად გამოვრიცხავთ, მაშინ შემთხვევითობის, როგორც ობიექტურად არსებული ფაქტის სრულ უარყოფამდე მივალთ; მაგრამ თუ მხოლოდ გარეგანი მიზეზებს დაეუშვებდით და შინაგან მიზეზებს სრულიად უარვყოფდით, მაშინ აუცილებლობითი კავშირების უარყოფასა და მხოლოდ შემთხვევითობის აღიარებამდე მივიდოდით. ამგვარ ცალმხრივ აღიარებამდე რომ არ მივიდეთ, საჭიროა ორგვარი მიზეზის არსებობის დაშვება — შინაგანისა და გარეგანის, თუმცა ეს არ ნიშნავს მათი თანაბარი მნიშვნელობის აღიარებას. შინაგანი მიზეზი ძირითადია, გარეგანი კი არაძირითადი. გარეგანი მიზეზი, როგორც არაძირითადი შინაგან მიზეზს როგორც ძირითადს ემყარება. შინაგანი მიზეზის საშუალებით მოქმედებს გარეგანი მიზეზი. ის, რაც შინაგანი მიზეზიდან გამოდის — აუცილებელია; ხოლო ის, რაც გარეგანი მიზეზიდან გამოდის — შემთხვევითია. ამიტომაც შემთხვევითობა საგნის, მოვლენის გარეგან და არაშინაგან მიზეზზეა დამოკიდებული. მაგ., დავთესეთ პურის მარცვალი, იგი ამოვიდა, მაგრამ სიმწიფის დროს მოვიდა სეტყვა და მოსპო მცენარე თავისი მარცვლებიანად; ეს გამოწვეულია გარეგანი და არა შინაგანი მიზეზით. მცენარის შინაგანი ბუნების მიმართ მისი სეტყვით მოსპობა სწორედ გარეგანი მიზეზია და ამიტომ შემთხვევითი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი შემთხვევითია იმიტომ, რომ უმიზეზოა. უმიზეზო არაფერი არ არის, შემთხვევითი ისიც შეიძლება იყოს, რასაც მიზეზი აქვს. შემთხვევითი შინაგანი მიზეზის მიმართ არის შემთხვევითი და არა საერთოდ. აბსოლუტურად შემთხვევითი მოვლენა არ არსებობს.

მიზეზობრიობის ცნება, აუცილებლობისაგან განსხვავებით, შემთხვევითობასაც მოიცავს. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა —

მიზეზ-შედეგის კავშირი მსოფლიოს აუცილებელ ხასიათს ატარებს თუ შემთხვევითსაც? ამ კითხვაზე უნდა ვუპასუხოთ: მიზეზ-შედეგს შორის მუდამ არის აუცილებელი კავშირი. მიზეზი, რომელიც აუცილებლობით არ იწვევს შედეგს, არც არის მიზეზი. მიზეზი ყოველთვის აუცილებლობით იწვევს შედეგს. არც შედეგია შემთხვევითი თავისი მიზეზის მიმართ. თუ არის მიზეზი, უდავოდ არის შედეგიც. მიზეზის არსებობის დროს არ შეიძლება შედეგი არ არსებობდეს. იქნება მოვლენა შემთხვევითი თუ აუცილებელი, რაკი მისი მიზეზი არის, აუცილებლობით იქნება შედეგიც. შემთხვევითი შედეგი არ არსებობს, იმიტომ რომ შემთხვევითი შეიძლება იყოს და შეიძლება არც იყოს, ხოლო შედეგი, რაკი მიზეზი არსებობს, ყოვლად შეუძლებელია არ იყოს. მიზეზის არსებობა შედეგის არსებობასაც ნიშნავს და ამ შედეგს უდავოდ რაღაც აუცილებელი მიზეზი აქვს. ამიტომაც მიზეზ-შედეგს შორის კავშირი მუდამ აუცილებელი ხასიათისაა.

აღნიშნული დებულების სიცხადისათვის განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი: 1. პურის მარცვლის შინაგანი მიზეზიდან აუცილებლობით გამოდის, რომ მის თავთავს უნდა ჰქონდეს მარცვლები. მაგრამ თუ რამდენი მარცვალი ექნება მას, ეს გარეშე მიზეზზე იქნება დამოკიდებული. პურის მარცვლის შინაგანი ბუნებისათვის შემთხვევითი იქნება ის, რომ მის თავთავს 30 მარცვალი აქვს, შეიძლება 25 ან 35 მარცვალი ჰქონოდა, მაგრამ იმას, რომ 30 მარცვალი აქვს და არც მეტი და არც ნაკლები, გარკვეული მიზეზი აქვს. ამ მიზეზთან მიმართებაში შედეგი — 30 მარცვალი, შემთხვევითს კი არა, აუცილებელ კავშირშია. 2. დაპეპლილი კვერცხის შინაგანი მიზეზიდან აუცილებლობით გამოდის, რომ მისგან წიწილი გამოიჩეკოს, მაგრამ გარკვეული ნორმალური ტემპერატურის შემდეგ მისგან თეთრი თუ შავი წიწილი გამოიჩეკება, ეს კვერცხის შინაგანი მიზეზისათვის შემთხვევითია. ხოლო იმას, რომ ამა და ამ კვერცხიდან თეთრი წიწილი გამოიჩეკა და არა შავი ან ჭრელი, გარკვეული მიზეზი აქვს. ამ მიზეზთან კავშირში თეთრი, ჭრელი (შედეგი) აუცილებელია და არა შემთხვევითი. 3. ძაღლის ბიოლოგიური თვისება კუდი ფიზიოლოგიური განვითარებითაა გამოწვეული. სხვაგვარად, ძაღლის შინაგანი ფიზიოლოგიური განვითარება არის მიზეზი იმისა, რომ მას აუცილებლობით ჰქონდეს კუდი, მაგრამ ეს კუდი რომ 30 სანტიმეტრია და არა 28 ან 32, ეს შემთხვევითია. ის რომ ამა და ამ ძაღლის კუდი 30 სანტიმეტრია და არც

ნაკლები და არც მეტი, ეს გარკვეული მიზეზის მქონეა. ამ მიზეზთან კავშირში კუდის სიგრძე 30 სანტიმეტრი შემთხვევითი კი არა, აუცილებელია.

აღნიშნული მაგალითები ცხადად მეტყველებენ იმაზე, რომ შედეგი არ შეიძლება შემთხვევით კავშირში იყოს თავის მიზეზთან. შემთხვევითი არაა აუცილებელი; იგი შეიძლება იყოს და არც იყოს. შედეგი კი, რამდენადაც მისი გამომწვევი მიზეზი უდავოდ არსებობს, რამდენადაც შედეგი მიზეზის მოქმედებაა, იმდენად მიზეზ-შედეგის კავშირი ყოველთვის აუცილებლობითი ხასიათისაა. ამ აზრით შედეგი ყოველთვის აუცილებელ კავშირშია თავის მიზეზთან. ეს ითქმის როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მიზეზ-შედეგის კავშირზე. როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში განხორციელებული შედეგი თავისი გარკვეული მიზეზის მოქმედებითაა გამოწვეული. ამიტომაც როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მიზეზ-შედეგის კავშირი აუცილებელი ხასიათისაა. მართალია, გარეგანი მიზეზის დროს შედეგი არ გამოდის საგნის შინაგანი ბუნებიდან. ამ აზრით ის საგნის შინაგან ბუნებასთან მიმართებაში შემთხვევითია, მაგრამ მის გამომწვევ მიზეზთან იგი აუცილებელ კავშირშია. ადამიანის შინაგანი ბუნებიდან არ გამოდის, რომ იგი ტიფით მოკვდეს, ტიფით სიკვდილი მისი შინაგანი ბუნებისათვის შემთხვევითია, მაგრამ რაკი ვთქვათ ივანე ტიფით მოკვდა, შედეგი — სიკვდილი, თავის მიზეზთან — ტიფთან, აუცილებელ კავშირშია. ამ აზრით ყოველი მიზეზ-შედეგის კავშირი, როგორიც არ უნდა იყოს იგი, შინაგანი თუ გარეგანი, აუცილებლობითი ხასიათისაა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიზეზობრივი კავშირი შეიძლება განისაზღვროს ასე: მიზეზობრივი კავშირი არის მიზეზისა და შედეგის თანმიმდევრული არსებობის აუცილებელი კავშირი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ხშირად ცვალებადობა, დინამიურობა და ობიექტურობა მიზეზობრივი კავშირის არსებით ნიშნებადაა მიჩნეული. ამიტომაც მიზეზობრიობის ცნების განსაზღვრებაშიც კი შემოაქვთ დინამიკურობისა და ობიექტურობის ცნებები. მიზეზობრიობისათვის, მართალია, დამასასიათებელია დინამიკურობა და ობიექტურობა, კიდევ მეტი, ამ პრინციპიდან ამოდის მიზეზობრიობის დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგება, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მიზეზობრივი კავშირის დინამიკურობა და ობიექტურობა მხოლოდ მიზეზობრიობის სპეციფიკური ნიშანია და ამ ნიშნებით იგი განსხვავდება შინაარსისა

და ფორმის, აუცილებლობისა და შემთხვევითობის კავშირების დინამიკურობისა და ობიექტურობისაგან. ეს საერთო ნიშანია ყოველი აუცილებელი კავშირისათვის და მათ შორის მიზეზობრივი კავშირისათვისაც. ამიტომაც დასახელებული ნიშნები არ არის მიზეზობრიობის სპეციფიკური ნიშნები. მაგალითად, როცა მიზეზობრიობის ძირითად ნიშანთა შორის ასახელებენ მიზეზობრიობის ობიექტურობას, მას ახასიათებენ ასე: მიზეზ-შედეგობრივი კავშირის უმნიშვნელოვანესი ძირითადი ნიშანია მისი ობიექტურობა. ეს ნიშნავს, რომ მიზეზობრივი კავშირი ასახავს რეალურ სინამდვილეში არსებულ კავშირებსა და მიმართებებს. მიზეზობრივი კავშირი არსებობს რეალურ სინამდვილეში არსებულ საგნებსა და მოვლენებს შორის. ამიტომაც იგი ობიექტურია, ისევე როგორც ობიექტურია თვით საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული კავშირები. მიზეზობრიობის ობიექტურობის ასეთი დახასიათება მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მიზეზობრივი კავშირი ისეთივე ობიექტურია, როგორც რეალურ სინამდვილეში არსებული ყოველი სხვა კავშირი და მიმართება. ამიტომაც ობიექტურობა როგორი მნიშვნელობითაც არ უნდა იქნეს იგი გაგებული: ობიექტურად არსებულის მნიშვნელობით თუ ობიექტური მნიშვნელობით, საერთო დამახასიათებელი ნიშანია მოვლენათა აუცილებელი კავშირების და არა მხოლოდ მიზეზობრიობის ძირითადი, არსებითი ნიშანი.

III. **დროში მიზეზისა და შედეგის მიმართების საკითხი.** მიზეზისა და შედეგის დროში მიმართების საკითხი ერთ-ერთ ურთულეს საკითხს წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხზე არსებობს სამი ერთიმეორისაგან აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულება. 1. შედეგი დროში წინ უსწრებს მიზეზს; 2. მიზეზი დროში წინ უსწრებს შედეგს; 3. მიზეზი და შედეგი დროში ერთდროულია. სამივე შეხედულება საკმაო არგუმენტებითაა წარმოდგენილი და აბსოლუტურად გამორიცხავენ ერთმანეთს. პირველი და მესამე შეხედულება მცდარია, მართებულია მეორე შეხედულება.

აღვნიშნეთ, შეხედულება — შედეგი დროში წინ უსწრებს მიზეზს, მცდარია. მცდარობა ამ დებულებისა იმაშია, რომ იგი წინასწარ ემყარება შედეგის უმიზეზოდ არსებობას; თუ შედეგი დროში წინ უსწრებს მიზეზს, მაშინ გამოდის, რომ არსებობს შედეგი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობს მისი მიზეზი. ეს ნიშნავს დროის გარკვეულ მონაკვეთში შედეგის უმიზეზოდ არსებობას. შედეგი მიზეზის შედეგია, რის გამოც შედეგის არსებობა აუცილებლად ნიშნავს მიზეზის არსებობას. ამიტომაც დაშვებულია, როგორც რე-

ალურად, ასევე ლოგიკურად შედეგი რომ წინ უსწრებს მიზეზს.

რაც შეეხება თვალსაზრისებს: მიზეზი დროში ყოველთვის წინ უსწრებს შედეგს და მიზეზი და შედეგი დროში ყოველთვის ერთდროულია, მათ საკმაო არგუმენტები აქვთ. ორივე თვალსაზრისი მრავალ ფაქტობრივ ანალიზსა და ლოგიკურ მისაზრებას ემყარება. ორივე შეხედულება ძლიერი და უტყუარი ჩანს. თუმცა შეხედულება — მიზეზი და შედეგი დროში ყოველთვის ერთდროულია, მცდარია.

საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში დებულების — მიზეზი დროში ყოველთვის წინ უსწრებს შედეგს — დასაცავად რამდენიმე არგუმენტია წამოყენებული. ძირითადი მათგანია: 1. ყოველი მოქმედება არის პროცესი, რომელიც დროში სრულდება და მისი არსებობის დაშვება დროის გარეშე შეუძლებელია. ამიტომაც მიზეზი და შედეგი, სადაც ერთი იწვევს მეორეს, არ შეიძლება ერთად არსებობდეს, ისინი დროში თანმიმდევარი უნდა იყოს. ამიტომაც მიზეზ—შედეგობრივი კავშირი დროული კავშირია, ე. ი. მიზეზი წინ უსწრებს შედეგს. 2. მიზეზისა და შედეგის წარმოქმნა არ შეიძლება იყოს ერთდროული, რაიმე დროის მონაკვეთსა და ხანგრძლივობას მოკლებული. წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგს არსებობა უნდა დაეწყო მიზეზთან ერთად. მიზეზობრივი კავშირიდან დროული თანმიმდევრულობის ამორიცხვა, ე. ი. მიზეზის შედეგთან მიმართებაში დროში წინ გასწრების დაუშვებლობა მიგვიყვანდა მიზეზ—შედეგის გაიგივებამდე, კიდევ მეტი, იგი მიგვიყვანდა სამყაროში არსებული ყველა მოვლენის ერთდროულობამდეც. 3. მიზეზისა და შედეგის ერთდროულად არსებობის დაშვება გამორიცხავს განვითარების აღიარების შესაძლებლობას. მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის დაშვებით შეუძლებელი იქნება თვით ახალის წარმოშობაც კი საერთოდ, ვინაიდან ყოველგვარი წარმოშობა, ერთი მხრივ, დროული პროცესია, ხოლო, მეორე მხრივ, მიზეზობრიობასთან არის დაკავშირებული. ამიტომაც ვინც განვითარების თეორიას აღიარებს, მან არ შეიძლება დაუშვას მიზეზისა და შედეგის ერთდროულად არსებობა. 4. მიზეზისა და შედეგის ერთობლიობის აღიარება ნიშნავს ძალის ცნების განდევნას მიზეზობრიობის კონცეფციიდან. მიზეზობრიობა არის მოქმედება, რომელშიც ძალა მონაწილეობს, ამიტომაც იგი მოქმედების გადაცემას წარმოადგენს. 5. მიზეზისა და შედეგის ერთდროულად არსებობის აღიარება ნიშნავს მიზეზობრიობის დაყვანას ფუნქციურ დამოკიდებულებაზე. მიზეზისა და შედეგის ერთდროულად არსებობა შეიძლება

დავუშვათ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ მიზეზობრიობის კონ-ცეფციიდან ძალის ცნებას განვდევნით: ხოლო მიზეზობრიობიდან ძალის ცნების გამორიცხვა ნიშნავს მიზეზ—შედეგობრივი კავშირის გაიგივებას ფუნქციურ დამოკიდებულებასთან. ფუნქციურ დამოკიდებულებაში, ისევე როგორც ყველა მათემატიკურ ოპერაციაში, არ მონაწილეობს დრო. მიზეზობრიობის გაიგივება ფუნქციურ დამოკიდებულებასთან კი ღრმა შეცდომას წარმოადგენს. დროის გამორიცხვა მიზეზობრიობიდან, ე. ი. მიზეზისა და შედეგის ერთდროულად არსებობის აღიარება, ნიშნავს მიზეზობრიობის ცნების გადატანას ფიზიკის, როგორც ბუნების შემსწავლელი მეცნიერების სფეროდან, მათემატიკისა და ლოგიკის სფეროში, სადაც დრო არავითარ როლს არ ასრულებს. ეს ნიშნავს მიზეზობრიობის დაყვანას ფუნქციურ დამოკიდებულებაზე. 6. დროის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია თანმიმდევრობა. ეს ნიშნავს, რომ დროში სხეულები ერთიმეორის შემდეგაა. დროის მომენტების თანაარსებობა შეუძლებელია. თუ მიზეზობრიობა დროში არსებობს, მაშინ მიზეზისა და შედეგის თანაარსებობა, ერთდროულად არსებობა გამორიცხულია, ხოლო თუ მათს ერთად არსებობას დავუშვებთ, მაშინ მიზეზობრიობის დროში არსებობა უნდა უარვყოთ. ამ ორი დებულების ერთად შეთავსება შეუძლებელია. მიზეზი და შედეგი საგნები კი არ არის, არამედ მოქმედებებია, პროცესებია, რომელთაგან ერთი მეორეს აგრძელებს, ერთი მოქმედება მეორე მოქმედებას იწვევს. ორი ისეთი მოქმედების, რომელთაგან ერთი მეორეს იწვევს, მეორე, პირველს აგრძელებს, ერთად არსებობა, თანაარსებობა შეუძლებელია. 7. თუ მიზეზ-შედეგის ერთდროულად არსებობას დავუშვებთ, მაშინ უნდა უარვყოთ აინშტაინის რელატივობის თეორია. თუ ორი ხდომილობა ერთდროულია, მაშინ მათ შორის ყოველგვარი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესაძლებლობა გამორიცხულია. რელატივობის თეორიის თანახმად ორი ხდომილობა სხვადასხვა ათვლის სისტემების მიმართ შესაძლებელია სხვადასხვა დროულ წესრიგში იმყოფებოდეს. მაგრამ თუ ამ ორ ხდომილობას შორის მიზეზ—შედეგობრივი კავშირი არსებობს, მაშინ მათი შებრუნება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მიზეზი აბსოლუტურად ადრეა შედეგზე და შედეგი აბსოლუტურად გვიანაა მიზეზზე. აქედან გამომდინარე, მიზეზისა და შედეგის ერთდროულად არსებობის აღიარება შეუძლებელია აინშტაინის ერთდროულობის თეორიის უარყოფის გარეშე. 8. მიზეზისა და შედეგის ერთდროულად არსებობის აღიარება ნიშნავს დროის კაუზალური

თეორიის უარყოფას. 9. მიზეზისა და შედეგის ერთდროულად არსებობის დაშვებას მივყავართ სამყაროს შეუცნობადობის აღიარებამდე. 10. ურთიერთქმედება და მიზეზობრიობა არ შეიძლება გავაიგივოთ. ისინი გამორიცხავენ ერთიმეორეს. მიზეზობრიობა არსებითად განსხვავდება ურთიერთქმედებისაგან. თუ ურთიერთქმედების არსებით ნიშნებს გადავიტანთ მიზეზობრიობაზე, მაშინ მიზეზ-შედეგის თანაარსებობასა და ერთდროულობაზე უნდა ვიმსჯელოთ. მაგრამ თუ მიზეზი და შედეგი ერთდროულია, მაშინ შედეგი არსებობას უნდა იწყებდეს მიზეზთან ერთად და ამიტომაც წარმოქმნის რაიმე გენეტიური პროცესი იმთავითვე გამორიცხულია. ასეთია ძირითადი არგუმენტები მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის საწინააღმდეგოდ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ თვალსაზრისის დამცველთა შორის, რომლებიც მიზეზის დროში წინ გასწრებას მიზეზობრიობის საერთო ნიშნად მიიჩნევენ, ზოგიერთი იმ აზრს იცავს, რომ შედეგის წარმოშობის შემდეგ მიზეზის არსებობა შედეგის არსებობის შესანარჩუნებლად არ არის საჭირო; შეწყდება მიზეზი, შეწყდება შედეგიცო. მისეზის შეწყვეტასთან ერთად შედეგის შეწყვეტაც ერთდროულადაა აღიარებული და მკაცრად აკრიტიკებენ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით მიზეზის შეწყვეტას იმავდროულად არ მოყვება შედეგის შეწყვეტაც. მიზეზის შეწყვეტის შემდეგ შედეგის არსებობის დაშვება მიჩნეულია მიზეზისა და შედეგის სხვადასხვა წყვილის არევასთან, რაც დიდ შეცდომადაა ჩათვლილი. ამიტომაც აკეთებენ კატეგორიულ დასკვნას — „მიზეზის შეწყვეტასთან ერთად წყდება შედეგიცო". ეს კი ფაქტიურად მიზეზისა და შედეგის ერთდროულად შეწყვეტის აღიარებაა. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ.

საკმაო არგუმენტებითაა წარმოდგენილი დებულება — მიზეზი და შედეგი ერთდროულია. 1. მიზეზი და შედეგი ურთიერთქმედებაშია. მიზეზი არის მიზეზი მხოლოდ მოცემულ შედეგთან მიმართებაში, რომელიმე ერთ მიმართებაში. სხვა მიმართებაში მათ კავშირს აქვს სხვა ხასიათი. მიზეზი შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ მისი შედეგის საშუალებით, და, პირიქით, შედეგის ბუნება შეიძლება ახსნილი იქნეს მხოლოდ მისი მიზეზით, რამდენადაც ისინი ერთიმეორეს განსაზღვრავენ. მიზეზს საზომი აქვს თავის შედეგში და შედეგი იზომება მიზეზით. მიზეზი და შედეგი არ ემთხვევიან ერთიმეორეს, ისინი განსხვავდებიან თავიანთი შინაარსით, სხვაგვარად ისინი არც იქნებიან მიზეზობრივი კავშირის განსხვავე-

ბული მხარეები. ამიტომაც მტკიცება, რომ მიზეზი დროში წინ უსწრებს შედეგს, ნიშნავს შედეგის დეტერმინაციის უარყოფას, ვინაიდან ურთიერთმოქმედ მხარეებს შორის ჩნდება დროული ინტერვალი, იმ მიზეზით, რომელიც არსებობს შედეგამდე, რომელსაც საერთოდ არავითარი ურთიერთქმედება არა აქვს. მაგრამ მიზეზი და შედეგი ერთმანეთისაგან განუყოფელია როგორც დაპირისპირებულები და ამ დაპირისპირებულობით ურთიერთზემოქმედებენ. ამიტომაც დებულება — მიზეზი წინ უსწრებს შედეგს — არის დარღვევა დიალექტიკის ძირითადი კანონის მოთხოვნისა დაპირისპირებული მხარეების ერთიანობისა და ბრძოლის შესახებ, ვინაიდან იგულისხმება, რომ ერთი დაპირისპრებული მხარე არსებობს მეორის გარეშე, მის არსებობამდე. დებულებაში მიზეზი წინ უსწრებს შედეგს, მიზეზობრივი მიმართება გაიგივებულია საგანთა დროულ თანმიმდევრულობასთან. მიზეზობრიობის დროში თანმიმდევრულობასთან გაიგივება შეიძლება აიხსნას, იმით, რომ მიზეზი და შედეგი განხილული იქნეს სტატიკურ მდგომარეობაში, როგორც ორი გარეგნულად დაპირისპირებული უცვლელი პოლუსი. სინამდვილეში კი მიზეზი მოქმედების გარეშე არ არის მიზეზი, „მიზეზი. რომელიც არ მოქმედებს, სრულიადაც მიზეზი არაა". აქტიური არის მიზეზი მხოლოდ თავის შედეგთან მიმართებაში. მიზეზობრიობა ესაა პროცესი ორი პოლუსით — მიზეზით და შედეგით. ამიტომაც თუ არის მიზეზი, არის შედეგიც. ამის გამო მიზეზი და შედეგი ერთდროულია. 2. შედეგს წინ უსწრებს არა მიზეზი, არამედ საგანი. რომელიც ჯერ კიდევ არ გამხდარა მიზეზი. მიზეზი მიზეზი ხდება მხოლოდ მიზეზობრივ კავშირში, ე. ი. თავის შედეგთან მიმართებაში. საგნის მოქმედების გამოვლენის მომენტამდე, მის გამოწვევამდე, მიზეზი შეიძლება გამოვიდეს მხოლოდ შესაძლებლობაში და არა სინამდვილეში, რამდენადაც ჯერ კიდევ არ არის შესაბამისი შედეგი. საგნის მოქმედების დასაწყისი იმავე დროს არის მისი როგორც მიზეზის დასაწყისი. მაგრამ საგანი მხოლოდ შედეგის გამოვლენით გამოავლენს თავის მიზეზს. საგანი არ ხდება მიზეზი შედეგის წარმოშობამდე. ამიტომაც მიზეზი და შედეგი ერთდროულია. 3. თვალსაზრისი, რომელიც ამტკიცებს — მიზეზი წინ უსწრებს შედეგს თუნდაც მცირედი დროის მონაკვეთში, ნიშნავს მიზეზის შედეგის გარეშე არსებობის აღიარებას. 4. მტკიცება, თუ ვაღიარებთ მიზეზის და შედეგის ერთობლიობას, მაშინ შეუძლებელია მიზეზი და შედეგი

განვასხვავოთ ერთიმეორისაგან, მცდარია. სინამდვილეში საქმის ეითარება ასე არ არის. მიზეზი ყოველთვის აქტიური განმსაზღვრელია, შედეგი კი მიზეზთან მიმართებაში ყოველთვის განსაზღვრულია, შედარებით აქტიური. ამიტომაც მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის აღიარების დროს შესაძლებელია ერთიმეორისაგან განსხვავებულ იქნეს ის, რაც მიზეზია, და ის, რაც შედეგია. ისინი თავიანთი შინაარსით განსხვავებულნი არიან და ამიტომ მათი განსხვავებულობის დადგენაც შესაძლებელია. 5. მცდარია შეხედულება — მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის აღიარებას მივყეევართ მთელი მსოფლიო პროცესის დაყვანამდე მხოლოდ დროის ერთ მომენტზე, განვითარების ისტორიის უარყოფამდე. არაა სწორი, რომ მიზეზისა და შედეგის ერთდროულობა არ ნიშნავს მათ ურთიერთქმედებას: ურთიერთქმედება თავისთავად ნიშნავს მოძრაობას, ცვალებადობას, განვითარებას. მიზეზობრივი პროცესი ხასიათდება გარკვეული თანმიმდევრულობით და გარკვეული დროული ხანგრძლივობით. 6. მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის კონცეფცია არა თუ ეწინააღმდეგება რელატივობის თეორიას, არამედ, პირიქით, მას შეესაბამება. რამდენადაც ფარდობითობის თეორია ემყარება ახლომოქმედების პრინციპს, ამიტომაც რელატიურობის თეორია განხილულ უნდა იქნეს არა როგორც მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის საწინააღმდეგო, არამედ მისთვის სასარგებლო არგუმენტი. 7. მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის აღიარება არ ნიშნავს მიზეზ-შედეგის კავშირის ფუნქციონალურ დამოკიდებულებამდე დაყვანას. მიზეზისა და შედეგის ერთდროულობა არც ფუნქციონალურ დამოკიდებულებაზე დაყვანას ნიშნავს და არც მის უარყოფას. მიზეზობრივი დამოკიდებულება საერთოდ გამოითქმის ფუნქციონალურით, მაგრამ ყოველი ფუნქციონალური დამოკიდებულება არ გამოთქვამს მიზეზობრივ კავშირს. ამ საკითხს სპეციალურად ქვემოთაც შეეხებით. 8. მიზეზისა და შედეგის ერთდროულობა შემეცნების შესაძლებლობას აფართოებს და ხსნის მთელ რიგ ლოგიკურ წინააღმდეგობებს, რომელიც თან ახლავს მიზეზისა და შედეგის დროში გათიშვის კონცეფციას. ლოგიკური წინააღმდეგობის ერთ-ერთი ნიმუში ასეთია: კონცეფცია, რომელიც ამტკიცებს, მიზეზი და შედეგი დროში თანმიმდევრულია, ერთი მხრივ, ამტკიცებს, რომ მიზეზი ყოველთვის წინ უსწრებს შედეგს, ამიტომაც უშვებს თუნდაც მცი-

რედი დროის მონაკვეთშიც მიზეზის შედეგის გარეშე არსებობას. მეორე მხრივ, იგივე კონცეფცია ამტკიცებს, რომ მიზეზი და შედეგი ყოველთვის ურთიერთზემოქმედებენ. ეს კი ცხადი ლოგიკური წინააღმდეგობაა. თუ მიზეზი წინ უსწრებს შედეგს, მაშინ დროის მცირედ მონაკვეთშიც კი, სადაც მიზეზი წინ უსწრებს თავის შედეგს, არ შეიძლება იყოს ურთიერთქმედება. თუ ვამტკიცებთ, რომ მიზეზი და შედეგი ურთიერთქმედებაშია, მაშინ ეს თვითონ გულისხმობს, რომ მიზეზი ერთდროულია შედეგის. თუ მიზეზი წინ უსწრებს შედეგს, მაშინ მიზეზი არსებობს შედეგის გარეშე. რაც გამორიცხავს ურთიერთქმედებას.

აღნიშნული არგუმენტის საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითია მოყვანილი. მივუთითებთ მხოლოდ ორს. მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის მაგალითი, რომელსაც ჯერ კიდევ კანტი აღნიშნავდა, შემდეგია: თუ ტყვიის ბურთულა, რომელიც ბალიშს აწვება, ჩაღრმავებას იწვევს, მაშინ ეს ბურთულა, როგორც მიზეზი, შედეგთან (ჩაღრმავებასთან) ერთდროულად არსებობს. ასევე მიზეზისა და შედეგის ერთდროულობას გამოთქვამს გაზის წნევისა და მოცულობის ცვალებადობა, რომელიც ფიზიკაში ფორმულირებულია ბოილ-მარიოტის კანონის სახელწოდებითო. მოცემული მასის მქონე გაზისათვის რამდენჯერაც მცირდება მოცულობა, იმდენჯერვე იზრდება წნევა. წნევისა და მოცულობის ნამრავლი კი მოცემული მასის მქონე გაზისათვის მუდმივია, თუ გაზის ტემპერატურა უცვლელია. თუ თავიდან გაზის წნევა იყო P_1, მოცულობა V_1, მაშინ $P_1 V_1 = P_2 V_2$, აქ გაზის წნევასა და მოცულობას შორის მიზეზობრივი კავშირი ერთდროულია. თუ ხელით შევკუმშავთ ბურთის სუსტად დატუმბულ კამერას, მაშინ კამერაში მოთავსებული ჰაერის წნევა გაიზრდება. ეს მოქმედება ერთდროულია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის საწინააღმდეგოდ წამოყენებული ზოგიერთი არგუმენტი, რომელიც იმის დასაცავადაა წარმოდგენილი, რომ მიზეზი ყოველთვის დროში წინ უსწრებს შედეგს, არაზუსტი და მცდარიცაა. ამით სარგებლობენ მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის დამცველები და საწინააღმდეგო შეხედულებას (მიზეზი წინ უსწრებს შედეგს დროში) მიიჩნევენ მცდარად. მაგალითად, სრულიად მართებული თვალსაზრისის — მიზეზი წინ უსწრებს დროში შედეგს, — ზოგიერთი წარმომადგენლის მიხედვით მიზეზისა და შედეგის ერთდროულად არსებობა ნიშნავს დროის გარეშე არსებობასო. ნამდვილად

კი მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის თანამედროვე მარქსისტი მკვლევარები იმას კი არ ამტკიცებენ, რომ რეალურ სინამდვილეში მიმდინარე პროცესები და მათი მიზეზ—შედეგობრივი კავშირის ერთდროულობა დროის გარეშე არსებულად ესმით. ერთდროულობა დროში არსებობადაა მიჩნეული, თუმცა მიზეზსა და შედეგს შორის ეს კავშირი ერთდროულადაა აღიარებული. ერთდროულობაც სწორედ დროში არსებობაა. მაგრამ საკითხის მეორე მხარეა —მიზეზის მიერ შედეგის გამოწვევა ნუთუ ყოველგვარი დროული ინტერვალის გარეშეა? ნუთუ რეალურ სინამდვილეში მიზეზი, რომელიც გამოიწვევს შედეგს, როგორი ერთდროულიც არ უნდა გვეჩვენებოდეს, არ საჭიროებს დროის არავითარ შუალედს? ეს ნამდვილად შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ, რომ რეალურ სინამდვილეში გამომწვევსა და გამოწვეულს შორის, რომელიც მიზეზ—შედეგობრივი კავშირის ხასიათის იქნება, დროში განსხვავება ყოველთვის იარსებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაურკვეველი იქნებოდა მტკიცება — მიზეზი იწვევს შედეგს. თუ მიზეზი იწვევს შედეგს, ეს კი ნამდვილად ასეა, მაშინ მიზეზი აუცილებლობით დროში წინ უსწრებს შედეგს თუნდაც ერთი წამის მემილიონედი ნაწილით.

ასევე მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის მტკიცების ზოგიერთი მოწინააღმდეგის აზრით, მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის აღიარება ნიშნავს ფუნქციონალურ დამოკიდებულებამდე მათს დაყვანას. სინამდვილეში კი მიზეზისა და შედეგის კავშირის ერთდროულობა ფუნქციონალურ დამოკიდებულებამდე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიყვანებოდა, რომ მიზეზ—შედეგის ერთობლიობა დროში არ იყოს არსებული და ზედროულობით ხასიათდებოდეს. მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის დროში არსებობას კანტიც არ უარყოფდა. იგი გარკვევით აღნიშნავდა, რომ „მიზეზის მიმართება შედეგთან იმ შემთხვევაშიც შემოინახება, თუ არ გასულა არავითარი დრო... მიმართება მიზეზსა და შედეგს შორის მაინც რჩება განსაზღვრული დროის მიხედვით". ამაზე მიუთითებს ის ფილოსოფოსი, რომლის, მიხედვით, «ბუნებაში მოქმედ მიზეზთა უმრავლესობა მის შედეგთან ერთად არსებობს" და „მიზეზი და შედეგი შეიძლება ერთსა და იმავე დროს არსებობდეს".

მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის გაგების ზოგიერთ მოწინააღმდეგეს. მიზეზისა და შედეგის ერთდროულობა დროის

გარეშე აქვს წარმოდგენილი; ეს იქიდან ჩანს, რომ მიზეზ—შედეგის კავშირის ერთდროულობის დამცველთა საწინააღმდეგოდ ყველგან მითითებულია: „მიზეზობრივი კავშირიდან დროულობის ამორიცხვა მიზეზ-შედეგის გაიგივებას ნიშნავს“, „მიზეზობრივი კავშირიდან დროულობის ამორიცხვას სამყაროში არსებული ყველა მოვლენათა ერთდროულობამდე მივყევართ“, „დროის გამორიცხვა მიზეზობრიობიდან, ე. ი. მიზეზისა და შედეგის ერთდროულად არსებობის აღიარება, ნიშნავს მიზეზობრიობის ცნების გადატანას ფიზიკის სფეროდან მათემატიკისა და ლოგიკის სფეროში, სადაც დრო არავითარ როლს არ ასრულებს“. ყველა ეს ფაქტი, რომელსაც ემყარება მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის გაგების ზოგიერთი მოწინააღმდეგე, გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ მიზეზისა და შედეგის ერთდროულობა დროის გარეშე არსებულადაა მიჩნეული. თუ, მართლაც, მიზეზ—შედეგის კავშირის ერთდროულობას დროის გარეშე არსებულად წარმოვიდგენთ, მაშინ იგი ნამდვილად იქნება ფუნქციონალური, წმინდა ლოგიკური მიმართება და არა რეალური. ასეთი რამ ნამდვილად შეცდომა იქნებოდა და მიუღებელი მიზეზისა და შედეგის კავშირის ერთდროულობის ასახსნელად. მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ერთდროულობა ხომ თვითონ დროა. ამის გამოც მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის საწინააღმდეგოდ წამოყენებული არგუმენტი — დროის გარეშე არსებობა, იხსნება. მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის დამცველები იმას კი არ ამტკიცებენ, რომ ერთდროულობა დროის გარეშეა, არა დროულია, ზედროულია, არამედ იმას, რომ იგი დროშია, მაგრამ დროში ერთდროულია.

ზოგიერთი მკვლევარი, რომელიც იცავს შეხედულებას — მიზეზი წინ უსწრებს შედეგს დროში — არათანმიმდევრულ აზრს ავითარებს, რის გამოც წინააღმდეგობაშია თავისივე ძირითად დებულებასთან. სახელდობრ, მიზეზისა და შედეგის დროში დამოკიდებულების საკითხზე ამოსავალ პრინციპად მიჩნეულია, რომ მიზეზი დროში ყოველთვის წინ უსწრებს შედეგს, ხოლო როცა საკითხი დგება მიზეზისა და შედეგის შეწყვეტისა, მაშინ იქიდან ამოდის, რომ მიზეზისა და შედეგის შეწყვეტა დროში ერთდროულია. ეს კი, როგორც სამართლიანად შენიშნეს, აშკარა ლოგიკური წინააღმდეგობაა. ამ წინააღმდეგობაზე ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, მაგრამ აქ რამდენადმე სხვა კუთხით გვინდა შევეხოთ იმავე საკითხს.

თუ მიზეზისა და მისი შედეგის წარმოშობას შორის დროში საერთოდ ინტერვალია, ე. ი. მიზეზის დროში წინ გასწრება მიზეზობრიობის საერთო ნიშანია, მაშინ ნუთუ ასეთი დროული თანმიმდევრულობა გამორიცხულია მიზეზის შეწყვეტასა და შედეგის შეწყვეტას შორის? თუ მიზეზი წინ უსწრებს შედეგს წარმოშობის თვალსაზრისით ყოველთვის, მაშინ რატომ მიზეზის შეწყვეტასთან ერთად შედეგიც ყოველთვის წყდება? თვალსაზრისი, რომელიც უშვებს — მიზეზი ყოველთვის უსწრებს შედეგს, თუ იგი ლოგიკური იქნება, უნდა ამტკიცებდეს შემდეგს — შედეგი მიზეზის შემდეგ უნდა შეწყდეს ყოველთვის, თუნდაც მცირედი ინტერვალით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღიარება იმისა, რომ მიზეზის შეწყვეტისთანავე წყდება შედეგიცო, აბსოლუტურად ეწინააღმდეგება მტკიცებას — მიზეზი საერთოდ დროში წინ უსწრებს შედეგს. ამიტომაც დებულებაში: მიზეზი ყოველთვის აუცილებლად წინ უსწრებს შედეგს (ამიტომაც მათ შორის არაა ერთდროულობა) და მიზეზის შეწყვეტასთან ერთად ყოველთვის წყდება შედეგიც (მათ შორის ერთდროულობაა), აბსოლუტურად გამომრიცხველი დებულებებია და ყოვლად შეუთავსებელია იმ კონცეფციის სფეროში, სადაც მიზეზი ყოველთვის წინ უსწრებს შედეგს. თუ ყოველთვის მიზეზის შეწყვეტასთან ერთად წყდება შედეგიც, მაშინ იგივე უნდა გვქონდეს პირიქითაც, მიზეზის დაწყებისთანავე ყოველთვის უნდა დაიწყოს შედეგიც. ეს ფაქტი გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ ზოგიერთი არგუმენტი დასაცავად დებულებისა — მიზეზი დროში ყოველთვის წინ უსწრებს შედეგს — წინააღმდეგობრივია და მცდარიც.

ახლა კანონიერია დაისვას კითხვა, რამდენად მართებულია საერთოდ მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის დასაცავად წარმოდგენილი არგუმენტები და მათ საილუსტრაციოდ მოტანილი მაგალითები?

უპირველეს ყოვლისა, უნდა მივუთითოთ, რომ შინაგან წინააღმდეგობას არაა მოკლებული მიზეზისა და შედეგის ერთობლიობის დასაცავად წარმოდგენილი ზოგიერთი არგუმენტიც. მაგალითად, მტკიცებანი „მიზეზი და შედეგი ერთდროულია“ და „მიზეზობრივი კავშირი ხასიათდება გარკვეული დროული ხანგრძლივობით“ ერთიმეორის გამომრიცხველია და ერთ კონცეფციაში შეუთავსებელი. თუ კონცეფცია შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე უნდა აიგოს, მეცნიერული კონცეფცია სწორედ ასეთი უნდა იყოს და არა სხვაგვარი, მაშინ ვინც ამტკიცებს მიზეზობრივი კავშირი ხასი-

ათდება დროული ხანგრძლივობით, ნან, ლოგიკურია, ამავე დროს ამტკიცოს, რომ მიზეზსა და შედეგს შორისაც არსებობს დროული ხანგრძლივობა. ვინაიდან მიზეზობრივი კავშირი სხვა არაფერია, თუ არა მიზეზისა და შედეგის აუცილებელი კავშირი. ან საწინააღმდეგო მტკიცება უნდა იყოს ლოგიკური. თუ მიზეზი და შედეგი ერთდროულია, მაშინ მიზეზობრივი კავშირიც უნდა იყოს ერთდროული, ამიტომაც. თუ დავუშვებთ, რომ მიზეზობრივი კავშირი დროული ხანგრძლივობის მქონეა, მაშინ მიზეზისა და შედეგის ერთდროულობა გამორიცხულია. ხოლო, თუ იმას დავუშვებთ, რომ მიზეზი და შედეგი ერთდროულია, მაშინ მიზეზობრივი კავშირის დროული ხანგრძლივობის დაშვება გამორიცხულია.

მტკიცება — მიზეზი წინ უსწრებს შედეგს — არის დარღვევა დიალექტიკის ძირითადი კანონის მოთხოვნისა დაპირისპირებული მხარეების ერთიანობისა და ბრძოლის შესახებ, — ვინაიდან, თუ მიზეზი წინ უსწრებს შედეგს, მაშინ ურთიერთმოქმედ მხარეებს შორის ჩნდება დროული ინტერვალი და ამის გამო არავითარ ურთიერთმოქმედებას არა აქვს ადგილი, მცდარია. დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად, მოვლენებს შორის კავშირი სხვადასხვანაირია: ერთი სახის მოვლენები უშუალოდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, მეორენი კი — შუალედი რგოლებით და რეალურ სინამდვილეში ყოველივე ეს კავშირი დროული ხანგრძლივობით ხასიათდება, მაგრამ მოვლენები ყოველთვის ურთიერთკავშირში, ურთიერთქმედებაში არიან. რეალურ სინამდვილეში მოვლენათა ურთიერთკავშირი, ურთიერთქმედება არასდროს არ არის დროული ინტერვალის გარეშე, მაგრამ ამის გამო არავითარი ურთიერთქმედება არ ისპობა. პირიქით, ურთიერთქმედება სწორედ დროულ ინტერვალს გულისხმობს. დროული ინტერვალი რომ არ იყოს მოვლენათა კავშირსა, კერძოდ მიზეზსა და შედეგს შორის, მაშინ მათი ურთიერთქმედებაც გამორიცხული იქნებოდა. ურთიერთქმედება სწორედ დროული ხანგრძლივობით ხასიათდება. იქ, სადაც არც დროული კავშირია და არც დროული ხანგრძლივობა, მაგალითად. ლოგიკურის სფეროში, არავინ ამტკიცებს, რომ საფუძველი ზემოქმედებს შედეგზე, წანამძღვრები ზემოქმედებენ დანასკვნზე. ან პირიქით. დროში ურთიერთქმედება სწორედ დროულ ხანგრძლივობას მოითხოვს. ურთიერთქმედება დროში თანმიმდევრობის გარეშე გამორიცხულია. აქედან გამომდინარე მცდარად უნდა ჩაითვალოს

იმის მტკიცებაც, რომ თუ მიზეზი წინ უსწრებს შედეგს, თუნდაც მცირედი დროის მონაკვეთშიც, ეს ნიშნავს მიზეზის შედეგის გარეშე არსებობის აღიარებას. მიზეზი იწვევს შედეგს, ეს გამოწვევა წინ უსწრებს გამოსაწვევს, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს მიზეზის შედეგების გარეშე არსებობას, ვინაიდან მიზეზი მხოლოდ თავის შედეგთან მიმართებაში, ე. ი. მიზეზობრივ კავშირშია მიზეზი.

რაც შეეხება მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის საილუსტრაციოდ მოტანილ მაგალითებს ისინი სინამდვილეში არა თუ მათს ერთდროულობას ახასიათებენ, არამედ პირიქით, მოითხოვენ დროის ინტერვალს. მაგალითად, თუ ტყვიის ბურთულა, რომელიც ბალიშს აწვება, ჩაღრმავებას იწვევს, მაშინ ეს ბურთულა, როგორც მიზეზი შედეგთან ,ე. ი. ჩაღრმავებასთან, ერთდროულად კი არ ხდება, არამედ გარკვეულ დროის ინტერვალს საჭიროებს. თუნდაც სრულიად უმცირესს. ასევე ითქმის გაზის წნევისა და მოცულობის მიმართების შესახებაც. გაზის წნევისა და მოცულობის მიმართება. როგორც მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, გარკვეულ დროულ თანმიმდევრობაში სრულდება, ამიტომაც მათ შორის უდავოდ არის დროის ინტერვალი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის მოწინააღმდეგენი მართებულად მიუთითებენ იმ ზოგიერთი მაგალითისა და არგუმენტის უსუფრობაზეც, რომელიც მიზეზობრივი კავშირის ერთდროულობის დასასაბუთებლადაა მოყვანილი. მაგალითად, მიზეზისა და შედეგის ერთდროულობის დასამტკიცებლად კანტის ერთ-ერთი მაგალითი, რომელსაც შემდეგში სხვებიც იმეორებენ, ასეთია: თუ ოთახში თბილა, ეს სითბო როგორც შედეგი თანაარსებობს ღუმელთან ერთად, რომელიც ამ შედეგის მიზეზია. ამ მაგალითის შესახებ სამართლიანადაა აღნიშნული, რომ იგი სრულიადაც არ ასაბუთებს მიზეზისა და შედეგის ერთდროულობას. ოთახში დაგროვებული სითბო არსებობს ცხელ ღუმელთან ერთად, მაგრამ აქედან მიზეზისა და შედეგის ერთდროულობა მაინც არ გამომდინარეობს. ოთახში დაგროვებული სითბო, რომელიც ღუმელმა განვლილ პერიოდში გამოასხივა, არ არის ღუმელის ახლანდელი მოქმედების შედეგი, იგი უკვე აღარ არის დამოკიდებული ღუმელის არსებობაზე. ეს იქედან დასტურდება, რომ სითბოს ეს რაოდენობა იზოლირებულ პირობებში უცელელი დარჩება, თუნდაც ღუმელი ჩაქრეს. ეს შეპასუხება უდავოდ მართებულია; კანტის ზე-

ზოალნიშნული მაგალითი, მართლაც, ვერ აჩვენებს მიზეზისა და შედეგის ერთდროულობას.

IV. **მიზეზი და პირობა; მიზეზისა და შედეგის ურთიერთზემოქმედება;** I. მიზეზი და პირობა. მიზეზ—შედეგის კატეგორიათა საკითხის განხილვა უდავოდ მოითხოვს მათთან დაკავშირებული პირობის საკითხის განხილვას; მათ აქვთ როგორც საერთო, ასევე განმასხვავებელი ნიშნები. ერთი შეხედვით, მიზეზსა და პირობას შორის განსხვავება არ არის, რადგან ის, რაც მიზეზია, პირობაც უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. მართალია, მიზეზი ყოველთვის პირობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ისინი მაინც არ არიან იგივეობრივი. პირობა დაკავშირებულია არა მხოლოდ მიზეზთან, არამედ იგი ერთნაირად ვრცელდება როგორც მიზეზზე, ისე შედეგზე. პირობა ან მხოლოდ მიზეზის ან მხოლოდ შედეგის პირობა კი არ არის, არამედ მიზეზ—შედეგის პირობაა ერთად. მიზეზისა და შედეგის დამოკიდებულება გარკვეული პირობებითაა განპირობებული. ერთი და იგივე მიზეზი ერთსა და იმავე პირობებში ერთსა და იმავე შედეგს იძლევა, მაგრამ პირობათა შეცვლა იწვევს მიზეზ-შედეგის კავშირის შეცვლას. ერთი და იგივე მიზეზის გარკვეულ პირობებთან დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებული შედეგები. შესაძლებელია პირიქითაც, ე. ი. ერთი და იგივე შედეგი გამოიწვიოს განსხვავებულმა მიზეზებმა. მაგ., თუ ერთ დროს ბურჟუაზია იყო რევოლუციური კლასი და არნახული სისწრაფით უწყობდა ხელს საწარმოო ძალთა განვითარებას, თუ თავისი კლასობრივი ბატონობის ერთ საუკუნეზე ნაკლები ხნის განმავლობაში უფრო მრავალრიცხოვანი და უფრო უზარმაზარი საწარმოო ძალები შექმნა, ვიდრე ყველა წარსულმა თაობამ, ერთად აღებულმა, შემდგომში იგივე ბურჟუაზია, იგივე მიზეზი, გარკვეული პირობების შეცვლის გამო იქცა საწარმოო ძალთა, საზოგადოების განვითარების მუხრუჭად. მაშასადამე, ერთი და იგივე მიზეზმა სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა შედეგი მოგვცა. ამის საუკეთესო მაგალითია ასევე მიზიდულობის, როგორც გარკვეული მიზეზის მოქმედება განსაზღვრულ პირობებში. მიზიდულობა, როგორც მიზეზი, ერთ პირობაში ბუმბულს იტაცებს მიწაზე, ხოლო სხვა პირობებში ხუთტონიან რაკეტას მიაფრენს მთვარისაკენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ შესაძლებელია ერთი და იგივე მოვლენა ერთ მიმართებაში იყოს მიზეზი, ხოლო მეორე მიმართებაში პირობა. მაგ., გეოგრაფიული გარემო არის ადამიანთა

საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებელი პირობა, მაგრამ იგი არ არის მიზეზი, განმსაზღვრელი, საზოგადოების განვითარებისა. საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელი, ძირითადი მიზეზი არის წარმოება, მაგრამ იგივე გეოგრაფიული გარემო, რომელიც საზოგადოების განვითარების აუცილებელი პირობაა და არა მიზეზი, მცენარეებსა და ცხოველებთან მიმართებაში არის მათი ცვლილებებისა და განვითარების განმსაზღვრელი, ე. ი. ამ მიმართებაში იგი მათი განვითარების მიზეზია.

2. მიზეზისა და შედეგის ურთიერთზემოქმედება. ზემოთ საუბარი გვქონდა იმაზე, რომ მიზეზი და შედეგი ურთიერთკავშირშია, ამ ურთიერთკავშირში ისინი ურთიერთზემოქმედებენ. როგორც მიზეზი, ასევე არც შედეგია პასიური. ორივეს ახასიათებს აქტიურობა ერთიმეორისადმი, მაგრამ მიზეზ—შედეგის აუცილებელ კავშირში, იმის გამო, რომ მიზეზია განმსაზღვრელი, შედეგთან მიმართებაში მიზეზი უფრო აქტიურია, მაგრამ თავის მხრივ შედეგიც აქტიურად ზემოქმედებს თავის მიზეზზე, ამდენად შედეგიც განსაზღვრავს მიზეზს, მაგრამ შედეგის მიერ მიზეზის განმსაზღვრელობა შეფარდებითია. მიზეზი დამოუკიდებელ აქტიურია, ხოლო შედეგი შეფარდებით აქტიურია მიზეზთან მიმართებაში. ის, რომ შედეგი ხელს უწყობს, განამტკიცებს ან ხელს უშლის, უარყოფს მიზეზის მოქმედებას — ეს შედეგის მხრივ მიზეზის განმსაზღვრელობაა. ეს განმსაზღვრელობაც შედეგისა შეფარდებითია, ის, რომ მიზეზი და შედეგი ურთიერთკავშირშია და ამ ურთიერთკავშირში ურთიერთზემოქმედებენ, ერთმანეთს განაპირობებენ, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ისინი თანაბარი ძალით ზემოქმედებენ ერთიმეორეზე. მიზეზ-შედეგის კავშირში გადამწყვეტ როლს ყოველთვის მიზეზი ასრულებს. შედეგის ზემოქმედება მასზე, მართალია, მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი მაინც წარმოებული და, საბოლოო ანგარიშში, მიზეზით, განსაზღვრულია.

მიზეზისა და შედეგის ასეთი ურთიერთზემოქმედების, მიზეზის განმსაზღვრელი აქტიურობის, ხოლო შედეგის შეფარდებით აქტიურობის გაგების გარეშე შეუძლებელია მათი ერთიმეორეში გადასვლის დიალექტიკური გაგება, უფრო ზუსტად, როგორც მიზეზის, ასევე შედეგის აქტიური ბუნების ბოლო სკვეტიკურობა, რომ ისინი ერთიმეორეში გადადიან. რომელიმე ერთი მათგანის პასიურობის დაშვება, მათი ერთიმეორეში გადასვლის შესაძლებლო-

ბას ხსნის. თუ იმას დავუშვებდით, რომ მხოლოდ მიზეზია ნამდვილი აქტიური, ხოლო შედეგი კი წმინდა პასიური, მაშინ ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა შედეგი სხვა მოვლენის მიზეზი გამხდარიყო. კიდევ მეტი, უკიდურესობა იქნებოდა, თუ მხოლოდ შედეგის აქტიურობას და მიზეზის პასიურობას დავუშვებდით, მაშინ მიზეზი ვერასოდეს იქნებოდა შედეგის გამომწვევი.

სწორედ მიზეზისა და შედეგის ასეთი აქტიური მოქმედების საფუძველზე ხდება შესაძლებელი მათი დიალექტიკური ურთიერთზემოქმედება. მიზეზისა და შედეგის ურთიერთზემოქმედება ნიშნავს, როგორც მიზეზის ასევე შედეგის აქტიურ ზემოქმედებას და მიზეზისა და შედეგის ერთიმეორეში გადასვლას. დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად მიზეზი არის მიზეზი შედეგის, მაგრამ თავის მხრივ შედეგი არის მიზეზი სხვა შედეგისა, ის, რაც ერთ მიმართებაში არის შედეგი, სხვა მიმართებაში შეიძლება იყოს მიზეზი.

მიზეზი რომ შედეგის აქტიური განმსაზღვრელია, ხოლო თავის მხრივ შედეგიც რომ აქტიურად ზემოქმედებს მიზეზზე, ამის საილუსტრაციოდ შეიძლება შემდეგი მაგალითი მოვიყვანოთ. საზოგადოებრივი ყოფიერება, როგორც მიზეზი, განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას, როგორც შედეგს. საზოგადოებრივ ცნობიერებას, როგორც შედეგს არ გააჩნია აბსოლუტური დამოუკიდებლობა, იგი განსაზღვრულია საზოგადოებრივი ყოფიერებით. „ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას". მართალია, საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს, აქტიური განმსაზღვრელია საზოგადოებრივი ცნობიერების, მაგრამ საზოგადოებრივი ცნობიერება. თავის მხრივ უმოქმედო, პასიური კი არ არის, არამედ აქტიურად ზემოქმედებს თავის მიზეზზე. აქტიურ უკუზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ ყოფიერებაზე. საზოგადოებრივი ცნობიერების, როგორც შედეგის, აქტიური უკუზემოქმედება საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, როგორც მიზეზზე, ორმხრივად გამოვლინდება დადებით ან უარყოფით ფორმაში. ის შეხედულებები, თეორიები, რომლებიც სწორად ასახავენ საზოგადოებრივ ყოფიერებას, ხელს უწყობენ, აჩქარებენ საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლა — განვითარებას, მაგრამ ის შეხედულებები და თეორიები, რომლებიც დამახინჯებულად, ყალბად ასახავენ საზოგადოებრივ ყოფიერებას, ხელს უშლიან საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალურ წინსვლა—განვითარებას.

საზოგადოებრივი ცნობიერების, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი სახით, უკუზემოქმედება საზოგადოებრივ ყოფიერებაზე ამ უკანასკნელის მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების შედარებით განმსაზღვრელობაზე მიუთითებს; შედარებითი, მაგრამ არა აბსოლუტურ განსაზღვრელობაზე. მიზეზი მუდამ პირველია, იგი წარმოშობს შედეგს, მაგრამ პირიქით კი შეუძლებელია; ამდენად, მიზეზის ზემოქმედება შედეგზე აბსოლუტურია. აქტიური განმსაზღვრელია. მაგრამ ეს აქტიური განმსაზღვრელობა მიზეზისა შედეგზე არ გამორიცხავს შედეგის მიერ მიზეზის მიმართ შედარებით აქტიურობას, განმსაზღვრელობას.

იმის მაგალითად, რომ მიზეზი და შედეგი გადადიან ერთიმეორეში — რაც ერთ მიმართებაში შედეგია, სხვა მიმართებაში შეიძლება იყოს მიზეზი — დავასახელებთ შემდეგს: ბაზისი, როგორც საზოგადოების ეკონომიური წყობილება მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, განსაზღვრავს ამავე საზოგადოების ზედნაშენს; მაგრამ ამავე დროს თვითონ ბაზისი განსაზღვრულია საწარმოო ძალთა განვითარებით. მაშასადამე, თუ ერთ მიმართებაში ბაზისი არის მიზეზი (შედეგის — ზედნაშენის), მეორე მიმართებაში თვით ეს მიზეზი (ბაზისი) შედეგია.

აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიები

I. **აუცილებლობისა და შემთხვევითობის კავშირი მიზეზობრიობასთან.** აუცილებლობისა და შემთხვევითობის განსაზღვრებასთან დაკავშირებით აუცილებელია გაირკვეს მათი კავშირი მიზეზობრიობასთან. აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიათა განსაზღვრება აუცილებლობით მოითხოვს მიზეზობრივი კავშირის ზოგიერთი ნიშნის დახასიათებას, ვინაიდან აღნიშნულ კატეგორიებთან მიმართებაში უნდა შესრულდეს მათი განსაზღვრებაც. აუცილებლობა და შემთხვევითობა მიზეზობრიობას უკავშირდება არა მხოლოდ გენეზისურად, არამედ ლოგიკურადაც. მიზეზისა და შედეგის კატეგორიათა გარკვევა გვიჩვენებს, რომ სინამდვილეში უმიზეზო მოვლენები არ არსებობს, რომ ყოველ მოვლენას თავისი მიზეზი აქვს. აქედან გამომდინარე, უნდა გაირკვეს აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორია.

მიზეზობრიობისა და აუცილებლობის გაიგივება არ შეიძლება.

ისინი განსხვავებულია ერთიმეორისაგან. მათ ერთიმეორისაგან განმასხვავებელი სპეციფიკური განსაკუთრებულობა აქვთ. ყოველი მიზეზობრიობა არ არის აუცილებლობა და ყოველი აუცილებლობა არ არის მიზეზობრივი. აუცილებლობა და შემთხვევითობა კავშირშია მიზეზობრიობასთან, მაგრამ ეს კავშირი სრულიადაც არ არის იგივეობრივი. მათ შორის განსხვავებაა.

მიზეზობრივი კავშირი მატერიალური სამყაროს კავშირია, ის, რომ სამყაროში არაფერი არ არსებობს უმიზეზოდ, ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, ამ აზრით მიზეზობრივი კავშირი საყოველთაოა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიზეზობრივი კავშირი მაინც ვერ ამოწურავს მატერიალური სამყაროს საგნებსა და მოვლენებს შორის არსებულ ყველა კავშირს. იგი მატერიალური სამყაროს უნივერსალური კავშირის მხოლოდ ერთი მხარეა. ამას ხაზი გაუსვა ლენინმა, როცა მიზეზობრივი კავშირი დაახასიათა, როგორც მატერიალური სამყაროს საყოველთაო კავშირის ერთი მომენტი. მიზეზობრივი კავშირი მატერიალური სამყაროს კანონზომიერების ერთი ნაწილია. აუცილებლობა კი მთელი სინამდვილის აუცილებელი კანონია, მაშასადამე, როგორია დამოკიდებულება მიზეზობრიობასა და აუცილებლობას შორის? მიზეზობრიობა აუცილებლობის ერთი ფორმაა. აუცილებლობა უფრო ფართოა, ვიდრე მიზეზობრიობა, აუცილებლობა უფრო ფართოა იმ აზრით, რომ იგი გარდა მიზეზობრიობისა თავისში მოიცავს აუცილებლობითი კავშირის ისეთ ფორმებს, რომლებიც სრულიად არ არიან მიზეზობრივი კავშირის. მაგალითად, შინაარსისა და ფორმის აუცილებელი კავშირი; არსებისა და მოვლენის აუცილებელი კავშირი; ერთეულისა და ზოგადის აუცილებელი კავშირი აუცილებლობითი ხასიათისაა, მაგრამ სრულიადაც არ არის მიზეზობრივი კავშირი. ასევე მაგალითად, ლოგიკური აზროვნების ისეთი კავშირი, რომელიც დასკვნაში წანამძღვრებსა და დასასკვნს შორის არსებობს აუცილებელი კავშირია, მაგრამ არა მიზეზობრივი. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ მართალია, მიზეზობრივი კავშირი აუცილებლობის გარეშე არ არის, მაგრამ აუცილებლობა არ დაიყვანება მიზეზობრიობის კავშირზე. მეორე მხრივ, თუ აუცილებლობას იმ აზრით განვიხილავთ, რომ იგი შემთხვევით კავშირს არ გულისხმობს, რომ აუცილებლობითი კავშირი არ არის შემთხვევითი კავშირი, მაშინ მიზეზობრიობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე აუცილებლობა; მიზეზობრივი კავშირი

ვლინდება როგორც აუცილებლობაში, ასევე შემთხვევითობაში. აუ-
ცილებელი კავშირი კი მხოლოდ აუცილებლობაში. მაშასადამე, მი-
ზეზობრიობა როგორც აუცილებელ, ასევე შემთხვევით კავშირებ-
საც მოიცავს, აუცილებლობა კი მხოლოდ აუცილებელ კავშირებს.
ამ აზრით მიზეზობრიობა უფრო ფართოა, ვიდრე აუცილებლობა.
მაგრამ მხოლოდ ამ აზრით და არა როგორც მთელი სინამდვილის
ზოგადი თვისება.

ზემოთქმული იმას ნიშნავს, რომ მიზეზობრიობა და აუცილე-
ბლობა ერთიმეორისაგან განსხვავებულნი არიან და არ არიან იგი-
ვეობრივი. მათ შორის იგივეობრივი ნიშნის დასმა „აუცილებლობა
იგივეა, რაც მიზეზობრიობა", საკითხის მექანისტური გადაწყვეტა იქ-
ნება. აუცილებლობისა და მიზეზობრიობის გაიგივება შემთხვევი-
თობის უარყოფას ნიშნავს. თუ აუცილებლობასა და მიზეზობრიო-
ბას გავაიგივებთ, მაშინ რასაც შემთხვევითს ვუწოდებთ, ისიც აუ-
ცილებლად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც არც შემთხვევითია უმიზე-
ზო. სხვა საკითხია, რომ თვითონ შემთხვევითობაც აუცილებელია.
შემთხვევითი როდი ნიშნავს უმიზეზოს. უმიზეზოდ არაფერი ხდე-
ბა არც ბუნების და არც საზოგადოების ისტორიაში. შემთხვევითო-
ბის აღიარება არ ნიშნავს შემთხვევითი მოვლენის მიზეზის უარ-
ყოფას. თუ ვიტყვით, რასაც მიზეზი აქვს, ეს ჯდაეოდ აუცილებ-
ლობითაა წარმოშობილი, ხოლო ის რაც შემთხვევითია, უმიზეზოა.
ნიშნავს დავუშვათ შემთხვევითის წარმოშობა არაფრისაგან, რაც
უაზრობაა.

სამყაროში რომ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, აქედან აუ-
ცილებლობით გამოდის სამყაროში აუცილებელი კანონზომიერე-
ბის, აუცილებლობის აღიარება. მაგრამ სამყაროში აუცილებლობის
აღიარება სრულიადაც არ გამორიცხავს მის საწინააღმდეგოს —
შემთხვევითობის არსებობას. შემთხვევითობაც ობიექტურად არსე-
ბობს. ობიექტურად არსებობს შემთხვევითობის მიზეზიც. შემთხვე-
ვითობას თავისი მიზეზი აქვს, უმიზეზო მოვლენები, შემთხვევები
არ არსებობენ. ისეთ მოვლენებს, როგორც, მაგალითად იტყვიან:
ჭამის დროს ლუკმა გადამცდაო, ხის ქვეშ მჯდომს ვაშლი ცხვირზე
ან მელოტ თავზე დამეცაო და სხვ., თავისი მიზეზები აქვთ, თუმცა
შემთხვევითი მოვლენები არიან. ამრიგად, მიზეზების არსებობა არ
გამორიცხავს შემთხვევითობის არსებობას რეალურ სინამდვილეში.
სწორედ ამიტომ როგორც აუცილებლობა, ასევე შემთხვევითობაც

ობიექტურად არსებობს. აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიები განსხვავებით დიალექტიკური მატერიალიზმის სხვა კატეგორიებისაგან ობიექტურ სინამდვილეში არსებულ აუცილებლობასა და შემთხვევითობას ასახავენ. აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიათა გარკვევა, უპირველეს ყოვლისა თვით მათი ცნების გარკვევას მოითხოვს. სხვაგვარად, უნდა გაირკვეს, თუ რა არის აუცილებლობა? რა არის შემთხვევითობა?

II. **აუცილებლობისა და შემთხვევითობის განსაზღვრება.** ფილოსოფიურ ლიტერატურაში აუცილებლობისა და შემთხვევითობის მრავალი განსაზღვრება არსებობს. ამ უზოგადეს ფილოსოფიური კატეგორიების განსხვავებული განსაზღვრება ემყარება აუცილებლობისა და შემთხვევითობის ძირითადი ნიშნების განსხვავებულ გაგებას. ფაქტია, რომ როგორც აუცილებლობა, ასევე შემთხვევითობა განსხვავებული ნიშნებით ხასიათდება, ეს განსხვავებული ნიშნები აუცილებლობასა და შემთხვევითობას ახასიათებენ როგორც გარკვეულ მოვლენას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიების განსაზღვრებისათვის ერთნაირი მნიშვნელობა ჰქონდეთ და მით უმეტეს ამ კატეგორიათა არსებას ერთნაირად აჩვენებდეს. ხშირად აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიების განსაზღვრება დაკავშირებულია რა შესაძლებლობისა და სინამდვილის, ზოგადისა და ერთეულის კატეგორიებთან, ამის შესაბამისად მოცემულია აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიების განსაზღვრებაც. მაგალითად, სინამდვილისა და შესაძლებლობის კატეგორიებზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ შემთხვევითი არის მხოლოდ სინამდვილე შესაძლებლობაში. აუცილებლობის მიმართ კი ნათქვამია, რომ შესაძლებლობა ჯერ იქცევა აუცილებლობად და შემდეგ სინამდვილედ. ასეთი მოსაზრების შესახებ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას შემდეგი: 1) ერთი მოვლენის მეორე მოვლენად გადაქცევა შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიების ძირითადი ნიშანია და არა აუცილებლობისა და შემთხვევითობის. ამ უკანასკნელთა სფეროშიც, რა თქმა უნდა, ადგილი აქვს ერთი მოვლენის მეორედ გარდაქმნას, მაგრამ იგი სრულიადაც არ არის არც აუცილებლობისა და არც შემთხვევითობის სპეციფიკური ნიშანი; 2) შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა სრულიად არ საჭიროებს შესაძლებლობისათვის აუცილებლობის გავლას. რეალურ სინამდვილეში ასე რომ მიმდინარეობდეს საგანთა და მოვლენათა განვი-

თარების მსვლელობა, მაშინ მათი (საგანთა და მოვლენათა) კავშირი მხოლოდ აუცილებელი ხასიათის იქნებოდა და არავითარ შემთხვევითობას არ ექნებოდა ადგილი; 3) აზრი აუცილებლობის არსებობისა როგორც შესაძლებლობის შესახებ საგანთა ნამდვილ არსებობას ეწინააღმდეგება, ვინაიდან აუცილებელი კავშირები არსებობენ არა მხოლოდ შესაძლებლობაში, არამედ ნამდვილადაც; 4) შესაძლებლობის აუცილებლობაში და შემდეგ სინამდვილედ გარდაქმნის დებულება ლოგიკურადაც ნაკლოვანია. ვინაიდან შესაძლებლობა სინამდვილედ გადაიქცევა თუ აუცილებლად, აუცილებლობა არ გამორიცხავს სინამდვილეს და არც სინამდვილე აუცილებლობას.

აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიების განსაზღვრების დროს აუცილებლობას განსაზღვრავენ როგორც ზოგადს, ხოლო შემთხვევითობას, როგორც კერძოს და ერთეულს. ამით, ფაქტიურად აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიები გაიგივებულია ზოგადისა და ერთეულის კატეგორიებთან. მტკიცება იმისა, რომ ზოგადს მუდამ აქვს აუცილებლობითი ხასიათი, ხოლო შემთხვევითი მოვლენა არის ერთეული, მცდარია. 1) ყოველი აუცილებელი ზოგადია, მაგრამ ყოველი ზოგადი არ არის აუცილებელი. ზოგადი შეიძლება იყოს და არის კიდეც აუცილებელი და შემთხვევითიც. ამიტომაც ყოველი ზოგადი არ არის აუცილებელი, ვინაიდან ის არის შემთხვევითიც. ზოგადია როგორც აუცილებლობის, ასევე შემთხვევითობის კატეგორიაც. ეს ფაქტი კი იმას ასაბუთებს, რომ არც ზოგადია აუცილებლობის იგივეობრივი და არც შემთხვევითი ერთეულის (კერძოს) იგივეობრივი. როგორც აუცილებლობა, ასევე შემთხვევითობაც ზოგადია იმ გაგებით, რომ შემთხვევითობის ყოველ ფორმას, რა სახითაც არ უნდა გამოვლინდეს იგი, გააჩნია თავისი საკუთარი ბუნება, რომლითაც შემთხვევითობა, როგორც ასეთი, არსებობს. შემთხვევითობის კატეგორიას თავის ობიექტად გააჩნია ყველა შემთხვევისათვის დამახასიათებელი ნიშნები, სადაც ერთნაირად გამოთქმულია შემთხვევითობის არსება. ამდენად შემთხვევითობაც ზოგადია; 2) შემთხვევითობის ზოგადობის უარყოფა ფაქტიურად მისი უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა სისტემიდან ამოგდებას ნიშნავს, რაც უდავოდ მცდარია.

აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიების განსაზღვრების დროს მიუთითებენ იმაზე, რომ, უპირველეს ყოვლისა, სა-

ჭიროა გამოვდიოდეთ ამ კატეგორიებში ასახული კანონზომიერების აბსოლუტურობიდან და არა მათი შეფარდებითი ხასიათიდანო. ე. ი. შემთხვევითობაში, როგორც ფილოსოფიურ კატეგორიაში არსებული კანონზომიერების აბსოლუტურობად, ძირითად ნიშნად მიჩნეულია — შემთხვევითობა არის აუცილებლობის გამოვლენის ერთადერთი ფორმა და დამატება, და ამდენად იგი მიჩნეულია შემთხვევითობის უზოგადეს და საყოველთაო, მის ძირითად ნიშნად. შემთხვევითობის კატეგორიის განსაზღვრის დროს ასეთი შეხედულების ზოგიერთი წარმომადგენელი იმას ამტკიცებს, რომ „შემთხვევითობა აუცილებლობის გამოვლინების ფორმა და დამატებაა" არ გამოხატავს აუცილებლობისა და შემთხვევითობის ყველა შესაძლებელ ფორმასო. თუ ეს ასეა, მაშინ საკითხავია, როგორ არის იგი შემთხვევითობის როგორც ფილოსოფიური კატეგორიის ძირითადი ნიშანი და მისი განსაზღვრება? შემთხვევითობის საყოველთაო, ძირითადმა ნიშანმა, შემთხვევითობის განსაზღვრებამ ხომ უნდა გამოთქვას იმ ობიექტის არსებითი ნიშანი თუ ნიშნები, რისი განსაზღვრებაც იგი არის? მაგრამ თუ იგი არ გამოხატავს აუცილებლობისა და შემთხვევითობის ყველა შესაძლებელ ურთიერთობას, მაშინ არ ყოფილა არც საყოველთაო და ძირითადი ნიშანი შემთხვევითობისა და არც მისი როგორც ფილოსოფიური კატეგორიის განსაზღვრება.

ჩვენი აზრით, დებულება — შემთხვევითობა აუცილებლობის დამატება და გამოვლენაა — ნამდვილად არ არის შემთხვევითობის განსაზღვრება. იგი მხოლოდ შემთხვევითობის ახსნა-განმარტებაა. აღნიშნული დებულებით ისაა თქმული, რომ შემთხვევითობა ავლენს აუცილებლობას, მსგავსად იმისა, როგორც არსება ვლინდება მოვლენით, ზოგადი ერთეულით. მართალია, აზრი — შემთხვევითობა აუცილებლობის გამოვლენის ფორმა და დამატებაა — ზოგადი ხასიათისაა. მაგრამ აქ სრულიად არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა არის თითონ შემთხვევითობა. ამიტომაც არც მის განსაზღვრებას წარმოადგენს. რაც შეეხება დებულებას — „შემთხვევითობა აუცილებლობის გამოვლენის ფორმა და დამატებაა — არ გამოხატავს აუცილებლობისა და შემთხვევითობის ყველა შესაძლებელ ურთიერთობას, არ არის მართალი. იგი აუცილებლობისა და შემთხვევითობის მიმართების ზოგადი და აუცილებელი ხასიათის გამომთქმელია (ეს საკითხი დაწვრილებით ქვემოთ იქნება განხილული).

აუცილებლობა და შემთხვევითობა, როგორც ზემოთაც აღვ-

ნიშნეთ, მიზეზობრიობას უკავშირდება არა მხოლოდ გენეზისურად, არამედ ლოგიკურადაც, ამიტომაც აუცილებლობისა და შემთხვევითობის განსხვავებაც მიზეზობრივი კავშირის საფუძველზე უნდა შესრულდეს.

აუცილებლობა არის საგანთა და მოვლენათა შორის ობიექტურად არსებული არსებითი კავშირების გამოხატვა. აუცილებელია ის, რაც საგნის, მოვლენის შინაგანი კავშირებიდან გამომდინარეობს. აუცილებელია ის, რასაც მიზეზი თავის თავში აქვს. აუცილებლობა, როგორც მოვლენათა განპირობებულობის განსაკუთრებული ფორმა, მთელი სინამდვილის ერთი ძირითადი კანონზომიერებაა; მთელი სინამდვილის აუცილებელი კანონია. საგანთა და მოვლენათა ასეთი კავშირი, რომელიც გარკვეულ პირობებში გარდუვალია და არსებითია, აუცილებელი კავშირია. აუცილებლობა ხასიათდება გარკვეული ნიშნებით: ზოგადობა, საყოველთაობა, არსებითობა და კანონზომიერება. აუცილებელი კავშირი ზოგადია. იგი მოძრაობის ყველა ფორმისათვის ზოგადს, საყოველთაოს წარმოადგენს. „აუცილებლობა არის ზოგადი", „აუცილებლობა განუყოფელია საყოველთაოსაგან" (ლენინი). აუცილებლობა ხასიათდება არსებითობით. აუცილებლობა საგნის, მოვლენის შინაგანი კავშირებიდან გამომდინარეობს, ამიტომაც არსებითობის ნიშნით ხასიათდება.

იმის გამო, რომ აუცილებლობა გარდუვალად, აუცილებლობით გამომდინარეობს საგანთა და მოვლენათა შინაგანი კავშირებიდან, იგი კანონზომიერი ხასიათისაა. ეს კანონზომიერება განსაზღვრავს საგანთა და მოვლენათა მსვლელობას. აუცილებლობა მოვლენის შინაგანი კავშირებიდან გამომდინარე არსებითი კანონზომიერებაა. მაგალითად, ცოცხალი ორგანიზმი მისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე ერთ დროს აუცილებლად უნდა მოკვდეს.

ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ა რ ი ს ი ს, რ ა ს ა ც მ ი ზ ე ზ ი ა ქ ვ ს თ ა ვ ი ს თ ა ვ შ ი, რ ა ც ს ა გ ა ნ თ ა დ ა მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა ა რ ს ე ბ ი დ ა ნ, შ ი ნ ა გ ა ნ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი დ ა ნ კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ა დ გ ა მ ო დ ი ს.

შემთხვევითობა განსხვავდება აუცილებლობისაგან. იგი არ არის საგნისა და მოვლენისათვის შინაგანი, არ გამოდის მათი შინაგანი ბუნებიდან. შემთხვევითობა არ არის საგნისა და მოვლენის ისეთი დამახასიათებელი თვისება, რომ მათი განვითარების მსვლელობის განსაზღვრა შეეძლოს. შემთხვევითობას მიზეზი თავის თავში არა აქვს, მას თავის გარეშე, სხვაში აქვს თავისი მიზეზი.

შემთხვევითს მიზეზი აქვს იმაში, რის მიმართაც იგი შემთხვევითია. შემთხვევითი შინაგანი მიზეზის მიმართ არის შემთხვევითი. ის, რომ გუშინ პეტრე მანქანამ გაიტანა, გარკვეული მიზეზების მქონეა, რომლებმაც შეუწყვიტეს პეტრეს სიცოცხლის პროცესები. მაგრამ ეს სიკვდილი არ გამომდინარეობს პეტრეს ორგანიზმის შინაგანი ბუნებიდან. იგი მისთვის გარეგანია. ასეთი სიკვდილი შემთხვევითია. ბუნებრივი სიკვდილი კი გარდუვალია და აუცილებლობით გამომდინარეობს ადამიანის (პეტრეს) შინაგანი ბუნებიდან.

შემთხვევითია ის, რაც შეიძლება მოხდეს და შეიძლება არ მოხდეს; შემთხვევითობა შეიძლება მოხდეს ასე, მაგრამ შეიძლება მოხდეს სხვაგვარადაც, შემთხვევითობას აქვს მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც აუცილებლობის საპირისპირონი არიან. შემთხვევითობა, როგორც გარეგანი კავშირის ფორმა, როგორც მოვლენათა შორის გარეგანი კავშირების გამოხატვა, არ არის შინაგანი კანონზომიერების-მქონე. შემთხვევითობა გამოხატავს მოვლენათა შორის გარეგან კავშირებს. იგი არ არის მოვლენის შინაგანი კანონზომიერება. ყოველივე ამის გამო იგი ვერ განსაზღვრავს საგანთა და მოვლენათა განვითარების კანონზომიერებას. **შემთხვევითობა არის ის, რასაც მიზეზი არა თავის თავში, არამედ სხვაში** აქვს. იგი გამოდის მოვლენის არა შინაგანი, არამედ გარეგანი კავშირებიდან, ამიტომაც შეიძლება მოხდეს და შეიძლება არა, შეიძლება ასე წარმოიშვას და შეიძლება სხვაგვარადაც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დებულება „შემთხვევითობა არის ის, რაც შეიძლება იყოს და შეიძლება არა“, თვით შემთხვევითობის განსაზღვრება კი არ არის, არამედ შემთხვევითობის ბუნების დახასიათება, მისი ახსნა — განმარტებაა. ამიტომაც იგი ვერ გამოთქვამს შემთხვევითობის როგორც ფილოსოფიური კატეგორიის არსებით მხარეს. ფაქტია, რომ თვითონ შემთხვევითობაც, როგორც შემთხვევითობა, აუცილებელია და არა შემთხვევითი. თვით შემთხვევითობა რომ ხდება, სწორედ აუცილებლობაა. შემთხვევითობის აუცილებლობას ასაბუთებს ის ფაქტიც, რომ შემთხვევითობა ზოგადობის ბუნებისაა.

აუცილებლობისა და შემთხვევითობის დახასიათების დროს განხილული უნდა იქნეს შემდეგი სახის მტკიცებანიც, სახელდობრ: ამტკიცებენ, რომ აუცილებელია ის, რასაც მოცემულ პირობებში გარდუვალად აქვს ადგილი და არ შეიძლება არ ჰქონდეს, ხოლო შემთხვევითია ის, რომელიც მოცემულ პირობებში შეიძლება მოხ-

დეს ასე და შეიძლება არა. საკითხის ასე დასმა და გადაწყვეტა უდავოდ მცდარია. მას არაფერი აქვს საერთო დებულებასთან — „შემთხვევითობა არის ის, რაც შეიძლება იყოს და შეიძლება არა". ერთი შეხედვით დასახელებულ ორ დებულებას შორის თითქოს არავითარი განსხვავება არ არის, მაგრამ სინამდვილეში მათ შორის არსებითი სხვაობაა. დებულება — შემთხვევითია ის, რაც მ ო ც ე მ უ ლ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი შეიძლება მოხდეს ასე და შეიძლება არა, ფაქტიურ სინამდვილეს ეწინააღმდეგება. ეწინააღმდეგება, ვინაიდან ყოველად შეუძლებელია მოცემულ პირობებში რაიმე შეიძლება წარმოიშვას და შეიძლება არა. თუ მოცემულია გარკვეული პირობები, მაშინ ის აუცილებლობით წარმოიშობა. მაგრამ სხვა საკითხია ის, თუ ეს წარმოშობა რითაა განპირობებული, შინაგანი თუ გარეგანი მიზეზებით. ამიტომაც განსხვავება აუცილებელსა და შემთხვევითს შორის მდგომარეობს არა იმაში, რომ გარკვეულ მოცემულ პირობებში აუცილებელი გარდუვლად წარმოიშობა, ხოლო შემთხვევითი კი შეიძლება წარმოიშვას და შეიძლება არა, რადგან, როგორც ვთქვით, გარკვეულ მოცემულ პირობებში შემთხვევითის წარმოშობაც ისეთივე აუცილებელი და გარდუვალია. როგორც აუცილებლის წარმოშობა. მაგრამ განსხვავება და არსებითიც იმაშია, რომ აუცილებლის წარმოშობა განპირობებულია საგნის, მოვლენის შინაგანი მიზეზებით, ხოლო შემთხვევითისა — გარეგანი მიზეზებით.

აუცილებლობისა და შემთხვევითობის ზემოთ დასაბუთებულ განსაზღვრებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ზოგიერთი რამ: სახელდობრ, განსაზღვრებების — აუცილებლობა არის ის, რასაც მიზეზი აქვს თავისთავში, რაც საგანთა და მოვლენათა შინაგანი კავშირებიდან კანონზომიერად გამოდის; შემთხვევითობა არის ის, რასაც მიზეზი არა აქვს თავის თავში, არამედ სხვაში აქვს და საგანთა და მოვლენათა შინაგანი კანონზომიერებიდან არ გამოდის — საწინააღმდეგო არგუმენტად შეიძლება წამოყენებული იქნეს ის, რომ ასეთი განსაზღვრებისას აუცილებლობა და შემთხვევითობა მოწყვეტილია ერთმანეთს. სინამდვილეში აქ აღნიშნულ კატეგორიათა შორის არავითარ მოწყვეტასთან არა გვაქვს საქმე. თუმცა მკვლევართა ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ როცა აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიები განსაზღვრულია მხოლოდ შინაგანი და გარეგანი მიზეზებით, გვინდა თუ არა ჩვენ, ამ ორ კატეგორიას ვთიშავთ ერთიმეორისაგანო. არავითარ შინაგანს, მათ შორის აუ-

ცილებლობასაც არ შეუძლია არსებობა და გამოვლენა გარეშე პირობების, არაარსებითი მხარეების გარეშე, ისევე როგორც ვერავითარი არსებითი მხარეები ვერ იარსებებენ, თუ მათი არსებობა გაპირობებული არაა საგანთა შინაგანი მხარეებითო. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ ნუთუ ამ არგუმენტით უარყოფილია შინაგანი და გარეგანი მიზეზების კავშირი და აქედან გამომდინარე აუცილებლობისა და შემთხვევითობის ურთიერთკავშირი? რა თქმა უნდა, არა. პირიქით, ის ფაქტი რომ აუცილებლობასაც არ შეუძლია არსებობა და გამოვლენა გარეშე პირობების გარეშე და ვერავითარი არარსებითი მხარეები ვერ იარსებებენ, თუ მათი არსებობა გაპირობებული არაა საგანთა შინაგანი მხარეებით, სწორედ იმას ასაბუთებს, რომ შინაგანი და გარეგანი მიზეზები ურთიერთკავშირშია, მაგრამ ამ ურთიერთკავშირში შინაგანის მოქმედება სხვაგვარია და გარეგანის სხვაგვარი, აუცილებლობითი სხვაგვარი ბუნებისაა და შემთხვევითი სხვაგვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი გარჩევაც შეუძლებელი იქნებოდა ერთიმეორისაგან, რის შედეგადაც ან ყველაფერი აუცილებლობით უნდა მიგვეჩნია, ან ყველაფერი — შემთხვევითად. სწორედ ეს იქნებოდა ან მხოლოდ აუცილებლობის, ან მხოლოდ შემთხვევითობის გააბსოლუტურება და მათი ერთიმეორისგანაც მოწყვეტის დაშვება რეალურ სინამდვილეში. აქვე უნდა ითქვას იმ ფაქტის შესახებაც, რომ საგნის, მოვლენის შინაგანი და გარეგანი მიზეზები ყოველთვის შეფარდებითი მნიშვნელობისაა, ვინაიდან ის, რაც ერთ შემთხვევაში რაიმეს შინაგანი მიზეზია, სხვა შემთხვევაში იგივე შეიძლება გარეგანი მიზეზის როლს ასრულებდეს. სწორედ ისე, როგორც შემთხვევითობის განმარტების — შემთხვევითია ის, რაც შეიძლება იყოს და შეიძლება არა, მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაშვებულია აუცილებლობისა და შემთხვევითობის შეფარდებითობა; საწინააღმდეგო შემთხვევაში იგი აზრს კარგავს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას შემდეგი: აუცილებლობის შეფარდებითობა გაპირობებულია როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მიზეზებით; ზუსტად იგივე ითქმის შემთხვევითობის მიმართაც. მაგრამ აუცილებლობის არსებობისათვის ძირითადია შინაგანი მიზეზები, ხოლო შემთხვევითობის არსებობისათვის გარეგანი მიზეზები.

საკითხის მხოლოდ ასე დასმის საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს აუცილებლობისა და შემთხვევითობის შეფარდებითობის საკითხი, რაც იმას ასაბუთებს, რომ აუცილებლობა და შემთხვევითო-

ბა რეალურ სინამდვილეში ცალ-ცალკე არ არსებობს. რეალური სინამდვილის ყოველი საგანი, მოვლენა აუცილებლობისა და შემთხვევითობის ერთიანობაა. სწორედ ამაში მდგომარეობს რეალური სინამდვილის მიმართ აუცილებლობისა და შემთხვევითობის შეფარდებითობა (ამაზე ქვემოთ).

რამდენადაც აუცილებლობისა და შემთხვევითობის, როგორც უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების, შესახებ გვაქვს მსჯელობა, აქვე უნდა შევეხოთ ერთ საკითხს: კატეგორიების, კერძოდ, აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიების სფეროში როგორია მათი დამოკიდებულება, ცალ-ცალკე არსებობენ ისინი თუ ერთად?

თუ რეალურ სინამდვილეში შეუძლებელია აუცილებლობა და შემთხვევითობა ცალ-ცალკე არსებობდეს. თუ რეალურ სინამდვილეში არ არსებობს წმინდა აუცილებლობა და წმინდა შემთხვევითობა, აზრის, ცნების სფეროში, ლოგიკურის მნიშვნელობით სწორედ წმინდა აუცილებლობა და წმინდა შემთხვევითობა გვაქვს. აუცილებლობა მხოლოდ აუცილებლობაა და შემთხვევითობა მხოლოდ შემთხვევითობა. ამიტომაც ისინი თავის თავიდან გამორიცხავენ ერთიმეორეს. აუცილებლობის კატეგორია მხოლოდ აუცილებლობას გამოთქვამს და მთლიანად გამორიცხავს შემთხვევითობას. შემთხვევითობის კატეგორიაც მხოლოდ შემთხვევითობას გამოთქვამს და ასევე მთლიანად გამორიცხავს აუცილებლობას. სწორედ ასეთი გზით შეიძლება აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიების დადგენა. კატეგორიების, როგორც უზოგადესი ცნებების, სფერო აბსტრაქციის სფეროა. მაგრამ, მეორე მხრივ, თქმა იმისა, რომ კატეგორიოლოგიის სფეროში აუცილებლობა (რამდენადაც იგი მხოლოდ აუცილებლობაა) გამორიცხავს შემთხვევითობას და ასევე პირიქით, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ეს წყვილი ცნებები ერთიმეორისადმი არ იყვნენ დაპირისპირებულნი. ისინი, როგორც წყვილადი ცნებები ურთიერთდაპირისპირებულობაში არიან მნიშვნელობის მქონენი. აბსტრაქციის სფეროში აუცილებლობა გამორიცხავს შემთხვევითობას და შემთხვევითობა აუცილებლობას იმას ნიშნავს, რომ აუცილებლობის კატეგორია ასახავს მხოლოდ აუცილებლობას და არა შემთხვევითობას, ხოლო შემთხვევითობის კატეგორიაში ასახულია მხოლოდ შემთხვევითობა და არა აუცილებლობაც. ამ აზრით არიან ისინი

ერთიმეორის გამომრიცხველი, მაგრამ როგორც წყვილადი კატეგორიები — ურთიერთდაპირისპირებულიც.

III. **აუცილებლობისა და შემთხვევითობის გამოვლინების ფორმები.** გამოვლინების ფორმების მიხედვით როგორც აუცილებლობა, ისე შემთხვევითობა სხვადასხვანაირია. უნდა ითქვას, რომ აუცილებლობისა და შემთხვევითობის სახეები კი არ არსებობს, არამედ განსხვავებული ფორმები. თუ ამ განსხვავებულ ფორმებს მივიჩნევთ სახეებად, ეს, უპირველეს ყოვლისა, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ აუცილებლობა როგორც აუცილებლობა ერთია, შემთხვევითობა როგორც შემთხვევითობა ერთია, მაგრამ სინამდვილის სხვადასხვა სფეროს მიმართ მათი გამოვლინების ფორმებია განსხვავებული. საწინააღმდეგო შემთხვევაში აუხსნელი იქნებოდა აუცილებლობისა და შემთხვევითობის, როგორც უზოგადესი ფილოსოფიურ კატეგორიათა ნამდვილი ბუნება. ნაცვლად კატეგორიებისა, შეგვრჩებოდა სახე—გვარეობითს დამოკიდებულებაში მყოფი აუცილებლობისა და შემთხვევითობის ცნებები. გვექნებოდა რამდენიმე აუცილებლობა და რამდენიმე შემთხვევითობა. ამიტომაც, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მართებული ჩვენში, ერთგვარად გავრცელებული შეხედულება, თითქოს არსებობს აუცილებლობისა და შემთხვევითობის განსხვავებული სახეები. აუცილებლობისა და შემთხვევითობის განსხვავებული სახეების არსებობის მტკიცება უდავოდ იმას ასაბუთებს, რომ თავის მხრივ როგორც აუცილებლობა, ასევე შემთხვევითობა სახე—გვარეობითს მიმართებაში იმყოფებიან. სინამდვილეში კი კატეგორიათა ბუნება, კერძოდ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა ბუნება, სახეგვარეობითი დაყოფის პრინციპს არ ექვემდებარება. აღიარებულად ითვლება, რომ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიებს არც გვარი გააჩნიათ და არც სახე, ამიტომაც აუცილებლობა, როგორც კატეგორია ერთია და ასევე შემთხვევითობაც, როგორც კატეგორია ერთია. აუცილებლობისა და შემთხვევითობის გამოვლინების ფორმებია მხოლოდ და მხოლოდ განსხვავებული.

აუცილებლობისა და შემთხვევითობის გამოვლინების ფორმები შეიძლება სამ ძირითად ნაწილად დაიყოს: 1) აუცილებლობისა და შემთხვევითობის გამოვლინების ფორმები ბუნებაში; 2) აუცილებლობისა და შემთხვევითობის გამოვლინების ფორმები საზოგადოებაში და 3) აუცილებლობისა და შემთხვევითობის გამოვლინების ფორმები აზრის, იდეალურის სფეროში. აუცილებლობისა და

შემთხვევითობის გამოვლინების ფორმები ზემოდასახელებულ სინამდვილის სამ სფეროში ასევე შეიძლება ცალკეულ ფორმებად დაიყოს, მაგრამ ყოველივე ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თვითონ აუცილებლობა და შემთხვევითობა იყოს სამი და ა. შ. ასე რომ იყოს, ე. ი. აუცილებლობა რომ სამი ან ხუთი იყოს, შემთხვევითობა რომ სამი ან ხუთი იყოს, მაშინ სამივე ან ხუთივე აუცილებლობა ან შემთხვევითობა იქნებოდა. სინამდვილეში კი აუცილებლობა როგორც კატეგორია ერთია და შემთხვევითობა როგორც კატეგორია ერთია.

აუცილებლობისა და შემთხვევითობის გამოვლენის მრავალ ფორმას განასხვავებენ ერთიმეორისაგან. მაგალითად, აუცილებლობის გამოვლინების ფორმებია: შინაგანი და გარეგანი აუცილებლობა, დინამიკური და სტატიკური აუცილებლობა, მიზეზობრივი და არამიზეზობრივი კავშირების გამომხატველი აუცილებლობა, ცვალებადობისა და აუცილებლობის აუცილებლობა, ცვალებადობისა და განვითარების აუცილებლობა და სხვ. ზოგიერთი მკვლევარი აუცილებლობის გამოვლინების ფორმებს ყოფს სინამდვილის გარკვეული სფეროების მოქმედების მიხედვით; შესაბამისად ამისა, აუცილებლობის გამოვლინების ფორმები დაყოფილია აუცილებლობის უზოგადეს, ზოგად და სპეციფიკურ ფორმებად. ასევე აუცილებლობის გამოვლინების ფორმები დაყოფილია მატერიის მოძრაობის ფორმების შესაბამისად. შემთხვევითობის გამოვლენის ფორმები ძირითადად დაყოფილია ტიპიურ და არატიპიურ ანუ მასიურ და არამასიურ ფორმებად.

თუ რამდენად მართებულია აუცილებლობისა და შემთხვევითობის გამოვლინების ფორმების ასეთი თუ სხვაგვარი კლასიფიკაცია, ამას არ ვეხებით, ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერესებს, რომ აუცილებლობისა და შემთხვევითობის გამოვლენის ფორმების ასეთი თუ სხვაგვარი კლასიფიკაცია უნდა ნიშნავდეს მხოლოდ აუცილებლობისა და შემთხვევითობის გამოვლენის ფორმების კლასიფიკაციას და არა აუცილებლობისა და შემთხვევითობის **სახეებად** დაყოფას. ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ხშირად შევხვდებით ტერმინებს: „აუცილებლობის ორი სახე". „შემთხვევითობის ორი სახე", „განსხვავებული სახის აუცილებლობანი", „განსხვავებული სახის შემთხვევითობანი", „თავის სტრუქტურით აუცილებლობა იყოფა განსხვავებულ აუცილებლობებად" და ა. შ. ყველა ეს ტერმინი აუ-

ცილებლობისა და შემთხვევითობის, როგორც უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა, მიმართ არაზუსტია.

IV. **აუცილებლობისა და შემთხვევითობის დამოკიდებულება რეალურ სინამდვილეში.** აუცილებლობისა და შემთხვევითობის დამოკიდებულების საკითხზე, რეალურ სინამდვილეში არსებობს სამი ერთიმეორისაგან განსხვავებული შეხედულება: მეტაფიზიკური, მექანისტური და დიალექტიკური.

მეტაფიზიკური შეხედულების მიხედვით სინამდვილეში არსებობს როგორც აუცილებლობა, ისე შემთხვევითობა, მაგრამ მათ შორის არავითარი კავშირი არაა. ისინი პრინციპულად განსხვავებულია ერთიმეორისაგან. აუცილებლობა და შემთხვევითობა არსებობს ცალ-ცალკე, ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად. ისინი გამორიცხავენ ერთიმეორეს. ერთი მოვლენა აუცილებელია და მხოლოდ აუცილებელი, მეორე მოვლენა შემთხვევითია და მხოლოდ შემთხვევითი. ისინი ერთმანეთის გვერდით არსებობენ. „რაიმე ნივთი, რომელიმე ურთიერთობა, რაიმე პროცესი ან შემთხვევითია ან აუცილებელი, მაგრამ არ შეიძლება ერთიც იყოს და მეორეც"[1]. მაგალითად, მეტაფიზიკოსისათვის სახეთა მთავარი ნიშნები აუცილებელია, ხოლო იმავე სახეობის ინდივიდუალური თავისებურება შემთხვევითი. ლაიბნიც—ვოლფის სკოლის წარმომადგენლებისათვის გონებით მიღწეული ჭეშმარიტება აუცილებლის ასახვაა, ხოლო აღქმების მიხედვით მიღწეული ასახვაა შემთხვევითისა. შემთხვევითობისა და აუცილებლობის ასეთი მეტაფიზიკური დაყოფის გამო საერთოდ ენგელსი დასცინის ვოლფის მეტაფიზიკას, რომლის მიხედვით რაღაც ან შემთხვევითია, ან აუცილებელი და არა ერთიცა და მეორეც ერთდროულად.

აუცილებლობასა და შემთხვევითობაზე მექანისტური თეორიის მიხედვით, სინამდვილეში მხოლოდ აუცილებელი მოვლენები არსებობენ, შემთხვევითი მოვლენები კი საერთოდ არ არსებობენ. აუცილებლობა არის ობიექტური; შემთხვევითობას არავითარი ობიექტურობა არ გააჩნია. აუცილებელი მიზეზითაა განსაზღვრული, შემთხვევითი კი უმიზეზოა, მიზეზის გარეშეა, მაგრამ იმის გამო, რომ მოვლენები არ შეიძლება უმიზეზო იყოს, ამიტომაც არც შემთხვევითი მოვლენები არსებობენ. მაგალითად, მექანისტური მატერიალისტების აზრით, ბუნებაში და საზოგადოებაში ყველგან გამეფებულია აბსოლუტური აუცილებლობა, რომელიც პირდაპირ

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1952, გვ. 226.

გამორიცხავს ყოველგვარი შემთხვევითის ობიექტურ არსებობას. არ არსებობს არავითარი შემთხვევითობა ობიექტურად, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც თუ ვლაპარაკობთ შემთხვევითობაზე, ეს მხოლოდ ჩვენი გონების ნაყოფია. შემთხვევითი, მათი აზრით, ისეთი მოვლენაა, რომლის მიზეზი ჩვენ ან სრულიად, ან საკმარისად არ ვიცით. მაგ., სპინოზას თქმით: „რომელიმე საგანს არავითარი სხვა მიზეზის გამო არ ეწოდება შემთხვევითი, თუ არა ჩვენი ცოდნის ნაკლებობის გამო". ხოლო ჰოლბახის თქმით: „შემთხვევითს ვუწოდებთ ჩვენ მოვლენებს, რომელთა მიზეზებიც არ ვიცით, და რომელთა განჭვრეტაც ჩვენი უცოდინარობისა და გამოუცდელობის გამო არ შეგვიძლია". საკითხის ასე გადაწყვეტა მცდარია, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ შემთხვევითობა ობიექტურად არსებულია და ამიტომაც სრულიად არ არის გამოწვეული ცოდნის არასაკმარისობით. ცოდნის არასაკმარისობის საბუთით შემთხვევითობის დაშვება თვით ცოდნის ცნების მცდარ გაგებას ემყარება. ცოდნა სრულიად არ ნიშნავს ცალკეულ მოვლენათა ჯამს. იგი შემეცნების განვითარების პროცესში დგინდება და ასე ხდება თანდათანობით სრული; ამავე დროს არავითარ ცოდნას არ შეუძლია ყველა შესაძლო შემთხვევითობის გათვალისწინება. შემთხვევითობის ობიექტური ხასიათის უარყოფა მიზეზების არასაკმაო ცოდნის საფუძველზე მიზეზობრიობის მექანისტურ გაგებას ემყარება, სადაც თვით მიზეზობრიობის ცნებაც დამახინჯებულადაა გაგებული. მექანისტური შეხედულების მიხედვით ყველა მოვლენა აუცილებელია. ფ. ენგელსი განიხილავს რა აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიაზე მექანისტურ შეხედულებას, წერს: „ის გარემოება, რომ მუხუდოს ამ ჭოტში ხუთი მარცვალია, და არა ოთხი ან ექვსი, რომ ამ ძაღლის კუდი ხუთი დიუმია და ერთი ხაზითაც კი არაა უფრო გრძელი ან უფრო მოკლე, რომ ამ წელს ფუტკარმა გაანაყოფიერა სამყურას ეს ყვავილი და არა ის, და გაანაყოფიერა სწორედ ამ ფუტკარმა და ამა და ამ გარკვეულ დროში, რომ ლომისკბილას ეს გარკვეული, ქარისაგან მოტანილი თესლი ამოვიდა და არა მეორე, რომ მე წინა ღამეს რწყილმა შიკბინა დილის ოთხ საათზე და არა სამ საათზე ან ხუთზე და ისიც მარჯვენა მხარეზე და არა მარცხენა წვიეზე, — ყველა ეს ისეთი ფაქტია, რომლებიც მიზეზისა და შედეგის გარდუვალი გადაბმულობისაგან, ურყევი აუცილებლობით წარმომდგარა, და მასთან ისე, რომ აირის ის ბურთო, საიდანაც მზის სისტემა წარმოიშვა, ისე იყო მოწყობილი, რომ ეს მოვლენები სწორედ ასე უნდა

მომხდარიყო და არა სხვაგვარად"[2]. აუცილებლობის ასეთი ვაგება, ე. ი. მხოლოდ აუცილებლობის ობიექტურობის აღიარება და შემთხვევითობის ობიექტურობის უარყოფა ფაქტიურად აუცილებლობის შემთხვევითობაზე დაყვანაა. ენგელსი მიუთითებს რა აუცილებლობისა და შემთხვევითობის ასეთი შეხედულების მცდარობას, აღნიშნავს: „თუ ის ფაქტი, რომ მუხუდოს გარკვეული ჭოტი შეიცავს მუხუდოს ექვს მარცვალს და არა ხუთს ან შვიდს, იმავე რიგის მოვლენაა, რაც მზის სისტემის მოძრაობის კანონი, ან ენერგიის გარდაქმნის კანონი, მაშინ ფაქტიურად შემთხვევითობა კი არ არის აუცილებლობის დონემდე, არამედ აუცილებლობა ქვეითდება შემთხვევითობამდე"[3].

აუცილებლობის მექანისტური გაგება თეოლოგიური ხასიათისაა, ფატალიზმია, ბედისწერის თეორია.

აუცილებლობის ფატალურ გაგებას საზოგადოების ისტორიის სფეროში მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ საჭირო არ არის ადამიანები აქტიურად ზემოქმედებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე, სინამდვილის გარდაქმნაზე. მაშინ, როდესაც ისტორიული აუცილებლობა არა თუ გამორიცხავს ადამიანთა აქტიურ ზემოქმედებას, არამედ აუცილებლობით გულისხმობს მას.

არის აუცილებლობისა და შემთხვევითობის დამოკიდებულების საკითხის გაგების მეორე უკიდურესობაც, რომლის მიხედვით არსებობს მხოლოდ შემთხვევითობა და სრულიად უარყოფილია აუცილებლობა. ასეთი შეხედულებისა არიან (განსაკუთრებით საზოგადოებრივ მოვლენებზე) სუბიექტური სოციოლოგები. მაგალითად, რუსი ნაროდნიკების აზრით, საზოგადოების ისტორია არის შემთხვევითობათა ქაოსი. საზოგადოების განვითარება არ არის აუცილებელი, კანონზომიერი პროცესი. საზოგადოების განვითარებაში ყველაფერი დამოკიდებულია ბედნიერ, კეთილ სურვილებზე. უარყოფდა რა საზოგადოებრივი განვითარების აუცილებლობას და ამტკიცებდა, რომ ისტორიაში გაბატონებულია შემთხვევითობა, ნაროდნიკი ლავროვი აცხადებდა — ისტორია შემთხვევით ექსპერიმენტთა ჯაჭვიაო.

აუცილებლობასა და შემთხვევითობის საკითხზე ზემოთ აღნიშნული მეტაფიზიკური, მექანისტური შეხედულებებისაგან განსხვავებულია დიალექტიკური შეხედულება. ფილოსოფიის ისტო-

---

[2] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 227.

[3] იქვე, გვ. 227.

რიაში პირველი ჰეგელი იყო, რომელმაც იდეალისტური დიალექტიკის პოზიციებიდან აუცილებლობისა და შემთხვევითობის დამოკიდებულების საკითხი, სწორად დააყენა. ჰეგელის აზრით, აუცილებლობა და შემთხვევითობა დიალექტიკურ ერთიანობაში არიან, ისინი არ გამორიცხავენ ერთმანეთს აბსოლუტურად. ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება იყოს აუცილებელიც და შემთხვევითიც. მიუხედავად იმისა, რომ ჰეგელის მიერ აღნიშნულ საკითხზე გამოთქმული აზრი დიალექტიკურია, იგი იდეალისტურია. ჰეგელისათვის აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიები ობიექტური სინამდვილის ასახვას კი არ წარმოადგენენ, არამედ „აბსოლუტური იდეის", „მსოფლიო სულის" გამოვლინებას.

აუცილებლობისა და შემთხვევითობის ურთიერთდამოკიდებულების ნამდვილ მეცნიერულ გაგებას იძლევა დიალექტიკური მატერიალიზმი, რომლის თანახმად აუცილებლობა და შემთხვევითობა დიალექტიკურ ერთიანობაში არიან. ეს დიალექტიკური ერთიანობა, უპირველეს ყოვლისა, აუცილებლობისა და შემთხვევითობის ერთად არსებობას გულისხმობს, ისინი ერთი და იმავე მოვლენის ორ მხარეს წარმოადგენენ. მოვლენა, როგორც ერთი და მთლიანი, აუცილებლობისა და შემთხვევითობის ერთიანობაა. ყოველ აუცილებელ მოვლენას თან ახლავს შემთხვევითი მოვლენაც. არ არსებობს წმინდა აუცილებლობა; აუცილებლობა ისეთი, რომელიც თავისუფალი იყო ყოველგვარი შემთხვევითობისაგან. შემთხვევითობა თავის თავში შეიცავს, ატარებს აუცილებლობას, აუცილებლობა — შემთხვევითობას. მათ შორის შინაგანი კავშირია.

აუცილებლობა და შემთხვევითობის დიალექტიკური ერთიანობა, კავშირი, აგრეთვე, იმაში მდგომარეობს, რომ შემთხვევითობა არის აუცილებლობის გამოვლენის ფორმა და მისი დამატება. არ არსებობს აუცილებლობა წმინდა სახით, იგი ყოველთვის თავის თავში შეიცავს შემთხვევითობის ელემენტსაც. აუცილებლობა, მართალია, მუდამ არის განვითარების ზოგადი კანონზომიერება, განვითარების განმსაზღვრელი, მაგრამ იგი ყოველთვის გარკვეულ შემთხვევის ფორმაში გამოვლინდება. ამიტომაც არ არსებობს აუცილებლობა ისეთი, რომლის გამოვლენის ფორმა თავისუფალი იყოს შემთხვევითობისაგან. მაგ., აუცილებელია ის, რომ ცოცხალი ორგანიზმი, ვთქვათ ადამიანი, აუცილებლად უნდა მოკვდეს, მაგრამ იგი არასოდეს კვდება წმინდა აუცილებლობით. სიკვდილი, როგორც აუცილებლობა ცოცხალი ორგანიზმისათვის, ადამიანისათვის

გამოვლინდება რაიმე ფორმით: გრიპით, გაციებით, ტიფით და სხვ,. რაც უდავოდ შემთხვევითია აუცილებლობის მიმართ.

ადამიანის მეორე სასიგნალო სისტემის ენის წარმოშობასთან ერთად წარმოიშვა აბსტრაქტული აზროვნება; აბსტრაქტული აზროვნება ცოცხალი ორგანიზმის კანონზომიერი განვითარების შედეგია, ამიტომაც იგი აუცილებლობაა ადამიანის განვითარებაში. მაგრამ ეს აუცილებლობა მრავალ განსხვავებულ ფორმაში ვლინდება. იგი ვლინდება ამა თუ იმ ენის ქართული, რუსული, გერმანული და სხვა ხალხთა ენების სახით. ის, რომ ერთი და იგივე აზრი გამოითქმის ხალხთა განსხვავებული ენებით. იქნება შემთხვევითობა აზროვნების, როგორც აუცილებლობისათვის.

შემთხვევითობა რომ აუცილებლობის გამოვლინების ფორმა და მისი დამატებაა, ამის დადასტურებას წარმოადგენს სხვა, როგორც ბუნებრივი, ისე საზოგადოებრივი მოელენები. მაგალითად. კაპიტალისტურ საზოგადოებაში საქონლის ღირებულებასა და ფასს შორის დამოკიდებულება. ცნობილია, რომ საქონლის ღირებულება განისაზღვრება მასზე დახარჯული საზოგადოებრივ — აუცილებელი შრომის მიხედვით, მაგრამ ფასი საქონლისა კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუდმივად მერყეევია, მრავალ შემთხვევითს მოვლენაზეა დამოკიდებული. ერთი და იგივე საქონელი ერთსა და იმავე დროს ხშირად სხვადასხვა ფასში იყიდება. ამა თუ იმ საქონლის ფასი შეიძლება რამდენადმე უფრო მეტი ან ნაკლები იყოს მის ღირებულებაზე, ან ემთხვეოდეს. ეს კი იმის დამადასტურებელი ფაქტია, რომ საქონლის ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია მასზე დახარჯული საზოგადოებრივ—აუცილებელი შრომით, კაპიტალისტურ საზოგადოებაში მრავალ შემთხვევითს ფორმაში გამოვლინდება.

შემთხვევითობა, როგორც აუცილებლობის გამოვლინების ფორმა და მისი დამატება, თვითონაც გამოდის აუცილებლობის როლში. თვითონაც არის აუცილებლობა. იმის გამო, რომ განვითარების საერთო პროცესში აუცილებლობას თან ახლავს შემთხვევითობა. მატერიალურ სინამდვილეში აუცილებლობა წმინდა სახით არ არსებობს, ეს იმას ადასტურებს, რომ შემთხვევითობა თვითონ არის აუცილებლობა; შემთხვევითობასაც ახასიათებს აუცილებლობა, მაგრამ შემთხვევითობის აუცილებლობა შეფარდებითია. ეს შეფარდებითობა იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებლობა გამოვლინდება არა მხოლოდ ამა და ამ შემთხვევითობის ფორმაში, არამედ სხვა შემთხვევითობის ფორმაშიც.

შემთხვევითობა, როგორც აუცილებლობის გამოვლენის ფორმა და დამატება, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ყოველი შემთხვევითი ყოველი აუცილებლის გამოვლენაა. მაგალითად, ბუნებაში გარკვეული აუცილებლობის გამოვლენაა გვალვა. მაგრამ გვალვა როგორც გარკვეული ბუნებრივი აუცილებლობის გამოვლენა სრულიად არ არის რაიმე, მასთან სრულიად არა საერთოს მქონე. აუცილებლობის გამოვლენა. თუმცა ამგვარი მოსაზრების ნიმუშია რიგი მაგალითებისა, რომელიც მოტანილია დებულების — შემთხვევითობა აუცილებლობის გამოვლენის ფორმა და დამატებაა, არ გამოხატავს აუცილებლობისა და შემთხვევითობის ყველა შესაძლებელ ურთიერთობას. მაგალითად, რელიგიის არსებობა სოციალიზმის დროს არაა გაპირობებული სოციალიზმის კანონზომიერებით. ის შემთხვევითია სოციალისტურ საზოგადოებაში, მაგრამ შემთხვევითია არა იმ აზრით, რომ იგი ავლენს სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ აუცილებლობას. არამედ პირიქით, რელიგია სოციალიზმის საქმის ხელშემშლელად გვევლინება. რელიგია ანტაგონისტურ საზოგადოებაში იყო ერთ-ერთი აუცილებელი მოვლენა, სოციალისტურ საზოგადოებაში კი იგი იქცა შემთხვევითად და არა აუცილებლად. ძველი აუცილებელი ახალ პირობებში იქცა რა შემთხვევითად, დაუპირისპირდა ახალ აუცილებლობას. ასეთ შემთხვევაში აუცილებელსა და შემთხვევითს შორის ურთიერთგამომრიცხველი დამოკიდებულება მყარდება. აუცილებლისა და შემთხვევითის ანალოგიური ურთიერთობის შესახებ მცდარი იქნება იმის თქმა, რომ შემთხვევითობა აუცილებლობის გამოვლენის ფორმაა. ჩვენი აზრით, დასახელებული მაგალითი სრულიად არ უარყოფს იმ დებულებას, რომ შემთხვევითობა არის აუცილებლობის გამოვლენის ფორმა. მართალია. რელიგია ნამდვილად სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი შინაგანი კანონზომიერების არც გამოვლენა და არც დამატებითი ფორმაა, მაგრამ იგი სოციალისტურ საზოგადოებაში არსებული ძველი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი აუცილებელი მხარეების გამოვლენაა. ამ ასპექტით აუცილებლობისა და შემთხვევითობის დამოკიდებულება ვლინდება ძველი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ აუცილებლობასა (რომელიც ჯერჯერობით არსებობს სოციალისტურ საზოგადოებაში) და შემთხვევითობას შორის. სწორედ ამიტომაც რელიგია სოციალისტური კანონზომიერების გამოვლენის ფორმა კი არ არის, არამედ ამ სა-

ზოგადოებაში ჯერჯერობით არსებული ძველი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი აუცილებლობის გამოვლენაა. ამიტომაც აღნიშნული მაგალითის შემთხვევაში აუცილებლობასა და შემთხვევითობას შორის დამოკიდებულების საკითხი ისმის არა სოციალისტური საზოგადოების აუცილებელ კანონზომიერებასა და რელიგიას შორის, არამედ ძველ საზოგადოებისათვის დამახასიათებელ აუცილებლობასა და რელიგიას შორის.

ასეთი და სხვა მსგავსი მაგალითები სრულიად არ უარყოფენ შეხედულების — შემთხვევითობა აუცილებლობის გამოვლენის ფორმა და დამატებაა ზოგად და საყოველთაო მნიშვნელობას აუცილებლობისა და შემთხვევითობის ყველა შესაძლებელი ურთიერთობისათვის.

რაც შეეხება აღნიშნული და მისი მსგავსი მაგალითების საფუძველზე იმის მტკიცებას, რომ ასეთ შემთხვევაში აუცილებლობასა და შემთხვევითობას შორის მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთგამომრიცხველი დამოკიდებულება მყარდება, მცდარად უნდა ჩაითვალოს. რეალურ, მატერიალურ სინამდვილეში აუცილებლობასა და შემთხვევითობას შორის არ არის არავითარი გამომრიცხველობა. ისინი ერთიანობაში არიან. რეალურ სინამდვილეში აუცილებლობისა და შემთხვევითობის ურთიერთგამომრიცხველობის დაშვება ნიშნავს წმინდა აუცილებლობისა და წმინდა შემთხვევითობის აღიარებას, რაც წმინდა მეტაფიზიკური შეხედულებაა. წინააღმდეგ ამისა, დიალექტიკური შეხედულების თანახმად რეალურ სინამდვილეში აუცილებლობა და შემთხვევითობა ერთიანობაშია და წმინდა აუცილებლობისა და წმინდა შემთხვევითობის არსებობა შეუძლებელია; შეუძლებელია იმის გამო, რომ აუცილებლობა და შემთხვევითობა ერთად არსებობენ.

V. მეცნიერების დამოკიდებულება აუცილებლობასა და შემთხვევითობასთან. ყოველი მეცნიერების მიზანია აუცილებლობის შემეცნება. მეცნიერების მიზანია აღმოაჩინოს და შეისწავლოს მოვლენათა აუცილებელი, შინაგანი კავშირები; შეისწავლოს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონები და ამით ადამიანებს შესაძლებლობა მისცეს ამავე კანონების ცოდნის საფუძველზე იმოქმედონ სინამდვილის გარდასაქმნელად. მეცნიერებამ რომ ამ მიზანს მიაღწიოს, იგი ემყარება სინამდვილის განვითარების კანონზომიერებას, აუცილებლობას, შეიცნობს საგანთა და მოვლენათა აუცილებელ კავშირებს. მეცნიერების კანონები სწორედ სა-

განთა და მოვლენათა აუცილებელი კავშირების ასახვაა. სადაც არ არის აუცილებლობა, იქ არ არის კანონიც. ფ. ენგელსის თქმით, „მეცნიერება წყდება იქ, სადაც აუცილებელი კავშირი ძალას კარგავს". მეცნიერება მიზნად ისახავს აღმოაჩინოს შემთხვევითი კავშირების ამსახველი კანონი, როგორც შინაგანი, აუცილებელი კავშირი. „მეცნიერების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხილული, მოვლენათა ზედაპირზე გამოჩენილი მოძრაობა შინაგან ნამდვილ მოძრაობაზე დაიყვანოს[4]. მეცნიერება შემთხვევითობის იქით დამალულ აუცილებლობასა და კანონებს აღმოაჩენს და შეისწავლის. „შემთხვევითობა ყოველთვის ფარულ შინაგან კანონებს ექვემდებარება და საქმე მხოლოდ ისაა, რომ ეს კანონები აღმოვაჩინოთ"[5]. შემთხვევითობა ექვემდებარება აუცილებლობას. აუცილებლობა იმორჩილებს და გზას იკაფავს შემთხვევითობაში. იგი განსაზღვრავს განვითარების მსვლელობას. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მეცნიერების განვითარებაში იგნორირებულ იქნეს შემთხვევითობის როლი. შემთხვევითობაც გარკვეულ როლს ასრულებს მეცნიერების განვითარების საქმეში, რის გამოც აუცილებელი ხდება შემთხვევითი მოვლენების შესწავლაც. ამის ცხად ნიმუშს წარმოადგენს მათემატიკაში ალბათობის თეორია (ამაზე ქვემოთ).

მეცნიერების მიზანია, როგორც ვთქვით, აუცილებლობის შემეცნება, აუცილებლობა არ არსებობს შემთხვევითობის გარეშე. აუცილებლობის გარეშე, მართალია, მეცნიერება არ იარსებებდა, მაგრამ მეცნიერება არ იარსებებდა მაშინაც, რომ შემთხვევითობა არ არსებობდეს, რადგან წმინდა აუცილებლობის აღიარებით, ჯერ ერთი, საკვლევი არაფერი იქნებოდა და მეორე. წმინდა აუცილებლობის აღიარება აუცილებლობის შემთხვევითობაზე დაყვანა იქნებოდა. მაშასადამე, რამდენადაც სინამდვილეში აუცილებლობა არ არსებობს შემთხვევითობის გარეშე და შემთხვევითობა აუცილებლობის გარეშე, ამდენად მეცნიერება თავისი მიზნის განხორციელებისათვის — კანონების აღმოჩენისათვის, ემყარება აუცილებლობისა და შემთხვევითობის ერთიანობას. აუცილებლობისა და შემთხვევითობის ურთიერთკავშირი, ერთიანობა უნივერსალური ხასიათისაა. სინამდვილის არცერთი მხარე არ არის ისეთი, სადაც აუცილებლობა და შემთხვევითობა ერთიანობაში არ იყოს. აუცილებლობა არაპირდაპირ ფორმით თავისში მოიცავს შემთხვე-

[4] კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი", ტ. III, ნაწ. I, თბ., 1959, გვ. 271.
[5] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 470.

ვითობას, როგორც მის საპირისპიროს და პირიქითაც, შემთხვევითობა თავისში მოიცავს აუცილებლობას, როგორც მის საპირისპიროს. ამიტომაც ყოველი საგანი, მოვლენა ერთსა და იმავე დროს, მაგრამ სხვადასხვა მიმართებაში, ან ერთსა და იმავე მიმართებაში, მაგრამ სხვადასხვა დროს არის აუცილებელიც და შემთხვევითიც. მეცნიერება იმეცნებს როგორც აუცილებელ, ასევე შემთხვევით მოვლენებსაც, მართალია, თავისი არსებით მეცნიერება არის აუცილებლობის შემეცნება, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეცნიერებამ ყურადღება არ მიაქციოს შემთხვევითობას. მეცნიერება მიზნად არ ისახავს ყოველი შემთხვევით მოვლენების შესწავლას (ეს შეუძლებელიცაა), მაგრამ იგი საჭიროდ ცნობს იკვლიოს და შეისწავლოს შემთხვევითი მოვლენები და ამ შემთხვევით მოვლენათა გარკვეულ სფეროში აღმოაჩინოს კანონზომიერება. ამის საუკეთესო დადასტურებაა ალბათობის თეორია მათემატიკაში. ალბათობის თეორია შემთხვევითი მოვლენების კანონზომიერებას სწავლობს. იგი მიზნად ისახავს შემთხვევით მოვლენებში გარკვეული კანონზომიერების აღმოჩენას. შემთხვევითობას, როგორც აუცილებლობის დამატებასა და გამოვლენის ფორმას, სინამდვილის განვითარების პროცესში გარკვეული ადგილი უკავია. სწორედ ამიტომ მის შესწავლას, შემეცნებას ანგარიშს უწევს მეცნიერება. ალბათობის თეორიის შესწავლის ობიექტია სტატისტიკური კანონზომიერებანი. მეცნიერების განვითარების პროცესში ცხადი გახდა, რომ გარკვეული მოვლენები საჭიროებენ სტატისტიკურ კანონზომიერებათა შესწავლას. ამ კანონზომიერებათა შესწავლა დიდი მნიშვნელობის მქონეა მეცნიერების მრავალ სფეროში. შემთხვევით მოვლენებში სტატისტიკურ კანონზომიერებათა შესწავლა აუცილებლობას ავლენს. იგი ალბათური აუცილებლობითი ხასიათისაა, ვინაიდან შემთხვევითობის ალბათური გამორიცხვა შეუძლებელია.

დასასრულს, საჭიროა აქვე, მეცნიერების აუცილებლობასა და შემთხვევითობასთან დამოკიდებულებაში გაირკვეს მნიშვნელობა გამოთქმისა „მეცნიერება შემთხვევითობის მტერია".

დებულება „მეცნიერება შემთხვევითობის მტერია" სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მეცნიერება უარყოფდეს შემთხვევითობის ობიექტურ არსებობას ბუნებასა და საზოგადოებაში. დაშვება იმისა, რომ მეცნიერებასა და შემთხვევითობას შორის ისეთი დამოკიდებულებაა. რომ მეცნიერება შემთხვევითობის ობიექტურ

არსებობას უარყოფს, მცდარია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემთხვევითობა ობიექტურად არსებულია. ამიტომაც, „მეცნიერება შემთხვევითობის მტერია“, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს, რომ მეცნიერებას არ შეუძლია შემთხვევითობაზე დამყარება. მეცნიერება ობიექტურ კანონზომიერებას, აუცილებლობას უნდა ემყარებოდეს; იგი აღმოაჩენს და შეისწავლის მოვლენათა აუცილებელ შინაგან კავშირებს. სწორედ ამ მიზნით მეცნიერება მტერია შემთხვევითობის, მაგრამ დებულებას „მეცნიერება მტერია შემთხვევითობის“ თუ განვიხილავთ მისი საყოველთაო განუსაზღვრელი მნიშვნელობის უფლებით გარკვეულ კონტექსტთან კავშირის გარეშე. მაშინ იგი არ იქნება სწორი, ვინაიდან არსებობს ისეთი მეცნიერება, რომელიც შეისწავლის შემთხვევით მოვლენებს. თუმცა ამ შემთხვევითი მოვლენების სფეროშიც მეცნიერება ვალდებულია შემთხვევით მოვლენათა გარკვეული სფეროსათვის რაღაც საერთო დაადგინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი აზრი არ ექნებოდა შემთხვევით მოვლენათა მხოლოდ იზოლირებულ შესწავლას. შემთხვევით მოვლენათა გარკვეულ სფეროში რაღაც საერთოს დადგენა შესაძლებელი ხდება იმიტომაც, რომ შემთხვევითობა თავის თავში გარკვეულ აუცილებლობას შეიცავს, თუმცა ეს აუცილებლობა არ არის კანონზომიერადი (განმეორადი) აუცილებლობითი ხასიათის, მაგრამ მოვლენათა გარკვეული სფეროსათვის ეს საერთო კანონზომიერი ხასიათისაა. ამის გამოც შესაძლებელი გახდა შემთხვევით მოვლენათა საერთო კანონზომიერების შესწავლა. ამიტომ დებულება „მეცნიერება შემთხვევითობის მტერია“ მოხმარებული უნდა იქნეს ვიწრო და განსაზღვრული მნიშვნელობით.

ქიმია მაშინ იქცა ნამდვილ ზუსტ მეცნიერებად, როცა მას საფუძვლად დაედო მენდელეევის პერიოდული სისტემა. თუ მენდელეევის პერიოდულ კანონამდე ქიმიური ელემენტების აღმოჩენები შემთხვევითი ხდებოდა, მენდელეევის პერიოდულმა კანონმა არაორგანული ქიმია გაათავისუფლა შემთხვევითობის ტყვეობიდან. სხვაგვარად, ამ კანონის აღმოჩენით ნაჩვენები იქნა, რომ ქიმიური ელემენტები არ არიან ერთიმეორისაგან მოწყვეტილი შემთხვევითი მოვლენები. არამედ ისინი ერთიმეორესთან განუყოფელ კანონზომიერ კავშირში არიან. ამდენად, მენდელეევის პერიოდულმა კანონმა შემთხვევითობათა უსასრულო შესაძლებლობანი გამორიცხა ქიმიიდან, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ქიმია, როგორც მეცნიერება, შემთხვევით მოვლენათა შესწავლის წინააღმდეგია.

ფიზიკაში ენერგიის შენახვისა და გარდაქმნის კანონის აღმოჩენით შესაძლებელი გახდა ფიზიკის მეცნიერულ სიმაღლეზე აყვანა, ფიზიკიდან შემთხვევითი მოვლენების განდევნა რაც უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ფიზიკა ახსნილი იქნა მოვლენათა კანონზომიერი ხასიათით, თუმცა იგი სრულიადაც არ უარყოფს ფიზიკაში შემთხვევით მოვლენათა შესწავლას. ენგელსის თქმით, ფიზიკური ძალების არსებობის შემთხვევითობა მეცნიერებიდან იმით განიდევნა, რომ დამტკიცდა მათი ურთიერთკავშირი და გადასვლები. ფიზიკა იმ შედეგამდე მივიდა, რომ იგი აუცილებლობით მიუთითებდა მოძრავი მატერიის მარად წრებრუნვაზე[6].

ბიოლოგიური მეცნიერების სფეროში დარვინმა თავისი ევოლუციური თეორიით განდევნა ბიოლოგიური მეცნიერებიდან შემთხვევითობა შემთხვევით მოვლენებზე დამყარების თვალსაზრისით და ამით ბიოლოგიას ნამდვილი მეცნიერული სახე მისცა. მარქსისა და ენგელსის მიერ ისტორიის მატერიალისტური ახსნის საფუძველზე პირველად შეიქმნა ნამდვილი მეცნიერება საზოგადოებაზე. საზოგადოების განვითარების ისტორია ახსნილი იქნა მასში გაბატონებული აუცილებელი, ობიექტური, კანონზომიერი განვითარების საფუძველზე. ყოველივე ამის გამო, განსხვავებით მარქსამდელი სოციოლოგიისაგან, რომელიც შემთხვევითი ფაქტების გროვას წარმოადგენდა (მხოლოდ შემთხვევით ფაქტებზე დამყარების გამო), სოციოლოგიამ ნამდვილი მეცნიერული ხასიათი მიიღო. ვ. ი. ლენინის თქმით, „როგორც დარვინმა ბოლო მოუღო შეხედულებას ცხოველებისა და მცენარეების სახეებზე, როგორც სრულიად დაუკავშირებელ შემთხვევითს, „ღვთის გაჩენილ" და უცვლელ მოვლენებზე, და პირველად დააყენა ბიოლოგია სავსებით მეცნიერულ ნიადაგზე, დაამტკიცა რა სახეთა ცვალებადობა და მემკვიდრეობითობა მათ შორის, — ისევე მარქსმა ბოლო მოუღო შეხედულებას საზოგადოებაზე, როგორც ინდივიდთა მექანიკურ აგრეგატზე, რომელიც შეიძლება ყოველგვარად შეიცვალოს უფლის ნება-სურვილით (ან რაც იგივეა, საზოგადოებისა და მთავრობის ნებასურვილით), რომელიც წარმოიშობა და იცვლება შემთხვევით და პირველად დააყენა სოციოლოგია მეცნიერულ ნიადაგზე"[7].

---

[6] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1952. გვ. 16.

[7] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. I, თბ., 1953, გვ. 153.

მარქსიზმი საზოგადოებრივი მოვლენების მეცნიერული ახსნის დროს ემყარება ეკონომიურ აუცილებლობას, რომელიც მთელ საზოგადოებრივ განვითარებას გასდევს. ფ. ენგელსის თქმით, თვითეულ „საზოგადოებაში ბატონობს **აუცილებლობა**, რომლის დამატება და გამოვლენის ფორმა **შემთხვევითობაა**. აუცილებლობა, რომელიც ყოველგვარ შემთხვევითობათა გზით ხორციელდება, საბოლოოდ ეკონომიური აუცილებლობაა"[8].

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საზოგადოების განვითარების მსვლელობაში შემთხვევითობას გარკვეული როლი აქვს. მარქსის თქმით, ისტორიას მისტიკური ხასიათი ექნებოდა, რომ შემთხვევითობანი არავითარ როლს არ თამაშობდნენ.

მართალია, საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერების აღმოჩენის შემდეგ „კაცობრიობის ისტორია აღარ წარმოადგენს უაზრო ძალმომრეობათა უწესრიგო დომხალს"[9], მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუნდაც ისეთ საზოგადოებაში, როგორიცაა სოციალისტური საზოგადოება, სადაც საზოგადოებრივი კანონების შეგნებული გამოყენება ხდება, აღარ მოქმედებდნენ შემთხვევითობანი საზოგადოების განვითარების მსვლელობაზე. სოციალიზმის დროსაც უდავოდ მოქმედებენ გარკვეული შემთხვევითობანი, მაგრამ აქ შემთხვევითობის როლი მინიმუმამდეა დაყვანილი და თვით ამ შემთხვევით მოვლენათა შესწავლაც ხდება.

შინაარსისა და ფორმის კატეგორიები

შინაარსისა და ფორმის კატეგორიების განსაზღვრება მოითხოვს შინაარსისა და ფორმის ცნების ნიშანთა ჩვენებას, მათი ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ნიშანთვისებათა დახასიათებას. როგორც შინაარსის, ასევე ფორმის ცნების შინაარსის ნიშანთა დახასიათება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მრავალი შინაარსით და მრავალი ფორმით ხასიათდებოდნენ. შინაარსისა და ფორმის კატეგორია ერთი ნიშნით ხასიათდება — ერთი შინაარსი, ერთი ფორმა არსებობს, როგორც ასეთი, როგორც კატეგორია. მაგრამ ამ ერთ შინაარსსა და ერთ ფორმას მრავალი ნიშან—თვისება აქვს. შინაარსისა და ფორმის ნიშნები ურთიერთდაპირისპი-

---

[8] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული წერილები, თბ., 1949, გვ. 519.
[9] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 30.

რებულია, ერთიმეორის საპირისპირო ნიშნებით ხასიათდებიან, ამიტომაც როგორც ყოველი წყვილი კატეგორიის, ასევე შინაარსისა და ფორმის განსაზღვრება უნდა შესრულდეს მათი საპირისპირო ნიშანთა ჩვენებით.

1. **შინაარსის მრავალგვარობა.** სამყაროს ყოველ საგანსა და მოვლენას აქვს შინაარსი, მაგრამ მატერიალური სამყაროს ყოველ საგანს, მოვლენას საკუთარი შინაარსი აქვს. სხვაგვარად — ის, რომ ყოველი საგანი, მოვლენა შინაარსის მქონეა, არ ნიშნავს, თითქოს ერთი საგნის, მოვლენის შინაარსი არ განსხვავდებოდეს მეორე საგნის, მოვლენის შინაარსისაგან. მაგალითად, შეუძლებელია თქმა, რომ ნახშირი შინაარსით იგივეობრივია ორგანული ბუნების რომელიმე კონკრეტული მცენარის შინაარსისა; ან რომელიმე კონკრეტული მცენარის შინაარსი იგივეობრივია მატერიალური წარმოების წესის შინაარსისა და ა. შ. არა მხოლოდ განსხვავებული სფეროს საგანთა და მოვლენათა შინაარსია ერთიმეორისაგან განსხვავებული, არამედ თვით ერთი და იმავე სფეროს საგანთა და მოვლენათა შინაარსები თვისებრივად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ბუნების ისეთი სფეროები, როგორიცაა არაორგანული და ორგანული ბუნება, თავიანთი საგნებითა და მოვლენებით საკუთარი, ერთიმეორისაგან განსხვავებული შინაარსის მქონენი არიან. საზოგადოებრივი მოვლენები: საზოგადოებრივი წყობილება. წარმოების წესი, საწარმოო ძალები, კლასობრივი ბრძოლა... საკუთარი შინაარსის მქონეა. მაშასადამე, სამყაროს საგანთა და მოვლენათა შინაარსები ერთიმეორისაგან განსხვავებულია. თითოეულ საგანს, მოვლენას აქვს თავისი საკუთარი შინაარსი, ამიტომაც თვით შინაარსის შინაარსია განსხვავებული.

უდავოა, რომ საგნებსა და მოვლენებს აქვთ ერთიმეორისაგან განსხვავებული შინაარსი, კონკრეტული შინაარსი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ, ე. ი. კონკრეტულ შინაარსებს, აქვთ რაღაც ზოგადი, რაღაც საერთო მხარე. ამ საერთოს, უზოგადეს მხარეს ასახავს უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია შინაარსისა, ე. ი. შინაარსის კატეგორია ასახავს იმას, რაც საერთოა ყველა შინაარსისათვის. შინაარსი ყოველი საგნის, მოვლენის ერთი უზოგადესი მხარეა. ეს უზოგადესი მხარე შინაარსის კატეგორიით აისახება.

2. **შინაარსი, როგორც საგნის, მოვლენის ძირითადი ელემენტების კავშირი.** საგანთა და მოვლენათა ძირითადი ელემენტების

კავშირი ამ საგანთა და მოვლენათა შინარსია, სულერთია, ეს მოვლენა რომელი სფეროდან იქნება აღებული: მატერიალურიდან თუ იდეალურიდან. საგნები და მოვლენები არ არსებობენ ძირითად ელემენტთა კავშირის გარეშე. არსებობენ მატერიალური და იდეალური მოვლენები და ამის მიხედვით ელემენტებიც სხვადასხვა მოვლენისათვის სხვადასხვაა. მატერიალური ელემენტების შინაარსი სხვაა, იდეალურისა სხვა, მაგრამ ეს განსხვავებულობა მოვლენათა შორის განსხვავებულობაზე ლაპარაკობს და არა ამ მოვლენათა ძირითადი ელემენტების კავშირის, როგორც შინაარსის, განსხვავებულობაზე. საგნის, მოვლენის შინაარსი მისი ძირითადი ელემენტების კავშირია. სხვაგვარად, როცა ვამბობთ — შინაარსია საგანთა და მოვლენათა ძირითადი ელემენტების ერთიანობა — ეს ერთნაირად ეხება როგორც მატერიალურ, ასევე იდეალურ საგნებსა და მოვლენებს და მათს ძირითად ელემენტებს. როგორც მატერიალური, ასევე იდეალური მოვლენებისათვის ძირითადი ელემენტების კავშირი, როგორც ამ მოვლენათა შინაარსი, შინაარსის კატეგორიისათვის ერთნაირია. შინაარსის კატეგორიისათვის საგანთა და მოვლენათა ძირითადი ელემენტების კავშირი შინაარსია.

შინაარსი ძირითადი ელემენტების კავშირია, ერთობლიობაა, და არა ამ ელემენტთა მექანიკური ჯამი, არა ძირითად ელემენტთა უბრალო ერთობლიობა. საგნის, მოვლენების ძირითადი ელემენტების მექანიკური ჯამი, უბრალო ერთობლიობა ვერასოდეს იძლევა შინაარსს. როგორც მხოლოდ მოვლენათა ელემენტების უბრალო მექანიკური ჯამი ჯერ კიდევ არ არის თვით საგანი, მოვლენა, ასევე ძირითადი ელემენტების ჯამი არ არის საგანთა და მოვლენათა შინაარსი.

3. შინაარსის განუწყვეტელი განვითარება, წამყვანი როლი. შინაარსის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია განუწყვეტელი განვითარება და ცვლილება. შინაარსის მოძრაობა და ცვალებადობა გაცილებით უფრო სწრაფია, ვიდრე ფორმისა. მატერიალური სამყაროს რომელი სფეროს საგანი, მოვლენაც უნდა ავიღოთ — ბუნებისა, საზოგადოებისა თუ აზროვნებისა, ყოველთვის შინაარსი ხასიათდება უფრო სწრაფი მოძრაობა—ცვალებადობით ვიდრე ფორმა.

მატერიალური სამყაროს საგანთა, მოვლენათა შინაარსი არამხოლოდ უფრო სწრაფად მოძრავი და ცვალებადია, ვიდრე ფორმა, არამედ, რაც მთავარია, ამ საგანთა, მოვლენათა განვითარება

მათი შინაარსის ცვლილება — განვითარებიდან იწყება. შინაარსის მოძრაობა—ცვლილება პირველადია და ამ გენეზისური პრინციპით იგი განმსაზღვრელია შემდგომში ფორმის განვითარება—ცვლილებისა. შინაარსი მარად მოძრაობა — ცვალებადობაშია, ამაშია მისი განვითარება. შინაარსის მოძრაობა — ცვლილებით იწყება ფორმის განვითარება — ცვალებადობა. შინაარსი არის საგნის, მოვლენის განუწყვეტელი, მოძრავი, ცვალებადი მხარე — ეს არის მისი წამყვანი როლი. შინაარსის განუწყვეტელი ცვალებადობასა და წამყვან როლს ასაბუთებს სინამდვილის სამივე სფეროს ყოველი მოვლენა.

4. შინაარსის განმსაზღვრელი როლი. შინაარსი და ფორმა ერთიანობაშია; არ არსებობს უფორმო შინაარსი და უშინაარსო ფორმა. ყოველი შინაარსი ფორმის მქონეა და ყოველი ფორმა — შინაარსისა. ფორმისა და შინაარსის ასეთი ერთიანობა, კავშირი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი, როგორც ურთიერთკავშირში მყოფნი, ზემოქმედებენ ერთმანეთზე და ამ ურთიერთზემოქმედების გარეშე საერთოდ არ არსებობენ. ამ ურთიერთზემოქმედების დროს როგორც შინაარსს, ასევე ფორმას ახასიათებს აქტიურობა, ზემოქმედება, რაც არ არის თანაბარი ძალისა. ერთი მთავარია, ძირითადი, წამყვანი და განმსაზღვრელ როლს ასრულებს. სწორედ შინაარსია ასეთი ნიშან-თვისების მქონე.

შინაარსი წარმოშობს ფორმას, შინაარსი ქმნის ფორმას, ფორმა შინაარსზეა დამოკიდებული. ფორმას, თუ შეიძლება ვთქვათ, არ შეუძლია შინაარსისაგან დამოუკიდებლად არსებობა. მას არა აქვს თავისი საკუთარი, შინაარსისაგან დამოუკიდებელი სუბსტრატი. ფორმის არსებობის საფუძველია შინაარსი. სწორედ ამიტომ შინაარსი ფორმასთან დამოკიდებულებაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს.

5. ფორმის მრავალგვარობა. სამყაროში არსებული საგნები, მოვლენები, მათი მიმართებები და თვისებები ერთმანეთისაგან განსხვავებული და მრავალფეროვანია, ამავე დროს განსხვავებული ფორმის მქონეც. ფორმათა განსხვავებულობა და მათი მრავალგვარობა სინამდვილეში არსებულ საგანთა, მოვლენათა, მათ თვისებათა განსხვავებულობითაა გამოწვეული. ამიტომაც, როგორც მრავალგვარია საგნები, მოვლენები, მათი თვისებები და მიმართებები, ასევე მრაავლგვარია მათი ფორმებიც. ყოველ კონკრეტულ საგანს, მოვლენას, კავშირსა და მიმართებას, ყოველ კონკრეტულ შინაარსს

კონკრეტული ფორმა შეესაბამება. არაორგანული და ორგანული ბუნების მრავალფეროვან საგნებსა და მოვლენებს, ადამიანთა საზოგადოების მრავალგვარ მოვლენას საკუთარი ფორმა გააჩნიათ. კიდევ მეტი — არამხოლოდ თითოეულ საგანს, მოვლენას აქვს საკუთარი ფორმა, არამედ ერთი და იგივე საგანი, მოვლენა განსხვავებული ფორმებითაც ვლინდება. ერთი და იგივე საგანს, მოვლენას, განსხვავებული პირობების მიხედვით, შეიძლება განსხვავებული ფორმები ჰქონდეს[1].

მართალია, საგნებს, მოვლენებს აქვთ ერთიმეორისაგან განსხვავებული ფორმები, ერთი და იგივე შინაარსი სხვადასხვა პირობებში განსხვავებული ფორმის მქონეცაა, მაგრამ, მიუხედავად მათი ასეთი განსხვავებულობისა, შათ აქვთ რაღაც ზოგადი, აქვთ ისეთი საერთო მხარე, რომელიც უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიით — ფორმით აისახება. ფორმის კატეგორია ასახავს იმ უზოგადესს, რაც საერთოა ყველა ფორმისათვის. ფორმა ყველა საგნის, მოვლენის ერთი უზოგადესი მხარეა.

6. **ფორმა, როგორც გარკვეულობა.** ფორმისათვის დამახასიათებელია გარკვეულობა. ფორმა, უპირველეს ყოვლისა, გარკვეულობას ნიშნავს და გარკვეულობის გარეშე არ არსებობს. ყოველი საგანი, მოვლენა, როგორც გარკვეულობა ფორმითაა გარკვეული, ფორმა გარკვეულობას გამოხატავს. ფორმა რომ გარკვეულობას ნიშნავს, ეს აღნიშნეს ჯერ კიდევ ადრე არისტოტელემ, კანტმა და ჰეგელმა[2]. მათთან ფორმა — გარკვეულობის გაგება არსებითად განსხვავდება დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგებისაგან. დიალექტიკური მატერიალიზმისათვის ფორმა — გარკვეულობა საგნის შინაარსით არის განსაზღვრული, მაშინ როცა არისტოტელესათვის ფორმა — გარკვეულობა გარედან უნდა იქნეს შეტანილი; ხოლო კანტისათვის ფორმა, როგორც გარკვეულობა, ქაოტური შინაარსის მომწესრიგებელია. ამიტომაც არცერთი მათგანის შეხედულება ფორმა — გარკვეულობაზე არაფერი აქვს საერთო ფორმა — გარკვეულობის დიალექტიკურ-მატერიალისტურ გაგებასთან.

ფორმა — გარკვეულობასთან კავშირშია თვისებრიობა — გარკვეულობა, ამიტომაც ფორმა — გარკვეულობისა და თვისებრიობა — გარკვეულობის მსგავსება — განსხვავებაც უნდა იქნეს გან-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 68—69.

[2] Гегель, Наука логики, т. V, М., 1937, стр. 531.

ხილული. ფორმა — გარკვეულობაც და თვისებრიობა — გარკვეულობაც საგანთა და მოვლენათა გარკვეულობაა, სინამდვილის გარკვეულობაა. ამიტომაც გარკვეული კავშირის მქონეა. ამ ორი სახის გარკვეულობას შორის არსებობს როგორც მსგავსება, ასევე განსხვავება. მაგრამ მცდარი იქნებოდა აზრი, რომ თუ მათი მსგავსებიდან, მჭიდრო კავშირიდან მათს იგივეობას დავასკვნიდით, ან თუნდაც საწინააღმდეგო დასკვნასაც გავაკეთებდით — ფორმა — გარკვეულობასა და თვისებრიობა — გარკვეულობას ერთმანეთისადმი აბსოლუტურად დაპირისპირებულად ჩავთვლიდით. ფორმა — გარკვეულობისა და თვისებრიობა — გარკვეულობის როგორც გაიგივება, ასევე ერთიმეორისაგან აბსოლუტური სახით მოწყვეტილად წარმოდგენა აღნიშნულ ცნებების არასწორი, მცდარი გაგებაა. მაგ., ასეთი მცდარი გაგება ჰქონდა არისტოტელეს, როცა თვისებრიობა — გარკვეულობას აიგივებდა ფორმა — გარკვეულობასთან[3]. სინამდვილეში ისინი განსხვავდებიან, თუმცა მათი განსხვავება არ უარყოფს მათ შორის აუცილებელ, შინაგან კავშირსაც. სამყაროში არსებული საგნები, მოვლენები ერთიმეორისაგან განსხვავებულია არა მხოლოდ თვისებრიობა — გარკვეულობის მიხედვით, არამედ ფორმა—გარკვეულობითაც. ფორმა — გარკვეულობა განასხვავებს საგნებს ერთიმეორისაგან. ის ფაქტი, რომ როგორც თვისებრიობა— გარკვეულობა, ასევე ფორმა — გარკვეულობა საგანთა და მოვლენათა გარკვეულობებია, მათ შორის აუცილებელი კავშირის არსებობასაც ნიშნავს. გარდა ამ ხასიათის კავშირისა, თვისებრიობა — გარკვეულობის და ფორმა — გარკვეულობის კავშირზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ საგანთა და მოვლენათა თვით ფორმაც ხასიათდება როგორც თვისებრიობა — გარკვეულობა. თვითონ ფორმა შეიძლება დახასიათებულ იქნეს როგორც თვისებრიობა — გარკვეულობა; ეს კი შესაძლებელს ხდის საგნებსა და მოვლენებს შორის არსებულ განსხვავებაზე ვიმსჯელოთ არა მხოლოდ მათი შინაარსის მიხედვით თვისებრივ განსხვავებულობაზე, არამედ მათი ფორმების მიხედვითაც თვისებრივ განსხვავებულობაზე, საგანთა და მოვლენათა შორის არსებული თვისებრივი განსხვავებულობა თვით ამ საგნებსა და მოვლენებში თვისებრივად განსხვავებულია როგორც შინაარსის, ასევე ფორმის მხრივაც. სხვაგვარად — საგნებსა და მოვლენებში არსებული თვისებრივი განსხვავება ერთსა და იმავე

[3] Аристотель, Категории, М., 1939, გვ. 29.

დროს არის როგორც შინაარსის, ასევე ფორმის მიხედვით. ფორმა-გარკვეულობასა და თვისებრიობა — გარკვეულობას შორის ასეთი კავშირი, უდავოდ, მათს მსგავსებაზე ლაპარაკობს; ამიტომაც ასეთი კავშირის არსებობა მათი მსგავსებაც არის.

ფორმა — გარკვეულობასა და თვისებრიობა — გარკვეულობას შორის, მიუხედავად აღნიშნული მსგავსებისა, არის თვისებრივი განსხვავებულობაც.

თვისებრიობა არის საგნის, მოვლენის შინაგანი გარკვეულობა. საგნის, მოვლენის თვისებრიობის არსებობა — არარსებობა თვით ამ საგნის, მოვლენის არსებობა — არარსებობას ეღრის. ამდენად, თვისებრივი გარკვეულობა მთელი საგნის, მოვლენის გარკვეულობას გამოხატავს; ამას ვერ ვიტყვით ფორმა — გარკვეულობის შესახებ. ფორმა — გარკვეულობას არ შეუძლია მთელი საგნის, მოვლენის გარკვეულობა გამოხატოს. იგი, თვისებრივად გარკვეული საგნის, მოვლენის ერთი მხარეა და ამდენად მთელ საგანს, მოვლენას კი არ უპირისპირდება. მთელი საგნის, მოვლენის [illegible] გარკვეულობაა), არამედ ამ საგნის, მოვლენის ერთ მხარეს — შინაარსს უპირისპირდება და მისი გარკვეულობაა. ფორმა — გარკვეულობა, როგორც საგნის, მოვლენის ერთი მხარის — შინაარსის, გარკვეულობა არ შეიძლება თვისებრიობა — გარკვეულობის როგორც მთელი საგნის, მოვლენის შინაგანი გარკვეულობის, იგივეობრივი იყოს. ამდენად, მათ შორის არსებობს განსხვავება. მართალია, ორივე საგანთა, მოვლენათა გარკვეულობაა, მაგრამ განსხვავებული მხარეებით.

ფორმის, როგორც გარკვეულობის, განხილვასთან მოვლენისა და ფორმის მსგავსების და განსხვავების საკითხიც უნდა იქნეს აღნიშნული. მოვლენასა და ფორმას აქვთ საერთო ნიშნები, მაგრამ ეს საერთო ნიშნები მსგავსია და არა იდენტური. როგორც ფორმის, ასევე მოვლენის საერთო, მსგავს ნიშნად უნდა იქნეს მიჩნეული გარეგნობა, რომელიც მათ თავიანთ წყვილ კატეგორიებთან ახასიათებთ, როგორც მოვლენას, ასევე ფორმას (პირველს არსებასთან და მეორეს შინაარსთან მიმართებაში) გარეგნობა ახასიათებს; მოვლენა გარეგანი მხარის გამომხატველია; მოვლენაში გამოხატული არსებითად ის გარეგნობაა, რაც გრძნობათა ორგანოებში გვეძლევა. ფორმასაც ახასიათებს გარეგნობის გამოხატვა, მაგრამ რა თქმა უნდა, გარეგან ფორმას. იგი შინაარსის გარეგანი მხა-

რეა. უფრო ზოგადად, ყოველ მოვლენას ახასიათებს ფორმა. ყოველი საგანი, მოვლენა, როგორც ცალკეული, თავისი საკუთარი გარეგნული ფორმით არსებობს. ეს ფორმა, უდავოდ, გრძნობადკონკრეტულია, აღქმაშია მოცემული და ისევე გარეგნულია, როგორც მოვლენის გარეგნობა. ფორმის ეს მხარე, გარეგნობა ისევე უშუალოდ მოცემული გვეელინება, როგორც მოვლენის გარეგნობა, მაგრამ ეს მსგავსება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მოვლენისა და ფორმის იგივეობა ვამტკიცოთ. მოვლენასა და ფორმას შორის და მათ შესაბამის ცნებებს შორის თვისებრივი განსხვავებულობაა. მოვლენისათვის არსებითობა გარეგნობაშია, ფორმაზე ამის თქმა ყოვლად შეუძლებელია. ფორმის არსებითობა არ დაიყვანება მის მხოლოდ გარეგნულ გამოხატულებაზე, გარეგან ფორმაზე. ფორმა არა მხოლოდ შინაარსის გარეგანი გარსის როლს ასრულებს, არამედ, რაც მთავარია და არსებითი, შინაარსის შინაგანი ორგანიზაციაა. ამ მიმართებით ფორმა არსებითად განსხვავებულია მოვლენისაგან. ეს არსებითი განსხვავება მას (ფორმას) უფრო აახლოებს შინაარსსა და არსებასთან.

გარდა ამისა, მოვლენისა და ფორმის განსხვავებულობა მრავალი სხვა მიმართებაშიც ვლინდება. მაგ., ფორმა აქტიურ უკუზეშოქმედებას ახდენს შინაარსზე; აქტიურ როლს ასრულებს შინაარსის განვითარებაში, აჩქარებს ან ანელებს მას; ამას ვერ ვიტყვით მოვლენაზე.

6. **გარეგანი და შინაგანი ფორმა.** არსებობს გარეგანი და შინაგანი ფორმები, ამიტომაც საგანთა და მოვლენათა ფორმები უნდა დაიყოს გარეგანად და შინაგანად. წინააღმდეგ შემთხვევაში ცალმხრივ განსაზღვრებებს მივიღებთ, ან დავიყვანთ ყველა ფორმას მხოლოდ შინაგანზე ან მხოლოდ გარეგან ფორმაზე, რაც შეცდომაა.

აღიარება იმისა, რომ ფორმა მხოლოდ გარეგანია, ან მხოლოდ შინაგანი, არსებითი და არაარსებითი, შემთხვევითი და აუცილებელი, ფორმების გაიგივებას ნიშნავს. თუ ვიტყვით, რომ ფორმა მხოლოდ გარეგანი გარკვეულობაა, მაშინ არსებითი ფორმები დაგვყავს არაარსებითამდე, პირიქით, თუ მივიჩნევთ, რომ ყველა ფორმა შინაგანია და ამდენად არსებითიც და აუცილებელიც, მაშინ ყველა ფორმა არსებითზე დაგვყავს. მხოლოდ არსებით ფორმათა აღიარება ისევე მცდარია, როგორც მხოლოდ არაარსებითისა.

შინაგანი ფორმა არასდროს არ შეიძლება თავისი შინაარსის

შემთხვევითი ფორმა იყოს, იგი აუცილებელი ფორმაა; ამავე დროს იგი არასდროს არ არის თავის შინაარსთან გულგრილ დამოკიდებულებაში, რადგან საგნის, მოვლენის შინაგან მხარეს წარმოადგენს, სხვაგვარად, საგანთა და მოვლენათა შინაგან ორგანიზაციას შეადგენს.

გარეგანი ფორმა შეიძლება თავის შინაარსის აუცილებელი ფორმა იყოს, თანაც შემთხვევეთიც. რამდენადაც შემთხვევით დამოკიდებულებაშია იგი თავის შინაარსთან, ამდენად შეიძლება იყოს გულგრილი, განურჩეველი საკუთარი შინაარსისადმი; სხვაგვარად — შემთხვევითი, გულგრილი შეიძლება თავის შინაარსთან გარეგანი ფორმა იყოს იმიტომ, რომ იგი თავისი გარკვეულობით შინაგანი მხარე კი არ არის, არამედ გარეგანი; რომ იგი გარეგანი გარკვეულობაა და არა შინაგანი, — ეს ხდის მას შემთხვევითსა და გულგრილს შინაარსისადმი. აქვე უნდა ითქვას, რომ გარეგანი ფორმა საერთოდ კი არ არის შემთხვევითი და გულგრილი ყოველგვარი შინაარსისადმი იმდენად, რამდენადაც უშინაარსო ფორმა არ არსებობს, თუ არსებობს ფორმა, მას თავისი შინაარსიც აქვს, ამდენად არც ფორმაა საერთოდ შემთხვევითს კავშირში თავის შინაარსთან, საერთოდ გულგრილი თავისი შინაარსისადმი. როგორც საერთოდ შემთხვევითობა არ არსებობს, არამედ შემთხვევით რაიმესთან მიმართებაშია შემთხვევითი. ასევე გარეგანი ფორმა რაიმე გარკვეულ შინაარსთან მიმართებაშია შემთხვევითი, გარეგანი და არა საერთოდ ყოველგვარი შინაარსისადმი.

გარეგანი ფორმის აღიარება არ ნიშნავს გარეგანი ფორმის შეგრძნებებში მოცემულ ფორმასთან გაიგივებას. საგნის, მოვლენის ის ფორმა, რომელიც შეგრძნებებში გვეძლევა, სრულიადაც არ არის ის გარეგანი ფორმა, რომელზედაც ფორმებს ვყოფთ გარეგან და შინაგან ფორმებად (როგორც საგანთა და მოვლენათა გარეგანი კავშირები სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი შეგრძნებებში შეიძლება იქნენ მოცემულნი კავშირების სახით, ასევე გარეგან ფორმათა აღიარება არ ნიშნავს შეგრძნებებში მოცემულ ფორმასთან მათს გაიგივებას).

რა არის ფორმების გარეგანად და შინაგანად დაყოფის უდავო და აუცილებელი საფუძველი? თვით საგანთა და მოვლენათა შინაგანი და გარეგანი კავშირები, შინაგანი და გარეგანი მიმართებები, მხარეები.

საგანთა და მოვლენათა შინაგანი და გარეგანი კავშირების სა-

ფუძველზე არსებობს შინაგანი და გარეგანი ფორმები. რა არის შინაგანი ან გარეგანი ფორმა? შინაგანი ფორმა არის მოცემულ საგანთა და მოვლენათა ელემენტების შინაგანი კავშირი, შინაგანი ორგანიზაცია. სხვაგვარად, შინაგანი ფორმა არის შინაარსის არსებითი გარკვეულობა, გარეგანი ფორმა კი — მოცემულ საგანთა და მოვლენათა გარეგანი კავშირი, ორგანიზაცია, გარკვეულობა.

ფორმათა შინაგანად და გარეგანად დაყოფა არაა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითია, როგორც არ არსებობენ აბსოლუტური შინაგანი და აბსოლუტური გარეგანი კავშირები, ასევე აბსოლუტური შინაგანი და აბსოლუტური გარეგანი ფორმებიც არ არსებობენ. ის, რაც ერთ შემთხვევაში გარკვეული შინაარსისადმი შინაგანი ფორმაა, სხვა შემთხვევაში ამავე შინაარსისადმი შეიძლება გარეგანი ფორმა იყოს. გარეგანი ფორმა, რომელიც გარკვეულ შინაარსისადმი გარეგანია, საკუთარი, უშუალო შინაარსისადმი არ არის გარეგანი და გულგრილი. სხვაგვარად, გარეგან ფორმად წოდებულს აქვს თავისი საკუთარი, უშუალო შინაარსი, რომლისადმიც ის არ არის განურჩეველი, გულგრილი; სწორედ ამიტომ ყალბი იქნება მტკიცება საერთოდ შინაარსისადმი გულგრილ ფორმათა არსებობის შესახებ. გარეგანი ფორმა შეიძლება იყოს ასეთიც და სხვაგვარიც იმ შინაარსისათვის, რომლისთვისაც ის გარეგანია; მხატვრული ნაწარმოების შინაარსისათვის სულერთია. თუ რა ფორმით გადმოიცემა იგი — დაბეჭდილ წიგნად თუ ხელნაწერად; ამიტომაც მხატვრული ნაწარმოების შინაარსისათვის შემთხვევითია და არა აუცილებელი, თუ რა ფორმით იქნება იგი გადმოცემული. ამდენად გადმოცემის ეს ფორმა მისთვის გარეგანი იქნება. ეს გარეგანი ფორმა მხატვრული ნაწარმოების შინაარსისათვის არ არის შინაგანი ორგანიზაცია. სწორედ ამიტომ იგი მხატვრული ნაწარმოების შინაარსისათვის გარეგანია, მაგრამ საერთოდ კი იგი არ არის ყველა შინაარსისადმი გარეგანი.

აი, ამ აზრით უნდა იქნეს გაგებული ფორმათა დაყოფა შინაგანად და გარეგანად. ასეთი აზრით ფორმათა დაყოფა აგვაცილებს მცდარ მოსაზრებებსა და დასკვნებს.

ისმის კითხვა — თუ საერთოდ არ არის მხოლოდ გარეგანი და მხოლოდ შინაგანი ფორმა, თუ ასეთი დაყოფა შეფარდებითია და ამავე დროს მას, რაც გარეგან ფორმადაა წოდებული, აქვს თავისი საკუთარი შინაარსი, რომლისადმიც იგი არ არის გულგრილი, მაშინ რატომ ვყოფთ ფორმებს შინაგანად და გარეგანად? (ამ კითხ-

ვას ჩვენ ზემოთ ნაწილობრივ ეუპასუხეთ) იმიტომ ვყოფთ, რომ ა) არსებობენ შინაგანი და გარეგანი კავშირები; ბ) შინაგან და გარეგან კავშირთა საფუძველზე საგნები და მოვლენები ერთსა და იმავე დროს არსებობენ როგორც შინაგან, ასევე გარეგან ფორმათა სახით. მხატვრული ნაწარმოებისათვის შინაგანი ფორმა იქნება მხატვრულობა, რომელიც ამ შინაარსის შინაგანი ორგანიზაციაა. მაგრამ ეს შინაარსი (მხატვრული ნაწარმოების შინაარსი) არარსებითი, გარეგანი ფორმით გადმოიცემა.

წყალს, როგორც ნივთიერებას, აქვს თავისი შინაგანი ფორმა, მოლეკულათა შინაგანი ორგანიზაციის სახით, მაგრამ აქვს გარეგანი ფორმაც, გარეგანი არა საერთოდ, არამედ წყლის შინაგანი ორგანიზაციის, მოლეკულათა შინაგანი ორგანიზაციისათვის. წყლის ეს გარეგანი ფორმა გულგრილია წყლის მოლეკულათა შინაგანი ორგანიზაციისადმი, მაგრამ საკუთარი, უშუალო შინაარსისადმი არ არის გულგრილი. კ. მარქსი ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის საფუძვლები“ საუკეთესო დახასიათებას იძლევა იმისას, რომ, განსხვავებით შინაგანი ფორმისაგან, გარეგანი ფორმა გულგრილი, განურჩეველია არა საერთოდ, არამედ მისი არაუშუალო შინაარსისადმი[4].

7. ფორმა, როგორც შინაარსის შინაგანი ორგანიზაცია. ფორმისათვის აუცილებელია გარკვეულობის ნიშანი. ფორმის კატეგორია უდავოდ გარკვეულობას გულისხმობს, მაგრამ ეს ნიშანი ზოგადია. მართალია, იგი აუცილებელია ფორმის კატეგორიისათვის, ფორმა, როგორც კატეგორია, ამ ნიშნის გარეშე არ არსებობს, მაგრამ იგი ფორმის, როგორც კატეგორიის, სპეციფიკურ ნიშანზე ჯერ კიდევ არაფერს ამბობს. ფორმის, როგორც კატეგორიის, სპეციფიკური ნიშანი იქნება ის, რომ იგი საგნის, მოვლენის შინაარსის შინაგანი ორგანიზაციის, სტრუქტურის გამოხატვაა. ფორმის კატეგორია, მისი ზოგადი ნიშანი გარკვეულობასთან ერთად ასახავს საგნის, მოვლენის იმ ობიექტურ მხარეს, რომელიც შინაარსის შინაგანი ორგანიზაცია, სტრუქტურაა.

ფორმის კატეგორია, როგორც შინაარსის გამოხატვის საშუალება, როგორც შინაარსის შინაგანი ორგანიზაცია და შინაარსის გამოაშკარავების ფორმა, თავისი არსებით იგივეობრივი ცნებებია.

---

[4] კ. მ ა რ ქ ს ი, Grundrise der Kritik der Politische Okonomie, 1939, გვ. 265—269.

ამიტომაც, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი ის შეხედულება, თითქოს ფორმა, როგორც შინაარსის გამოხატვის საშუალება, როგორც შინაარსის ორგანიზაცია და როგორც შინაარსის გამოაშკარავების ფორმა თავისი არსებით სხვადასხვაა. ეს ცნებები ფორმა-კატეგორიაში მისი არსების მიმართ ერთსა და იმავე როლს ასრულებენ, აქ არავითარი შინაარსობრივი განსხვავება არ არის; იგივეობრივი არიან იმიტომ, რომ საგნის, მოვლენის შინაარსის გამოაშკარავების ყველა ფორმა იმავე დროს არის ამ საგანთა და მოვლენათა შინაარსის ორგანიზაციის გამოხატვის საშუალება; პირიქითაც, საგანთა და მოვლენათა შინაარსის გამომხატველი ფორმა იმავე დროს ამ შინაარსის გამოაშკარავების ფორმაცაა.

რომ ფორმა საგანთა და მოვლენათა გარკვეულობის გამოხატვასთან ერთად არის ამ საგანთა და მოვლენათა შინაარსის შინაგანი ორგანიზაცია, სტრუქტურა, ამას ბუნების და საზოგადოების ყოველი მოვლენა ადასტურებს.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში არსებობს შეხედულება, რომელიც ამტკიცებს, რომ ფორმა არ არის საგანთა, მოვლენათა შინაარსის შინაგანი ორგანიზაცია, არამედ ის არის შინაარსის ღრმა პროცესების მხოლოდ და მხოლოდ ის ცარიელი გარსი, რომელშიც შეიძლება ჩაისვას ყოველგვარი შინაარსი. რა შეიძლება ითქვას აღნიშნულ შეხედულებათა შესახებ? უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ფორმის ცნება საერთოდ, როგორც ფილოსოფიური კატეგორიისა, გაგებულია მხოლოდ და მხოლოდ ერთი მხრით, გარეგანი ფორმით. ფორმის, როგორც კატეგორიის დაყვანა მხოლოდ და მხოლოდ გარეგანზე, ყალბია; რაც მთავარია, ამ გარეგანი ფორმის მნიშვნელობაც არასწორადაა გაგებული. გარეგანი ფორმის მნიშვნელობა გაიგივებულია „ცარიელი" ფორმის ცნებასთან, სადაც ყოველგვარი შინაარსი შეიძლება ჩაისვას, რომელიც ყოველგვარი შინაარსისადმი შეიძლება გულგრილი იყოს. ფორმის ასეგაგება თვით ფორმის კატეგორიის, როგორც შინაარსის, შინაგანი, ასევე გარეგანი კავშირების ორგანიზაციის უარყოფას ნიშნავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარეგანი ფორმაც მართალია, გარეგანია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი საგანთა და მოვლენათა გარეგანი კავშირების ორგანიზაციაა. ამიტომაც არ არსებობს ყოველგვარი შინაარსისადმი ერთნაირად გამოსადეგი ფორმა. შინაარსს მოწყვეტილი, ყოველი შინაარსისათვის ერთნაირად გამოსადეგი ფორმა არამარტო უშინაარსო და ცარიელი ფორმაა, არამედ

რეალობას მოკლებულიც. ასეთად გაგებული ფორმა თვით ფორმის ცნების საწინააღმდეგოა. ცარიელი ფორმა, რომელშიც ყოველგვარი შინაარსი შეიძლება მოთავსდეს, არ არსებობს. ფორმა ხომ ყოველთვის რაიმეს ფორმაა და იგი, როგორც რაიმეს ფორმა, რაღაც შინაარსს გულისხმობს. სწორია ჰეგელის გამოთქმა — უშინაარსო ფორმა ისევე არ არსებობს, როგორც უფორმო საგანი. კ. მარქსი ფორმის ამგვარ გაგებაზე ამბობს: უშინაარსო ფორმას, ცარიელ ფორმას არა აქვს არავითარი დამოუკიდებელი ღირებულება[5]. ფორმის ნამდვილი მნიშვნელობა მის შინაარსთან კავშირშია მოცემული; ამიტომაც „ფორმა მოკლებულია ყოველგვარ ღირებულებას, თუ ის არ არის შინაარსის ფორმა"[6]. მაშასადამე, ფორმის აზრი და მნიშვნელობა მისი შინაარსის ფორმაშია. ფორმა არის შინაარსის შინაგანი სიცოცხლის გამოვლინება[7]. თუ ფორმა შინაგანი სიცოცხლის გამოვლინებაა, შინაარსის შინაგანი ორგანიზაციაა და მისი გამომჟღავნება (ეს კი ნამდვილად ასეა). მაშინ ყოვლად შეუძლებელია ფორმა შინაარსისათვის იყოს წმინდა გარეგანი გარსი, შინაარსის ზერელე გამოხატულება.

9. **ფორმის შედარებითი მყარობა, დამოუკიდებლობა.** შინარსისაგან განსხვავებით ფორმისათვის დამახასიათებელია შედარებითი მუდმივობა, მყარობა; თუ შინაარსი მუდმივად ცვალებადობისა და განვითარების ტენდენციის გამოხატვაა, ფორმა შედარებით მუდმივობას, სიმყარეს გამოხატავს. ფორმა, როგორც საგნის არსებობის საშუალება, როგორც საგნის გარკვეულობა, როგორც შინაარსის შინაგანი ორგანიზაცია, შედარებითი მუდმივობით, სიმყარით ხასიათდება. ეს სიმყარე, მუდმივობა შედარებითია და არა მუდმივი. ფორმის სიმყარის მიჩნევა მუდმივად ისევე მცდარია, როგორც სიმყარის, შედარებით მუდმივობის სრული უარყოფა. ორივე ცალმხრივი უკიდურესობაა. თუ ვიტყვით, არაფერი მყარი არ არის, არაფერი შედარებით მუდმივი არ არის, მაშინ ეს იქნებოდა უკიდურესი რელატივისტური შეხედულება. ასეთი თვალსაზრისი ბუნებისა და საზოგადოების კანონთა უარყოფასა და შემეცნების შესაძლებლობაზე ხელის აღებას ნიშნავს. შემეცნება სწორედ იმიტომაა შესაძლებელი, რომ გარკვეულობა არსებობს. რო-

---

[5] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. I, М., 1955, стр. 158.
[6] იქვე, გვ. 159.
[7] იქვე, გვ. 158,

გორი ცვალებადი და განვითარებაში მყოფიც არ უნდა იყოს საგანი, მოვლენა, იგი მაინც არის გარკვეულობის მქონე. გარკვეულობის გარეშე თვითონ იგი დაკარგავდა იმ სახით არსებობას, რა სახითაც იგი გარკვეულობის მომენტში არსებობს; ფორმა — გარკვეულობის გარეშე მას არ ექნებოდა განსაზღვრული ადგილი საგნებსა და მოვლენებში. სწორედ ამ გარკვეულობის გამოხატვაა ფორმა; გარკვეულობა, რომელიც ფორმით გამოიხატება, სიმყარითა და შედარებითი მუდმივობით ხასიათდება, გარკვეულობა არის შედარებითი სიმყარე. გარკვეულობის გამოხატვაა ფორმა, და სწორედ ამიტომაც ფორმას ახასიათებს მყარობა. შინაარსის წინაშე ფორმის შედარებითი მყარობა ფორმა — შინაარსის ყოველ ერთიანობაში ცხადად ჩანს.

რომ ფორმა შედარებით მყარია, ეს მისი საკუთარი ბუნებიდან გამომდინარეობს. ფორმა გარკვეულობის გამოხატვაა, მაშასადამე, მისი მყარობა გარკვეულობიდან გამომდინარეა. ფორმის მყარობა, გარკვეულობით გაპირობებული, ფორმის „საკუთარ“ ძალადაა ქცეული. მყარობა როგორც მისი სპეციფიკური კანონზომიერება ფორმის შედარებით დამოუკიდებლობას ცხადყოფს. ფორმა შინაარსთან მიმართებაში შედარებით დამოუკიდებელია. ფორმის შედარებითი დამოუკიდებლობა იმაშია, რომ, მიუხედავად შინაარსის განვითარებისა, იგი ამ შინაარსისათვის რამდენიმე ხნის განმავლობაში იგივეობრივი რჩება. შინაარსის განვითარება— ცვალებადობა არ ემთხვევა ფორმის განვითარება — ცვლილებას. შინაარსის უფრო სწრაფი ცვლილება, ფორმისა კი შედარებით ნაკლები, ფორმის შედარებითი დამოუკიდებლობის მაჩვენებელია. ასე რომ არ იყოს, ე. ი. შედარებით დამოუკიდებელი ხასიათი რომ არ ჰქონდეს ფორმას, მაშინ მისი განვითარება — ცვალებადობა ყოველთვის უნდა ემთხვეოდეს შინაარსის განვითარება — ცვლილებას, მით უმეტეს იმის გამოც, რომ ფორმა შინაარსითაა განსაზღვრული. შინაარსი განმსაზღვრელია, ფორმა განსაზღვრული. მიუხედავად ამისა, ფორმა უფრო ნელა იცვლება, ვიდრე შინაარსი. ამაშია მისი შედარებითი დამოუკიდებლობა.

10. **ფორმის განმსაზღვრელობა, აქტიურობა.** შინაარსი არის წამყვანი. განმსაზღვრელი ფორმისა. ფორმას არ შეუძლია განსაზღვროს შინაარსი, ფორმას არ შეუძლია წარმოშვას შინაარსი, არ შეუძლია იყოს თავისი შინაარსის საფუძველი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ფორმას მთლიანად წართმეული ჰქონდეს განმსაზღვ-

რელობის როლი შინაარსის მიმართ. შინაარსის აქტიურობა, განმსაზღვრელობა არა თუ გამორიცხავს, არამედ თავისში მოიცავს ფორმის განმსაზღვრელსა და აქტიურ როლს. ფორმასაც აქვს განმსაზღვრელობის, აქტიურობის ძალა. მაგრამ ფორმის განმსაზღვრელობა შინაარსის მიმართ შედარებითია, მაშინ, როცა შინაარსისი განმასზღვრელი როლი ფორმის მიმართ აბსოლუტური ხასიათისაა. შინაარსისა და ფორმის ურთიერთობაში რომ მხოლოდ ცალმხრივი განმსაზღვრელობა იყოს, ე. ი. მხოლოდ შინაარსს მიეკუთვნებოდეს განმსაზღვრელობა, მაშინ ფორმა სავსებით მოკლებული იქნებოდა აქტიურობას, იგი წმინდა პასიური იქნებოდა, მაგრამ რაკი ფორმაც განმსაზღვრელის როლს ასრულებს, იგი აქტიურია. ფორმის შინაარსის მიმართ შედარებითი განმსაზღვრელობა არის ფორმის აქტიურობა. ფორმის აქტიური როლი შინაარსის წინაშე, უპირველეს ყოვლისა, იმაშია, რომ ის არის შინაარსის ორგანიზაცია და გამოხატვა. თუ ფორმა შინაარსის მიმართ ამ განმსაზღვრელ ფუნქციას არ შეასრულებს, მაშინ დაკარგავს შინაარსის ორგანიზაციის ფუნქციას.

ფორმის აქტიური, განმსაზღვრელი როლი შინაარსის მიმართ ორგვარია. ფორმა შინაარსის განვითარებაზე აქტიურ ზეგავლენას ახდენს, შინაარსის განვითარების აქტიური მამოძრავებელი ძალაა; მაგრამ ფორმის უკუზემოქმედება შინაარსზე ხშირად შინაარსის ნორმალურ განვითარებას ხელს უშლის. ფორმის ზემოქმედება შინაარსზე, როგორც ერთი, ასევე მეორე მხრივ ფორმის აქტიურობას ასაბუთებს. ამიტომაც მცდარია ფილოსოფიის ისტორიიდან ცნობილი თვალსაზრისები ფორმისა და შინაარსის ურთიერთდამოკიდებულებაზე, როცა დასაბუთებულია მხოლოდ შინაარსის განმსაზღვრელობა, მისი აქტიურობა და ფორმის და ყველა მისი ნიშან-თვისების ნულამდე დაყვანა. ასევე მცდარია დასაბუთება იმისა, რომ ფორმას შეუძლია განსაზღვროს შინაარსი წარმოშობის მიხედვით, რომ ფორმა არა შედარებითი, არამედ აბსოლუტური განმსაზღვრელია შინაარსისა.

11. **შინაარსის განსაზღვრა.** ზემოთ მივუთითეთ, შინაარსისათვის არსებით დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე: განუწყვეტელ განვითარება — ცვლილებასა და ფორმის მიმართ მის განმსაზღვრელ როლზე. შინაარსი დავახასიათეთ, როგორც საგანთა და მოვლენათა ძირითადი ელემენტების კავშირი. აღნიშნული ნიშან-თვისება შინაარსისათვის, შეიძლება ითქვას, არსებითია, მაგრამ ამ

არსებითთა შორის არის უარსებითესი ნიშანიც. ის, რაც შინაარსისათვის უარსებითესია თვითონ შინაარსის განსაზღვრებაცაა. შინაარსი არის საგნის, მოვლენის ძირითადი ელემენტების კავშირი. განსაზღვრება — შინაარსი საგნის, მოვლენის ძირითადი ელემენტების კავშირია — ყოველი საგნისა და მოვლენის შინაარსს აკმაყოფილებს. ამ განსაზღვრების გარეთ არ რჩება სინამდვილის არცერთი მოვლენა. იგი სწორ განსაზღვრებად უნდა ჩაითვალოს. იგი არ არის არც ვიწრო და არც ფართო, ამის გამო მცდარია მოსაზრება, რომელიც შინაარსის ამ განსაზღვრებას ვიწროდ მიიჩნევს. იგი შინაარსის ცნების განსაზღვრებისათვის გამოუსადეგარია. თუ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით რომელიმე საგნის, მოვლენის ძირითადი ელემენტები, ამ ძირითადი ელემენტების კავშირი, როგორც შინაარსი, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ შინაარსის განსაზღვრება, როგორც ძირითადი ელემენტების კავშირისა, საგანთა და მოვლენათა შინაარსის ნაწილს აკმაყოფილებდეს და ნაწილს არა. სხვაგვარად, ამ განსაზღვრებათა გარეთ რჩებოდეს საგანთა, მოვლენათა შინაარსის ნაწილი, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული განსაზღვრება, მართლაც, ვიწრო იქნებოდა, რის გამოც იგი როგორც უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიის — შინაარსის კატეგორიის — განსაზღვრა მიუღებელი, გამოუსადეგარი იქნებოდა.

ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ განსაზღვრებანი „შინაარსი არის ელემენტთა ერთობლიობა", „შინაარსი არის საგნის ელემენტების კავშირი" — სრული სახით ვერ მოიცავენ სინამდვილის მრავალფეროვან მოვლენებს; ისინი არიან ვიწრო განსაზღვრებანი და არაფერს ამბობენ ისეთი მოვლენების, მაგალითად, ცოცხალი ბუნების, სახელმწიფოს, ომის, რევოლუციის შინაარსზე. ამიტომაც ცდილობენ მოგვცენ ისეთი განსაზღვრება, რომელიც საგანთა და მოვლენათა ყველა შინაარსის შემცველი იქნება. ზოგიერთი ეს განსაზღვრება ასეთია: შინაარსი არის განვითარების სიღრმისეული პროცესი დაპირისპირებულთა ბრძოლს გზით, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომაკვდავსა და განვითარებადს შორის; შინაარსის ცნება ასახავს ობიექტური მხარის ისეთ განუწყვეტელ განვითარებას, რომელიც მოცემულ ისტორიულ პირობებში საგნის არსებაა; შინაარსი არის საგანთა და მოვლენათა შინაგანი, განმსაზღვრელი და განუწყვეტლად ცვალებადი მხარე; შინაარსი არის ყოველი საგნის ან მოვლენის არსებითი და ამასთანავე ყველაზე მოძრავი და ცვალებადი მხარე.

რა შეიძლება ითქვას ამ განსაზღვრებათა შესახებ? უპირველეს ყოვლისა ის, რომ აქ ჩამოთვლილია შინაარსისათვის დამახასიათებელი როგორც ზოგი არსებითი ნიშანი, ასევე არაარსებითიც. ამის გამო აღნიშნული განსაზღვრებანი მეტად ფართო, შემთხვევითი ხასიათისანი არიან. მათში ნაჩვენები არ არის ის სპეციფიკური ნიშანი, ის უარსებითესი მხარე შინაარსის, რომლითაც შინაარსი, როგორც შინაარსი და არა სხვა რაიმე, მსგავსი მოვლენებისაგან განსხვავდება. აღნიშნული განსაზღვრებანი ნაკლებ შესაძლებლობას იძლევიან შინაარსის სხვა მოვლენებისაგან მკვეთრად განსხვავებისათვის. ეს კი, უდავოდ, განსაზღვრების ნაკლოვანებაა. მეორე, აღნიშნულ განსაზღვრებებში ტენდენცია იქითკენ არის, რომ შინაარსის კატეგორია თითქმის გაიგივებულია არსებასთან; მესამე, აღნიშნულ განსაზღვრებებში, მართალია, ის ნიშნებია ჩამოთვლილი, რაც შინაარსს როგორც კატეგორიას, ახასიათებს (მაგ., განუწყვეტელი განვითარება, მოძრაობა, ცვლილება, ბრძოლა ძველს ადა ახალს შორის და სხვ), მაგრამ ამ ნიშნებით შინაარსის განსაზღვრება არ შეიძლება, ვინაიდან ისინი არ არიან ისეთი ნიშნები, რომლითაც შინაარსის ცნება განისაზღვრება. დასახელებული ნიშნები, მართალია, დაპირისპირებულია ფორმის ნიშნებთან, ფორმისათვის დამახასიათებელ ნიშანთა საპირისპირონი არიან, მაგრამ არ არიან შინაარსის უარსებითესი ნიშნები იმის გამო, რომ შინაარსი სხვა, უფრო უარსებითესი ნიშნით ხასიათდება. ეს უარსებითესი ნიშანი, ფორმის უარსებითეს ნიშანთან დაპირისპირებულობაში, შინაარსის არსებას გამოხატავს, სწორედ ამიტომ შინაარსიც იმ ნიშნით უნდა განისაზღვროს, რომელიც მის არსებას აჩვენებს. ასეთია სწორედ განსაზღვრება — შინაარსი არის (საგანთა და მოვლენათა) ძირითადი ელემენტების კავშირი.

12. **ფორმის განსაზღვრა.** ფორმისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ნიშან-თვისება: გარკვეულობა, შინაარსის შინაგანი ორგანიზაცია, შედარებითი განმსაზღვრელობა, შედარებითი მყარობა, აქტიურობა, ცალ-ცალკე განვიხილეთ. ესენი, როგორც ფორმის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშნები, ამავე დროს უპირისპირდებიან შინაარსის ნიშნებს. კითხვას — როგორ უნდა განისაზღვროს ფორმის კატეგორია? ვუპასუხებდით: იგი უნდა განისაზღვროს თვით ამ ცნების უძირითადესი და უარსებითესი ნიშნით. როგორც ყოველ საგანს, მოვლენას, ასევე ფორმასაც არსებითი ნიშნები გააჩნია. ფორმის არსებით ნიშნებად ის უნდა იქნეს მიჩნეუ-

ლი. რის გარეშეც ფორმა, როგორც კატეგორია, არ არსებობს. ფორმის ასეთი ნიშნებია: გარკვეულობა და შინაარსის შინაგანი ორგანიზაცია. მას სხვა ნიშნებიც აქვს, მაგრამ ეს ორი ნიშანი ფორმის კატეგორიისათვის ისეთია, რომლის გარეშე ფორმის ცნება არ არის. ფორმის ამ არსებით ნიშანთა შორის ერთ-ერთ უარსებითესად უნდა ჩაითვალოს და ფორმა სწორედ ამ უარსებითესი ნიშნის საფუძველზე უნდა განისაზღვროს. ფორმისათვის ასეთი უარსებითესი, სპეციფიკური ნიშანია შინაარსის შინაგანი ორგანიზაცია. **ფორმა არის შინაარსის შინაგანი ორგანიზაცია.** უმართებულო იქნებოდა აღნიშნული განსაზღვრების ვიწროდ ჩათვლა იმის გამო, რომ ის საგანთა და მოვლენათა შინაარსის ყველა ფორმას ვერ აკმაყოფილებს; ფორმათა ნაწილს აკმაყოფილებს და ნაწილს არა. არ არსებობს საგანი, მოვლენა, რომელთა შინაარსი შინაგანი ორგანიზაციის გარეშე იყოს. სწორედ ამიტომ აღნიშნული განსაზღვრება სწორად აჩვენებს ფორმის უარსებითეს ნიშანს—შინაარსის შინაგან ორგანიზაციას.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში ფორმის სხვადასხვაგვარი განსაზღვრებაც არსებობს. ფორმის კატეგორიის მეტად ფართო განსაზღვრებათა რიგს მიეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრება: ფორმა არის საგანთა და მოვლენათა შინაარსით განსაზღვრული გარკვეულობა, ან ფორმა არის გარკვეულობა. ფორმას, როგორც კატეგორიას, ეს ნიშანი, უდავოდ, ახასიათებს. ეს ისეთი ნიშანია, რომლის გარეშე ფორმა, როგორც კატეგორია, ნამდვილად არ არსებობს. მაგრამ თუ მხოლოდ ამ ნიშნით დავკმაყოფილდებით, მაშინ ეს განსაზღვრება მეტად ფართო იქნება და ვერ ვაჩვენებთ ფორმის განსაკუთრებულ, სპეციფიკურ ნიშანს, რომ ასეთი განსაზღვრება მეტად ფართოა და აბსტრაქტული, ამას თვით ასეთ განსაზღვრებათა ზოგიერთი ავტორიც გრძნობს. მაგ., ამბობენ: ფორმის განსაზღვრება — ფორმა არის საგნის, მოვლენის შინაარსით განსაზღვრული გარკვეულობა, რომელშიც შინაარსი თავისთავს გამოხატავს — მეტად ზოგადი, აბსტრაქტულიაო. კითხვას ვსვამთ: თუ ეს განსაზღვრება მეტად ზოგადია, აბსტრაქტულია, მაშინ იგი გამოხატავს თუ არა განსასაზღვრი საგნის, მოვლენის არსებას? ამ შემთხვევაში ფორმის მეტად ზოგადი განსაზღვრება გამოხატავს თუ არა ფორმის არსებას? რა თქმა უნდა, არა; არ გამოხატავს იმიტომ, რომ მეტად ზოგად განსაზღვრებაში განსასაზღვრი მოვლენის სპეციფიკურობა დაკარგულია.

მეტად ფართო განსაზღვრებათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ. აგრეთვე, განსაზღვრება: ფორმა არის შინაარსის შინაგანი სიცოცხლის გამოვლინება, შინაარსზე დამოკიდებული. მაგრამ შედარებით აქტიური, მყარი და დამოუკიდებელი, რომლის არსებობის საშუალება იცვლება შინაარსის ობიექტური ტენდენციით. აღნიშნული განსაზღვრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ. ჯერ ერთი, განსაზღვრებას არ შეუძლია და ვალდებულიც არ არის განსასაზღვრი ცნების ყველა ნიშანი აჩვენოს, არა თუ ყველა ნიშანი. არამედ სავალდებულოც არ არის ნაჩვენები იყოს ყველა არსებითი ნიშანი, თუ ამ არსებით ნიშანთა შორის არის უარსებითესი. განსაზღვრება სრულყოფილად ჩაითვლება ერთი უარსებითესი ნიშნის ჩვენებითაც. მეორე. განსაზღვრებაში ერთი ნიშანი იქნება ნაჩვენები თუ ორი, სამი თუ ოთხი, ისინი უნდა ასახავდნენ განსასაზღვრი მოვლენის სპეციფიკურობას და უნდა იყვნენ არსებითი ნიშნები. თუ განსასაზღვრი მოვლენის სპეციფიკურობას ერთი ნიშანი ვერ ასახავს და მას სჭირდება მეორე. მესამე ნიშანი. სრულყოფილ განსაზღვრებაში ყველა არსებითი ნიშანიც შეიძლება ჩამოთვლილ იქნას, მაგრამ ფორმის ზემომოყვანილ განსაზღვრებაში სრულიადაც არ არის ნაჩვენები ფორმის კატეგორიისათვის ისეთი არსებითი ნიშნები, რომლის გარეშე ფორმა, როგორც კატეგორია არ არსებობს — სახელდობრ, გარკვეულობა, შინაარსის შინაგანი ორგანიზაცია, — რის გამოც ეს განსაზღვრება მეტისმეტად ფართოა.

არის ფორმის შემდეგი სახის განსაზღვრებაც: ფორმა არის შინაგანი ორგანიზაცია, სტრუქტურა, შინაარსის გამოხატვის საშუალება, მისი ორგანიზაციის პრინციპი. ამ განსაზღვრებაში ზედმეტსიტყვაობა და ტავტოლოგია გვაქვს. „შინაგანი ორგანიზაცია“, „სტრუქტურა“, „გამოხატვის საშუალება“, „ორგანიზაციის პრინციპი“ — ყველა თავისი არსებით ერთი და იმავე შინაარსის გამომხატველი ტერმინია, ერთსა და იმავე შინაარსობრივ როლს ასრულებს ფორმის კატეგორიის მიმართ. ჩვენ აღვნიშნეთ ზემოთ. რომ აღნიშნული ფორმები თავისი **არსებით** იგივეობრივი არიან, განსაზღვრებამ კი სწორედ არსებითი უნდა აჩვენოს. არის ფორმის ისეთი განსაზღვრებაც, სადაც ფორმა განსაზღვრულია, როგორც კანონი. ფორმა არის კანონი; ფორმა არის მოვლენის კანონი; ფორმა არის შინაარსის ელემენტთა აგების კანონი. ფორმა არის ელე-

ვენტთა კავშირის კანონი[8]. ფილოსოფიის ისტორიის ასპექტში საკითხი ასე დაყენებული ჰქონდათ ბეკონს, კანტს, ჰეგელს.

ბეკონის აზრით, მეცნიერების მიზანია საგანთა თვისებების ფორმების აღმოჩენა. ფორმა არის საგანთა თვისებების საერთო წყარო, ანუ მიზეზი, ფორმა არის საგანთა შემქნელი ბუნება; ფორმა არის საგანთა შინაგანი არსება, ფორმა, როგორც საგანთა შინაგანი არსება, კანონიცაა. კანონი ფორმაა და ფორმა კანონია. ბეკონის თქმით, ერთი და იგივეა ფორმა სითბოსი ან სინათლისა და კანონი სითბოსი ან კანონი სინათლისა[9]. ფორმა, როგორც კანონი, ფორმის ცნების ძირითადი შინაარსია ბეკონის ფილოსოფიაში.

კანტიც ფორმას არსებითად კანონთან აიგივებს. ეს მთელი მისი ფილოსოფიური მოძღვრებიდან ჩანს. სუბსტანციაზე მსჯელობისას კანტის აზრი ასეთია: სამყარო შედგება სუბსტანციებისაგან. სუბსტანციათა ურთიერთკავშირი და დამოკიდებულება, თვით სუბსტანცია არსიდან არ გამოდის. სუბსტანციები შემთხვევით ერთიანობაში არიან და ამის გამოც არ არიან მთლიანი. სუბსტანციათა შემთხვევითი კავშირები აუცილებელ კავშირებად გარდაიქცევიან მხოლოდ ფორმის მოქმედების შედეგად. ფორმის არსება სუბსტანციათა კოორდინაციაში, მოწესრიგებაში მდგომარეობს. ფორმა კოორდინაციას უკეთებს, აწესრიგებს სუბსტანციას[10], კავშირს ამყარებს მათ შორის, ერთ მთლიანობაში ხდის სუბსტანციებს[11]. სამყაროს ნაწილთა კავშირი ფორმის სამყაროს მიერაა გაპირობებული. ფორმა არის საფუძველი საყოველთაო კავშირისა. ფორმა ქმნის სუბსტანციებს ნამდვილ სამყაროდ. ფორმა სამყაროს არსებითი კავშირია. სამყაროს მუდმივი ფორმები საგანთა წესრიგის წყაროა.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მოვლენათა სამყაროშიც. აქ ფორმისა და შინაარსის პრობლემა უშუალოდ დაკავშირებულია გრძნობადობისა და განსჯის საკითხთან. გრძნობად — ჭვრეტითი შინაარსია, განსჯა—წმინდა ცნება, ანუ ფორმა. გრძნობადობა, რომელიც ობიექტთა ზემოქმედებითაა წარმოშობილი, ქაოსურია. ეს ქაოსური შეგრძნებები მოითხოვენ ერთმანეთთან კოორდინირებას, მოწესრიგებას, სწორედ ამ ქაოსურ მდგომარეობაში მყოფ შეგრძნებათა ერთმანეთთან დაკავშირებას, კანონზომიერ მთლიანობაში

---

[8] В. С. Библер, О системе категорий диалектической логики, Сталинабад, 1958, стр. 132.

[9] Ф. Бекон, Новый органон, М., 1938, გვ. 132.

[10] И. Кант, Сочинения, т. 2, М., 1964, გვ. 410.

[11] იქვე, გვ. 409.

მოყვანას ასრულებს ფორმა (განსჯა). ფორმა არის შეგრძნებათა კოორდინაციის კანონი. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ რომ კანტის მიერ ფორმის ცნება მოხმარებულია ფართო და ვიწრო მნიშვნელობით, თუმცა ორივე შემთხვევაში ფორმის ცნება კანონის როლს ასრულებს. ფორმის ცნება ვიწრო მნიშვნელობით ემთხვევა კატეგორიებზე მოძღვრებას. კანტის მიერ ჩამოთვლილი თორმეტივე კატეგორია ფორმაა. რომლებიც განხილულია, როგორც კატეგორიები, განსჯის წმინდა ცნებები. მაგრამ კატეგორიები, როგორც ფორმები, ვერ ამოწურავენ ფორმათა მოცულობას საერთოდ. დრო და სივრცეც ხომ ფორმებია, მაგრამ არა განსჯის წმინდა ცნებები, კატეგორიები, დრო და სივრცე კატეგორიულად გამორიცხულია კატეგორიათა რიცხვიდან. ამიტომაც კანტისათვის ფორმათა ნაწილი განსჯის წმინდა ცნებებია და ნაწილი ჰვრეტითი ფორმები. როგორც განსჯის წმინდა ცნებები აწესრიგებენ შეგრძნებათა ქაოსურ შინაარსს, ასეთივე მომწესრიგებელ როლს ასრულებს დრო და სივრცე. მაგალითად, დრო, როგორც ფორმა, წინ უსწრებს სუბსტანციებსა და მათ აქციდენციებს. სუბსტანციები კოორდინაციაქმნილია დროის, როგორც ფორმის, საშუალებით. სივრცე, როგორც ჰვრეტითი ფორმა, აღქმით მოცემულის მომწესრიგებელია.

ჰეგელის მიხედვით, ფორმას მიეკუთვნება საერთოდ ყოველი გარკვეულობა, — ეს არის მისი განსაზღვრება, მაგრამ იგი გარკვეულობაზე, როგორც ფორმის განსაზღვრებაზე, არ სვამს წერტილს. მისი აზრით, განვითარებული ფორმა არის კანონი. „ფორმა არის შინაარსი, ხოლო თავისი განვითარებულ განსაზღვრულობაში ის არის მოვლენის კანონი"[12].

ფორმის, როგორც კანონის, განსაზღვრებათა შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი არ არიან მართებულნი შემდეგი ძირითადი მიზეზის გამო: საერთოდ ცალკე კატეგორია არ არის კანონი, ეს ფორმაზეც ეროცელდება. ეს ფარდობითი კატეგორიათა კანონია. საგანთა და მოვლენათა შინაარსი, როგორც კატეგორია, ყოველად შეუძლებელია ამ საგანთა და მოვლენათა კანონი იყოს. არც ფორმა, როგორც კატეგორია ცალკე აღებული არ არის კანონი, შინაარსისა და და ფორმის აუცილებელი კავშირი არის ერთ-ერთი უზოგადესი კანონი, ამის გამო ფორმის კატეგორიის განსაზღვრება ცალკე, როგორც კანონისა, არ არის სწორი.

---

[12] ჰ ე გ ე ლ ი, ლოგიკის მეცნიერება, ნაწილი პირველი, 1962, თბ., გვ. 293.

შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიები

შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიები არის მატერიალური სამყაროს როგორც მთლიანის ისეთი უზოგადესი მხარეების ასახვა, როგორიცაა შესაძლებლობა და სინამდვილე. შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიები პირველ რიგში თვით შესაძლებლობისა და სინამდვილის ცნებების გარკვევას მოითხოვს. ამას ის ფაქტიც განაპირობებს, რომ ფილოსოფიურ ლიტერატურაში არსებობს დასახელებული კატეგორიების, განსაკუთრებით სინამდვილის კატეგორიის ერთიმეორისაგან განსხვავებული გაგება.

რა არის სინამდვილისა და შესაძლებლობის ცნებები? სინამდვილე არის ის, რაც არსებობს, განხორციელებულია. არსებობის მიხედვით, რა თქმა უნდა, შესაძლებლობაც არსებობს. არსებობის ნიშანი ორივესათვის საერთოა, ვინაიდან არსებობა ორივესათვის აუცილებელია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სინამდვილე და შესაძლებლობა ერთიმეორისაგან არსებობის წესით, ხასიათით განსხვავდებიან. სინამდვილე განხორციელებული შესაძლებლობაა, ხოლო შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული სინამდვილე. სინამდვილის კატეგორიის არსებითი ნიშანია განხორციელებული შესაძლებლობა. ამ ნიშნით იგი არსებითად განსხვავდება ყველა სხვა კატეგორიისაგან. ამ აზრით სინამდვილის კატეგორია არის განხორციელებული შესაძლებლობის ასახვა. სინამდვილე არის განხორციელებული შესაძლებლობა.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში არსებობს შეხედულება, მეტად გავრცელებულიც, რომლის მიხედვით „სინამდვილის" ცნება მოხმარებულია ორი მნიშვნელობით: სინამდვილე ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით და სინამდვილე ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. სინამდვილის ცნებაში ფართო გაგებით იგულისხმება ობიექტური რეალობა მთლიანობაში, მთელი ჩვენი გარემომცველი

ობიექტური რეალობა. იგი ეხება მხოლოდ სამყაროს მთლიანობაში. სინამდვილის ცნება ვიწრო მნიშვნელობით გულისხმობს ობიექტურ სამყაროს არა მთლიანობაში, არამედ მის გარკვეულ მხარეს, მომენტს, როდესაც იგი გამოხატავს მატერიალური სამყაროს ცალკეულ მხარეებს, ბუნებისა და საზოგადოების კონკრეტულ პროცესებს. უფრო ზუსტად, სინამდვილის ცნება ვიწრო მნიშვნელობით ასახავს ცალკეულ საგნებში სინამდვილის მომენტებს. სინამდვილის ცნებების ასეთი გაგება მიჩნეულია სინამდვილის კატეგორიად, სადაც სინამდვილე გაგებულია როგორც განხორციელებული შესაძლებლობა და შესაძლებლობასთან მიმართებაში განიხილება.

სინამდვილის ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, მნიშვნელობით გაგებას, უფრო ზუსტად, სინამდვილის ორი ცნების შემოყვანას არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს თვით სინამდვილეში. სინამდვილის ცნება ერთია, რომელიც აღნიშნავს ყოველივე რეალურად არსებულს, სინამდვილეს როგორც განხორციელებულ შესაძლებლობას. სინამდვილის, როგორც განხორციელებული შესაძლებლობის განსაზღვრება ეხება არა მხოლოდ ცალკეულ, კონკრეტულ საგნებსა და მოვლენებს, არამედ სამყაროსაც მთლიანობაში.

განხორციელებული შესაძლებლობა საერთოა სინამდვილის ცნების ე. წ. ფართო და ვიწრო მნიშვნელობისათვის. ორივე მათგანშია ასახული განხორციელებული შესაძლებლობა. ამის გამოც სინამდვილის განსაზღვრება როგორც განხორციელებული შესაძლებლობისა ეხება როგორც ცალკეულ საგნებს, მოვლენებს, ასევე სამყაროს მთლიანობაში. სამყარო მთლიანობაში არის რეალურად არსებულ საგანთა ერთობლიობა, ხოლო ეს საგანი კი სხვა არაფერია, თუ არა განხორციელებული შესაძლებლობა. ამიტომაც სინამდვილის აღსანიშნავად ორი ცნების მოხმარება „სინამდვილე ფართო" და „სინამდვილე ვიწრო" მნიშვნელობით, ხელოვნურია და ხელშემშლელი.

თვალსაზრისი, რომელიც იცავს სინამდვილის როგორც განხორციელებული შესაძლებლობის სფეროა სინამდვილის რომელიმე კონკრეტული ფორმა და არა სამყარო მთლიანობაში, არგუმენტად მოაქვს ის, რომ სინამდვილე, ობიექტური სამყარო მარადიულია, მოუსპობელია, უსასრულოა დროსა და სივრცეში, ამიტომაც იგი არ არის რომელიმე კონკრეტული შესაძლებლობის რეა-

ლიზაციის შედეგი. ამის გამოც იგი არ წარმოადგენს შესაძლებლობისადმი დაპირისპირებულს.

აღნიშნული შეხედულებისა და მოტანილი არგუმენტის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: I. დასახელებული არგუმენტი ცხადად მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ სინამდვილის ცნება აღრეულია მატერიის ცნებასთან. მატერიის ცნება, მართლაც, შეეფარდება სამყაროს როგორც მთლიანს და ამდენად იგი არაა დაპირისპირებული შესაძლებლობის ცნებასთან. 2. სინამდვილე, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, არ გამორიცხავს შესაძლებლობის არსებობას. შესაძლებლობა ერთ-ერთი ფორმაა სინამდვილისა ამ სიტყვის ე. წ. ფართო მნიშვნელობითაც. შესაძლებლობები სინამდვილეში ამ სინამდვილის გარეშე არსებულ რაიმე ძალებს კი არ შეაქვთ, არამედ არსებობენ თვით ამ სინამდვილეში, როგორც ობიექტური რეალობის, სამყაროს თვითმოძრაობის შედეგი[1]. 3. თუ სინამდვილის კატეგორია, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, როგორც განხორციელებული სინამდვილე მხოლოდ ცალკეულ, კონკრეტულ საგნებსა და მოვლენებს ეხება და არა სინამდვილეს საერთოდ (მისი ფართო გაგებით), არა სამყაროს საერთოდ, არა მთელი ჩვენი გარემომცველ ობიექტურ რეალობას საერთოდ, მაშინ არც სინამდვილის კატეგორია და არც მასთან დაპირისპირებული შესაძლებლობის კატეგორია არ ყოფილა უზოგადესი კატეგორიები, სამყაროს როგორც მთლიანის უზოგადესი მხარეების (მათი შესაბამისი უზოგადესი მხარეების) ამსახველი კატეგორიები.

რა არის შესაძლებლობა? შესაძლებლობა არის ის, რაც ჯერ კიდევ არ არის სინამდვილე; შესაძლებლობა არის ის, რაც ჯერ კიდევ არ განხორციელებულა, არ ქცეულა სინამდვილედ. შესაძლებლობის კატეგორიის არსებითი ნიშანია ის, რომ იგი ჯერ კიდევ განუხორციელებელი სინამდვილეა. ამ ნიშნით იგი არსებითად განსხვავდება ყველა სხვა კატეგორიისაგან. ამ აზრით შესაძლებლობლობის კატეგორია არის ჯერ კიდევ განუხორციელებელის, ჯერ კიდევ სინამდვილედ არ ქცეულის ასახვა. შესაძლებლობა ჯერ კიდევ განუხორციელებელი სინამდვილეა. იგი არის პოტენციური სინამდვილე, მაშინ როცა სინამდვილე განხორციელებული შესაძლებლობაა; შესაძლებლობა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სინამ-

---

[1] А. П. Шептулин, Система категорий диалектики, М., 1967, стр. 353—354.

დვილე, შეიძლება სინამდვილეში გადაიდეს და გახდეს განხორციელებული სინამდვილე.

არსებობის მიხედვით როგორც სინამდვილე, ასევე შესაძლებლობაც რეალურად არსებულია. მაგრამ შესაძლებლობა რეალურად არსებობს მხოლოდ როგორც პოტენციური სინამდვილე. ამ სახით იგი არის სინამდვილის მომენტი და, რა თქმა უნდა, რეალურად არსებობს. მაგრამ როცა შესაძლებლობის შესახებ ვამბობთ, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული სინამდვილე და ამდენად ჯერ კიდევ არ არსებობს სინამდვილეში, ეს ნიშნავს არა არსებობის წესის მიხედვით არარსებობას, არამედ შესაძლებლობის გარკვეული აუცილებელი პირობების განხორციელებამდე მოცემული საგნის სახით არარსებობს. შესაძლებლობა. სანამ იგი აუცილებელი პირობების შედეგად ჯერ კიდევ არ განხორციელებულა, არ გამხდარა განხორციელებული სინამდვილე, არ არის არსებობის მქონე როგორც მოცემული საგანი, თუმცა არსებობის მქონეა მხოლოდ არსებობის წესით, ხასიათით. შესაძლებლობა ასეთი ბუნების მქონეა იმის გამო, რომ იგი ის არის, რაც არ არსებობს, მაგრამ გარკვეული პირობების შემდეგ უნდა განხორციელდეს. შესაძლებლობა, მართალია, არსებობს სინამდვილეში, როგორც შესაძლებელი პოტენციური სინამდვილე, მაგრამ სწორედ ამიტომ იგი არც არსებობს. სწორედ ამიტომ შესაძლებლობა არის ის, რაც არ არის, მაგრამ უნდა იყოს. ამიტომ იგი არის ის, რაც არ არის. შესაძლებლობა შეიძლება იქცეს და არც იქცეს სინამდვილედ. შესაძლებლობა იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია მისი საწინააღმდეგოც. ამიტომაც იგი შეიძლება განხორციელდეს და არც განხორციელდეს. ამ მნიშვნელობით შესაძლებლობა არ არის რეალურად არსებული როგორც განხორციელებული სინამდვილე, სანამ იგი გარკვეული აუცილებელი პირობების შედეგად არ გადაიქცევა სინამდვილედ, არ გახდება განხორციელებული სინამდვილე. მაგალითად, თესლში მოცემულია შესაძლებლობა იმისა, რომ მისგან წარმოიშვას და განვითარდეს მცენარე; ადამიანის ჩანასახში მოცემულია ადამიანის წარმოშობის შესაძლებლობა, მაგრამ როგორც თესლში მოცემული, ასევე ადამიანის ჩანასახში მოცემული შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის სინამდვილე. როგორც მოცემული საგანი. როცა შესაძლებლობა გარკვეული პირობების შედეგად განხორციელდება, მაშინ მიიღება გარკვეული სინამდვილე. თესლში მოცემული შესაძლებლობის განხორციელება გარკვეულ

პირობებში გარკვეულ სინამდვილეს, მცენარეს გვაძლევს. ადამიანის ჩანასახში მოცემული შესაძლებლობის განხორციელება გარკვეულ პირობებში, გარკვეულ (კონკრეტულ) სინამდვილეს, ადამიანს გვაძლევს.

შესაძლებლობის ბუნების გარკვევა აუცილებლობით მოითხოვს შესაძლებლობათა განსხვავებული ფორმების გარკვევა — დახასიათებასაც. შესაძლებლობათა მრავალ ფორმას განასხვავებენ, რომელთაგან ძირითადი სამია: რეალური შესაძლებლობა, აბსტრაქტული შესაძლებლობა და ფორმალური შესაძლებლობა. როგორც საერთოდ, ასევე მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაშიც ერთიმეორისაგან განსხვავებული შეხედულება არსებობს ფორმალურ და აბსტრაქტულ შესაძლებლობათა შესახებ.

რეალური შესაძლებლობა სინამდვილის განვითარების კანონზომიერებათა საფუძველზე წარმოიშობა. იგი განვითარების ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარეობს. ამიტომაც რეალური ეწოდება შესაძლებლობას, თუ ის სინამდვილის განვითარების კანონზომიერ ტენდენციას გამოხატავს და სინამდვილეში არსებობენ მისი განხორციელების აუცილებელი პირობები. რეალური შესაძლებლობა ყოველთვის გარკვეული სინამდვილის შესაძლებლობაა. ეს არის შესაძლებლობა, რომელსაც კონკრეტულ ისტორიულ პირობებში განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები აქვს. რეალური შესაძლებლობა არსებობს სინამდვილის განვითარებაში არსებული გარკვეული პირობების საფუძველზე და აუცილებლობით გულისხმობს რეალურად არსებული პირობების ერთობლიობას. რეალური შესაძლებლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი განსაზღვრულია მისი პირობების განვითარებითა და ჩამოყალიბებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რეალური შესაძლებლობა მაინც არ შეიცავს სინამდვილედ განხორციელების ყველა პირობას. შესაძლებლობა იმიტომ არის შესაძლებლობა, რომ მასში არ არსებობს სინამდვილედ განხორციელების ყველა პირობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შესაძლებლობა კი არა, სინამდვილე იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში რეალური შესაძლებლობის სინამდვილეში გადასვლა კი არა, იმთავითვე მათი იგივეობა გვექნებოდა. მათი იგივეობა კი მოხსნიდა ჯერ შესაძლებლობის და შემდეგ მისი სინამდვილედ გადაქცევის შესაძლებლობას. მაგალითად, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირში არსებობდა სოციალიზმის აშენების რეალური შესაძლებ-

ლობა. მაგრამ ეს შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ იყო სინამდვილედ გადაქცეული; იგი მოითხოვდა მთელ რიგ ახალ პირობებს. სოციალიზმის სინამდვილედ გადაქცევისათვის აუცილებელი იყო ისეთი პირობების შექმნა, როგორიცაა ქვეყნის ელექტროფიკაცია, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გარდაქმნა. შეიქმნა რა ყველა ეს პირობები, ე. ი. მოხდა ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში სინამდვილედ იქცა. მაშასადამე, რეალური შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის სინამდვილე. რეალური შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევისათვის საჭიროა გარკვეული პირობების არსებობა.

რეალური შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის სინამდვილე იმიტომ, რომ შესაძლებელია ამ ერთ რეალურ შესაძლებლობას დაუპირისპირდეს მეორე რეალური შესაძლებლობა, რომელსაც ექნება ობიექტური საფუძველი; თუმცა შესაძლებელია იგივე უდავო აუცილებლობით არ იყოს აუცილებელი, როგორც პირველი, მაგრამ რამდენადაც საფუძველი აქვს სინამდვილეში, შეიძლება პირველი შესაძლებლობა შეზღუდოს და თვითონ გახდეს სინამდვილე. ამიტომ ვამბობთ სინამდვილის განვითარების პროცესი ეს არის შესაძლებლობათა თანდათანობით შემოფარგვლის წრე, რომელშიც აუარებელი სხვადასხვა შესაძლებლობა თანდათან ქრება, ადგილს ტოვებს და ერთი გარკვეული შესაძლებლობა იქცევა სინამდვილედ. ერთი შესაძლებლობის მიერ სხვა შესაძლებლობათა დაძლევა პირობადებულია თვით ამა თუ იმ მოცემული საგნის, მოვლენის აუცილებელი შინაგანი საფუძვლის არსებობით და ასეთი აუცილებელი საფუძვლის უქონლობით მეორე შესაძლებლობის სასარგებლოდ.

შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა არ არის ერთი და იგივე ხასიათის ბუნებასა და საზოგადოებაში, ბუნებაში შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა უმეტეს შემთხვევაში არაა დამოკიდებული ადამიანებზე, საზოგადოებაში მოქმედი ადამიანებსა და მათს მიზნებზე. ისეთ ბუნებრივ პროცესებში, როგორიცაა გეოლოგიური, კოსმოლოგიური და სხვა, შესაძლებლობის სინამდვილეში გადასვლა ადამიანის მიზნებისაგან დამოუკიდებელია. მაგალითად, დედამიწა, მზე და მთვარე კანონზომიერად მოძრაობენ, მათი მოძრაობის კანონზომიერება გარკვეულ პერიოდებში წარმოშობს მზისა და მთვარის დაბნელების რეალურ შესაძლებლობას, რომელიც

ადამიანთა ყოველგვარი შეგნებული მოქმედების ჩარევის გარეშე სინამდვილედ იქცევა. ასეთ და სხვა მის მსგავს შესაძლებლობათა წარმოშობა და სინამდვილედ გადაქცევა მთლიანად გამორიცხავს ადამიანთა შეგნებული მოქმედების ჩარევას. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ბუნებრივ მოვლენებშიც სრულიად შეუძლებელი იყოს შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევის დროს ადამიანთა შეგნებული მოქმედების ჩარევა. არა, არის მთელი რიგი ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ბუნების სფეროშიც შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევის პროცესში ადამიანთა შეგნებულ მოქმედებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თუ პურის მარცვალი მოხვდება ნაყოფიერ ნიადაგში და მას ექნება ნორმალური ჰაერა და სხვა პირობები, ის მოგვცემს მარცვლებს, მაგრამ იმისათვის, რომ მიღებული იქნეს უფრო უხვი მოსავალი, აუცილებლად საჭიროა ადამიანთა ჩარევა.

განსხვავებით ბუნებრივი მოვლენებისაგან, სადაც შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა უმეტეს შემთხვევაში ადამიანის ჩარევისაგან დამოუკიდებლად ხდება, საზოგადოების სფეროში შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა ადამიანთა პრაქტიკული მოქმედების საშუალებით მიმდინარეობს.

საზოგადოებაში არსებული გამოუყენებელი და შეუცნობელი რეალური შესაძლებლობანი თავისთავად, ადამიანთა შეგნებული მოქმედების ჩარევის გარეშე ვერ გადაიქცევიან სინამდვილედ, ამიტომაც საზოგადოების სფეროში შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სუბიექტურ ფაქტორებს. სუბიექტური ფაქტორების ცნებაში შედის ხალხთა მასების, კლასების, პარტიის როლი, გამოჩენილ პიროვნებათა შეგნებული, მიზანდასახული მოქმედება და სხვა.

საზოგადოების განვითარების ისტორიაში უამრავია ისეთი ფაქტი. როცა ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის რეალური შესაძლებლობა არსებობდა, მაგრამ იმის გამო, რომ საზოგადოებაში არსებული ობიექტურ პირობებთან ერთად სუბიექტური ფაქტორები არ ყოფილან, ეს შესაძლებლობანი სინამდვილედ არ გადაქცეულა. მაგ., მსოფლიო იმპერიალისტური ომის პირველ წლებში ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ადგილი ჰქონდა რევოლუციურ სიტუაციას, ე. ი. რევოლუციური სიტუაციის ობიექტური პირობები იყო, მაგრამ იმის გამო, რომ არ იყო სუბიექტური ფაქტორები, რეალური შესაძლებლობა — რევოლუციური სიტუაცია არ გადასულა

სინამდვილეში — რევოლუციებში. 1923 წელს გერმანიაში იყო რევოლუციური სიტუაცია (რეალური შესაძლებლობა), მაგრამ იმის გამო, რომ გერმანიაში არ იყო გარკვეული სუბიექტური ფაქტორები, რევოლუციური სიტუაცია — რეალური შესაძლებლობა, არ გადასულა რევოლუციაში — სინამდვილეში.

რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების რეალური შესაძლებლობა სინამდვილედ იქცა არა თავისთავად, ე. ი. სუბიექტური ფაქტორების გარეშე, არამედ ობიექტურ პირობებთან ერთად სუბიექტური ფაქტორების არსებობამ — მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის რევოლუციურმა მოქმედებამ, კომუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელის ლენინის გენიალურმა მოქმედებამ რეალური შესაძლებლობა სინამდვილედ აქციეს.

შესაძლებლობის ერთ-ერთი ფორმა არის ფორმალური შესაძლებლობა. ფორმალური შესაძლებლობის მიხედვით ყოველგვარი შესაძლებლობა შესაძლებელია. ფორმალური შესაძლებლობის თვალსაზრისით ყველა შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება გააზრებული, წარმოდგენილი იქნეს შესაძლებელია. იგი წმინდა აზრის სფეროშია შესაძლებელი. ფორმალური შესაძლებლობა არასდროს არ გადადის რეალურ შესაძლებლობაში. ფორმალური შესაძლებლობა რეალურად შეუძლებლობას უდრის და არავითარი საფუძველი არა აქვს რეალურ სინამდვილეში.

ფორმალური შესაძლებლობის მიხედვით ყველაფერი შესაძლებელია; შესაძლებელია დღეს საღამოს მთვარე დაეცეს დედამიწას, მაგრამ რეალურად არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს იმისა, რომ დღეს საღამოს მთვარე დაეცეს დედამიწას. ფორმალური შესაძლებლობა არ გამომდინარეობს რეალური სინამდვილის განვითარების შინაგანი კანონზომიერებიდან. იგი არ გამოხატავს სინამდვილის განვითარების ტენდენციას. ფორმალური შესაძლებლობის მიხედვით „ყველაფერი შესაძლებელია". ასეთი შესაძლებლობები ემყარება არა რეალურ სინამდვილეს, არამედ წმინდა ლოგიკურ მოსაზრებებს. ფორმალური შესაძლებლობა თავისთავად აღებული არ ეწინააღმდეგება სინამდვილის ობიექტურ კანონებს.

დებულების — ფორმალურ შესაძლებლობას არავითარი საფუძველი არა აქვს რეალურ სინამდვილეში, იგი არასდროს არ გადადის რეალურ შესაძლებლობაში — რეალურად შეუძლებლობას უდრის, საწინააღმდეგოდ არსებობს არგუმენტი: თუ ფორმა-

ლური შესაძლებლობა ფაქტიურად შეუძლებლობაა, მაშინ რა უფლებით ვუწოდოთ მას საერთოდ შესაძლებლობა? ასეთი არგუმენტის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ, მართალია, ფორმალური შესაძლებლობა რეალურად შეუძლებლობას ნიშნავს, მაგრამ იგი განსხვავებულია საერთოდ შეუძლებლობისაგან. შეუძლებლობა იმას ნიშნავს, რომ რაიმე, როგორ პირობებშიც უნდა იყოს ის, შეუძლებელია განხორციელდეს. მაგალითად, საერთოდ შეუძლებელია განხორციელდეს მარადიული ძრავა. ვინაიდან მისი განხორციელება ეწინააღმდეგება ენერგიის შენახვის კანონებს. ფორმალური შესაძლებლობა კი მართალია რეალურად შეუძლებელია განხორციელდეს, მაგრამ საერთოდ შეუძლებლობა კი არ არის, არამედ იგი შეიძლება განხორციელდეს აზრის სფეროში. ამიტომაც ამ ასპექტით იგი შესაძლებლობაა და არა საერთოდ შეუძლებლობა; მაგრამ შესაძლებლობა, რომელიც ხორციელდება მხოლოდ აზრის სფეროში და არა რეალურად არსებულ სინამდვილეში.

ფორმალური შესაძლებლობისაგან განსხვავებულია აბსტრაქტული შესაძლებლობა. თუ ფორმალური შესაძლებლობა რეალურად შეუძლებლობას უდრის, ვინაიდან მისი სინამდვილედ განხორციელების არავითარი რეალური შესაძლებლობა არ არსებობს არასდროს, საერთოდ შეუძლებელია მისი განხორციელება რეალურად, ამას ვერ ვიტყვით აბსტრაქტულ შესაძლებლობაზე. აბსტრაქტული შესაძლებლობა დროთა მსვლელობაში შეიძლება გადაიქცეს რეალურ შესაძლებლობად და შემდეგ კი სინამდვილედ იქცეს. ამიტომაც ცდებიან ისინი, ვინც ერთიმეორესთან აიგივებენ ფორმალურ და აბსტრაქტულ შესაძლებლობებს. მათი შინაარსი არა თუ ერთი და იგივეა, არამედ არსებითად განსხვავებულია ერთიმეორისაგან და ამდენად არა იგივეობრივი, არამედ განსხვავებული შინაარსის ცნებებია.

განსხვავებით ფორმალური შესაძლებლობისაგან აბსტრაქტული შესაძლებლობა რეალურ საფუძველს ემყარება; ეს ისეთი შესაძლებლობაა, რომელიც ამა და ამ მოცემულ პირობებში არ შეიძლება განხორციელდეს. მართალია, მისი განხორციელებისათვის ამა და ამ მოცემულ საფეხურზე არ არსებობს რეალური პირობები, მაგრამ იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც რეალური შესაძლებლობა ახლო თუ შორეულ მომავალში. ასეთ შესაძლებლობებს მეტ-ნაკლები ზომით გააჩნიათ იმის საფუძველი, რომ გარკვეულ პირობებში, ახლო თუ შორეულ მომავალში ჯერ რეალურ

შესაძლებლობად და შემდეგ სინამდვილედ იქცნენ. ამის საუკეთესო ნიმუში აქვს მოცემული კ. მარქსს ნაშრომში „ზედმეტი ღირებულების თეორიები". იხილავს რა მარქსი, მარტივ სასაქონლო მეურნეობას, აღნიშნავს, რომ აქ კრიზისების მხოლოდ აბსტრაქტული შესაძლებლობა არსებობს. მარტივი სასაქონლო მეურნეობაში კრიზისების შესაძლებლობა მოცემულია აბსტრაქტული სახით, აქ ჯერ კიდევ არ არის კრიზისების წარმოშობის რეალური შესაძლებლობა, კრიზისების წარმოშობის მხოლოდ აბსტრაქტული შესაძლებლობა არსებობს. ეს აბსტრაქტული შესაძლებლობა კრიზისებისა სასაქონლო მეურნეობის განვითარების შედეგად კაპიტალიზმის დროს რეალურ შესაძლებლობად იქცევა. აბსტრაქტული შესაძლებლობა გადადის რეალურ შესაძლებლობაში. ხოლო რეალური შესაძლებლობა გარკვეული პირობების შექმნის საფუძველზე სინამდვილედ ხორციელდება, კრიზისები სინამდვილედ იქცევა კაპიტალიზმის ეპოქაში.

აბსტრაქტული შესაძლებლობა რომ რეალურ შესაძლებლობად იქცა, ამის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, მთვარეზე გაფრენის შესაძლებლობა. მთვარეზე გაფრენის შესაძლებლობა რამდენიმე წლის წინათ აბსტრაქტული შესაძლებლობა იყო, მაგრამ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საფუძველზე ეს აბსტრაქტული შესაძლებლობა რეალურ შესაძლებლობად იქცა. ამჟამად მთვარეზე გაფრენის შესაძლებლობა სინამდვილეა.

არსებისა და მოვლენის კატეგორიები

მატერიალისტურ დიალექტიკის კატეგორიათა რიცხვს მიეკუთვნება არსებისა და მოვლენის კატეგორიები. არსება და მოვლენა სინამდვილის უზოგადესი მხარეებია. რომლებიც აისახება არსებისა და მოვლენის კატეგორიებით. როგორც ზემოთ განხილული წყვილადი კატეგორიები. არსებისა და მოვლენის კატეგორიების ძირითადი ნიშნების დადგენა და განსაზღვრებაც მათი ერთიმეორესთან ურთიერთდაპირისპირებით შეიძლება.

ყოველი მოვლენა, საგანი არსებისა და მოვლენის ერთიანობაა. არსება და მოვლენა ყოველ მოვლენაში, საგანში ორი ერთმანეთისაგან განუყოფელად დაკავშირებული მხარეებია.

არსება სინამდვილის შინაგანი მხარეა. იგი საგნის შინაგანი, ზოგადი, შედარებით მყარი მხარეა. მოვლენა სინამდვილის გარეგა-

ნი მხარეა. იგი საგნის შინაგანი ბუნების გარეგანი სახეა, მისი არსებობის ფორმაა. მოვლენაში, როგორც არსების საპირისპირო კა-ტეგორიაში, იგულისხმება საგნის რომელიმე ერთი მხარე, რომელიც არსებასთანაა დაპირისპირებული და არა თვით საგანი. არსებასა და მოვლენას შორის განსხვავება შემდეგი სახისაა: პირველი, არსების კატეგორია არის სინამდვილის შინაგანი, შედარებით მყარი მხარის ასახვა; მოვლენის კატეგორია არის სინამდვილის გარეგანი, შედარებით მოძრავი და ცვალებადი მხარის ასახვა. არსების კატეგორიაში ასახულია საგანთა და მოვლენათა ისეთი შინაგანი მხარე, რომელიც მოცემული საგნისა და მოვლენის ბუნებას განსაზღვრავს. მაგალითად, შრომა არის საქონლის არსება, მით არის განსაზღვრული საქონლის ბუნება, იგი არის საქონლის ორივე მხარის — სახმარი ღირებულებისა და ღირებულების — განმსაღვრელი. ღირებულება არის ფულის არსება. ფული, როგორც ფული, არ არის ღირებულების გარეშე. მაგრამ თუ შრომა საქონლის არსებაა, საქონელი კი მოვლენაა, იგი შრომის არსების ფორმაა. ასევე თუ ღირებულება ფულის არსებაა, თვით ფული ამ არსების არსებობის ფორმაა. მაშასადამე, არსება და მოვლენა განუყრელ კავშირშია ერთიმეორესთან. „არსება მოვლენაშია, მოვლენა კი არსებაში“ (ლენინი). მოვლენა ყოველთვის იმას გულისხმობს, რისი გამოვლენაც იგი არის, ე. ი. არსებას. არსება კი ყოველთვის მოვლენაში გამოვლინდება. ამგვარად, არსება და მოვლენა დიალექტიკურ ურთიერთობაშია. მართალია, არსება და მოვლენა განუყრელ ერთიანობაში არიან, მაგრამ ეს მათ იგივეობრიობას არ ნიშნავს. როგორც მარქსი აღნიშნავს, არსება და მოვლენა ერთმანეთს რომ ემთხვეოდეს, მაშინ ყოველივე მეცნიერება ზედმეტი იქნებოდა. არსება მოვლენისაგან, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ როგორც ბუნებაში, ასევე საზოგადოებაში არსებულ მრავალ განსხვავებულ მოვლენას ერთი საერთო არსება აქვთ და ეს ერთი, საერთო არსება, გამოვლინდება განსხვავებულ მოვლენებში. საქონლის არსება — შრომა —ერთია საქონლის მრავალი, სრულიად განსხვავებული სახეებისათვის.

საზოგადოებაში ისეთ განსხვავებულ მოვლენებს, როგორიცაა უმუშევრობა, შეიარაღების განუწყვეტელი ზრდა, სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა. აქვთ ერთი საერთო არსება — წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი და მითვისების კერძო ფორმა. განსხვავებულ მოვლენებს, ფორმებს რომ ერთი არსე-

ბა აქვთ. ამის საუკეთესო მაგალითია სახელმწიფოს ტიპის, როგორც არსების დამოკიდებულება მმართველობის სხვადასხვა ფორმებთან. ცნობილია, რომ სახელმწიფოს განსხვავებული ტიპები და მმართველობის მრავალი ფორმა არსებობს. საზოგადოების განვითარების ისტორია იმის მიხედვით, რომ ერთსა და იმავე საზოგადოებრივ ფორმაციაში ყველა მმართველობა ერთ ტიპს მიეკუთვნება, სახელმწიფოს ოთხ ტიპს იცნობს: მონათმფლობელურს, ფეოდალურს, კაპიტალისტურს და სოციალისტურს. თითოეულ ამ ტიპს, როგორც არსებას, განსხვავებული ფორმები ახასიათებს. მაგალითად, მონათმფლობელური სახელმწიფოს ტიპი მრავალი ფორმით გამოვლინდება. ეს ფორმებია მონათმფლობელური მონარქია, მონათმფლობელური არისტოკრატია, მონათმფლობელური დემოკრატია. მმართველობის ამ განსხვავებულ ფორმას ერთი საერთო არსება აქვთ. ასევე განსხვავებულია ფეოდალურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მმართველობის ფორმებიც. კაპიტალისტური მმართველობის ფორმებია: კონსტიტუციური მონარქია, პარლამენტური რესპუბლიკა, დემოკრატიული რესპუბლიკა, ფაშისტური დიქტატურა, მმართველობის ამ განსხვავებულ ფორმებს ერთი საერთო არსება აქვთ — ბურჟუაზიის დიქტატურა.

აღნიშნული მაგალითებიდან ჩანს არა მხოლოდ ის, რომ განსხვავებულ მოვლენებს ერთი საერთო არსება აქვთ, არამედ ისიც, რომ ერთი და იგივე არსება შეიძლება სხვადასხვანაირად გამოვლინდეს. ერთი და იგივე არსების სხვადასხვანაირად გამოვლინებას ასაბუთებს დღევანდელი კონკრეტულ — ისტორიულ პირობებთან დაკავშირებული სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სახელმწიფოებრივი წყობილება. სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანაში სახელმწიფოებრივი წყობილება თავისი არსებით ერთია, მაგრამ ამ არსების გამოვლინების ფორმები სხვადასხვანაირია. სხვაგვარად, სოციალისტური ქვეყნების ეს ერთი არსება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირი ფორმით გამოვლინდება.

მეორე განსხვავება არსებასა და მოვლენას შორის იმაშია, რომ არსება გამოხატავს ზოგადს, მოვლენა ერთეულ მხარეს. არსება საგანში ზოგადობის ფორმის გამომხატველია. იგი საგანში იმ ზოგად მხარეს გამოხატავს, რომელიც ამ საგნის ყველა დანარჩენ მხარეს განსაზღვრავს. არსება მოვლენებში ზოგადია, მაგრამ ყოველი ზოგადი როდია არსება. მაგალითად, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ადამიანსა და ფრინველებს აქვთ ერთი და იგივე არსე-

ბა იმის გამო, რომ მათ აქვთ ორი ფეხი. არსება არის არა უბრალო ზოგადი, არამედ ისეთი ზოგადი, რომელიც მოვლენის შინაგან საფუძველს წარმოადგენს. ამ აზრით არსება მოვლენის განმსაზღვრელია. მოვლენა ზოგადობის ფორმის ერთეული გამოხატულებაა. თქმა — არსება მოვლენის შინაგან საფუძველს წარმოადგენს — იმას არ ნიშნავს, რომ არსება დაყვანილია საგნის საფუძველზე. საგნის საფუძველი და საგნის არსება განსხვავებულია ერთიმეორისაგან.

მესამე განსხვავება არსებასა და მოვლენას შორის მდგომარეობს აგრეთვე იმასში, რომ არსება უფრო მყარია, შედარებით უცვლელია, მოვლენა კი უფრო ცვალებადი და მოძრავია, არსების შედარებით მყარობა და უცვლელობა იმას არ ნიშნავს, რომ იგი საერთოდ ცვლილება. — განვითარების გარეშეა. არსების მყარობა და უცვლელობა შეფარდებითი ბუნებისაა. იგი მოვლენასთან მიმართებაშია შედარებით მყარი და უცვლელი. არსება იმის გამო, რომ საგნის შინაგან მხარეს გამოხატავს, უფრო ღრმაა, ვიდრე მოვლენა. მოვლენა, არსებისაგან განსხვავებით, ხასიათდება ზედაპირულობით. გარეგნულობით.

არსებასა და მოვლენას შორის არსებული განსხვავებულობა, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ერთიმეორისაგან მოწყვეტილია. არსებისა და მოვლენის ერთიმეორისაგან მოწყვეტა იდეალისტური, მეტაფიზიკური თვალსაზრისისათვისაა დამახასიათებელი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ არსება არის საგნის შინაგანი მხარე, მაგრამ არსების მხოლოდ ამ ნიშნამდე დაყვანით მას ვერ განასხვავებთ სხვა კატეგორიებისაგან. მაგალითად, საგნის შინაგანი მხარეა არა მხოლოდ არსება, არამედ აუცილებლობა, კანონიც. ამიტომაც მტკიცება — არსება საგნის შინაგანი მხარეა — ვერ იძლევა მის (არსების) სპეციფიკურ განსხვავებულობას კანონისა და აუცილებლობისაგან. როგორც კანონი, აუცილებლობა ხასიათდება თავისი სპეციფიკური თავისებურებით, ასევე არსებაც გარდა შინაგნობისა, თავისი სპეციფიკური ნიშნის მქონეა.

არსებისა და კანონის ცნებები არ დაიყვანება ერთიმეორეზე, პირველი უფრო ფართოა მეორეზე. კანონი არსების რომელიმე მხარეს გამოთქვამს, იგი საგნის არსების რომელიმე მხარის გამომსახველია. ამავე დროს, რაც მთავარია, საგნის არსება სრულიადაც არ არის მისი კანონი. ადამიანის არსებაა — იარაღის შეკეთებლობა, მაგრამ იგი არ არის კანონი.

არსება ასევე განსხვავებულია აუცილებლობისაგან, როგორც საგნის შინაგანი კანონზომიერებისაგან. არსება არის საგნის შინაგანი, აუცილებელი მხარეების მთლიანობა. მოვლენა არის საგნის გარეგანი, ცვალებადი მხარე.

არსებისა და მოვლენის აღნიშნული დახასიათება ემყარება მათს ურთიერთდაპირისპირებულობას. არსება და მოვლენა როგორც საგნის, სინამდვილის ორი განსხვავებული მხარე ერთიმეორესთან ურთიერთდაპირისპირებულობაშია.

არსებისა და მოვლენის ურთიერთდაპირისპირებულობა ერთ შემთხვევაში ვლინდება როგორც შინაგანისა და გარეგანის დაპირისპირება. არსებას რომ საგნის შინაგანი, აუცილებელი მხარეების მთლიანობის გამოსახვას თავისი გარეგანი მხარე არ ჰქონდეს, მაშინ თვით ამ არსების შესახებაც არაფერი გვეცოდინებოდა. არსება და მოვლენა, როგორც ერთი და იმავე საგნის ორი განსხვავებული მხარე — შინაგანი და გარეგანი — ურთიერთდაპირისპირებულია.

არსებისა და მოვლენის ურთიერთდაპირისპირებულობა ვლინდება აგრეთვე არსების, როგორც შედარებით მყარის, შედარებით უცვლელი მხარისა და მოვლენის, როგორც შედარებით მოძრავი და ცვალებად მხარის დაპირისპირებულობაში. არსებას, როგორც შედარებით მყარს, აუცილებელს უპირისპირდება მოვლენა, როგორც შედარებით მოძრავი და ცვალებადი და პირიქითაც, სიმყარე და ცვალებადობა საგნის ორი ურთიერთდაპირისპირებული მომენტები, ანუ მხარეებია, რომელიც საგანში ერთდროულად არსებობს. საგანი ერთსა და იმავე დროს შედარებით მყარიც არის და ცვალებადიც. სწორედ საგნის მყარობა და ცვალებადობა არის ურთიერთდაპირისპირებული.

არსებისა და მოვლენის ურთიერთდაპირისპირებულობა ასევე ვლინდება როგორც ზოგადსა და ერთეულს შორის დაპირისპირებულობა. იმის გამო, რომ არსება საგანში ზოგადს გამოხატავს, იგი უპირისპირდება მოვლენას, როგორც ზოგადობის ფორმის ერთეულ გამოხატულებას.

ამდენად, არსება და მოვლენა თავიანთი დამახასიათებელი ნიშნებით, ერთი მხრით, შინაგანობით, შედარებით სიმყარით, ზოგადობით და, მეორე მხრით, გარეგნობით, შედარებით ცვალებადობით, ერთეულობით ურთიერთდაპირისპირებულია ერთიმეორისად-

მი. სწორედ ეს ურთიერთდაპირისპირებული მხარეებია ასახული არსებისა და მოვლენის კატეგორიებში.

КАТЕГОРИИ МАТЕРИАЛИСТИЧЕСКОЙ ДИАЛЕКТИКИ

Резюме

В книге рассмотрены вопросы понятия категории, правила определения категории и определение понятия основных или парных категорий.

Каждое понятие, категория — общее. По общности существуют три основные группы категорий: наиболее общие, общие и частные. Наиболее общие философские категории являются абсолютно общими понятиями. Этим признаком данная группа категорий отличается от всех других категорий.

Характерным логическим признаком наиболее общих философских категорий, на основе которого должно быть выполнено их определение, является их полярность, взаимопротивоположность парных категорий. Этот признак является внутренним и необходимым. Полярно противоположные категории по необходимости требуют друг друга.

Система категорий должна быть построена по логическому принципу. Логическим принципом наиболее общих философских категорий является их взаимопротивоположность (полярность). Взаимопротивоположность — это необходимо — характерное логическое отношение категорий.

გამოყენებული ლიტერატურა

კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950.

კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული წერილები, 1949.

კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, I, 1954.

კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. II, 1957.

კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III. ნაწ. I, 1959.

კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953.

ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, 1952.

ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, 1952.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, ტ. 14, 1950.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. I, 1953.

ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე, მეტაფიზიკა, 1964.

ჰ ე გ ე ლ ი, ლოგიკის მეცნიერება, 1962.

ს. ა ვ ა ლ ი ა ნ ი, თანამედროვე პოზიტივიზმის ბუნებისმეტყველების ფილოსოფია, 1966.

ლ. ა მ ბ რ ო ლ ა ძ ე, საწყისისა და მიზეზობრივობის პრობლემა ახალ ფილოსოფიაში, 197

მ. ბ ა კ უ რ ი ა, ვ. ი. ლენინი მარქსისტული კატეგორიოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ, 1969.

კ. ბ ა ქ რ ა ძ ე, მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები, რჩეული ფილოსოფიური თხზ., ტ. V, 1976.

კ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ლოგიკა, 1947, 1955.

გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, კატეგორიის განსაზღვრების პრობლემისათვის, „მაცნე", ფილოსოფიის... სერია № 2, 1971.

დიალექტიკური მატერიალიზმი, თსუ, 1970.

გ. მ ა ჩ ი ტ ა ძ ე, შინაარსის და ფორმის დიალექტიკა, 1959.

ბ. უ რ ი დ ი ა, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების ხერხი. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. 24, 1962.

ბ. უ რ ი დ ი ა, უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორიების ცვლის განსაზღვრა, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. 25, 1963.

ხ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, მარქსიზმ-ლენინიზმი შესაძლებლობისა და სინამდვილის შესახებ. 1963.

გ. შ უ შ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, კატეგორიების ბუნების შესახებ, წიგნში „დიალექტიკური მატერიალიზმის ზოგიერთი საკითხი", 1964.

გ. ც ი ნ ც ა ძ ე, აუცილებლობისა და შემთხვევითობის ურთიერთობის შესახებ, 196

ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დიალექტიკური ლოგიკა, 1965.

К. Маркс, Ф. Энгельс, Соч.. т. I, II, 1955.

Аристотель, Категории, 1939.
Ф. Бекон, Новый Органон, 1938.
Гегель, Наука логики, т. V, 1937.
И. Кант, соч. т. 2, т. 3, 1964.
И. Д. Андреев, Диалектический материализм, 1960.
В. С. Библер, О системе категорий диалектической логики, 1958.
Ю. А. Богданов, Сущность и явление, 1962.
Д. Бом, Причинность и случайность в современной физике, 1959.
М. Бунге, Причинность, 1962.
Л. В. Воробьев..., Основные категории и законы материалистической диалектики 1962.
С. Лебедев, Причина и следствие, 1970.
Категории материалистической диалектики, 1956.
Категории диалектики как ступень познания, 1971.
Б. М. Кедров. Оперирование научными понятиями в диалектической и формальной логике (В книге: Диалектика и логика, формы мышления). 1961
П. В. Копнин, Философские идеи В. И. Ленина и логика, 1969.
Е. С. Кузьмин, Система онтологических категорий, 1958.
В. И. Мальцев, Очерк по диалектической логике, 1964.
В. С. Никитченко, Соотношение категории сущности и явления марксистско-ленинской философии 1966.
Дж. Ст. Милль, Система логики, 1914.
А. М. Минасян, Категории содержания и формы, 1961.
А. М. Минасян, О субординации категорий диалектики, в книге «Диалектика и логика научного познания», 1969.
И. Д. Панцхава. Диалектический материализм, 1958.
М. А. Парнюк, Принцип детерминизации в системе материалистической диалектики, 1972
Ю. А. Птеров, Логическая функция категории диалектики, 1972.
Н. В. Пилипенко, Необходимость и случайность, 1965.
Платон, Теэтет, 1936.
М. М. Розенталь, Принципы диалектической логики, 1960.
В. Н. Сагатовский, Основы систематизации всеобщих категорий, 1973.
Г. А. Свечников, Причинности и связь состояний в физике, 1971.
В. П. Тугаринов, Соотношение категорий диалектического материализма, 1956.
А. И. Уемов, О временном соотношении между причиной и действием..., 1960.
А. П. Шептулин, Категории диалектики, 1971.
А. П. Шептулин, Система категорий диалектики, 1967.
Д. И. Широканов, Диалектика необходимости и случайности, 1960.
Д. И. Широканов, Взаимосвязь категорий диалектики, 1969.
О. Яхот, Необходимость и случайность, 1956.
К. Маркс, Grundrise der kritik der Politische Okonomie, 1939.
A. I. Wittenberg, Vom Denken in Begriffen, 1967.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი . . .	3
კატეგორიის ცნებისა და კატეგორიათა განსაზღვრის წესის შესახებ	7
მიზეზისა და შედეგის კატეგორიები	75
აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიები	101
შინაარსისა და ფორმის კატეგორიები	125
შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიები	146
არსებისა და მოვლენის კატეგორიები	155
რ ე ზ ი უ მ ე (რუსულ ენაზე)	160
გამოყენებული ლიტერატურა	161

Урудия Борис Юлонович

КАТЕГОРИИ МАТЕРИАЛИСТИЧЕСКОЙ ДИАЛЕКТИКИ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი დ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი რ. ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
კორექტორი ე. გ ო გ ა ვ ა

გადაეცა წარმოებას 10.2.1977; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.VII.1977;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 10.25;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.82;
უე 01140; ტირაჟი 1300; შეკვეთა № 499;

ფასი 1 მან. 45 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19